# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

36 გვ

№ 3 (353) ◆ 21 – 27 იანვარი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ნახევარი ამდენი წლის პრეზიდენტობის შემდეგ და დაგვიტოვეთ ეს ტკივილი, ამას ხალხი არავის აპატიებს



ტრასაზე ერთი-ორ მანქანას თუ დაინახავ. სოხუმთანაც უკაცრიელი ზონაა, ასევე დაცლილია ბიჭვინთაც, სადაც ზამთარშიც კი მუდამ უამრავი დამსვენებელი იყო. შემოსავალი არაფერი აქვთ და ამიტომაა, რომ დაგეშილები არიან გალის რაიონის თხილისა და მანდარინის დატაცებაზე. 50 ათასამდე აფხაზი ცხოვრობს მოსკოვში. აფხაზეთში მხოლოდ ქალები, ბავშვები, მოხუცები და რეჟიმთან დაახლოებული რამდენიმე ათასი პირიღა დარჩა. უკვე აფხაზურადაც ვეღარ ლაპარაკობენ, ყველგან რუსული ენაა გაბატონებული. მოვა დრო და აფხაზები დასწყევლიან სეპარატისტ ლიდერებს...

გვ.3

## „კრემლის ადვოკატი“ — საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?..



**„გამსახურდიამ ეს ყველაფერი აგენტურის მეშვეობით წინაწარ იცოდა“**

— დღეს დიდი და პატარა თავს იმტვრევს იმაზე, თუ ვინ გახდება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი. ...ერთხელ მან თქვა — შევარდნაძეს დაეხმარებიან, თბილისში ჩამოიყვანენ და ეს მოხდება სერიოზული გარიგების საფასურად!

ეს პიროვნება დღეს მაინცდამაინც არ ხმაურობს.

გვ.7,30

## ფრთხილად! CO — ვერაგი აირი ანუ „ძაღლის გაზი“

გვ.5

სხვაგვარად, მას „ძაღლის გაზსაც“ უწოდებენ, რადგან მაღაროებში მისი დაგროვების აღმოსაჩენად საეჭვო ადგილებში ძაღლი შეჰყავთ. ნახშირჟანგი დაბლიდან იწყებს დალექვას და რადგან ძაღლი ადამიანზე დაბალია, CO-ს არსებობის შემთხვევაში, უმალ გონს კარგავს.

## როგორ უნდა დავამონტაჟოთ გამათბობლები

ჩვენში ყველაზე გავრცელებული ირანული გამათბობლები ხშირად არასწორად მონტაჟდება; ბაზრობის 5-ლარიანი „დამმონტაჟებლის“ მაგივრად თბილგაზი 37-ლარიან პროფესიონალს გვირჩევს

## „საქართველოში ქიმიური და რადიოაქტიური ნარჩენები საიდუმლოდ შემოდის და იმარხება?!“



გვ.6

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოში, სისტემატურად შემოდის შხამიანი ქიმიური ნარჩენები, რომელსაც ოფიციალურ საბუთებში აფიქსირებენ როგორც კვების პროდუქტს. სად მიაქვთ ან სად მარხავენ შემდეგ ორასლიტრიან კასრებს, ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ. რადგან როცა ასეთი სახის ტვირთი შემოდის პორტში, იგი იკეტება და შიგ ვერაფრით ვერ შეაღწევ. რაც შეეხება რადიოაქტიურ ნარჩენებს, ამის თაობაზე არაფერი ვიცი. თუმცა არც ეგაა გამორიცხული.

პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე აღუძრავს იმ სამი ადამიანის წინააღმდეგ, რომლებმაც რადიოაქტიური წყარო იპოვეს და სახლში წალებას უპირებდნენ. პროკურატურას რატომღაც „დაავიწყდა“ ბობოლები, რომლებმაც ამ წყაროების გაუვნებელყოფა ვერ ან არ მოახერხეს და უდანაშაულო ხალხი სასიკვდილოდ გაწირეს.

## „შატილის ასულოს“ ჩვენი თანამედროვე ავტორი

თავიდან, თითქოს არაფერი, მაგრამ მერე მაგაზე დარდმა მომიღო ბოლო... ისეთი გრძნობა მაქვს ხოლმე, თითქოს ხელს ცოცხლად მაჭრიანო — ისეთს რას ვითხოვ, ავტორობას ნუ დამიკარგავენ...

გვ.13

## სახალხო პროექტი ერთი წლისაა!



**ჩემს შთამომავლობას, XXI საუკუნის მოქალაქეებს — „კვირის პალიტრის“ ისტორიული მისია გრძელდება**

**გზავნილების ადრესატთა სიის გამოქვეყნება გრძელდება**

გვ.30

## „თუ რუსეთი აფხაზეთს დააბრუნებს, ჩეჩნები დღესვე დავტოვებთ საქართველოს“



ათასი ნარჩემაშვილი რომ დააყენო და ათასი თარგამაძე მოხსნა, ამით არაფერი შეიცვლება.

პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ ისეთი განცხადებები გააკეთა მასმედიის საშუალებით, რომ შემეშინდა მაგ კაცის.

ვიცი, ვისთანაც გატაცებული ბერები მეგობრობდნენ, ის კაცი წავიდა ამერიკაში და ძლიერი ფინანსური ზურგის მქონე ორგანიზაციის წევრი გახდა. ამის თაობაზე იცის ვიღაცა დამნაშავე ქისტმა ან ქართველმა.

გვ.8,13

## რატომ „დააპატიმრეს“ ჯაბა იოსელიანი მოსკოვში?

გვ.5



მესაზღვრეებმა ასე მითხრეს, „ნი ვიეზდნოი“ ხართ, უფლება არა გაქვთ რუსეთის ტერიტორიაზე შემოხვიდეთო.

პრიმაკოვსა და ზურაბ წერეთელთან დავრეკე და, როგორც იქნა, გამომიშვეს.

ამ საკითხს მაინც გავარკვევ. პასუხს მოვთხოვ ან ამათ, ან რუსებს. ეგრე სად არის, მოუნდებათ — შემიშვებენ, მოუნდებათ — არა. მაინც უნდა მიპასუხონ, რატომ არ მიშვებენ რუსეთში!

### სამხედრო თემაზე:

გვ.8

## პახნიაშვილს მსხვილი ოქროს სამაჯური არ უხდებაო...

### ერთგან ჯარის შეყვანას გვთხოვენ, მეორიდან — გამოყვანას

აფხაზებს ამ ხეობის ქართული სოფლები ყოველთვის ყელში გაეჩხირება.

ეს ქაღალდზე ჩანს მარტივად, თორემ სამანქანო გზით გაყვანილი ტანკი მეორე დღესვე დაბრუნდება ლათაში, მაშინ როდესაც დამატებითი ქართული დანაყოფების კვლავ გადასხმას საფრენი ამინდის ლოდინი სჭირდება.

## რუსი სამხედროები შტაბს გვიტოვებენ

გვ.9

## მკითხველმა დღევანდელობას მიუსადაგა ანდაზა: „ერთი თხილის გულისთვის ცხრა ძმა ქართველმა ერთმანეთს თავ-პირი დაამტვრია“

გვ.35

**დამატებითი კითხვა**

ვეტერანი

გვ.10

## „მე და ჩემი მებრძოლები ალყას დარასელიას გოლით გადავურჩით...“

...უცნაური ვინმეა ქართველი კაცი. იქ, იმ ავღანურ პროვინციაში, პატარა საქართველო დამხვდა...

...ბევრი რამ ვიცი ავღანელების სისასტიკის შესახებ, თავადაც არაერთგზის გამომიცდია, მაგრამ ავღანელი ქართველების სისასტიკემ ყველაფერს გადააჭარბა. ცემით ხომ ლამის სული ამომხადეს, ექვსი კბილიც ამომგლიჯეს გაზით — როგორ გაბედე ამ საქმეზე მოსვლაო. გონს რომ დავკარგავდი, წყალს მასხამდნენ და ისევ მაწამებდნენ...

...უცებ ჩემი რადისტი მეუბნება, ფეხბურთის მატჩს გადმოსცემენ, აშკარად ქართული აქცენტითო და საყურე მომაჩეჩა ხელში...

# წმინდა ნინოს მადლი გვფარავდეს!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## დაიწყო საყოველთაო აღწერა

17 იანვარს დამოუკიდებელ საქართველოში პირველად დაიწყო მოსახლეობის ეროვნული საყოველთაო აღწერა. უკანასკნელი აღწერა 1989 წელს გაიმართა საბჭოთა საქართველოში და მაშინდელი მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში 5 მილიონ 400 ათასი კაცი ცხოვრობდა. ექსპერტები პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ და მოელიან, რომ ამჟამად საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად, დაახლოებით 600 ათასიდან ერთ მილიონ კაცამდე იქნება შემცირებული. სწორედ ამ რაოდენობის ხალხია, სავარაუდოდ, უცხოეთში სამუშაოდ და საცხოვრებლად წასული. მოსახლეობის აღწერას სტატისტიკის დეპარტამენტი ახორციელებს და ამ პროცესში 23 ათასამდე აღმწერი მონაწილეობს. საცხოვრებელი ადგილების გარდა, მოსახლეობის აღწერა ბაზრობებზე, რკინიგზისა და ავტოსადგურებზეც მიმდინარეობს...

ამჟამინდელი აღწერის წინასწარი შედეგები 2002 წლის ზაფხულში გამოქვეყნდება, ხოლო საბოლოო ინფორმაცია შემოდგომაზე გახდება ცნობილი. აღწერა არ ტარდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

## გიორგი ისაკაძემ გვარზე უნდა იფიქროს(!)

მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ მომზადებული კანონპროექტის დეტალები გააცნო პრეზიდენტს. ეს კანონპროექტი თავის დროზე მიშა სააკაშვილის მიერ მომზადებული კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტია. გილიგაშვილი ირწმუნება, რომ აღნიშნული კანონ-პროექტის მიღება იქნება მთლიანად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპი... იმავე სხდომაზე განიხილეს 2001 წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზები და პრეზიდენტმა ავისმომასწავებლად მიანიშნა, შეიძლება იანვრის საბიუჯეტო გეგმაც ვერ შესრულდეს. თუ ეს მოხდა, იცოდეთ, რომ ხალხი წაგვლეკავსო. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა პრეზიდენტის თანაშემწე ფისკალურ საკითხებში გიორგი ისაკაძე, რომელმაც კიდევ უფრო გაუძლიერა ეჭვი პრეზიდენტს, რომ იანვრის გეგმაც ჩავარდებოდა. მოთმინებადაკარგულმა შევარდნაძემ გიორგი ისაკაძეს უნებლიეთ გიორგი სააკაძე უწოდა, თუმცა, უმალ გამოასწორა ეს ლაფსუსი და უთხრა, მე შენ ადგილზე გვარის პრობლემაზაც ვიფიქრებდი, რადგან სააკაძეობა სჯობიაო...

## რამაზაშვილი კახნიაურს უნდობლობას უცხადებს...

ლუკა რამაზაშვილის სახალხო რაზმი ახმეტის რაიონში მიმდინარე აქციებში მონაწილეობას არ მიიღებს. რაზმი უნდობლობას უცხადებს როგორც გამგეობათა მიერ ორგანიზებულ სახალხო გამოსვლებს, ასევე „ავღანელთა კავშირს“: „სირცხვილია, რომ ისინი თავიანთ თავს მეომრებს უწოდებენ. ერთი წლის წინ ვეფხია მარგოშვილმა ნუგზარ კახნიაურის ძმის სიმამრი მოიტაცა. კახნიაურის ძმამ მარგოშვილს 10.000 დოლარი აუტანა. ნუგზარიც იქ იყო. პანკისელები ამბობენ — კახნიაურს როგორ ვენდოთ, მაგან გარყვნა ქისტები ფულის მიტანითო.“

„სახალხო რაზმის“ წარმომადგენლები შინაგანი ჯარის შენაერთებს კრიმინალებთან კავშირში ადანაშაულებენ: „ლოჭინის ხიდიდან ხალილოვი რომ გაიტაცეს, ფიჩხოვანის ტყე პოლიციას ჰქონდა ჩაკეტილი. გამტაცებლებმა იცოდნენ, რომ ამ მონაკვეთს ვერ გაივლიდნენ და შინაგანი ჯარი დაიხმარეს. მათ პოლიციის მანქანა მოიპარეს. როცა მანქანის გამტაცებლებს გაედევნენ, აღმოჩნდა, რომ ისინი გვარდიელები იყვნენ. როდესაც ჰკითხეს, რატომ ჩაიდინეს ასეთი რამ, მათ უპასუხეს, რომ ლუდის დასალევად მიდიოდნენ და ტრანსპორტი არ ჰქონდათ. ეს სატყუარა იყო. სინამდვილეში გამტაცებლებმა ფიჩხოვანის ტყე სწორედ ამ დროს გაიარეს. შინაგანი ჯარის გვარდიელები ხალილოვის გატაცებაში დაეხმარნენ კრიმინალებს და პოლიციელები გაიტყუეს“.

## „მოგვეცით შუქი“

„ეი-ეს თელასმა“ კვლავ დაიწყო იმ უბნების მასობრივი გამორთვები, რომლებიც ჯერ არ „გამრიცხველიანებულა“, მაგრამ ურჩ გადამხდელთა პარალელურად, როგორც წესი, ამ სადამსჯელო ღონისძიებებს გადამხდელებიც „ეწირებიან“. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ უკვე სახეზეა ელექტროენერგიის დიდი დეფიციტი და „ეი-ეს თელასიც“ გრაფიკის შემოღებაზე ალაპარაკდა. თბილისის რიგ უბნებსა და ქუჩებში კი მოსახლეობა უკვე გამოდის ტრადიციული ყიჟინით „მოგვეცით შუქი!“

## ისევ ფალსიფიცირებული სასმელი

14 იანვარს საახალწლო სუფრაზე ქორქოზაშვილების ოჯახი ბაზრობაზე შეძენილმა ერთმა ბოთლმა შამპანურმა „პალერმომ“ მოწამლა. ოჯახის უფროსი ალექსანდრე ქორქოზაშვილი გარდაიცვალა, მისი ორი ქალიშვილი კი მძიმე მოწამვლის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა. თბილისის მთავარ სანიტარულ ინსპექციაში განაცხადეს, რომ შამპანურ„პალერმოს“ მწარმოებელ ფირმას სტანდარტიზაციის ლიცენზიის ვადა ერთი თვის წინ ამოეწურა. ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი ალკოჰოლური პროდუქციის ვარგისიანობის კონტროლი სახსტანდარტს ევალება. სახსტანდარტში კი ირწმუნებიან, რომ კანონში არსებული ხარვეზების გამო თავისივე ლიცენზიანტებს ვერ ამოწმებენ. საქმე ის არის, რომ ლიცენზიის გაცემის შემდეგ ბოთლში ჩასხმული და გასაყიდად გამზადებული სასმლის ხარისხის შესამოწმებლად სასამართლოს დადგენილებაა საჭირო(!). მთავრობაში კი უკვე იხილავენ შესაბამის კანონპროექტს, რომლის თანახმად სახსტანდარტის ლიცენზიანტთა პროდუქციის შემოწმების პროცესი გამარტივდება, მაგრამ სანამ ეს მოხდება, როგორც ჩანს, კიდევ უამრავ ფალსიფიცირებულ სასმელს დალევენ თბილისელები. ქორქოზაშვილების ტრაგედიის ფაქტს კი გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა იძიებს.

## ტკივილს თურმე საიენტოლოგები „წამლობენ“

საქართველოში კიდევ ერთი სექტა გამოჩნდა. აშშ-სა და ევროპაში პოპულარული საიენტოლოგთა სექტა უკვე ცდილობს ფეხის მოკიდებას ქართულ მიწა-წყალზე და მასობრივად ავრცელებს სარეკლამო ბროშურებს. ეს ბროშურები კი დეპრესიაში მყოფ ადამიანებს სულიერად გაძლიერებას აღუთქვამს, თანაც სამედიცინო მეთოდებით(!). საქართველოს საპატრიარქო აფრთხილებს და მოუწოდებს მოსახლეობას, რომ საქმე გვაქვს უაღრესად საშიშ, ტოტალიტარულ სექტასთან და მოერიდონ მის წარმომადგენლებთან კონტაქტს და ე.წ. ბროშურებს. სექტის სამედიცინო „მეთოდები“ კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ვთქვათ, ადამიანს თავი სტკივა, თავი რაც შეიძლება მაგრად უნდა ურტყას მაგიდის ან სკამის კიდეს, რათა სექტის „მოძღვრების“ თანახმად, უფრო მეტი ტკივილის მიღებით საერთოდ დაკარგოს ტკივილის შეგრძნება(!!!). უბედურება ის არის, რომ მსგავსი აბსურდების გარდა, სექტაში მოხვედრილი ადამიანი ძნელად თუ აღწევს მას თავს, რადგან ყოველმხრივ შებოჭილი და დათრგუნვილი ჰყავთ...

## არც გალისკენ, არც ზუგდიდისკენ...

პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მოლაპარაკებებში მის მიერ დანიშნულ პირად წარმომადგენელს ასლან აბაშიძეს კონკრეტული მოქმედების გეგმა აქვს და რომ ამ საქმეში აჭარის ლიდერის ჩართვა უაღრესად სასარგებლო იქნებაო... აი, სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან კი საგანგებო ინფორმაციები მოდის. მოსახლეობა ხელისუფლებისგან დახმარებას და შეღავათიან კრედიტს ითხოვს, რადგან მიწის დამუშავების სახსარი არ გააჩნიათ. არ არის გამორიცხული, რამდენიმე სოფელი დაიცალოს.

შაბათს ენგურის ხიდი გადაკეტეს, კარვები გაშალეს და საპროტესტო აქცია დაიწყეს ქართველმა პარტიზანებმა და მოძრაობა „გალელის“ აქტივისტებმა, რომლებიც რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანის მაგივრად, მათ მდინარე ღალიძგაზე ჩაყენებას მოითხოვენ. აქციის მონაწილენი არც გაეროს და არც რუს ცისფერჩაფხუტიანებს არ ატარებენ ხიდზე — არც გალისკენ არც ზუგდიდისკენ და იმუქრებიან, რომ აქცია პერმანენტული იქნება და არ შეწყდება, სანამ არ დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნა. იმავდროულად, აქციის მონაწილენი დაუშვებლად მიიჩნევენ კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გამოყვანას. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ხელისუფლება მზად არის კოდორის ხეობა „გაცვალოს“ გალის რაიონზე, მაგრამ მოვლენათა მსგავს განვითარებას კატეგორიულად გამორიცხავენ პარლამენტშიც და კანცელარიაშიც და მას შორს გამიზნულ დეზინფორმაციად და პროვოკაციად აფასებენ.

## „ჩუქუროვამ“ ყველას აჯობა

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ახალი მეპატრონე, თურქული ფირმა „ჩუქუროვა“ ეყოლება, რომელმაც უკვე წარადგინა ბიზნესგეგმა და რომელიც ქართულმა მხარემ ამჯობინა მის კონკურენტ გერმანულ-შვეიცარიულ ფირმას. შვეიცარიულ-გერმანული ფირმა 300 მილიონი დოლარის დაბანდებას აპირებდა ქარხანაში, მაშინ როცა „ჩუქუროვა“ მხოლოდ 100 მილიონის ინვესტიციას ვარაუდობს, მაგრამ „ჩუქუროვას“ გარანტად თურქეთის მთავრობა უდგას. ქონების მართვის მინისტრი აცხადებს, რომ აუცილებლად მოსთხოვს „ჩუქუროვას“ ფინანსური გარანტიების წარმოდგენას. პარლამენტარი ვანო მერაბიშვილი კი მიიჩნევს, რომ „ჩუქუროვას“ მეტალურგიულ ქარხანაში შეყვანა საეჭვო გარიგებების შედეგია!

## „მონადირეები“ „კავკასიონით“ ერთობიან

სვანეთში, მესტიის რაიონში ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“ „მონადირეებმა“ ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს და კვლავ დააზიანეს. ისედაც დაზიანებული „კავკასიონი“ ახლახან ძლივს აღადგინეს, რომლის მეშვეობით რუსეთიდან განახლდა საქართველოსთვის ელექტროენერგიის მიწოდება. „ეი-ეს თელასის“ ლობი ირაკლი მელაშვილი ირწმუნება, რომ ხაზი ავტომატებით დაცხრილეს. ამ აზრს არ ეთანხმებიან სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოში“, რომელიც „კავკასიონს“ ემსახურება და აცხადებს, რომ დაზიანების ადგილებს უკვე მიაგნეს, მაგრამ ლაპარაკი დივერსიაზე ნაადრევიაო... ხაზის შეკეთება მიმდინარეობს.

## დეპუტატებს „მესიჯებით“ უხმობდნენ(!)

პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე გრძელდება 2002 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა. მთავრობა იძულებული გახდა, დაეკმაყოფილებინა ფრაქციათა კატეგორიული მოთხოვნა და პედაგოგების ხელფასი 15%-ით გაეზარდა. ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონპროექტის განხილვას „ხალხის რჩეულთა“ ნახევარიც არ ესწრებოდა, ხოლო ორი დღის მანძილზე კვორუმის არარსებობის გამო კი ხშირად ცხადდებოდა ე.წ. შესვენებები, რომელთა წყალობით ისედაც გამეჩხერებული დეპუტატთა კორპუსი კიდევ უფრო მცირდებოდა და დარბაზში მათს მოსახმობად სპიკერს საგანგებო „მესიჯების“ გაგზავნა უხდებოდა მიკროფონით და ტელეეკრანით(!). ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა მიმდინარე კვირაშიც გაგრძელდება. 2002 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ერთი მილიარდ 63 მილიონი ლარით განისაზღვრება, შემოსავლები 843 მილიონია.

მიუხედავად ფრაქციათა მუქარისა, რომ ჩააგდებდნენ 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს, პარლამენტმა პირველი მოსმენით მაინც მიიღო 2002 წლის მთავარი ეკონომიკური კანონი. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა სახელმწიფო მინისტრმა ავთო ჯორბენაძემ ლამის შეჰფიცა კანონმდებლებს, რომ ოთხი თვის შემდეგ იგი კვლავ წარდგებოდა პარლამენტის წინაშე და მთავრობასთან ერთად პასუხს აგებდა ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე... სხდომაზე, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა, ფრიად „საინტერესო“ ამბავიც მოხდა. „მუშაობით გადაღლილმა“ დეპუტატთა მოზრდილმა ჯგუფმა მაგიდებს მუშტები დაუშინა და ამ ბრახაბრუხის ფონზე ხმამაღლა მოითხოვდნენ ბიუჯეტის კანონის დაუყოვნებლივ დამტკიცებას, რასაც მიაღწიეს კიდეც(!). ბიუჯეტს ხმა მხოლოდ 21-მა დეპუტატმა არ მისცა(!).

## ჯანმრთელობის სამინისტრო ადგენს

სკანდალი დაიწყო სიგარეტის ბიზნესის წარმომადგენლებსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის, რისი მიზეზიც გახდა ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილება თამბაქოში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის ზღვრის დადგენის შესახებ. სამინისტროს მიერ შედგენილ სიგარეტთა ნუსხაში, რომელთა ნიკოტინისა და კუპრის შემცველობა დაწესებულ ზღვარზე მეტია, 18 დასახელების სიგარეტი მოხვდა. ეს კი საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული სიგარეტის 50%-ს შეადგენს(!). აღნიშნული დადგენილებით, 2002 წლის 1 იანვრიდან აკრძალულია იმ სიგარეტების წარმოება და იმპორტი, რომლებშიც კუპრის შემცველობა 12 მილიგრამს, ნიკოტინის კი ერთ მილიგრამს აღემატება. აკრძალულ სიგარეტთა შორისაა „მტკვარი“, „ვაისროი“, „პირველი“, „ყაზბეგი“, „ქემელი“ და ა.შ. ამ ინფორმაციამ თავზარი დასცა სიგარეტის მაგნატებს. მათი თქმით, თამბაქოს წარმოების ტექნოლოგიის შეცვლას დიდი დრო სჭირდება და ჯანდაცვის სამინისტროს ადრე უნდა გაეფრთხილებინა ისინი. სიგარეტის იმპორტიორებმა კი საპროტესტო წერილით მიმართეს პარლამენტს და დადგენილების შეჩერება მოითხოვეს.

## გლატკევიჩი ქართველების მხარდამხარ იბრძოდა

სახალხო დამცველის ოფისთან გვარდიის ვეტერანთა კავშირმა საპროტესტო აქცია გამართა, სადაც მოითხოვდნენ ახლახან რუსი მესაზღვრეების მიერ ინგუშეთ-საქართველოს საზღვარზე დაკავებული უკრაინის მოქალაქის სერგეი გლატკევიჩის გათავისუფლებას. გლატკევიჩი აფხაზეთში ქართველების მხარდამხარ იბრძოდა და ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერია. რუსები მას ჩეჩენ ბოევიკებთან კავშირში ადანაშაულებენ. გვარდიის ვეტერანებმა სახალხო დამცველთაგან მოითხოვეს ჩაებან გლატკევიჩის გათავისუფლების პროცესში...

## ხევსურიანი გადადგა თუ გადააყენეს

პოსტიდან გადადგა საგანგებო ლეგიონის შეფი თემურ ხევსურიანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თუმცა კულუარებში აცხადებენ, რომ მას ეს გადაწყვეტილება მხოლოდ საკუთარი ნებით არ მიუღია. შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს პრეზიდენტმა რამდენჯერმე სასტიკად გააკრიტიკა საგანგებო ლეგიონი... უცნობია, ვინ დაიკავებს მის ადგილს. თემურ ხევსურიანის გადადგომის შემდეგ საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელის გამოთავისუფლებულ პოსტს შემოსავლების მინისტრი ლევან ძნელაძე შეითავსებს მანამ, სანამ გაირკვევა ამ სამსახურის ყოფნა-არყოფნისა თუ სტრუქტურული ცვლილებების საკითხი.□

## სიახლეები პენიტენციარულ სისტემაში

თანამდებობიდან გადააყენეს ავჭალის კოლონიის უფროსი კობა გვარამაძე და კოლონიის კიდევ სამი თანამშრომელი პატიმარ ამირან ჩიკაშუას გაქცევის გამო. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით კი გეგუთის კოლონიის უფროსად ირაკლი გაბუნია დაინიშნა.

## ბრეგაძე გამოძიებას უნდობლობას უცხადებს

პარლამენტარ სანდრო ბრეგაძეს საკუთარი სახლის სადარბაზოში თავს დაესხნენ ბანდიტები და იარაღის მუქარით სატაბელო პისტოლეტი, ფული და ოქროულობა წაართვეს. გამოძიება უარყოფს რაიმე პოლიტიკურ მოტივს და მომხდარს ყაჩაღობის კვალიფიკაციას აძლევს. ქალაქის პოლიცია უარყოფს სამართალდამცავთა შესაძლო მონაწილეობასაც თავდასხმაში, თუმცა თავად პარლამენტარი მომხდარს წინასწარგანზრახულ აქციად აცხადებს და უნდობლობას უცხადებს გამოძიებას.

საქმე ის არის, რომ ბრეგაძე და მისი ოჯახი ბანდიტებს სამი საათის მანძილზე მძევლად ჰყავდათ აყვანილი პარლამენტარის ბინაშივე. მანამდე კი თავდამსხმელები ბრეგაძის მეზობლის, პრეზიდენტის ნათესავის, კაკო შევარდნაძის ბინას „ქურდავდნენ“, თუმცა გაირკვა, რომ იქიდან არაფერი წაუღიათ... ორი ბოთლი კონიაკის გარდა. თავდამსხმელებმა პარლამენტარის ბინა დილის 5 საათზე დატოვეს და თან მამამისი გაიყოლეს, თუმცა ქუჩაში გასვლისთანავე უკან გამოუშვეს. ბრეგაძე ვარაუდობს, რომ ბანდიტები მის მოტაცებას აპირებდნენ, რაშიც ხელი შეუშალათ იმ გარემოებამ, რომ პარლამენტარი მარტო არ იყო...

## სამხედრო მეცნიერების აკადემია ერთი წლისაა

21-ე საუკუნეს დამოუკიდებელი საქართველო და მისი შეიარაღებული ძალები საკუთარი სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებით შეხვდა, რომლის დაარსების იდეაც მომზადდა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. აკადემიის თეორიული მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა შეიარაღებული ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე.

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განხორციელება განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით, რომლის ფორმებია ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ბრძოლები. ბრძოლის ამ მეთოდებზე იქნება ორიენტირებული ეს აკადემიაც.

## ეპიცენტრი დედაქალაქში დაფიქსირდა

16 იანვარს დილის სამ საათზე, თბილისში სამბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა. დამაფიქრებელია, რომ ეპიცენტრიც დედაქალაქში იყო. საბედნიეროდ, მიწისძვრას არანაირი ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

## ქართველები — იერუსალიმის წიგნთსაცავში

ისრაელიდან დაბრუნდა ქართველ მეცნიერთა 14-კაციანი ექსპედიცია, რომელმაც იერუსალიმში არსებული უძველესი ქართული კულტურის 40-მდე კერა შეისწავლა და აღნუსხა. მეცნიერებმა ყველა ექსპონატი და დეტალი ფოტო- და ვიდეოფირებზე დააფიქსირეს. ექსპედიციამ ბერძნული საპატრიარქოს იერუსალიმის წიგნთსაცავში შეაღწია და იქ დაცული 160 ქართული ხელნაწერის გარდა, დღემდე უცნობ ქართულ ჩანაწერებსაც და ეკლესიებზე გაკეთებულ წარწერებსაც მიაკვლია. მუშაობის შედეგები მალე კატალოგად გამოიცემა.

## სისხლიანი ბაკქანალია გრძელდება




ისრაელში გრძელდება სისხლიანი ბაკქანალია. ამჯერად ქალაქ ჰადერის ერთ-ერთ რესტორანში, სადაც რუსეთიდან ემიგრირებული ებრაელები ქეიფობდნენ (დაახლოებით 100 კაცი), პალესტინელი კამიკაძე შევარდა, ხელყუმბარა ააფეთქა და ცეცხლი გახსნა. შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა და 33 მძიმედ დაიჭრა. კამიკაძე-ტერორისტი ადგილზევე ჩაცხრილა იქ მისულმა პოლიციამ. ისრაელის არმიამ კი ბულდოზერებითა და ტანკებით გადაუარა პალესტინელთა ახალ დასახლებებს და მიწასთან გაასწორა, იასირ არაფატის მორიგი შტაბბინა კი სანახევროდ დაინგრა. ტერაქტებზე პასუხისმგებლობას ისრაელი მთლიანად არაფატს აკისრებს!

## ნირა-გონგომ გაიღვიძა

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვულკანმა ნირა-გონგომ გაიღვიძა. ვულკანიდან წამოსულმა ლავამ და ფერფლმა უკვე შეიწირა 50-მდე ადამიანის სიცოცხლე, 100 ათასი ოჯახი კი უსახლკაროდ დარჩა. ორი მეტრის სიმაღლის ლავამ რამდენიმე დასახლებული პუნქტი, 14 სოფელი, ერთი ქალაქი წალეკა და ტბას „შეუერთდა“. ლავის მსვლელობას უამრავი ხანძარი და საწვავიანი ცისტერნების აფეთქებებიც მოჰყვა. ამავე ვულკანმა 1977 წელს ორი ათასამდე ადამიანი დამარხა და დაწვა ცოცხლად... ამჟამად ვულკანის მოქმედება მინელდა, თუმცა სპეციალისტები არ გამორიცხავენ მორიგ ამოფრქვევას.

# ᲬᲐᲮᲕᲘᲓᲔ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲢᲝᲕᲝ ᲔᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲐᲛᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲡ



ავღანეთში ანტიტერორისტული ომი დასასრულს უახლოვდება და ვაშინგტონმა პარალელურად კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია ცენტრალური აზიის სამხედრო-პოლიტიკურ და სტრატეგიულ ფრონტზე. უზბეკეთისა და ტაჯიკეთის კვალდაკვალ ყირგიზეთმაც დაუთმო ტერიტორია აშშ-ს სამხედრო ბაზისთვის. პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა კი მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ამერიკელები არა მარტო დაიცავენ ქვეყანას ისლამური ფუნდამენტალიზმისგან, არამედ ვაშინგტონიდან „ცოცხალ ფულსაც“ მივიღებთო... რუსი პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები კი უკვე ერთხმად ალაპარაკდნენ პუტინის არაშორსმჭვრეტელურ პოლიტიკაზე (ბოლო დღეებში დასავლეთის პრესის ასევე ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა ცენტრალურ აზიაში აშშ-ის გავლენის უპრეცედენტო გაძლიერება და რუსეთის პოზიციების შესუსტება), ხოლო ცენტრალურ აზიაზე რუსეთის გავლენის შემცირების უპირველეს მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მოსკოვს არ ჰქონდა გამოკვეთილი პოლიტიკა რეგიონის ქვეყნების მიმართ. იმავე აკაევისა და სხვა შუააზიელ ლიდერთა განცხადებებმა, რომ ისინი მზად არიან, ამერიკელთა ბაზებს უმასპინძლონ არა ერთი წლით, რაზეც დღემდე იყვნენ შეთანხმებულნი, არამედ გაცილებით ხანგრძლივი დროით, საგონებელში ჩააგდო მოსკოველი სტრატეგები. ამასობაში, რუსეთს ბალტიისპირელებმაც „შეუტიეს“. ამ დღეებში მოსკოვში ვიზიტით მყოფმა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „დიდი ალბათობით 2002 წელს პრაღაში დაგეგმილ ნატოს სამიტზე ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს მიიღებენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში...“ ამ პროცესების ფონზე ერთგვარად საინტერესო ურთიერთობები იკვეთება მოსკოვსა და თბილისს შორის და როგორც ჩანს, ამ ურთიერთობათა გაჯანსაღების პერსპექტივას (ან ყველაფრის კვლავ ძველებურად დატოვებას) ნათელი უნდა მოჰფინოს პანკისის ხეობასა და აფხაზეთში მოვლენათა შესაძლო განვითარებამ ორი ქვეყნის ურთიერთინტერესების გათვალისწინებით... იანვრის ბოლოს ან თებერვალში გაეროს უშიშროების საბჭო დაამტკიცებს დოკუმენტს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ და რუსეთი აღარ დაადებს ვეტოს, ყოველ შემთხვევაში, ამის პირობა მოსკოვს მიცემული აქვს თბილისისთვის... მაგრამ თუ ეს არ მოხდა და მოსკოვმაც, ბოლოს და ბოლოს, არ გამოკვეთა პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ალბათ ცენტრალური აზიის ზემოთ აღნიშნულ მოვლენათა მსგავს პერსპექტივას რუსეთი აქაც ვერ გადაურჩება. ვესაუბრები პრეზიდენტის მრჩეველს საერთაშორისო სამართლის საკითხებში, აკადემიკოს **ლევან ალექსიძეს:**

— ის თეზა, რომელიც 11 სექტემბრის შემდეგ ჟღერდა, რომ თითქოს აშშ-რუსეთს შორის გარიგება მოხდა და ვაშინგტონმა დაუთმო მოსკოვს საქართველო, მცდარი აღმოჩნდა. სამხრეთი კავკასია და ცენტრალური აზია უკვე მტკიცედ სხედან აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვითარება ახლო აღმოსავლეთში უკიდურესად მძაფრდება და არ არის გამორიცხული, აშშ-ისა და დასავლეთის სანავთობე ინტერესებს, 70-იან წლების მსგავსად, სერიოზული საფრთხე დაემუქროს. მახსოვს, როგორმა ენერგოკრიზისმა და პანიკამ მოიცვა ამერიკაც და ევროპაც, როცა არაბეთის ქვეყნებმა ნავთობის მიწოდება შეუწყვიტეს. მაგრამ ამ ფაქტმა ჭკუა ასწავლა დასავლეთს და ნავთობის ალტერნატიული წყაროების მოპოვებაზე ზრუნვა არ არის შემთხვევითი. ამიტომ მათი საქართველო-აზერბაიჯანის დერეფნით დაინტერესება ჩვენი სიავკარგით კი არ არის განპირობებული, არამედ ნავთობის ალტერნატიული წყაროთი და იმითაც, რომ გლობალიზაციის პროცესმა დასავლეთი მიიყვანა დასკვნამდე: არ შეიძლება რუსეთის ნდობა, რადგან ყოველთვის გამოიყენებს თავის სატრანზიტო შესაძლებლობებს პოლიტიკური ინტერესებისთვის. ამიტომ, რადგან ნატოს მარჯვენა ფლანგი უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს, დასავლეთს სწორედ ეს გზა მიაჩნია ყველაზე საიმედოდ. ჩემი ინფორმაციით, რა დონეზეც არ უნდა მიმდინარეობდეს რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებები პრეზიდენტების სამიტებიდან დაწყებული და მრჩევლების შეხვედრებით დამთავრებული, არ შეიძლება საქართველოს გვერდი აუარონ და როგორც წესი, აშშ-ის პოზიცია არ დაფიქსირდეს: რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, რომ ქვეყანა სტაბილური იყოს და ა.შ. პუტინი საკმაოდ გონიერი პოლიტიკოსი გამოდგა, რომელიც ევროპულ სტრუქტურებსა და ნატოში ინტეგრირებაზე აკეთებს აქცენტს. ამ პოლიტიკამ პუტინს სერიოზული პრობლემები შეუქმნა გენერალიტეტთან და არ არის გამორიცხული, საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებები, დაბომბვები ამ გენერალთა „იმპროვიზაციის“ შედეგი იყოს. იგივე ითქმის მათ დამოკიდებულებაზე საქართველოში არსებული ბაზების მიმართ, რომლებიც ანაქრონიზმად გამოიყურება. თუ რუსეთს, დავუშვათ და, ვინმესთან ომი მოუხდა, ამ ბაზებს რაკეტებით გაანადგურებენ და დარტყმის ქვეშ ისევ უდანაშაულო საქართველო აღმოჩნდება. ბაზები რუსებს სჭირდებათ მხოლოდ რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურის თავშესაფრად, რადგან მათი დაბინავება-დასაქმების საშუალება არა აქვთ და იმისთვისაც, რომ თუ დასჭირდათ, პროვოკაციის მიზნით აამოქმედონ და ამით საფრთხე შეუქმნან ქვეყანას. სხვათა შორის, ვერც შუა აზიის ქვეყნები მიუჯახუნებენ ასე იოლად კარს რუსეთს, რადგან მოსკოვი ჯერ კიდევ ბევრ ბერკეტს ფლობს ამ ქვეყნებზე ზეწოლისთვის ეთნოკონფლიქტების პროვოცირების ჩათვლით. ასე რომ, არც აშშ დაუშვებს რუსეთის ჰეგემონიას შუა აზიაზე და არც რუსები დაუშვებენ ამერიკელთა ჰეგემონიის დამყარებას იქ. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ამბობდა ჰენრი კისინჯერი: „რუსეთი დიდი სახელმწიფოა და ნუ გააწნავთ სილას. უნდა ველაპარაკოთ დინჯი დიპლომატიის ენით და გაცილებით მეტს მოვიგებთ, ვიდრე კოჟრზე ფეხის დაჭერით“. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ საქართველომ პრინციპულ საკითხებში დაუთმოს რუსეთს, არამედ იმიტომ, რომ ურთიერთკომპრომისების გზები ვეძიოთ.

— **სხვათა შორის, ძალიან მნიშვნა სწორედ ამ დღეებში „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული თქვენი წერილი აფხაზეთის პრობლემის შესახებ, რომელშიც არც რუსებსინდობთ ომის დროს და შემდგომ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ეს გაზეთი შემთხვევით არ ბეჭდავს მსგავს წერილებს, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იცვლება მოსკოვის პოზიცია?**

— პუტინი ხედავს, რომ დასავლეთი ყველანაირ თანამშრომლობაზე მიდის რუსეთთან, ცდილობს, გაიმყაროს ძალაუფლება. მას ბევრი მტერი ჰყავს თვით რუსეთში. ამას ემატება ჩეჩნეთის დაუმთავრებელი ომი, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს პუტინს და კვლავ სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის მთელ ჩრდილო კავკასიას. სამი წლის წინ ვთქვი „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც შემდეგ რუსეთის მასმედიამაც დაატრიალა, რომ რუსები ჩაკეტავდნენ საქართველოსთან საზღვარს ჩეჩნეთის მთელ პერიმეტრზე და დატოვებდნენ მხოლოდ ვიწრო ყელს, რითაც ხელს შეუწყობდნენ ჩეჩენ ბოევიკთა შემოსვლას ჩვენს ტერიტორიაზე, რათა შემდეგ ეს ფაქტი საქართველოზე ზეწოლისთვის გამოეყენებინათ. ჩემი პროგნოზი გამართლდა და რუსებმა პანკისის ხეობაში მიაღწიეს საწადელს... დღეს ქართული მხარე, ვფიქრობ, ჭკვიანურ დიპლომატიას ეწევა რუსეთთან მოლაპარაკებებში, თუმცა ვიცი, რომ ბორის პასტუხოვთან ძნელია საუბარი. მასთან, როგორც ულმობელ დიპლომატთან, რამდენჯერმე კონფლიქტი მომიხდა, 5 წელიწადი დემონსტრაციულად არ ველაპარაკებოდი. ასეთივე პოზიცია მქონდა ევგენი პრიმაკოვისადმიც, რომელსაც პირდაპირ ვუთხარი — არ გეგონოთ, საქართველომ დაივიწყა, რას აკეთებდა რუსეთი აფხაზეთში ან ბოლო დრომდე რა პოლიტიკას ეწევით ჩვენს წინააღმდეგ-მეთქი... დღეს რუსეთის პოზიცია იცვლება და „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ წერილშიც ვწერ: „პუტინს კარგად ესმის, მხარდაჭერა აფხაზი სეპარატისტებისადმი ხელს უშლის ერთმორწმუნე და ისტორიულად ურთიერთდაკავშირებული რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობათა გაუმჯობესებას, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა გაცილებით მეტ პოლიტიკურ და სტრატეგიულ დივიდენდებს მისცემს რუსეთს, ვიდრე კონფრონტაცია“. როდესაც 1994 წელს ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას და რუსეთის სამშვიდობო ძალები ჩადგნენ ენგურზე, გეგმა ასეთი იყო: ამ ძალებს თავდაპირველად უნდა უზრუნველეყოთ ლტოლვილთა დაბრუნება გალის რაიონში. შემდეგ უნდა გადასულიყვნენ ღალიძგაზე, შემდეგ კელასურზე, იქიდან გუმისთაზე და ა.შ. ანუ რამდენიმე წელიწადში უნდა დაეფარათ მთელი აფხაზეთი. მათთან ერთად აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე უნდა შესულიყვნენ ლტოლვილები. ეს ყველაფერი დაფიქსირებულია დოკუმენტებში და გაეროს მეთვალყურეთა პოსტებიც საბოლოო ჯამში, უნდა დადგმულიყო ფსოუზე. მაგრამ მოვლენები, რუსეთის გენერალიტეტის დირიჟორობით, სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. ელცინიც ან ვერ აკონტროლებდა მათ, ან თავად არ სურდა კონფლიქტის მოწესრიგება. ფაქტია, რომ აფხაზეთშიც ბატონობდა ეკონომიკურად ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მაფია... დღეს კი, ვითხოვთ სამშვიდობო პროცესის გაფართოებას. საქართველოში რუსეთის ელჩი გუდევი აცხადებს, რომ სამშვიდობოების ჩაყენება ღალიძგაზე უნდა შეთანხმდეს აფხაზებთანო და ეს ასეცაა. ბევრს ლაპარაკობენ ჩანაცვლებაზეც, მაგრამ აფხაზებმა თუ უარი თქვეს, ვერავინ ჩაანაცვლებს უკრაინელებს, თურქებს თუ არგენტინელებს, რადგან გაერო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას განიხილავს წესდების მეექვსე თავის საფუძველზე, რომელიც დაპირისპირებული მხარეების ურთიერთკომპრომისზე დაყოლიებას და მოლაპარაკებების გზით პრობლემის დარეგულირებას ითვალისწინებს და არა მეექვსე მუხლისა, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, ისევე როგორც მე-7 თავსაც მე-7 მუხლს უწოდებენ, რაც აბსურდია. მე-7 თავის ამოქმედებაზე გაერო ჯერჯერობით არ გადადის, რაც იძულებით მშვიდობას ითვალისწინებს. ამასთან, დსთ-ის ფარგლებშიც ვცდილობთ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებას და თუ პანღურისკვრით გავყრით რუს მშვიდობისმყოფელებს, დიდი შანსია სისხლის ღვრის განახლებისა. პუტინმაც რომ გასცეს ბრძანება მათი უსიტყვოდ გასვლის შესახებ, გამოიძებნებიან სამხედროები, რომლებიც დახოცავენ ხალხს ორივე მხარეზე და ომიც გარდაუვალი გახდება. სწორედ ომის განუახლებლობის მყარი გარანტია უნდა გვქონდეს იმ შემთხვევაშიც, თუ რუსები მშვიდობიანად წავლენ. პოლიტიკური რეალიზმიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ პანკისის ხეობის პრობლემის მოგვარებასა და ღალიძგაზე რუსეთის სამშვიდობოების ჩაყენებასთან დაკავშირებით მოსკოვსა და თბილისს შორის გარიგებას. ანუ პანკისში ჩვენივე ძალებით დავამყაროთ წესრიგი და ამით პრობლემა მოვუხსნათ რუსებს ჩეჩნეთის ომის ზურგში. სამაგიეროდ, ვიღებთ გალის რაიონს. ჩეჩნებს კი საწუწუნო არაფერი აქვთ. თუ იქ ჩეჩენი ბოევიკები არიან, კეთილი ინებონ და წავიდნენ, ნუ აგდებენ საქართველოს მძიმე მდგომარეობაში. ლტოლვილებს არ ვგულისხმობ. დიახ, თუ რუსეთს ჭკუა აქვს, უნდა წამოვიდეს ამ გარიგებაზე, თუ არა და, საქართველო მართლაც იძულებული გახდება პირდაპირ ჩაუვარდეს დასავლეთს „კალთაში“. არადა ჩვენ გვინდა დაბალანსებული ურთიერთობები დასავლეთთან და რუსეთთან.

„ნეზავისიმაია გაზეტაში“ მოყვანილი მაქვს 1870 წელს აფხაზი ხალხის აღიარებული ლიდერების წერილი რუს ხელისუფალთადმი, სადაც ემხვარი, მარშანია, ინალ-იფა წერენ, რომ „ოდითგანვე აფხაზეთი ნაწილი იყო ყოფილი ქართული სამეფოსი... რომ, როცა მეფე ვახტანგ მეექვსემ გადაწყვიტა კანონთა კრებულის გამოცემა, ყველა პროვინციიდან რჩევებისთვის დაიბარა ხალხი, რომელთა შორის აფხაზებიც იყვნენ და რომლებმაც დღემდე შემოინახეს უძველესი ქართული წეს-ჩვეულებანი. ამიტომ, გთხოვთ, ნუ გამოგვყოფთ ქართველი ხალხის ერთიანი ოჯახიდანო“. ამას წაიკითხავდა ჟურნალისტი ვლადიმირ პოზნერიც, რომელმაც ერთ-ერთ თავის გადაცემაში ბრძანა, — აფხაზეთი არასოდეს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაშიო... სხვა ბევრი რამაც წერია წერილში, დაწყებული ბასაევისა და რუსეთის რეგულარული ჯარების როლით აფხაზეთის ომში და დამთავრებული რუსეთის სამშვიდობო ძალების „მშვიდობისმყოფელობით“, რომელთა ცხვირწინ აფხაზებმა 1700 ქართველი დახოცეს. ასეთი წერილის გამოქვეყნება ადრე შეუძლებელი იყო ამ გაზეთში, მით უმეტეს, რომ წერილში მკაცრად ვაკრიტიკებ მასმედიასაც ანტიქართული პროპაგანდის გამო...

უნდა იცოდნენ რუსეთში, ქართველი კაცის გულს ვერასოდეს მოიგებენ, სანამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები იარსებებს. წლები გადის და ის თაობა, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობები ჰქონდა, ნელ-ნელა ბარდება ისტორიას და მოდის ძალიან აგრესიულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც არ აპატიებს რუსეთს აფხაზეთს.

— **თქვენი ინფორმაციით, რა ვითარებაა აფხაზეთში?**

— არძინბას რეჟიმი უგუნურად იქცევა. მე გახლდით ბიჭვინთაში, სადაც კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა და იქაც ვუთხარი სათქმელი სეპარატისტებს. სენაკიდან თვითმფრინავით გადავფრინდით და საგულისხმოა, რომ კვამლი მხოლოდ გალის რაიონის სოფლებიდან ამოდიოდა. ოჩამჩირის რაიონში სახურავგადახდილი სახლები და გაუკაცრიელებული სოფლებია. ტრასაზე ერთ-ორ მანქანას თუ დაინახავ. სოხუმთანაც უკაცრიელი ზონაა, ასევე დაცლილია ბიჭვინთაც, სადაც ზამთარშიც კი, მუდამ უამრავი დამსვენებელი იყო. შემოსავალი არაფერი აქვთ და ამიტომაა, რომ დაგეშილები არიან გალის რაიონში თხილისა და მანდარინის დატაცებაზე. 50 ათასამდე აფხაზი ცხოვრობს მოსკოვში. აფხაზეთში მხოლოდ ქალები, ბავშვები, მოხუცები და რეჟიმთან დაახლოებული რამდენიმე ათასი პირი ცხოვრობს. სეპარატისტებს მძლავრი ოპოზიციაც ჰყავს. ერთის ეშინიათ მხოლოდ — დაბრუნდებიან ქართველები და თავებს დაგვაჭრიანო, თორემ დაიღალნენ ყველაფრით. უკვე აფხაზურადაც ველარ ლაპარაკობენ, ყველგან რუსული ენაა გაბატონებული. მოვა დრო და აფხაზები დასწყევლიან სეპარატისტ ლიდერებს... ან სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტის განცხადებები როგორი ასატანია? „კი, ბატონო, დაბრუნდნენ ლტოლვილები, მაგრამ აღიარონ, რომ დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ბრუნდებიანო“. ამ ფონზე სრულიად გაუგებარი რჩება საქართველოს ხელისუფლების პოზიცია სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობისადმი, რომელიც გამოდის და ითხოვს ყურადღებასა და დახმარებას. ამ დროს ყველაფერი გვერდზე უნდა გადავდოთ და მივხედოთ იქ დარჩენილ ქართველობას, რომელსაც გასაქცევად აქვს საქმე.

— **დიდი ხმაურია კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების შესაძლო გამოყვანასთან დაკავშირებით. აფხაზები მოლაპარაკების განახლებაზე მხოლოდ ამ ჯარის გაყვანის შემდეგ აპირებენ დათანხმებას, ამასთან კომენტარს გთხოვთ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს დოკუმენტზე...**

— ხუთი თვის წინ აფხაზებმა მოითხოვეს კოდორის ხეობის სოხუმის იურისდიქციის ქვეშ გადაცემაც, რაზეც უარი მიიღეს. ამის შემდეგ დაიწყეს პროვოკაციები, გაიარეს რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტები და მიადგნენ ხეობის ქართულ სოფლებს, რითაც დაარღვიეს შეთანხმება. მეტიც, გადასხეს დესანტი, დახოცეს ხალხი. შედეგად — ხეობაში შევიყვანეთ ჯარები და აღარ გამოვიყვანთ მანამ, სანამ ხეობის ირგვლივ არ შეიქმნება ნეიტრალური, დემილიტარიზებული ზონა მყარი გარანტიით, რომ ხეობას და ქართულ მოსახლეობას არანაირი საფრთხე არ დაემუქრებათ. ამასთან, ვიმეორებ, თუ რუსები არ ჩადგებიან ღალიძგაზე და პროცესი არ დაიძვრება ადგილიდან წინასწარ შეთანხმებული გეგმის საფუძველზე, მათ ყოფნას აფხაზეთში აღარ ექნება არანაირი აზრი და ისინი გავლენ. რაც შეეხება დოკუმენტს აფხაზეთის სტატუსის შესახებ, რომელმაც პოლიტიკოსთა „წივილ-კივილი“ გამოიწვია, მათი და მკითხველის გასაგონად ვიტყვი, რომ ამტყდარი ვაი-უშველებელი „აფხაზეთის სუვერენობის“ შესახებ, უცოდინარობის შედეგია — უშიშროების საბჭოს დოკუმენტში შავით თეთრზეა დაფიქსირებული: „საქართველო არის სამართლებრივი სუვერენული სახელმწიფო“, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვართ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი დამოუკიდებელი სახელმწიფო. აფხაზეთზე კი წერია — „აფხაზეთი არის სუვერენული სამართლებრივი წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში“. აი, ამის წინააღმდეგ იბრძვიან სეპარატისტები, ანუ სამი სიტყვის ამოსაგდებად „...საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში“. „აფხაზეთის სუვერენობა“ გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობით, როგორც აჭარაშია. ანუ მათი სუვერენიტეტი ნიშნავს უფლებათა გარკვეულ ნუსხას, რაც ვერ შეედრება ფედერალური სახელმწიფოს უფლებების ნუსხას, რომელიც აკონტროლებს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, სახელმწიფო საზღვარს, აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, აქვს თავდაცვის და უშიშროების სისტემა, ეროვნული ვალუტა, რომელიც მიმოქცევაშია ქვეყნის ტერიტორიაზე... და რაც მთავარია, ამ „სუვერენულ წარმონაქმნს“ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის უფლება არა აქვს ქვეყნის მთელი მოსახლეობის და პარლამენტის თანხმობის გარეშე. მეტიც, „აფხაზეთის სუვერენულ წარმონაქმნში“ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მრავალეროვნული მოსახლეობის უფლებები და არა ის, რომ 17% ვარ, მინდა და გავდივარ... იმავე დსთ-ის იურისტ-ექსპერტთა კონფერენციაზე ჩაიწერა დოკუმენტებში, რომ დსთ-ის წევრ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ძალით და ჯარით აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, რომ არავის აქვს უფლება, ძალის გამოყენებით გამოეყოს სახელმწიფოს და ა.შ. ასე რომ, სამართლებრივად ჩვენი პოზიცია ყველა მიმართულებით გამართლებულია. თუ დასავლეთი სერიოზულად ჩაერთვება კონფლიქტის მოწესრიგებაში და რაღაც გარანტიებს მისცემს რუსეთს, კონფლიქტი უმოკლეს დროში მოგვარდება.

— **რომელი გარანტიები გაქვთ მხედველობაში? და კიდევ თქვენი ვარაუდით, აფხაზეთის დაბრუნება შესაძლებელია შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე?**

— იმის გარანტიები, რომ საქართველოში არ იქნება ნატოს ბაზები, რომ საქართველოს და შესაბამისად, სამხრეთ კავკასიას არ მოსწყვეტენ რუსეთს, რომ რუსეთის ეკონომიკური ინტერესები იქნება დაცული რეგიონში და მართლაც, წარმოიდგინეთ, ნოვოროსიისკიდან რომ წამოვიდეს ნავთობსადენი აფხაზეთის გავლით და შეუერთდეს ბაქო-ჯეიჰანს, რამხელა მოგებას ნახავს რუსეთი! ამასთან, რუსეთს ერთადერთი უმოკლესი გზა სამხრეთისკენ და ახლო აღმოსავლეთისკენ საქართველოს საშუალებითღა აქვს და ეს ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონონ მოსკოვში. მეტიც, უნდა იცოდნენ რუსეთში, ქართველი კაცის გულს ვერასოდეს მოიგებენ, სანამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები იარსებებს. წლები გადის და ის თაობა, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობები ჰქონდა, ნელ-ნელა ბარდება ისტორიას და მოდის ძალიან აგრესიულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც არ აპატიებს რუსეთს აფხაზეთს. ლტოლვილებმა უნდა ამოიღონ ხმა და შეაგნებინონ აფხაზებს: რაც მოხდა, მოხდა. ჩვენ დავბრუნდებით და არანაირ მტრობას ადგილი არ ექნება... რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარების ვადას, სრულიად შესაძლებელია ბატონ ედუარდის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, მით უმეტეს, რომ შესანიშნავი ურთიერთობები აქვთ პრეზიდენტსა და ბუშის ადმინისტრაციას. თუ პრეზიდენტმა მთელი ძალისხმევა არ მიმართა აფხაზეთისკენ და უახლოეს მომავალში არ გადაჭრა პრობლემა, მისი რეიტინგი ვეღარასოდეს აღდგება. წახვიდე ამდენი წლის პრეზიდენტობის შემდეგ და დაგვიტოვო ეს ტკივილი, ამას ხალხი არავის აპატიებს.

— **იანვრის ბოლოს გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს და მიიღებს დოკუმენტს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ და ალბათ, რუსეთიც აღარ დაადებს ვეტოს. იმედი გაქვთ, რომ ეს მოხდება?**

— დიახ, დოკუმენტს მიიღებენ, რუსეთი აღარ დაადებს ვეტოს, მაგრამ აფხაზები მაინც იტყვიან „წადით, კოჭი გააგორეთ...“ ანუ, მერე რა იქნება, ესაა დიდი კითხვა. როცა ბოსნიელმა სერბებმა უგულებელყვეს მსგავსი დოკუმენტი, გახსოვთ, დედა უტირეს. ამიტომ, თუ აფხაზები გონს არ მოვიდნენ, დაუყოვნებლივ უნდა ავტეხოთ ხმაური, რათა მოიწვიონ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა და მოვითხოვოთ გაეროს წესდების მე-7 თავის ამოქმედება იძულებითი მშვიდობის დასამყარებლად სოხუმის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ცინიკურად არღვევს გაეროსა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დადგენილებებს. მე-7 თავის ამოქმედებისთანავე კი სეპარატისტებს აღარაფერს შეეკითხებიან!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# თექვსმეტი საუკუნეა მონანულთ წმინდა ნინო გველის...

მიუხედავად დღევანდელი პოლიტიკური ალიაქოთისა, საქართველოს კვლავ მრავალი უცხოელი სტუმრობს — ძირითადად საქმოსნები. მათ პრაგმატული მოსაზრებით, როგორც წარმატების მომტანი თავისებური თილისმა, ჩანთებსა თუ გულის ჯიბეში მუდამ უდევთ ბიბლია. მართლმადიდებლურ ქვეყნებში მოგზაურობისას სტუმრები ითხოვენ საექსკურსიო მარშრუტებში წმინდა ადგილების შეტანას — ვის თუ არა მათ, კარგად ესმით დადებითი ენერგეტიკული ძალის მნიშვნელობა. თუ ასე არ არის, რატომ ცდილობენ ასე დაჟინებით მართლმადიდებლური სიწმინდეების შესყიდვას და გატანას თავის ქვეყნებში? რუსეთიდან უკვე 10.000 მართლმადიდებლური ხატი გაიტანეს. მაგრამ ქურდულად გატანილს მადლი არ მიჰყვება. ამას ისიც ადასტურებს, რომ გარკვეული თვალსაზრისით ბევრი აყვავებული ქვეყანა სულიერად უკან-უკან მიდის. ჩვენ კი, ქართველებმა, რომლებმაც ბოლო დროს მეტ-ნაკლებად ბევრი რამ ცუდი ჩავიდინეთ — ვთმობთ მეგობრობას, ურთიერთობებს, ტრადიციებს, ჯიუტად არ ვთმობთ ერთადერთს — მართლმადიდებლობას, ამიტომაც ჯერ კიდევ ვინარჩუნებთ ერის სახეს, სექტანტთა ჯგუფები მაინც ვერაფერს აკლებენ საქართველოს ორი მანათობელი ვარსკვლავის — მცხეთის სვეტიცხოველში დასვენებული ქრისტეს პერანგისა და ბოდბის დედათა მონასტერში — წმ. ნინოს საფლავის მადლით.





ბოდბის ღვთისმშობელი

სამწუხაროდ, ქართველი ახალგაზრდობის უმრავლესობამ არ იცის, სად არის წმინდა ნინოს საფლავი და ცხადია, არც ის, რომ იქ მრავალი სასწაული ხდებოდა და ხდება. ყოველივე ამას განაპირობებს დედა ნინოს მარადიული მადლი და ამ ადგილის ღვთივკურთხეულობა.

სცადა კი ვინმემ დიდი შეჭირვებისას მოციქულთასწორის საფლავისთვის მიეკითხა?

იციან კი ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომ წმინდა ხატებიდან და საფლავებიდან გამოსული ძალა სრულად უცვლის ადამიანს აღქმას?

წმ. ნინოს წყალობით, თქვენს საწუხარს კავკასიონი აიტაცებს და შორს, უსასრულობაში გააქრობს. თქვენ მხოლოდ სცადეთ...

**მონაზონი რაქელი (ზუაძე):** — ბოდბის სამონასტრო კომპლექსი არსებობს მე-4 საუკუნიდან. წმ. ნინოს ლოცვით აქ სამკურნალო წყარო აღმოცენებულა, რომელიც კომუნისტების დროს დაშრა.

„ნინოს წყალი" კვლავ აღმოცენდა, მას ნაკურთხი წყლის თვისებები გააჩნია — აქვს განკურნების მადლი, მასში განბანილი ადამიანები მძიმე სენისგან იკურნებიან. მონასტერში, მარცხენა კედელზე დაბრძანებულია ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. გასაბჭოების შემდეგ მონასტერი საავადმყოფოდ აქციეს და ეს ხატი რენტგენოლოგიურ მაგიდაზე პირქვე დადეს, როგორც ჩვეულებრივი ფიცარი. რამდენიმე მონაზონი ხატის გადარჩენის მიზნით აქ სანიტრად დარჩა და ღამე მაგიდის ქვეშ შემძვრალნი ევედრებოდნენ ხატს პატიებას. ეს შეუმჩნევია ერთ-ერთ თანამშრომელ მამაკაცს, რომელსაც ხატი გადმოუბრუნებია და დანით დაუსერავს. იმავე ღამეს კაცი გაგიჟებულა და სულ მალე გარდაცვლილა, ხოლო მისი მოდგმა დღესაც იხდის იმ დანაშაულის საფასურს.

**ილუმენია თეოდორა (მახვილაძე):** — წმ. ნინოს საფლავზე ტაძარი პირველად მეფე მირიანს აუგია. ვახტანგ გორგასალმა, შემდგომ დემეტრე I-მა უფრო განამშვენეს იგი. აქ ხდებოდა კახეთის მეფეთა კურთხევა, აქ მოღვაწეობდა დიდი იოანე მაყაშვილი. მონასტერს არც რუს იმპერატორთა ყურადღება აკლდა. მას მინიჭებული ჰქონდა პირველი კლასის მონასტრის ხარისხი, რადგან ღვთისმსახურების გარდა, აქ იყო კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი. დიდად განთქმულნი იყვნენ ილუმენიები — თამარ მარჯანიშვილი და ნინო ვაჩნაძე.

მონასტერი აღდგა 1991 წელს. კეთილი, ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით ეს სავანე იბრუნებს პირველსახეს. უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს ამ მონასტერთან დაკავშირებით უდიდესი გეგმები აქვს, რაც, ღვთის შეწევნით, ნელნელა განხორციელდება.

### ეპილოგის მაგიერ

განგებამ ორი მკვეთრი ფერი დაგვიტოვა: ან თეთრი, ან შავი. ან სიკეთე, ან ბოროტება; ან სიარული წინ ან უკან სვლა.

ვინ მოგვცემს უსაზღვრო დროს უკვე ჩადენილის გამოსასწორებლად.

ჩვენი უდიდესი წმინდანი ნინო — 1600 წელი მოთმინებით ელოდება ჩვენს მონანიებას.

***ბოდბე, დედათა მონასტერი***



ბოდბის მონასტრის დედები

# — გასაოცარია, ბაღი სავსეა სტუდენტებით და... სამარისებური სიჩუმეა...

ალბათ ბევრს ნიშნავს პარიზელისთვის „ლუქსემბურგის ბაღი", ან ლონდონელისთვის — „ჰაიდ-პარკი", პეტერბურგელისთვის კი — „ეკატერინეს ბაღი" და ეს ადგილები ამ ქალაქების ძირძველი მცხოვრებლებისთვის მხოლოდ სმოგითა და ცათამბჯენებით სავსე მეგაპოლისში კუნძულივით არსებული, სუფთა ჰაერის ჩასასუნთქი ერთადერთი საშუალება კი არა, რაღაც მეტის ტოლფასია, რაღაც სიმბოლო მათი მშობლიური ქალაქისა — როგორც ეიფელის კოშკი, „ბიგ-ბენი" თუ პეტერგოფი...

ასეთი „სიმბოლოებით" ჩვენი დედაქალაქიც ყოველთვის მდიდარი იყო, ნარიყალას, მეტეხისა და ანჩისხატის გვერდით, ჯერ ყაბახი, შემდეგ ორთაჭალის ბაღები, მოგვიანებით კი ალექსანდრეს, მუშტაიდისა და „კიროვის" ბაღები თბილისელთათვის მართლაც „ჰაიდ-პარკადა" და „ვერსალის ბაღად" იქცა...

ჩემს ბავშვობაში მუშტაიდი — ბავშვებისა იყო, „ალექსანდროვი — პენსიონერების, ხოლო „კიროვი" — ფეხბურთის „პროფესიონალი" გულშემატკივრებისა...



მაგრამ იყო და არის თბილისში ერთი — უნივერსიტეტის ბაღი, რომელიც ჯერ კიდევ ათი-თხუთმეტი წლის წინ, არა მხოლოდ სტუდენტების მიერ „შატალოს" გასატარებელი ადგილი იყო, არამედ, ალბათ, დედაუნივერსიტეტის ყველაზე დიდი „სასწავლო აუდიტორიაც", სადაც მეგობრობას, სიყვარულს, ურთიერთგატანასა და სილამაზის დაფასებას სწავლობდნენ ქართველი ახალგაზრდები.



იქნებ ხმამაღლა ნათქვამიც იყოს, მაგრამ მაინც მგონია — ის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობა დამსახურებულად ითვლებოდა ყველაზე საამაყოდ, ის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი ნიჭიერი, ნაკითხი, ყოველმხრივ შემკული ახალგაზრდა კაცის ეტალონად მიაჩნდათ საქართველოში, მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ბაღის „აკადემიის" დამსახურება იყო...

რამდენი შემდგომში ცნობილი პოეტისა თუ მწერლის, რამდენი ცნობილი ლექსი თუ მოთხრობა სწორედ აქ გამომზეურებულა პირველად და სწორედ აქ გაუვლია პირველი მკითხველ-მსმენელის იმ უმკაცრეს „ფილტრში", რომლიდან „გადარჩენილსაც" ვერავითარი კრიტიკის ქარცეცხლი ვერას დააკლებდა...

ის დიდი ადამიანებიც, ქართული მეცნიერების კორიფეები, რომელთაგან ბევრმა სწორედ ამ ბაღში პოვა საუკუნო სავანე, ამ ბილიკებზე დააბიჯებდნენ, ამ ბაღის სკამებზე ისხდნენ ქვეყანასა და მის მომავალზე ზრუნვაში დაღლილი სხეულის დასასვენებლად და ხშირად „კლასგარეშე ლექციასაც" აქ უკითხავდნენ სტუდენტებს იმ „დისციპლინაში", რომელსაც „ცხოვრება" ჰქვია...

სხვათა შორის, უნივერსიტეტის ბაღში მხოლოდ ინტელექტუალური სჯა-ბაასი თუ პაექრობა არ მიმდინარეობდა: მე თვითონ მახსოვს ის ძველთაძველი „საჯილდაო ქვა", რომელიც დიდი ხნის წინ ჩამოუტანიათ სადღაც მთიდან. ზედა ნაწილში ბუნებისა თუ კაცის მიერ გამჭოლი ნახვრეტი ჰქონდა დატანებული ასაწევად, თანაც ისეთი პატარა, რომ მხოლოდ ორ თითს თუ ჩასჭიდებდი. სულ რამდენიმე კაცი იყო, ვინც მის აწევას ახერხებდა და მათ ყველა იცნობდა, დიდი პატივითაც სარგებლობდნენ...

ცნობილმა ლიტერატორმა და ჟურნალისტმა, ბევრი ჩვენი კოლეგის პედაგოგმა, ბატონმა ჯუმბერ თითმერიამ ჩემთან საუბრისას დანანებით აღნიშნა, რომ დღეს ნამდვილად აღარ არის უნივერსიტეტის ბაღი ის, რაც იყო და იმის დასტურად, რომ ეს უბრალოდ „მამათა და შვილთა მარადიული გაუგებრობის" გამო არ უთქვამს, ძალზე საინტერესო დაკვირვება გამიზიარა:

— იმის გარდა, რომ ადრე ერთად ვისხედით ბაღში პროფესორი და სტუდენტი, და ჩვენ შორის უფროსუმცროსობის ზღვარის წაუშლელად, მაინც რაღაცნაირი თანასწორობა იყო, კიდევ ერთი რამ არის ძალზე თვალში საცემი: მაშინ სულ ხმაური, კამათი, „რია-რია" იყო ბაღში. ვერ ნახავდი ორ ადამიანს მაინც, რომლებიც უბრალოდ ისხდნენ და ერთმანეთს არ ესაუბრებოდნენ, ან გაცხარებით არ მსჯელობდნენ რამეზე... ახლა კი, რაც ძალზე მეუცნაურება, ბაღი სავსეა სტუდენტებით და... სამარისებური სიჩუმეა. სხედან, ეწევიან, არ საუბრობენ... თანაც საზურგეებზე სხედან და ფეხები იქ უწყვიათ, სადაც უნდა ისხდნენ...

თუმცა, ალბათ, ჩვენი — მასწავლებლების ბრალიცაა: ახლანდელი სტუდენტი ალბათ ვეღარ ნახავს ბაღის მაკრატლით ხელში ბუჩქების შესალამაზებლად გამოსულ რექტორს, როგორც ჩვენ დიდ ნიკო კეცხოველს ვხედავდით...

არ შეიძლება უნივერსიტეტის ბაღზე ისაუბრო და აწ განსვენებული პოეტი, ბატონი შოთა ჩანტლაძე არ გაიხსენო. მასზე და იმ დროზე საუბარი ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილს ვთხოვეთ:

— სულაც არ ვაჭარბებ: ეს ბაღი ჩვენთვის იგივე იყო, რაც უნივერსიტეტი და ამ უნივერსიტეტის „რექტორი" იყო ბატონი შოთა ჩანტლაძე — ჩვენ ვიზრდებოდით, უნივერსიტეტს ვამთავრებდით, სხვა თაობა მოდიოდა, ბატონი შოთა კი ისევ იქ იყო და „რექტორობდა". მე რომ სტუდენტი ვიყავი, უკვე იქ დამხვდა და თითქმის ასე იყო მისი სიცოცხლის ბოლომდე...

დღეს რომ ისეთი აღარ არის ბაღი, ალბათ ბუნებრივიცაა: მაშინ არც კლუბები იყო და არც ათასგვარი სარდაფები, სადაც შევიკრიბებოდით, ვისაუბრებდით, ვიკამათებდით...

სხვათა შორის, ძალიან საინტერესო სატირული კედლის გაზეთი გამოდიოდა უნივერსიტეტში — „ჭინჭარი". თავიდან ნოდარ დუმბაძე რედაქტორობდა, შემდეგ ახლა უკვე ცნობილი რეჟისორი რეზო ესაძე (მაშინ ფიზიკოსი იყო), რამდენიმე კაცი — მათ შორის მე და თენგიზ ჩანტლაძე (ისიც მერე გახდა მსახიობი, მანამდე გეოლოგიურზე სწავლობდა) რედკოლეგიის წევრები ვიყავით და ამ რედკოლეგიის სხდომებიც, ცხადია, ბაღში იმართებოდა...

გუშინ შაბათი იყო... არცთუ ისე ციოდა, მაგრამ მე და ჩვენს ფოტორეპორტიორს ბაღი ცარიელი დაგვხვდა — ახლა ასეა: აქ მხოლოდ მაშინ დაინახავ ვინმეს, თუ ლექციების დროა, ისე კი, ისე რა: ხეებია, ბუჩქები და ორიოდე ბილიკი... აღარ არის „საინტერესო"...

***ზვიად გურული***

# ბევრიც, ხუთი საათის მანძილზე ფეხზე იდგა



ამ საღამოს სიყვარულისა და სიკეთის საღამოს დავარქმევდი, რადგან გივი სიხარულიძესთან შეხვედრის თითოეული მონაწილე დავრწმუნდით იმაში, რომ სიყვარულით ცხოვრება რთულიცაა და იოლიც. რთულია იმიტომ, რომ ბოლომდე უნდა დაიხარჯო; ადვილია იმიტომ, რომ სიყვარული ღვთის მიერ ბოძებული მადლია... ჩვენი ნიჭიერება კი იმით იზომება, თუ რა დოზით მოვიძიებთ სიყვარულს საკუთარ სულებში.

და კიდევ ერთი შტრიხი: ამ შეხვედრის გმირი გივი სიხარულიძე ემშვიდობებოდა გაჭედილ დარბაზს და ჰპირდებოდა, რომ მისთვის მირთმეულ ვარდებს აწ გარდაცვლილი მეუღლის სურათთან მიიტანდა.

იმდენი სითბო და იმდენი ლამაზი სიტყვა ითქვა ამ საღამოზე, რომ შესაძლოა აღარც კი ღირდეს რაიმეს დაწერა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი თვითონ ფაქტი კი არა, თავად მიზეზი გახლავთ...

დღეს, ამ აწეწილ დროსა და სივრცეში, როცა სიცივით, სიბნელის, საკუთარ გაჭირვებაში ჩაკეტილი გათითოკაცებული და გაუცხოებული საზოგადოება ერთმანეთისთვის მხოლოდ პანაშვიდებსა და დაკრძალვისათვის იცლის, ხელოვნების მუშაკთა სახლში ინტელიგენციის ყველა თაობის და ყველა სფეროს წარმომადგენლებით გაჭედილ დარბაზში, რომ იტყვიან, ნემსიც კი არ ჩავარდებოდა... შემოტანილი სკამები რომ აღარ ეყოთ, ბევრიც ფეხზე იდგა. იდგნენ 5 საათის მანძილზე, 5 საათის მანძილზე არც სცენაზე და არც დარბაზში არ წყდებოდა ტაში, შეძახილები, ემოციური გამოსვლები, სიმღერა, ცეკვა, ლექსი, მუსიკა; მწერლები და პოეტები გივი სიხარულიძის ნოველებსა და ლექსებზე საუბრობდნენ — ქართული ცეკვის კორიფეები მის ქორეოგრაფიულ და ორგანიზატორულ ნიჭზე, რეჟისორები ფილმებში მის მიერ განსახიერებულ როლებზე, გივი სიხარულიძის თვითნაბად, იმპროვიზაციულ, უნიკალურ შესაძლებლობებზე, კომპოზიტორები მის უნარზე, დააფასოს ჭეშმარიტი მუსიკა. მეგობრები და ამხანაგები, ახლობლები, კოლეგები, სკოლელები, ყველა დავრწმუნდით, რომ თითოეულ ჩვენგანს ჩვენი საკუთარი გივი სიხარულიძე გვყოლია, სრულიად განსხვავებული, კურიოზებითა და მოულოდნელობებით აღსავსე რაინდი, ანუ როგორც მეგობრული სითბოთი თქვა მწერალმა და პუბლიცისტმა გიზო ნიშნიანიძემ: „გივი სიხარულიძე ბუნების ნათავხედარიაო". თავად გივი სიხარულიძემ ამ შეხვედრის მთავარმა გმირმა ჩვეულ ამპლუაში აქტიურმა და დაუდეგარმა, საღამოს მშვენიერ წამყვანს ლალი მოროშკინას საშუალება არ მისცა საღამო წაეყვანა. ეს არც არავის გაჰკვირვებია. ეს ხომ გივი სიხარულიძეა.

***დოდო იორდანიშვილი***

# ფრთხილად! CO — ვერაგი აირი ანუ „ძაღლის გაზი“

## პროლოგი

**„CO — ნახშირჟანგი, უსუნო, უფერო, მხუთავი აირია, ძლიერი საწამლავი. ნახშირჟანგი ოქსიჰემოგლობინიდან გამოდევნის ჟანგბადს და წარმოქმნის კარბოქსიჰემოგლობინს, რაც იწვევს ორგანიზმში ჟანგბადის მიმოცვლის მოშლას“, — ეს გახლავთ CO-ს ენციკლოპედიური განმარტება. სხვაგვარად, მას „ძაღლის გაზსაც“ უწოდებენ, რადგან მაღაროებში მისი დაგროვების აღმოსაჩენად საეჭვო ადგილებში ძაღლი შეჰყავთ. ნახშირჟანგი დაბლიდან იწყებს დალექვას და რადგან ძაღლი ადამიანზე დაბალია, CO-ს არსებობის შემთხვევაში, უმალ გონს კარგავს. სწორედ ამით ხვდებიან გვირაბში ნახშირჟანგის არსებობას და მაშინვე სათანადო ღონისძიებებს მიმართავენ.**

## ამბავი ტრაგიკული დასასრულით

გასულ ოთხშაბათს, დილით, თბილისში, ბახტრიონის ქუჩის ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლები მოულოდნელად ატეხილმა წივილ-კივილმა შეძრა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჯერ კიდევ წინა დღეს, მე-7 სართულზე მცხოვრებ ერთ-ერთ დიასახლისს ღამით გაზქურაზე, დაბალ ალზე ლობიო შეუდგამს მოსახარშად. დილით სამზარეულოში გამოსულმა ოჯახის ქალიშვილმა ლობიოს მიაკითხა, მაგრამ მოულოდნელად გონება დაკარგა და თითქმის მდუღარე ლობიო ზედ გადაისხა. ქალიშვილი დამწვრობის ცენტრში გააქანეს. მალევე გაირკვა, რომ ოჯახში სამიოდე წლის გოგონა და მისი ბებიაც მძიმედ მოწამლულიყვნენ და რომ არა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ყოველივე ტრაგიკული შედეგით დასრულდებოდა. ოთხშაბათს, დილით იმავე კორპუსის მაცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ ხსენებული ოჯახის ქვემოთა მეზობლის, მე-6 სართულზე მცხოვრები ღვაბერიძეების ავტომობილი ისევ თავის ადგილას იდგა. მეზობლებს ეს საეჭვოდ ეჩვენათ, რადგან ყოველ დილით ზუსტად ერთსა და იმავე დროს ოჯახის უფროსი გივი ღვაბერიძე სამსახურში მანქანით მიდიოდა. შეშფოთებულმა მეზობლებმა ღვაბერიძეებს კარზე მიუკაკუნეს, მაგრამ ბინიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ბოლოს სახანძრო მანქანის კიბით ავიდნენ. აივნიდან გადასულებს ბინაში საზარელი სურათი დახვდათ: 27 წლის ლაშა ღვაბერიძე, რომელიც ბორჯომში ისვენებდა და სწორედ სამშაბათს დაბრუნდა, ტუალეტში იატაკზე ეგდო, მამამისიც იქვე იპოვეს. ბებიას, ჩანს, საწოლიდან წამოდგომაც უცდია, მაგრამ მხოლოდ ფეხების გადმოდგმალა მოუსწრია, დიასახლისი კი საწოლშივე გაგუდულა. მთელი ოჯახიდან ერთადერთი ვაჟი დარჩა (ლაშას ძმა), რომელიც ამჟამად კანადაშია. როგორც შემდეგ გაირკვა, ღვაბერიძეებს ირანული წარმოების გამათბობელი რამდენიმე დღე ჩართული ჰქონიათ განიავების გარეშე. არასრული წვის შედეგად გამოყოფილი მხუთავი აირი CO თანდათან დაგროვდა, მთელი ბინა მოიცვა და მე-7 სართულამდეც ააღწია (საბედნიეროდ, შედარებით დაბალი კონცენტრაციით). სწორედ ამით მოიწამლნენ ღვაბერიძეების ზემოთ მცხოვრები ოჯახის წევრები.

27 წლის ლაშა ღვაბერიძე, რომელიც ბორჯომში ისვენებდა და სწორედ სამშაბათს დაბრუნდა, ტუალეტში იატაკზე ეგდო,მამამისიც იქვე იპოვეს. ბებიას, ჩანს, საწოლიდან წამოდგომაც უცდია, მაგრამ მხოლოდ ფეხების გადმოდგმალა მოუსწრია, დიასახლისი კი საწოლშივე გაგუდულა. მთელი ოჯახიდან ერთადერთი ვაჟი დარჩა, რომელიც ამჟამად კანადაშია.

ბოლო ორი თვის მანძილზე ბუნებრივი აირით მოწამვლის 40-მდე შემთხვევა მოხდა, რასაც ოფიციალური წყაროებით 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. არაოფიციალური მონაცემებით, ეს რიცხვი 23-ს აღწევს. მსგავსი ტრაგედია დატრიალდა ფასანაურშიც, სადაც ასევე ოთხსულიანი ოჯახი (ახალგაზრდა დედ-მამა და ორი მცირეწლოვანი შვილი) დაიღუპა.




**ყურადღება! გამათბობელი კედლიდან არანაკლებ 30 სმ-ით უნდა იყოს დაცილებული. გამათბობლის საკვამლე მილი გარეთ გასვლისას 90 — გრადუსიან კუთხეს უნდა ქმნიდეს. საკვამლე მილის ბოლო ჭერის დონიდან 70 სმ-ით მაღლა უნდა იყოს. გამათბობელზე არ შეიძლება ჩაიდნის შემოდგმა.**

ყველა ფაქტის ჩამოთვლა, ცხადია, არ არის სასურველი, უბრალოდ დავძენთ, რომ ალბათ არც ერთი შემთხვევა ასეთი შედეგით არ დასრულდებოდა, რომ არა უგულისყურობა და ტექნიკური ნორმების დარღვევით გამათბობლის დადგმა-მოხმარება. როგორც „სს თბილგაზის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, არც ერთ ტრაგედიაში „თბილგაზს“ დანაშაული არ მიუძღვის, რადგან გამათბობელი და წყალგამაცხელებელი აპარატები ყველა იმ შემთხვევაში დამონტაჟებული იყო კუსტარულად და არა ამ ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ. მოსახლეობა, ბუნებრივია, ასეთ დროს იაფ მუშახელს ეძებს, ამ უკანასკნელებმა კი ხეირიანად არც იციან და არც არაფრად დაგიდევენ უსაფრთხოების წესებს. გასულ კვირაში მოწამლული ორი ოჯახის სამზარეულოების ლაბორატორიული შემოწმებისას გაირკვა, რომ ჰაერში ნახშირჟანგის შემადგენლობა 150-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. ვახტანგ ცაავას განმარტებით, მცდარია მოსაზრება, რომ უბედური შემთხვევები ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგია. თავისთავად ბუნებრივი აირი მომწამვლელი ნივთიერება არ არის და სადმე რომ მისი დაგროვება ხდებოდეს, ეს მოწამვლას კი არა, აფეთქებას გამოიწვევდა. აფეთქებას რომ თავი დავანებოთ, თუ შენობაში დიდხანს ჟონავს აირი (ვთქვათ, გაზქურის ონკანი ღიაა და არ ანთია), იგი შენობიდან გამოდევნის ჟანგბადს და ადამიანი ვეღარ სუნთქავს. ბუნებრივ აირს გაჟონვის დასაფიქსირებლად აუცილებლად უნდა ჰქონდეს შერეული ე.წ. ოდორანტი — სუნის მიმცემი ნივთიერება. „სს თბილგაზის“ გენერალური დირექტორის თქმით, ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია. რაც შეეხება გამათბობლებს — ჩვენში ისინი რამდენიმე ქვეყნის წარმოებისაა: ჩეხური, ირანული, აზერბაიჯანული და თურქული. გარდა ამისა, არსებობს ადგილობრივიც — 31-ე ქარხანაში გაკეთებული. ვახტანგ ცაავას თქმით, ყველა ხელსაწყო ვარგისია, თუ ქარხნული წესით არის დამზადებული და სათანადო სერტიფიკატიც აქვს მინიჭებული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათი დამონტაჟებისა და მოხმარებისას აუცილებელია ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

## რომელი გამათბობელია უფრო საიმედო

როგორც წესი, გამათბობლის საკვამლე მილს ფანჯარაში ან კედელში აყოფინებენ თავს, ეს კი საკმარისი არ არის. საკვამლე მილის ბოლო უნდა ასცდეს ბინის ჭერის დონეს, 70 სანტიმეტრით მაინც, რათა ნორმალური წევა ჰქონდეს.

რაც შეეხება ამა თუ იმ გამათბობლის ვარგისიანობას, ამის გასარკვევად თავდაპირველად მივმართეთ საქართველოში ჩეხური გამათბობლების ექსპორტიორი ფირმის ოფის-მენეჯერს დათო შარაშენიძეს. მისი თქმით, ჩეხური გამათბობლების უპირატესობა ჩვენში გავრცელებულ სხვა გამათბობლებთან შედარებით ისაა, რომ ჩეხურს წვის ჰერმეტული, დახშული კამერა აქვს. ამიტომ წვისთვის საჭირო ჟანგბადი გარედან შემოაქვს. სხვა გამათბობლები კი წვისთვის საჭირო ჟანგბადს ოთახიდან იღებენ. მათი წვის კამერები ღიაა და ნამწვავი აირის ოთახში გავრცელების ალბათობაც საკმაოდ დიდია. ჩეხური გამათბობლისგან ეს გამორიცხულია, თუკი მიერთების ადგილებში არ არის რაიმე ხარვეზი ან მილებში — დაზიანება. ჩეხურ აგრეგატზე არ მოქმედებს არც წნევის დაკლება და მატება, არც აირის ნაკადის შეწყვეტა და არც უცაბედი მოსვლა, რადგან ყველაფერი ავტომატურად რეგულირდება. ირანული წარმოების დანადგარს უფრო მეტი აქვს გაზის ხარჯი, ვიდრე ჩეხურს, შესაბამისად, ჩეხურზე მეტად ათბობს. ირანულისგან განსხვავებით, ჩეხურს აქვს თერმორეგულატორი, რაც დანადგარს გადახურებისგან იცავს. არ შეიძლება ირანული დანადგარის ღამით, თანაც დახურულ სივრცეში ჩართული დატოვება — შეიძლება გაზი მოულოდნელად შეწყდეს და მერე ისევ წამოვიდეს! ამას ირანული ავტომატიკა ვერ არეგულირებს. ქართული წარმოების გამათბობელს ირანულის მსგავსი ავტომატიკა აქვს. აქედან გამომდინარე, არც ის არის სანდო. ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად პროფესიონალურად არის დამონტაჟებული ესა თუ ის დანადგარი. რაც შეეხება ფასთა სხვადასხვაობას, დღეისთვის ჩეხური წარმოების გამათბობელი თითქმის ორჯერ მეტი ღირს ირანულსა და ქართულთან შედარებით. ირანული წარმოების გამათბობლების ექსპორტიორ ორგანიზაციას ვერსად მივაგენით, რადგან როგორც რეალიზატორებმა გვითხრეს, მათი შემოტანა ყველას შეუძლია, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა აქვს. ბოლოს ე.წ. ელიავას ბაზრობას მივაკითხეთ და ირანული გამათბობლების ერთ-ერთ რეალიზატორს თემურ გაგნიძეს გავესაუბრეთ. მისი თქმით, ყველა მომხმარებელმა გამათბობლის შეძენისას აუცილებლად უნდა მოითხოვოს ინსტრუქცია და სწორედ იქ მითითებული ნორმებისა და პირობების დაცვით უნდა დაამონტაჟებინოს და მოიხმაროს. ჩეხური წარმოების გამათბობლები უდავოდ უკეთესია სხვებზე, მაგრამ გაუფრთხილებლობის გამო მათი გამოყენების დროსაც შეიძლება მოხდეს უბედური შემთხვევა — ამის მაგალითად ფასანაურში დატრიალებული ტრაგედიაც კმარა. როგორც გავარკვიეთ, გამათბობლით სარგებლობის განმარტებითი ცნობარი (ინსტრუქცია) ირანული წარმოების გამათბობელთაგან მხოლოდ „ნიკ კალას“ მარკის დანადგარს აღმოაჩნდა, ისიც — რუსულ ენაზე. სხვათა შორის, ცნობარის ტექსტი იწყება სიტყვებით: „ალაჰის სახელით“, — რეალიზატორებმა განგვიმარტეს — ინსტრუქცია ამ ფრაზით არ დაიწყებოდა, გამათბობელი ხარისხიანი და საიმედო რომ არ იყოსო. ბოლო დროს მომხდარი შემთხვევების ერთ-ერთ მიზეზად რეალიზატორები უხარისხო აირსაც ასახელებენ.

## როგორ მოვიქცეთ მოწამვლის შემთხვევაში

როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის ტოქსიკოლოგიური განყოფილების გამგემ, ქალბატონმა ციცი ჩოფიკაშვილმა განგვიმარტა, CO-თი მოწამვლის დროს, თავდაპირველად ადამიანს აღენიშნება გულზიდვა, თავბრუსხვევა, ძილიანობა, მოთენთილობა — ეს იმ შემთხვევაში, თუ ჰაერში CO-ს კონცენტრაცია 0,01 პროცენტია. თუ CO-ს კონცენტრაციამ 1%-ს მიაღწია, მისი პირველივე შესუნთქვაც კი სიკვდილს იწვევს.

სხვაგვარად, მას „ძაღლის გაზსაც“ უწოდებენ, რადგან მაღაროებში მისი დაგროვების აღმოსაჩენად საეჭვო ადგილებში ძაღლი შეჰყავთ. ნახშირჟანგი დაბლიდან იწყებს დალექვას და რადგან ძაღლი ადამიანზე დაბალია, CO-ს არსებობის შემთხვევაში, უმალ გონს კარგავს.

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანმა საკუთარ თავს მოწამვლის ნიშნები შეამჩნია, ვიდრე სასწრაფო დახმარებას გამოუძახებდეს, დაუყოვნებლივ უნდა გამოაღოს კარი ან ფანჯარა და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქოს, მერე კი საჩქაროდ გავიდეს შენობიდან. შემდეგ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და გაიაროს საჭირო ამბულატორიული გამოკვლევა და მკურნალობა მხოლოდ სპეციალურ ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში.

## ეპილოგი

როგორც გაირკვა, მომხდარი უბედური შემთხვევების ძირითადი მიზეზი გაუფრთხილებლობა და გამათბობლების არასწორი ექსპლუატაცია ყოფილა. თუ ეს ასეა, ჩვენი აზრით, ამ საქმეში უმთავრესი ფუნქცია „სს თბილგაზის“ სამსახურმა უნდა იკისროს, როგორც აგიტაცია-პროპაგანდის, ისე გამათბობლების ექსპლუატაცია-მონტაჟისთვის გადასახდელი თანხის გაიაფების თვალსაზრისით, რათა ისედაც გაჭირვებულმა მომხმარებელმა 5-ლარიანი „დამმონტაჟებელი“ აღარ ამჯობინოს თბილგაზის „პრეისკურანტით“ დადგენილ 37-ლარიან პროფესიონალს.

***მამუკა ხუციშვილი***

**P. S. „სს თბილგაზის“ თხოვნით, ბუნებრივი აირის გამათბობლების დამონტაჟებისთვის სპეციალისტის გამოსაძახებლად მოსახლეობას ვაცნობებთ შემდეგ მისამართებსა და საკონტაქტო ტელეფონებს:**

1. გლდანი-ნაძალადევი
თ/დ XI მ/რ, I კვ, კ. 2ა. ტელ: 60-30-66; 60-70-55.

2. დიღმის დასახლება
დ/მ Vკვ. კ. 17 (თელასის შენობა). ტელ: 51-66-61; 52-43-88.

3. დიდუბე-ჩუღურეთი
გრანელის 17. ტელ: 96-35-77; 34-42-79; 95-33-18;

4. საბურთალო
მიცკევიჩის 18ა, სართული. ტელ: 37-14-73; 39-71-80; 37-24-01.

5. ვაკე
მოსაშვილის 24, ტელ: 23-52-01; 22-40-13;

6. მთაწმინდა-კრწანისი
ბევრეთის 6. ტელ: 72-40-50; 72-04-04; 93-64-42;

7. ისანი-სამგორი
თრიალეთის 36 ა. ტელ: 76-61-81; 76-25-34; 77-24-9 — ისანი;
76-54-33 — სამგორი

8. წყნეთი
საააკაძის ქ. ტელ: 22-88-98

# რატომ „დააპატიმრეს“ ჯაბა იოსელიანი მოსკოვში?



გავიგეთ, „მხედრიონის“ ლიდერი რუსმა სამართალდამცავებმა 8 საათი „შერემეტიევოს“ აეროპორტში აყურყუტესო. ეს ჭორი სიმართლე აღმოჩნდა. ბატონი ჯაბა რუსების „სტუმართმოყვარეობით“ ძალზე უკმაყოფილოა და, ბუნებრივია, მათი „სიცივის“ მიზეზიც აინტერესებს. მართალია, „მხედრიონის“ ლიდერმა მოსკოვში ვიზიტის მიზეზი არ დაგვიკონკრეტა, მაგრამ იქაური თავგადასავალი კი გულახდილად გვიამბო. კიდევ კარგი, ქართველებმა ერთმანეთის გატანა ჯერ ისევ ვიცით... რომ არა იქაური ქართველები...

**— რა მიზეზით არ გიშვებენ რუსი სამართალდამცავები თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე?**

— არ ვიცი, მესაზღვრეებმა ასე მითხრეს, „ნე ვიეზდნოი“ ხართ, უფლება არა გაქვთ რუსეთის ტერიტორიაზე შემოხვიდეთო.

**— ვიზა ხომ გქონდათ... მისი აღებისას პრობლემა არ გქონიათ?**

— მეც ეგ გამიკვირდა, თუ რამე პრობლემა იყო, აქვე უნდა ეთქვათ. ვიზა 20 დეკემბერს ავიღე, მოსკოვში კი 22-ში ჩავფრინდი. თუ „ნი ვიეზდნოი“ ვიყავი, აქედან ვიზას მომცემდნენ? აეროპორტიდან აღარ მიშვებდნენ, თქვენი გვარი კომპიუტერშია შეტანილიო.

**— როგორ დააღწიეთ თავი უსიამოვნებას?**

— პრიმაკოვსა და ზურაბ წერეთელთან დავრეკე და, როგორც იქნა, გამიშვეს. ჩვენები რუსებს აბრალებენ, რუსები — ქართველებს. ვფიქრობ, ვიღაცამ აქედან დარეკა აეროპორტში.

**— მაინც ვის არ სურდა თქვენი ჩასვლა რუსეთში და თუ საიდუმლო არ არის, იქნებ ამ ვიზიტის მიზანი გაგვიმხილოთ.**

— ვერ გეტყვით. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, აქედან უფრო იქნებოდა დარეკილი. თორემ ვიზის აღებიდან მოსკოვში ჩასვლამდე, სულ ორ დღეში რა მოხდა ასეთი?

**— რაც ციხიდან გათავისუფლდით, თუ ყოფილხართ რუსეთში?**

— შარშან ამ დროს ვიყავი მოსკოვში, მაშინ არ იყო რეჟიმი? არავის უთქვამს, „ნე ვიეზდნოი“ ხარო.

აქედან რომ მივდიოდი, პირველი კლასის სალონით ვმგზავრობდი. იქ რუსეთის დელეგაციის წევრები შემხვდნენ, რომლებიც ჩარჩო-ხელშეკრულების გამო იყვნენ საქართველოში. ყველანი მიცნობენ, პასტუხოვი, მასტუხოვი... დიდის ამბით შემხვდნენ. იქ იყო ერთი, რუსეთის შს მინისტრის მოადგილე... მგონი იმან ჩააწყო აეროპორტში ის ამბავი. თუმცა პრიმაკოვმა და ზურამ მითხრეს, თბილისიდან არის დარეკილიო.

ამ საკითხს მაინც გავარკვევ. პასუხს მოვთხოვ ან ამათ, ან რუსებს. ეგრე სად არის, მოუნდებათ — შემიშვებენ, მოუნდებათ — არა. მაინც უნდა მიპასუხონ, რატომ არ მიშვებენ რუსეთში!

***იზო რიკაძე***



# «საქართველოში ქიმიური და რადიოაქტიური ნარჩენები საიდუმლოდ შემოდის და იმარხება?!»

*ჩამქრალ თუნუქის შეშის ღუმელზე მართკუთხა ლითონის ზოდი იდო, ოჯახის უფროსს ზედ ჩაიდანი შემოედგა და მისი ადუღების მოლოდინში ჩაფიქრებულიყო. საფიქრალი მართლაც ჰქონდა, — რამდენიმე დღის წინ ტყეში ნაპოვნი ლითონის ნაჭერი რატომღაც ისე ხურდა, რომ მასზე კერძის მომზადებაც კი შეიძლებოდა. ეგ კი არა, სახლიც გაათბო. გლეხმა არ იცოდა, გახარებოდა თუ არა, ეთქვა თუ არა მეზობლებისათვის, რა ბედს ეწია...*

*იმ დღეებშივე სვანეთში, სოფელ ხაიშის მიდამოებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სადღაც ხევში რადიაციული ნივთიერებებით, კერძოდ, „სტრონციუმ-90“-ით სავსე კონტეინერი აღმოაჩინეს, რომლის ერთი ნაწილი დაკარგულიყო და ახლა მას ეძებდნენ (ამაზე „კვირის პალიტრა“ წერდა). ერთი სიტყვით, რადიაციული უსაფრთხოების სამსახურმა სპეციალური მოწყობილობით დაკარგული „სტრონციუმ-90“-ც იპოვა და იმ გლეხსაც, რომელმაც სპეციალურ ტანსაცმელსა და აირწინაღებში გამოწყობილი არსებები უცხოპლანეტელებად მიიჩნია, ნაპოვნი ლითონის ზოდი წაართვა და გააუვნებელყო კიდეც. გასაკვირია, როგორ გაუძლო გლეხის ორგანიზმმა ძლიერი რადიაციული გამოსხივების წყაროს.*

ბოლო დროს რუსი სამხედროების ამ საშიშ „საჩუქრებს“, სვანეთის მთებში ენგურჰესსა და ხუდონჰესს შორის რადიოსარელეო კავშირის დასამყარებლად 80-იან წლებში ესტონეთიდან, კერძოდ, ქალაქ ნარვიდან „სტრონციუმ-90“-ისგან შემდგარი მოწყობილობებიც, ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გენერატორებიც დაემატა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ვარაუდით, ასეთი სულ რვა გენერატორი იყო საქართველოში. აქედან ოთხი გააუვნებელყვეს. ერთ-ერთი კი ამ სამი კვირის წინ აღმოაჩინეს წალენჯიხის რაიონში, სოფელ ლიას მიმდებარე ტყიან მასივში, ოღონდ ეს „აღმოჩენა“ მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც სამმა ადამიანმა სიცოცხლისათვის საშიში რადიაციული დასხივება მიიღო. სხვათა შორის, არანაკლებ სახიფათოა ის შუქურები, ანუ „მაიაკები“, რომლებიც თვითმფრინავების გზის გასაკვალად დამონტაჟდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს უკანასკნელნი იმავე რადიაციული ნივთიერებით მუშაობენ, როგორითაც კავშირგაბმულობისთვის საჭირო მოწყობილობის გენერატორები.

მაინც რა ხდება? ნუთუ არ შეიძლება, რომ მათი გაუვნებელყოფა მანამდე მოხდეს, სანამ ადამიანები დაზარალდებიან? ამ კითხვით პირველად მწვანეთა პარტიის ლიდერს **გიორგი გაჩეჩილაძეს** მივმართეთ.

— რადიაციული უსაფრთხოების საკითხი საქართველოსთვის არ არის ახალი ამბავი. მაოცებს ამ საკითხისადმი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მისი უწყებების უპასუხისმგებლობა. ჯერ კიდევ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი კატასტროფის ამბავი მაშინდელმა ხელისუფლებამ რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხს დაუმალა. არადა, ის რამდენიმე დღეც საკმარისი იყო, რომ იქიდან წამოსული რადიაციული ღრუბელი საქართველოსკენ წამოსულიყო და დასავლეთ საქართველოში ნალექის სახით დაცლილიყო. მაშინ საქართველოს ამ ნაწილში რადიაციული ფონი დასაშვებ ნორმას 500.000-ჯერ(!) აჭარბებდა. ღრუბელი იოდის რადიაციული იზოტოპებისაგან შედგებოდა, იგი რამდენიმე დღეში დაიშალა და ნიადაგში ჩაირეცხა. სამი კვირის მანძილზე არ უნდა მოეძოვებინა საქონელი გლეხობას რადიაციულ წვიმადაპკურებულ მინდვრებზე. არ უნდა მოეკრიფათ ჩაი და სხვ. მაგრამ ხალხმა ეს არ იცოდა. ხელისუფლებას არაფერი განუცხადებია. იმ ღრუბლის წყალობაა დასავლეთ საქართველოში დღეს თითქმის ეპიდემიად ქცეული ჩიყვის დაავადება. ერთ-ერთ მაღალმთიან რეგიონში კი ხშირია კრეტინიზმისა და დებილიზმის შემთხვევები. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. როგორც იცით, რამდენიმე წლის წინ კვლავ ამუშავდა სომხეთის ატომური ელექტროსადგური, რომელიც პირველი თაობის ატომურ ელექტროსადგურებს განეკუთვნება. მათ უსაფრთხო ექსპლუატაციის ძალიან სუსტი დამცავი მექანიზმი აქვთ. ამასთან, სომხეთის ატომური ელექტროსადგური სეისმურად აქტიურ ზონაშია აშენებული. სომხებს მისი ამუშავება არც უნდოდათ, კარგად ახსოვთ სპიტაკის მიწისძვრა, მაგრამ უსინათლობის გამო გაუმართლებელ რისკზე წავიდნენ და სადგური აამუშავეს. ღმერთმა დაგვიფაროს და, რამე რომ მოხდეს, თბილისის დაცლა 8 საათში მოგვიწევს. სად უნდა წავიყვანოთ მილიონ-ნახევარი კაცი?

**დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოში, ასევე აფხაზეთში სისტემატურად შემოდის შხამიანი ქიმიური ნარჩენები, რომელსაც ოფიციალურ საბუთებში აფიქსირებენ როგორც კვების პროდუქტს. სად მიაქვთ ან სად მარხავენ შემდეგ ორასლიტრიან კასრებს, ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ. რადგან როცა ასეთი სახის ტვირთი შემოდის პორტში, იგი იკეტება და შიგ ვერაფრით ვერ შეაღწევ. რაც შეეხება რადიოაქტიურ ნარჩენებს, ამის თაობაზე არაფერი ვიცი. თუმცა არც ეგაა გამორიცხული.**

**— გამოდის, სომხეთის ელექტროსადგური საქართველოს მიქელგაბრიელივით ადგას თავზე.**

— ასეა, მაგრამ ჩვენ იმას მაინც მივაღწიეთ, რომ ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, სომხეთის ელექტროსადგური 2004 წელს სამუდამოდ გაჩერდება და მის სალიკვიდაციო ხარჯებს აშშ-ის მთავრობა გაიღებს.

**— ბოლოდროინდელ მოვლენებზე რას გვეტყვით?**

— შარშან, საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად მთლიანად დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილში ჩაატარა აერორადიოლოგიური გადაღებები, რომლის მიზანი სწორედ წერტილოვანი რადიაციული წყაროების აღმოჩენა გახლდათ. გადაღებებმა შედეგი არ მოგვცა.... რატომღაც გადაღებები სავარაუდო რადიაციული წყაროების ადგილებში არ ჩატარებულა. ვგულისხმობ წალენჯიხის რაიონისა და ზემო სვანეთის ტერიტორიებს, სადაც ახლახან აღმოაჩინეს რადიაციის ძლიერი წყაროები. რა აზრი ჰქონდა ასეთ აერორადიოლოგიურ გადაღებებს და რისთვის დაიხარჯა 600.000 დოლარი. ქართველი მეცნიერები იზიარებენ ჩემს აზრს, რომ აერორადიოლოგიურ გადაღებებს არაკომპეტენტური პირები აწარმოებდნენ. ამას სოფელ ლიას მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი რადიაციული წყაროც ადასტურებს. ჩვენი პარტია აწარმოებს გამოძიებას, რომლითაც დასტურდება, რომ შესაბამისმა სამსახურებმა წინასწარ იცოდნენ ამ წყაროს შესახებ, მაგრამ არავითარ ქმედით ღონისძიებებს არ იღებდნენ და მხოლოდ ერთმანეთთან მიწერ-მოწერით კმაყოფილდებოდნენ. საერთოდ, მოსახლეობას ნაკლებად აქვს გათვითცნობიერებული რადიაციული ნივთიერებების საფრთხე, ისიც კი არ იციან, რა ნიშანი ადევს რადიაციულ მოწყობილობებს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეგიდით სხვადასხვა ორგანიზაციამ მოსახლეობის ამ სფეროში გათვითცნობიერების მიზნით, თურმე 6 მლნ დოლარი მიიღო. სად და რისთვის დაიხარჯა ეს ფული, ღმერთმა უწყის...

...სოფელ ლიაში რადიაციული წყაროს არსებობა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებისთვის ახალი ამბავი მართლაც არ ყოფილა, თანაც ტრაგედიამდე ადრე, კერძოდ, 2001 წლის ივნისში წალენჯიხის რაიონის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ თავის უშუალო ზემდგომი უწყების ხელმძღვანელს, რესპუბლიკური სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს ნიკოლოზ შავდიას აცნობა თურმე ოფიციალური წერილით, რომ წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სატყეო უბანში აღმოაჩინეს საკმაოდ მოზრდილი ლითონის ნაჭერი, რომელიც დიდი რაოდენობით სითბოს გამოყოფდა. თავის მხრივ, ნიკოლოზ შავდიამ ეს ამბავი აცნობა შსს-სთან არსებულ საგანგებო სიტუაციების სამმართველოს, აგრეთვე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტს. შავდია თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ასრულებდა: „ველით რეაგირებასა და მიღებული ზომების შესახებ ცნობებს“.

შსს-ში არსებული საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ნიკოლოზ შავდიასგან ასეთი ინფორმაცია არ მიუღიათ და, საერთოდ, ასეთი რამ პირველად ესმით. უფრო მეტიც, წალენჯიხაში რადიაციული წყაროს არსებობის შესახებ იქ განვითარებული მოვლენების შემდეგ გაუგიათ, ისიც ტელევიზიით. როგორც ჩანს, ან ერთ მხარეს შევყავართ შეცდომაში, ან მეორე მხარე ცდილობს მოგვატყუოს, თუმცა რესპუბლიკის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციაში საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტში გაგზავნილი წერილი რეგისტრირებული აქვთ.

როგორც მინისტრი, ქალბატონი **ნინო ჩხობაძე** ამბობს, რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს, ზურაბ კერესელიძეს მართლაც მიუღია წერილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ კერესელიძეს ეს ინფორმაცია მინისტრისთვის არ გადაუცია. მან აღნიშნული ინფორმაცია კიდევ სხვა უწყებას გადაუგზავნა. ერთი სიტყვით, წალენჯიხაში დაფიქსირებული საგანგაშო ფაქტი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

როგორც შევიტყვეთ, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი მომხდარის გამო დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თუმცა სხვა წყაროს ცნობით, კერესელიძე დროებით ჩამოაქვეითეს. „თანამშრომელზე ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ არ შემეძლო აღნიშნული დაუდევრობის გამო, იგი თანამდებობაზე დამეტოვებინა და მკაცრად პასუხი არ მომეთხოვა. კერესელიძე ალბათ შეეცდება ყველაფერი მე გადმომაბრალოს... შესაძლოა, შსს-ს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტმაც მე დამადანაშაულოს. არადა, მერწმუნეთ, არაფერ შუაში ვარ. სხვათა შორის, ჩვენზე მეტი რეაგირება ამ დეპარტამენტსა და უშიშროებას ევალებოდა“, — თქვა მინისტრმა. როგორც სამინისტროს კულუარებში გვითხრეს, არ არის გამორიცხული, კერესელიძეს სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის ყველაფერი ეთქვა კიდეც, რადგან უფროსების გარეშე კერესელიძე ვერავითარ ღონისძიებებს ვერ გაატარებდა, ამ საქმეს ხომ თანხები სჭირდებოდა. იმასაც ამბობენ, ზურაბ კერესელიძე კი არ განთავისუფლებულა თანამდებობიდან, არამედ დროებით ჩამოაქვეითეს, სანამ ქარიშხალი გადაივლიდესო (ჩვენ ვცადეთ ზურაბ კერესელიძესთან დაკავშირება, მაგრამ იგი თბილისში არ აღმოჩნდა. შევეცდებით მისი განმარტებები უახლოეს ნომერში შემოგთავაზოთ).



**კარგად დააკვირდით ამ სურათს — ეს რადიაციული ნივთიერებების კონტეინერია და არათუ გახსნათ, არამედ ახლოსაც არ მიეკაროთ**

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მინისტრის მოადგილის **ზაალ ლომთაძის** თქმით, „გადაუჭრელი პრობლემაა საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში სამხედრო, სამრეწველო და კავშირგაბმულობის მიზნებისათვის რადიოაქტიურ ნივთიერებაზე მომუშავე მოწყობილობის პოვნა და გაუვნებელყოფა. რადიოაქტიურ სამხედრო აპარატურას სამხედროები აკონტროლებდნენ, სამოქალაქოს კი — სამოქალაქო უწყებები. ჩვენ თხოვნით მივმართეთ როგორც ოფიციალურად, ასევე არაოფიციალურად რუსეთის სამხედრო სამოქალაქო უწყებებს, რათა გამოეჩინათ კეთილი ნება და ჩვენთვის გადმოეცათ მათი განლაგების სავარაუდო ადგილები მაინც. როგორც რუსმა სამხედროებმა გვითხრეს, მონაცემები ქართულ მხარისთვის მაშინ გადაუციათ, როცა ბაზებს ტოვებდნენ. ეს 1992-93 წლებია. ამჟამად საბუთები დაკარგულია, ხოლო რუს სამხედროებს, როგორც თვითონ ამბობენ, მათი განლაგების ადგილის რუკები აღარ აქვთ. ვერც რუსეთის ატომური ენერგიების სამინისტრო დაგვეხმარა რამეში. მოსახლეობაც დამნაშავეა, ტყვიის მოპოვების მიზნით აშიშვლებენ კონტეინერებს და იქვე ტოვებენ.

**— წალენჯიხაში რომ აერორადიოლოგიური გადაღებები ჩატარებულიყო, ტრაგედია ხომ არ დატრიალდებოდა?**

— აერორადიოლოგიური გადაღებები იქ მართლაც არ ჩატარებულა, რელიეფიდან გამომდინარე ეს ტექნიკურად არ მოხერხდა. ჩვენი ვარაუდით, კიდევ 4 რადიაციული ნივთიერებებით სავსე კონტეინერი უნდა იყოს დარჩენილი... სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაცია არა გვაქვს.

**— ბატონო ზაალ, რედაქციას აქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს გავლით ტრანზიტით შემოდის სომხეთის ატომური ელექტროსადგურისათვის საჭირო ატომური საწვავი. უფრო მეტიც, გვაქვს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოედინება რადიოაქტიური ნარჩენებიც.**

— რაც შეეხება სომხეთის ატომური ელექტროსადგურისათვის საჭირო საწვავს, ეს გახლავთ გამდიდრებული ურანი, რომელიც სრულიად უსაფრთხოა და მისი გადაადგილება შეიძლება. მხოლოდ მისი ნარჩენი, რომელიც წვის შემდეგ რჩება, არის რადიაციული. ასე რომ, გამდიდრებული ურანის ტრანზიტით გადაადგილება შეიძლება და ეს ჩვენს სამინისტროს არ ეხება, თუ ეს საქართველოს გავლით ხდება, ინფორმაცია უშიშროების სამინისტროში უნდა მოიძიოთ (ამ მოსაზრებას არ ეთანხმება გიორგი გაჩეჩილაძე. ის შეგვახსენებს, რომ საქართველოს კანონით ყოველგვარი ბირთვული და რადიაციული ნივთიერებების საქართველოში შემოტანა, ტრანსპორტირება, ტრანზიტი აკრძალულია. — ზ. ჩ.).

რაც შეეხება რადიაციულ ნარჩენებს, არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოში მართლაც შემოდიოდეს, ამიტომ გარემოს დაცვის სამინისტროს ძალისხმევით საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტომ გადაწყვიტა საქართველოს საბაჟოსათვის შეიძინოს და დაამონტაჟოს სპეციალური ლაბორატორიები და დეტექტორები, რომლებიც გამოავლენენ ამ ტვირთებს და რადიაციით დაბინძურებულ საქონელს. ამავე სააგენტოს დახმარებით ინტენსიურად ვამზადებთ პროგრამებს აერორადიოლოგიური გადაღებების ხელმეორედ ჩასატარებლად და რადიაციული წყაროების ძებნითი სამუშაოების გასააქტიურებლად.

როგორც გაირკვა, 80-იან წლებში სამეგრელოსა და სვანეთში რადიაციული წყაროების დამონტაჟების დამფინანსებელი იყო ენგურჰესის დირექცია, ხოლო შეკვეთას საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფი ასრულებდა. როგორც ირკვევა, ამ საშიშ ნივთიერებაზე მომუშავე კავშირგაბმულობის აპარატურის, ანუ რადიოსარელეო სადგურების დამონტაჟება კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოხდა და რადიოსიგნალების მისაღებად სპეციალურად შეირჩა მაღალი ადგილები. მოგვიანებით, როცა ამ ძნელად მისადგომ ადგილებში გაიყვანეს საკაბელო რადიოხაზები, ძველი რადიოსადგურებისა და მეტად საშიში მათი მკვებავი წყაროების დემონტაჟის საკითხი დადგა. სამწუხაროდ, იმ დროს სამინისტროს ხელმძღვანელობამ თავი არ შეიწუხა. 1991-1994 წლებში კავშირგაბმულობის სამინისტრომ ხსენებული რადიოსადგურების ნაწილობრივი დემონტაჟი მოახდინა, კერძოდ, სადგურებიდან მოხსნეს თეფშის ფორმისა და კონფიგურაციის ანტენები და სხვა ძვირად ღირებული აპარატურა, ხოლო რადიოაქტიური ნივთიერებებისაგან შემდგარი ენერგიის წყაროები იქვე მიატოვეს, როგორც გამოუსადეგარი და მისი არსებობაც დაივიწყეს. ისმის კითხვა: თუ საქართველოს კავშირგაბმულობის მაშინდელმა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მოძებნა ეს რადიოსადგურები და დაშალა კიდეც, მაშინ ამ სამინისტროში დღესაც უნდა იყოს ამ რადიოსადგურების განლაგების და რაოდენობის რუკები. მათი მოკვლევა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის, ხოლო გაუვნებელყოფა საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის საქმეა. სამწუხაროდ, ორივე უწყების ხელმძღვანელობამ დანაშაულებრივი გულგრილობა გამოიჩინა...

როგორც აღვნიშნეთ, რედაქციას აქვს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ საქართველოში მალულად შემოდის რადიოაქტიური ნარჩენებით სავსე კონტეინერები. ეს საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი ყოფილა, განსაკუთრებით ისეთ ჩამორჩენილ და კორუფციამოძალებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. გარემოს დაცვის სამინისტრო ამ ფაქტს კატეგორიულად ვერც უარყოფს და ვერც ადასტურებს. ჩვენი ჟურნალისტი რამდენიმე დღე ელოდა უკრაინის პორტ ილიჩევსკის ხელმძღვანელობისგან ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა მოჰქონდა ბორნით ილიჩევსკიდან ფოთში მომავალ ბორანს, მაგრამ ამაოდ. როგორც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ნუგზარ მაკარანაძემ** შეგვატყობინა: „ამ საკითხზე ჩვენი ორგანიზაციაც აწარმოებს გამოძიებას. თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოში, ასევე აფხაზეთში სისტემატურად შემოდის შხამიანი ქიმიური ნარჩენები, რომელსაც ოფიციალურ საბუთებში აფიქსირებენ როგორც კვების პროდუქტს. სად მიაქვთ ან სად მარხავენ შემდეგ ორასლიტრიან კასრებს, ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ. რადგან როცა ასეთი სახის ტვირთი შემოდის პორტში, იგი იკეტება და შიგ ვერაფრით ვერ შეაღწევ. რაც შეეხება რადიოაქტიურ ნარჩენებს, ამის თაობაზე არაფერი ვიცი. თუმცა არც ეგაა გამორიცხული. რადგან პორტში ვერაფერი გავიგეთ, ახლა მიტოვებული კარიერების შემოწმება დავიწყეთ. ვვარაუდობთ, რომ კასრებს იქ მარხავენ“.

**P.S.**

საქართველო რომ პარადოქსების ქვეყანაა, ეს დღეს არავის უკვირს. მაგრამ რაც ამ დღეებში ჩემთვის გახდა ცნობილი, ყოველგვარ ლოგიკას სცილდება. კერძოდ, პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე აღუძრავს იმ სამი ადამიანის წინააღმდეგ, რომლებმაც რადიოაქტიური წყარო იპოვეს და სახლში წაღებას უპირებდნენ (არ იცოდნენ, რა იყო) და იმდენად მაღალი დასხივება მიიღეს, რომ ექიმებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ მათთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. პროკურატურას რატომღაც „დაავიწყდა“ ბობოლები, რომლებმაც ამ წყაროების გაუვნებელყოფა ვერ ან არ მოახერხეს და უდანაშაულო ხალხი სასიკვდილოდ გაწირეს. სწორედ ასეთ შემთხვევებზეა ნათქვამი „დამნაშავე ყოველთვის მეისრეაო“.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

ხმაურიანი შემოდგომის ფონზე პოლიტიკური ზამთარი უჩვეულოდ მშვიდი გამოდგა, მაგრამ ექსპერტებს ეს სიმშვიდე მეხის გავარდნის წინ წამიერ გარინდებად მიაჩნიათ. პოლიტიკურ ტატამზე წელს „მამათა და შვილთა“ ბრძოლას ელიან. ორთაბრძოლამდე ფალავნები გულშემატკივართა და მომხრეების ბანაკებს ამაგრებენ. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე კომენტარი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეს **დავით ბერძენიშვილს** ვთხოვეთ.

**— 2002 წლის პოლიტიკური მოვლენების პროგნოზირებისას გაისმა, — შევარდნაძე წელს გადადგებაო, რეალურია ასეთი ვარაუდი?**

— არ გამოვრიცხავ. არ იქნებოდა ურიგო, ბოლოდროინდელ მძაფრ პოლიტიკურ პროცესებს რომ მართლაც მოჰყოლოდა შევარდნაძის გადადგომა, თუმცა ესეც ვერ ჩაითვლება ერთადერთ გამოსავლად. ადრე ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას კონკურენტ-პარტნიორები აწონასწორებდნენ. დღეს ვითარება შეიცვალა, ფაქტობრივად, ახლა ყალიბდება პოლიტიკური ბანაკები, რომლებიც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ იქნებიან გადამტერებულნი.

**— ვარაუდობენ სამი პოლიტიკური ბანაკის ჩამოყალიბებას — პირველში ჟვანია-სააკაშვილს მოიაზრებენ, მეორეში — აბაშიძეს, მესამეში კი „ახალ მემარჯვენეებს“.**

— განმსაზღვრელი მაინც ორი ბანაკი იქნება. უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე შევარდნაძე-აბაშიძე კონკურენტ-პარტნიორები იყვნენ, არჩევნების პერიოდში ერთმანეთს ლანძღავდნენ, სხვა დროს კი მშვენივრად თანამშრომლობდნენ. მაგრამ დღეს, სახელისუფლებო ბანაკში ორივენი ერთად იქნებიან.

დღეს უკვე გამოიკვეთა როგორც შევარდნაძის, ისე აბაშიძისაგან დისტანცირებული პოლიტიკური ჯგუფები. ისინი პოსტშევარდნაძისეული პერიოდისთვის გარკვეული პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას ცდილობენ. „აღორძინების“ ჭრელ შემადგენლობას მისი ყველაზე პოლიტიკური ნაწილი, „ტრადიციონალისტები“ ჩამოსცილდნენ. პარალელური პროცესები განვითარდა შარშან შევარდნაძის ბანაკშიც. „რეფორმატორებად“ წოდებული ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ჩამოსცილდა პრეზიდენტს.

**— სააკაშვილის კანონპროექტს „დაუსაბუთებელი ქონების შესახებ“ დღეს ბევრი აკრიტიკებს, ჩვეულებრივი საარჩევნო ფანდია და სინამდვილეში უპერსპექტივოო.**

— ამ კანონპროექტით სააკაშვილმა ძალზე მომგებიანი პოზიცია დაიკავა. თუ ვინიცობაა, გავიდა კანონპროექტი, მისი თუნდაც სანახევროდ პრაქტიკულად განხორციელება სააკაშვილის რეიტინგს აამაღლებს. ხოლო თუ კანონპროექტი პარლამენტში არ გავიდა, ესეც მისი ავტორის რეიტინგს წაადგება. ეს საკმაოდ გონივრული ნაბიჯია. სააკაშვილისთვის უმნიშვნელოვანესია თვითმმართველობის არჩევნები, რათა რეიტინგი შეინარჩუნოს, ამიტომ მისი გუნდი დააჩქარებს ამ არჩევნების ჩატარებას. რეიტინგის იმედი პოლიტიკოსს არ უნდა ჰქონდეს. დიდი შეცდომა დაუშვა „მრეწველთა“ პარტიამ, როცა გასულ შემოდგომაზე არ შეეცადა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას. შეცდომა იყო თოფაძის ჩასვლა აბაშიძესთან, პოლიტიკური გამოუცდელობის ბრალია, რომ მათ აბაშიძის კოალიციასთან თანამშრომლობა არჩიეს. დღეს კი, „მრეწველები“ აღარ არიან ფავორიტები, მათ სააკაშვილის სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ.

საზოგადოებას სჭირდება ძლიერი პოლიტიკური კოალიცია. ასეთი კოალიციის შემქმნელი შეიძლება იყოს სააკაშვილი, მასთან იქნებიან ჟვანია, „ტრადიციონალისტები“. შესაძლოა, „მრეწველებმა“ დამოუკიდებლობა კი შეინარჩუნონ,



მაგრამ მათ გაცილებით მეტი ექნებათ საერთო ამ კოალიციასთან, ვიდრე შევარდნაძე-აბაშიძის გუნდთან.

**— სად იქნებიან „ახლები“, რომელთაც ბოლო დროს ოლიგარქების ინტერესების დამცველ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებას უწინასწარმეტყველებენ?**

— ჩვენი პოლიტიკური თაობა მოიგებდა — თუკი ამ კოალიციასთან „ახლებიც“ ითანამშრომლებდნენ. დამოუკიდებლად საარჩევნო ბარიერს ვერავინ გადალახავს — ორი პოლიტიკური ბანაკიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიონ. თუ „ახლები“ მეორე ბანაკს აირჩევენ, მოუწევთ ურთიერთობა აბაშიძესთან, შევარდნაძის კანცელარიასთან, გუბერნატორებთან, შესაძლოა პატარკაციშვილის ფულსა და მის წრესთანაც. თანამდებობიდან თარგამაძე კი გადადგა, მაგრამ არ გამქრალა, მეორე ბანაკში ყოფნა ნიშნავს ურთიერთობას თარგამაძესთანაც; ჩხარტიშვილიც „ახლების“ ლეგალიზებული წევრი ხდება თანდათან... „ახლები“ ასეთი კონგლომერატისათვის არ მემეტება.

ბევრი იქნება დამოკიდებული რეგიონულ ლიდერებზე — შაშიაშვილსა და მამალაძეზე. შაშიაშვილს დიდი გავლენა აქვს იმერეთში და მის იქითაც, ქვემო ქართლი კი ბევრისთვის ერთგვარ საარჩევნო ურნას წარმოადგენს. შაშიაშვილმა არჩევანი უნდა გააკეთოს, მამალაძესთან კი ჟვანიამ უნდა სცადოს საერთო ენის გამონახვა.

ერთი სიტყვით, 2002-2003 წლებში საქართველოში პოლიტიკური ვატერლოო გაიმართება და ვაი იმას, ვინც წააგებს...

**— ამბობენ, პატარკაციშვილი ადრე თუ გვიან პოლიტიკაში მოვა, ან იმ პოლიტიკურ ძალას წასწევს წინ, რომელიც მისი ინტერესების დამცველი იქნებაო.**

— შესაძლოა საკუთარი უსაფრთხოების მიზნით პატარკაციშვილს მართლაც დასჭირდეს

## „მალე პოლიტიკური ვატერლოო გაიმართება და ვაი იმას, ვინც წააგებს...“

სადეპუტატო იმუნიტეტი. თუმცა მისთვის ეს არ კმარა. იმუნიტეტის გარდა, მას სერიოზული პოლიტიკური ძალაც სჭირდება. არც ის მგონია, პატარკაციშვილი უმიზნოდ ცდილობდეს ქართულ მედიაში ფეხის მოკიდებას. პატარკაციშვილის დაინტერესებასაც „დინამოთი“, საერთოდ ქართული სპორტითა და რიტუალების სასახლით, მხოლოდ ქველმოქმედება არ უნდა ედოს სარჩულად. ამ სფეროებში მას დიდი კაპიტალი აქვს დაბანდებული და უეჭველია, სოლიდურ დივიდენდებსაც ელოდება, არა იმდენად ფინანსურს, რამდენადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურს. პრინციპულად ვეწინააღმდეგები ოლიგარქების ყოფნას პოლიტიკაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა მართვადი, ფულზე დამოკიდებული იქნება. თუმცა ვიცი ისეთი ბიზნესმენებიც, რომელთაც ფული რომ იშოვეს (მაგრამ არა იმდენი, რამდენიც პატარკაციშვილმა), ეხმარებიან თავიანთ რაიონს, სოფელს, მოსახლეობას შუქის ფულს უხდიან, მასწავლებლებს ხელფასს აძლევენ. ის, ვისაც ვგულისხმობ, პოლიტიკაში ჩაბმას არ აპირებს.

**— ბიძინა ივანიშვილზე ბრძანებთ?**

— დიახ. თუ ეს კაცი საჩხერეში დააპირებს კენჭისყრას, მოსახლეობის ხმების უმრავლესობას მიიღებს, მაგრამ ჯერ არ აპირებს ამას.

**— კულისებში ისიც ითქვა, — პატარკაციშვილი და ბერეზოვსკი საქართველოს მომავალ პრეზიდენტს ამერიკასა და ევროპაში ეძებენო.**

— არ მგონია ამ ჭორს რეალური საფუძველი ჰქონდეს. ბუნებრივია, ჯერჯერობით, შევარდნაძის ოჯახს ხელს არ აძლევს შევარდნაძის გადადგომა და არც პრეზიდენტი მგონია ესწრაფოდეს პოსტის დატოვებას. მაგრამ შეიძლება ისეთი ვითარება შეიქნას, რომ შევარდნაძე ჩვენი, პოლიტიკური ძალების დასაცავი გახდეს. ქვეყანას სასიკეთოდ ვერ წაადგება, თუკი პრეზიდენტს ჩაუშესკუსავით გაუსწორებენ ანგარიშს. არც ისე რთული და შეუძლებელია შევარდნაძისაგან ქვეყნის გათავისუფლება და ვიმეორებ, შესაძლოა, წელსაც დადგეს ეს კრიტიკული მომენტი... თუ ეს არ მოხდა, შევარდნაძის გარემოცვა ეცდება, ისეთი საპრეზიდენტო კანდიდატის წარმოჩენას, რომელსაც პრეზიდენტის ოჯახი ენდობა.

**— უკვე ასეთი სქემაც არსებობს — პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი — ზურაბ ჟვანია...**

— ეს ნიშნავს საპარლამენტო რესპუბლიკას, რომლის პრეზიდენტს მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქცია ექნება და ეს მისწრება იქნებოდა ჟვანიასთვის. მაგრამ ეს ტანდემი არ მგონია სანდო იყოს შევარდნაძის ოჯახისთვის. ლაპარაკობენ გია და ლადო ჭანტურიებზე, ირაკლი მენაღარიშვილზე... ვფიქრობ, შევარდნაძის ოჯახის გადასაწყვეტი აღარ იქნება შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრეობა. უფრო აქტიურ, მკვეთრ ცვლილებებს ველოდები და ვფიქრობ, შევარდნაძის რეჟიმს მაქსიმუმ წელიწად-ნახევარში დავძლევთ. უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. თუ თბილისსა და რამდენიმე მნიშვნელოვან ქალაქში შევარდნაძე-აბაშიძის ალტერნატიულმა ძალამ გაიმარჯვა, ეს ხალხი მიიღებს ნდობის მანდატს. ამ შემთხვევაში ძალზე იოლი დასანახი იქნება ანალოგია სერბულ მოდელთან — როცა ჯერ ბელგრადის თვითმმართველობაში გაიმარჯვეს მილოშევიჩის მოწინააღმდეგეებმა და შემდეგ ეს გამარჯვება აქციეს მილოშევიჩის რეჟიმის დამხობის საფუძვლად.

**— მაგრამ საქართველოს შინაპროცესებზე დიდი გავლენა აქვს დასავლეთსა და რუსეთს. ამიტომ საჭიროა შევარდნაძის ალტერნატიულ ძალას მათი მხარდაჭერაც ჰქონდეს...**

— ჩვენს კოალიციაში უმრავლესობა დასავლური ორიენტაციისა. თუ ეს ჯგუფი გაძლიერდება, მის მიმართ ინტერესი გაუჩნდება დასავლეთსა და რუსეთიც იძულებული იქნება წინასწარ წაგებული თამაში არ ითამაშოს...

შევარდნაძე-აბაშიძის ბანაკის აზრით, ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთი აღგვიდგენს, მისი მხარდაჭერით დავიბრუნებთ აფხაზეთს და ქართულ-რუსული ჩექმა გააკონტროლებს სოხუმსო. ამ მოსაზრების რეალიზებას სექტემბერ-ოქტომბერში აპირებდნენ კიდეც. კახა თარგამაძე შევარდნაძის პირად წარმომადგენლად იქცა აფხაზეთისა და რუსეთის საკითხებში. ის ლაპარაკობდა არა როგორც შს მინისტრი, არამედ როგორც პოლიტიკოსი. შემუშავებული იყო გეგმა, რომლის თანახმად, შევარდნაძე ხდებოდა მძევალი და მხარდამჭერი კორუმპირებული ხელისუფლებისა. ახალი მთავრობა განსხვავდება ძველისაგან. ახალ მთავრობაში არ არიან ისეთი ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური ფიგურები, როგორებიც იყვნენ თარგამაძე, ჩხარტიშვილი და თუნდაც ქუთათელაძე. ის, რაც მათ თითქმის განახორციელეს, ჩაშალა სახალხო მღელვარებამ, დემონსტრაციებმა და მთავრობის გადაყენებამ.

ისეთი ხელისუფლება უნდა შევქმნათ, რომელსაც რუსეთიც და დასავლეთიც ანგარიშს გაუწევენ. მხოლოდ ამის შემდეგ მოგვარდება ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.

***იზო რიკაძე***

# „კრემლის ადვოკატი“ — საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?..

## „გამსახურდიამ ეს ყველაფერი აგენტურის მეშვეობით წინასწარ იცოდა...“



პირველობის ამბიციით შეპყრობილი „რაინდი“ ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში არცთუ ცოტა აღმოჩნდა, თუმცა, მათდა სამწუხაროდ, პრეზიდენტის სავარძელი მხოლოდ ერთია და ისიც — ჯერჯერობით, დაკავებული.

„არის რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც ჩემი აზრით, საქართველოს პრეზიდენტობას შეძლებენ“, — აცხადებს შევარდნაძე, ოღონდ არ აკონკრეტებს მათ ვინაობას, — არ მინდა, ერთმანეთი დაჭამონო.

მაინც ვინ იქნება ის რჩეული, რომელზეც ფსონს დადებს არა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე, არამედ მთელი საქართველო?!

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთ წევრთან, რომელიც ამ ბევრისთვის მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ვერსიას ახმოვანებს. მისი თქმით, შევარდნაძის მემკვიდრეზე საუბარი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, სანამ თავად ედუარდ შევარდნაძეს „აკურთხებდნენ“ პრეზიდენტად.

რესპონდენტის თხოვნით მის ვინაობას არ ვამჟღავნებთ.

— დღეს დიდი და პატარა თავს იმტვრევს იმაზე, თუ ვინ გახდება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი. ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ მისი პრეზიდენტობის დროს, 1991-ში იცოდა, რომ ედუარდ შევარდნაძე აუცილებლად ჩამოვიდოდა საქართველოში და პრეზიდენტის სავარძელს დაეპატრონებოდა. ერთხელ მან თქვა — შევარდნაძეს დაეხმარებიან, თბილისში ჩამოიყვანენ და ეს მოხდება სერიოზული გარიგების საფასურად! ყველაზე საინტერესო სწორედ ამ გარიგების შინაარსია. შევარდნაძე მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ გაპრეზიდენტებას შეჰპირდა მას, ვინც საქართველოში ჩამოსვლაში დაეხმარებოდა. ეს პიროვნება აღმოჩნდა თედო პაატაშვილი, რომელიც ამჟამად ფრაქცია „ტრადიციონალისტის“ წევრია და პოლიტიკურ არენაზე მაინცდამაინც არ ხმაურობს. ზვიადიც სწორედ მას გულისხმობდა. დღეს ისეთი სიტუაციაა და მოვლენები ისეთი ტემპით ვითარდება, გამორიცხული არ არის, ეს წინასწარმეტყველება მართლაც ახდეს.

**— ე.ი. შევარდნაძის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი თედო პაატაშვილი გახდება?**

— დიახ. თუ შევარდნაძემ ისიც არ „გადააგდო“. თედო პაატაშვილის გაპრეზიდენტება მაშინ დაიგეგმა, როცა საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰყავდა პრეზიდენტი. ეს მოხდა მოსკოვში. იქ არაოფიციალურად შეხვდა ერთმანეთს ეს ორი პიროვნება: საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი. იმ დროს ზვიადი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. არ ვიცი, მანამდეც იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს შევარდნაძე და პაატაშვილი, მაგრამ, ფაქტია, მაშინ როცა შევარდნაძისადმი საქართველოში არცთუ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იყო, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ისე, რომ ამის შესახებ თბილისში არავინ არაფერი იცოდა.

**— არც გამსახურდიამ?..**

— არც გამსახურდიამ. მან ეს ამბავი მოგვიანებით, პოსტ-ფაქტუმ შეიტყო. ეს კიდევ არაფერი, შევარდნაძე და პაატაშვილი რამდენიმე დღეში პარიზშიც შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ ამჯერად საიდუმლო ვითარებაში. ამის შესახებ გამსახურდიასთვის უკვე აღარ უცნობებიათ. სწორედ იქ დაიწერა შემდგომი მოვლენების სცენარიც. კერძოდ, პაატაშვილი უნდა დახმარებოდა შევარდნაძეს მისი მიზნების განხორციელებაში, სამაგიეროდ კი, ეს უკანასკნელი თედოს თავის მემკვიდრედ გამოზრდიდა.

**— ამ საიდუმლო ინფორმაციას თქვენ საიდან ფლობთ?**

— ეს ინფორმაცია მაშინდელი საბჭოთა აგენტურის მეშვეობით მოვიდა ზვიად გამსახურდიამდე. მან კი ეს ამბავი თავისი უახლოესი გარემოცვის რამდენიმე წევრს გაგვიმჟღავნა.

**— კიდევ რა დეტალებს შეიცავდა ეს ინფორმაცია?**

— როგორც ზვიად გამსახურდიას აცნობეს, პაატაშვილმა შევარდნაძისგან მიიღო რეკომენდაციები, როგორ უნდა გამოეწვიათ „გარკვეულ ძალებს“ საპარლამენტო ქაოსი, მერე როგორ უნდა მოჰყოლოდა ამას თავისუფალი პრესის ვითომდა შეზღუდვის ინსპირირება და ამის გამო აქციების აგორება. ხოლო თუ ეს აქციები არ გაამართლებდა, როგორ უნდა მომხდარიყო გამსახურდიას და მისი ხელისუფლების დამხობა ძალისმიერი მეთოდებით. ბატონმა ზვიადმა აგენტურის მეშვეობით ეს ყველაფერი წინასწარ იცოდა.

**— ცოტა არ იყოს, საკვირველია, რომ ზვიად გამსახურდიას საბჭოთა აგენტურის სჯეროდა.**

— ეგ სხვა საკითხია, ბოლომდე სჯეროდა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი გამართლდა. როდესაც თედო პაატაშვილი შევარდნაძესთან შეხვედრიდან დაბრუნდა, მას უკვე გაუჩნდა გარკვეული მოთხოვნები, პრეტენზიები... მალე „ქარტია-91“-ც ჩამოყალიბდა. სხვათა შორის, ერთ საინტერესო დეტალს გაგიმხელთ — „ქარტია-91“-ის ჩამოყალიბების დროს თედო პაატაშვილს გვერდში ამოუდგნენ ედუარდ შევარდნაძის ძმისშვილები. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი იყო კაკო შევარდნაძე, ხოლო ლავროსი შევარდნაძე — „ქარტია-91“-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და იდეოლოგი გახლავთ.

**— სხვათა შორის, ვინც იმ პერიოდში შევარდნაძესთან დადიოდა მოსკოვში, მერე ყველას წამოაყვედრა — კარს მიტალახებდითო. თედო პაატაშვილი ამ კონტექსტში არასდროს უხსენებია...**



— იმიტომ რომ თედოს „ჩაშვება“ მის ინტერესში არ შედის. ვინც მოსკოვში შევარდნაძესთან ჩადიოდა — სარიშვილი იქნებოდა, ჭანტურია თუ ბათიაშვილი — ყველა იქით ეხვეწებოდა, საქართველოში ჩამოდი, რამე გვიშველეო. რაც შეეხება პაატაშვილს, ამის აღიარება არც შევარდნაძეს აძლევს ხელს და, ცხადია, არც თვითონ პაატაშვილს. ხომ იცით, ჩვენს პრეზიდენტს რა ზნე სჭირს? — ვისი გაფუჭებაც უნდა, მარტო მის სახელს „დაამღერებს“ ხოლმე. ამის კლასიკური მაგალითია ჟვანიას გაპრემიერმინისტრებაზე მისი ე.წ. ვიზა. სინამდვილეში მან ვიზა ჟვანიას დასამარებას დაადო. თედო პაატაშვილს დღეს პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა უკავია და საკმაოდ ხშირად დადის მივლინებით თუ სხვა ოფიციალური ვიზიტით სხვადასხვა ქვეყანაში. ეს მომენტი გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლავთ — საერთაშორისო არენაზე მან გარკვეული იმიჯი უნდა შეიქმნას. ზვიადი ამბობდა — თედო იქნება ის „გადანახული დროშა“, რომელსაც, როდისააფრიალებს შევარდნაძე, კაცმა არ იცისო!

„კვირის პალიტრამ“ საჭიროდ მიიჩნია, ამ საკითხზე თავად **თედო პაატაშვილსაც** გასაუბრებოდა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 30)***

# „თუ რუსეთი აფხაზეთს დააბრუნებს, ჩეჩნები დღესვე დავტოვებთ საქართველოს“

***რატომ მოხდა ისე, რომ მხოლოდ ნარჩემაშვილმა შეძლო გასულ კვირას ბლოკ-პოსტების პანკისის ხეობის სიღრმეში გადაწევა. რატომ ვერ მოახერხა ეს კახა თარგამაძემ, მით უფრო მაშინ, როდესაც მასმედია და მისი ოპოზიცია პანკისის თემას დღენიადაგ ცხვირში სჩრიდა. არადა კახა თარგამაძე ის ფიგურა გახლდათ, რომელსაც ყველაზე მეტად არ სურდა სავარძლის დათმობა.***

***ყოველივე ამის ფონზე, საქმის არსში კარგად ჩახედული ადვილად მიხვდება, რომ დღეს პანკისში ახალი ტალღის აგორებით ხელისუფლებამ მორიგი თამაში დაიწყო. რა დგას ამის უკან, რა ჩაიფიქრა ედუარდ შევარდნაძემ და რას მივიღებთ შედეგად — დამნაშავეთაგან გაწმენდილ ტერიტორიას თუ რუსეთის პროვოკაციაზე წამოგებულ ახალ ცხელ წერტილს, ამისი წინასწარმეტყველება ძალიან ძნელია. კულუარული ინფორმაციით, — ქართულმა მხარემ აფხაზეთის სანაცვლოდ ჩეჩნებს უნდა დაატოვებინოს საქართველო. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ცნობის უტყუარობის შემთხვევაში, ქართული მხარე კიდევ ერთხელ დარჩეს რუსეთისგან გაცურებული. დღევანდელი გადასახედიდან კი ფაქტი ის არის, რომ ხელისუფლებამ თავისი მოსახლეობა კიდევ ერთხელ დააყენა რისკის წინაშე, რასაც შესაძლოა, ჩეჩენი, ქისტი და ქართველი ხალხების სერიოზული დაპირისპირება მოჰყვეს. რუსეთის მიზანიც ეს არის. ამ საკითხებთან დაკავშირებით „კვირის პალიტრა“ ესაუბრა ჩეჩნეთის წარმომადგენელს საქართველოში ხიზრი ალდამოვს.***

**— ბატონო ხიზრი, თქვენი და პარლამენტარ ელიზბარ ჯაველიძის ჩასვლამ პანკისში დიდი ხმაური გამოიწვია. გავრცელდა ხმა, კრიმინალებმა გაიტაცესო. რა იყო ამ ჭორის საფუძველი?**

— ეს ყველაფერი ძალიან გამიკვირდა. მე მაქვს ჯეოსელის ტელეფონი, რომელიც ხეობაში სიგნალს არ იჭერს... ჩვენ ორი მანქანით წავედით. ჯაველიძე „მერსედესში“ იჯდა. მე მათ უკან „ვოლგით“ მივყვებოდი. მართალი გითხრათ, ძალიან გავწვალდით, რადგან ისინი სწრაფად მიდიოდნენ და ჩვენ ძლივს ვეწეოდით. სოფელ ქისტაურთან ნაცნობი შეგვხვდა. ბატონ ელიზბარს ტელეფონით ვთხოვე, მოგვიცადეთ-მეთქი. ისინი (ჯაველიძე, აბრალავა, ნადირაძე) 500-600 მეტრით გაგვცდნენ. მალე ახმეტაში უნდა შევსულიყავით. დავინახე მათი მანქანა. ამ დროს „06“ მარკის ჟიგულმა გაიარა და გვერდით გაჩერდა. თავიდან ყურადღება არ მიგვიქცევია. მივედით თუ არა, ისინი წავიდნენ. მერე ელიზბარმა მითხრა, — შევკამათდითო. თავიდან საბუთები მოუთხოვიათ. ამათ არ უჩვენებიათ. მერე თავადვე მოსთხოვეს თურმე დოკუმენტები ჟიგულის მგზავრებს. უარი მიიღეს. ამის გამო კამათი მოუვიდათ. ჩემი მანქანა რომ დაინახეს, წავიდნენ... ავედით ხეობაში. ტელეფონი გაითიშა. იქ შევხვდით მოსახლეობას, ტელევიზიის სხვადასხვა არხის კორესპონდენტებს... მერე ვიქეიფეთ. მთელი ხეობა თან გადაგვყვა. ხალხს უხაროდა. ორი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევა იყო, როცა საპარლამენტო დელეგაცია იქ ჩავიდა. ხალხმა რომ ყურადღება იგრძნო, იმედი მიეცა. სიმართლე რომ გითხრათ, წინასწარ არც გაგვიფრთხილებია იქაურები, ჩამოვდივართ-მეთქი. უკან რომ მოვდიოდით, ერთმა ჩემმა მეგობარმა დამირეკა, — ხიზრი, რა ხდება? მართალია, რომ გაგიტაცესო?! სხვებმაც დამირეკეს. სანამ თბილისში ჩამოვიდოდი, ხუმრობა მეგონა. შინ გაგიჟებულები დამხვდნენ და მივხვდი, რომ ჭორი გავრცელდა... ცხრა კაცი ვიყავით, ვის უნდა გავეტაცებინეთ? შეიძლება ამ ჭორის სათავე ჟიგულის მგზავრებთან შეკამათება და საბუთების მოთხოვნა იყო.

**— ბატონო ხიზრი, მაინტერესებს თქვენი, როგორც ჩეჩნეთის წარმომადგენლის, კომენტარი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება დღეს პანკისში?**

— ჩვენ კობა ნარჩემაშვილი იქ სამი დღის ჩასული დაგვხვდა. ხალხს უხაროდა — ნარჩემაშვილმა სიტყვა მოგვცა და გვეშველებაო. იქაური მოსახლეობა მზად არის, მხარში დაუდგეს მას.

**— ბატონო ხიზრი, ერთი შეხედვით, კობა ნარჩემაშვილი კახა თარგამაძესთან შედარებით მაინცდამაინც ძლიერ პიროვნებად არ გამოიყურება. არადა, ბლოკ-პოსტების გადაწევა მხოლოდ მან მოახერხა...**

— ბლოკ-პოსტების გადაწევით ნუ გგონიათ რომ ყველაფერი მოწესრიგდა. ამაზე არ არის ლაპარაკი. ათასი ნარჩემაშვილი რომ დააყენო და ათასი თარგამაძე მოხსნა, ამით არაფერი შეიცვლება. თარგამაძეც ჩადიოდა პანკისში და ჯახირობდა რაღაცას, მაგრამ მე რასაც ვამჩნევდი, უშიშროება და შსს ერთმანეთს ჯიბრში ედგნენ. პანკისში ჩასულს მეუბნებოდნენ, — ეს იმის ხალხია, ეს ამის ხალხია, ესენი პრეზიდენტს ცრუ ინფორმაციას აწვდიანო...

**— ანუ უშიშროებასა და შსს-ს შორის ინტრიგები იყო?**

— ასე გამოდიოდა, რადგან სხვადასხვა მხარეს იყურებოდნენ. ახლა ხაბურძანიასა და ნარჩემაშვილთან მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს — ორივე ახალგაზრდა თუ გვერდიგვერდ დადგებიან, მე მგონი, პანკისის პრობლემა აღარ იარსებებს. თარგამაძეზე, დაწყებული თევდორაძიდან, მთელი პარლამენტი გადაკიდებული იყო. მე თევდორაძისა მიკვირს, რა ადამიანის უფლებებს იცავს ქალი, რომელიც დამნაშავეს ხვდება ხეობაში და მოსახლეობას არა?!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ თევდორაძე მარგოშვილს რომ შეხვდა, შეცდომა დაუშვა?**

— შეცდომაა, აბა, რა არის? სოფელს გვერდს უვლი და სადღაც მიდიხარ...

**(გაგრძელება იხ გვ 13)**




# კახნიაურს მსხვილი ოქროს სამაჯური არ უხდებაო...



*ის, რაზეც არაერთხელ დაუწერია „კვირის პალიტრას“, როგორც იქნა, შესრულდა — შინაგანი ჯარის საგუშაგოები უშუალოდ პანკისის ხეობის შესასვლელებში განთავსდა. მოიხსნა საგუშაგო სოფელ მატნის თავში, ბახტრიონსა და ჩაჩხრიალაზე. სამაგიეროდ, ოთხმა ახალმა გამშვებმა პუნქტმა უნდა გააკონტროლოს ხეობის პერიმეტრი დუისის ხიდთან, წინუბანთან, ქორეთთან და ყვარელწყლის ფონთან.*

*ახმეტის რაიონის გამგებელს პავლე ცაძიკიძეს მიაჩნია, რომ ამ საგუშაგოების გადატანით საჭირო საქმე გაკეთდა:*

— ჩვენ დუისელ ქისტებსაც შევხვდით, ასე 80 კაცამდე იქნებოდა შეკრებილი, — გვითხრა მან, — მათაც მოიწონეს ეს. საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. შემდეგ ეტაპზე უნდა განხორციელდეს ოპერატიულ-საძიებო ღონისძიებები, პანკისის ხეობაში 70-80 ძებნილი მაინც არის. სამართალდამცავებმა მათ დაკავებასთან ერთად უკანონო იარაღიც უნდა ამოიღონ.

კოცონთან თავშეყრილი მატნელები ცოტა სხვა აზრისანი არიან შინაგანი ჯარების საგუშაგოების ეფექტიანობაზე და შემოგვჩივლეს:

— თავიდან, სამხედროების ჩადგომის მერე, ზოგი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. დაცვის გარანტი გაგვიჩნდა. გავიდა რამდენიმე თვე და გუშაგებსა და პანკისელებს შორის ერთგვარი დაახლოება დაიწყო — ზოგჯერ პანკისიდან წამოსული მანქანა საგუშაგოს შორიდან შუქფარების ციმციმით ანიშნებდა — გამატარეო და დაუბრკოლებლადაც გადიოდნენ. ისიც გვინახავს, ზრდილობიანი ქართველი მძღოლისთვის მანქანა ძირისძირობამდე გაუჩხრეკიათ, ხოლო თავხედურად წამოსული ქისტები შეუმოწმებლად გაუტარებიათ. აქ, მატანში სოფლელების თვალწინ მაინც იყვნენ ჯარისკაცები, ახლა, დუისის შესასვლელთან რა მოხდება — ვინ ვის დაუახლოვდება, არავინ იცის.

ასეა თუ ისე, შინაგანი ჯარების საგუშაგოების პანკისის ხეობის შესასვლელთან გადატანა მაშინ იქნება ეფექტიანი, თუკი ეტაპობრივად დაიწყება ოპერატიულ-საძიებო ღონისძიებები ხეობაში ძებნილების დასაკავებლად — ეს საგუშაგოები ერთგვარ ზურგს შეუქმნის ხეობაში შესულთ.

ახმეტის რაიონში ჭორად დადის, — გატაცების მცდელობას ვერც რუსლან გელაევი გადაურჩაო. მის მანქანას ღამის სიბნელეში ექვსი ავტომატიანი — ოთხი ქისტი და ორი ჩეჩენი გადასდგომია. გელაევს და მის ხალხს გამტაცებლები შეუბოჭია, სოფლის შუაგულში დაუყრია და ადათისამებრ ხელების დაჭრას უპირებდნენ თურმე, მაგრამ ბოლოს გადაუფიქრებიათ...

ქართველი „ავღანელების“ აქციის ლიდერის ნუგზარ კახნიაურის მისამართით კი რედაქციაში რამდენიმე ერთნაირი სატელეფონო ზარი გაისმა — სამხედრო ფორმაში გამოწყობილი „ავღანელი“ კახნიაურის მაჯაზე მოელვარე მსხვილ, ოქროს სამაჯურს ერთგვარი დისონანსი შეაქვს იმ საჭირბოროტო მოთხოვნებში, რომლებსაც „ავღანელები“ აყენებენო (ერთი სიტყვით, მეომარს ასეთი რამეები არ უხდებაო).

თავად ნუგზარ კახნიაურმა ასე გვიპასუხა, — ეს სხვებსაც უთქვამთ და ურჩევიათ, მოიხსენიო, მაგრამ მეგობრის სახსოვარია და ამიტომაც მიკეთია...

# სეპარატისტები ერთმანეთს სამხედრო დახმარებას ჰპირდებიან

ყოფილ საბჭოთა სივრცეში ოთხიოდე სეპარატისტული ანკლავია დარჩენილი და აქედან ორი — „ბედნიერ“ საქართველოზე მოდის.

ყელიყელგადაჭდობილი სეპარატისტი ხელისუფალნი ერთმანეთს ხშირ-ხშირად ულოცავენ „დამოუკიდებლობის“ დღეს. მარტო მილოცვები რომ იყოს, კიდევ არა უჭირს — ისინი ერთმანეთს სამხედრო დახმარების აღმოჩენასაც დაჰპირდნენ, თუკი რომელიმე პოსტსაბჭოური რესპუბლიკა — მოლდოვა, საქართველო თუ აზერბაიჯანი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ეცდება.

დნესტრისპირეთს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა თუ მთიან ყარაბაღს საერთო საზღვარი არა აქვთ, მაგრამ ეს არ აბრკოლებთ, ურთიერთს იარაღის პარტიები ან მებრძოლთა ჯგუფები მიაშველონ.

„კვირის პალიტრა“, მოლდოვის სპეცსამსახურების გავრცელებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, უკვე წერდა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების — „გრადების“ დნესტრისპირეთიდან აფხაზეთში მიწოდების შესახებ. ეს ოპერაცია სავარაუდოა, საზღვაო გზით განხორციელდა.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აფხაზეთის ომში დნესტრისპირელი სამხედრო სპეციალისტები აფხაზების მხარეზე იბრძოდნენ, ისევე როგორც ცხინვალელი ოსების მცირე ჯგუფი. სხვა ინფორმაციის თანახმად, მთიან ყარაბაღში გამოცდილი სეპარატისტები გამოცდილებას აფხაზებსაც უზიარებდნენ.

როგორც ჩანს, ოთხივე სეპარატისტული წყობის წარმომადგენელი ერთმანეთს გამოცდილებასაც უზიარებდა და რეალურ სამხედრო დახმარებასაც უწევდა. ამიტომაც მათი ამჟამინდელი განცხადებების განხორციელება სრულიად შესაძლებელია.

სხვა საკითხია, რას მოიმოქმედებენ ამ დროს თავად დამოუკიდებელი ქვეყნები — მოლდოვა, საქართველო და აზერბაიჯანი. აგრეთვე უკრაინა და, რა თქმა უნდა, რუსეთი. უკრაინის საჰაერო თუ საზღვაო სივრცის გავლის გარეშე დნესტრისპირელები ვერ დაეხმარებიან თავიანთ „სეპარატისტ“ ძმებს. აფხაზებსა თუ ოსებს, ცხადია, ასეთ დახმარებას სწორედ რუსეთის ტერიტორიიდან აღმოუჩენენ, ხოლო ყარაბაღისთვის ერთადერთ გზად სომხეთი რჩება.

მსოფლიო ახალი მოწყობის ფაზაში გადადის, რომელსაც სეპარატისტული წარმონაქმნები არ მოერგება. ამის ფონზე ცოტა უცნაურად ჟღერს თავად სეპარატისტთა დაქადნება — ხელი არ გვახლოთ, თორემ ერთმანეთს მხარში დავუდგებით და მერე ნახეთო.

თუ ეს მართლაც განხორციელდა, პირველ რიგში ისევ საქართველოს გაუჩნდება ახალი პრობლემები — აფხაზეთის ძალით დაბრუნების შემთხვევაში ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება სოხუმში გაგზავნის დამხმარე ძალებს ან ცხინვალიდან შიდა ქართლისკენ წამოიწყებს „ოტვლეკაიუში მანიოვრს“?

# იქით კოდორი, აქეთ პანკისი...

## ერთგან ჯარის შეყვანას გვთხოვენ, მეორიდან — გამოყვანას.

გასულ კვირას არცთუ სახუმარო დებატები გაიმართა პარლამენტში. დახურულ კარს მიღმა მსჯელობდნენ ქართული არმიის დანაყოფების კოდორის ხეობიდან გამოყვანის მიზანშეწონილობაზე.

თუმცა, საკამათო არც არაფერი იყო, რადგან წინა დღეს საგანგებო საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეხვედრაზე ხელი მოაწერა ოქმს, რომელიც ქართულ მხარეს ავალდებულებს, თავდაცვის სამინისტროს დანაყოფების კოდორის ხეობიდან გამოყვანას.

რა თქმა უნდა, არასერიოზული იქნება იმის მტკიცება, რომ მინისტრმა კაკაბაძემ საკუთარი ინიციატივით მოაწერა ხელი ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, უფრო სავარაუდოა, რომ მას ეს საქმე ოფიციალური თბილისის ყველაზე მაღალი ეშელონიდან საგანგებოდ დაავალეს.

არადა გაეროს წარმომადგენლებიც და აფხაზური მხარეც ითხოვს იმ ხელშეკრულებების შესრულებას, რომელიც ქართულმა მხარემ 8 წლის წინ თავის თავზე აიღო.

იმ ხელშეკრულებების თანახმად, არც აფხაზურ მხარეს აქვს შესრულებული ყველა დანაპირები, მაგრამ მას ოფიციალური თბილისი, როგორც წესი, ინერტულად აპროტესტებს.

რატომ უნდათ აფხაზებს დალის ხეობიდან იმ ორასი თუ სამასი ქართველი სამხედროს სასწრაფოდ გამოყვანა, რომელიც იქ შარშან შემოდგომაზე ფორსირებული წესით გადაისროლეს?

კოდორის ხეობის მიმართულება ყოველთვის ძალზე საშიში იყო სეპარატისტული სოხუმისთვის, რაზეც სწორედ ამ მხრიდან განხორციელებული ბოლო პარტიზანული შეტევაც მოწმობს.

აფხაზებს ამ ხეობის ქართული სოფლები ყოველთვის ყელში გაეჩხირება, რადგან სანამ ეს ტერიტორია მათი არ იქნება, იძულებულნი იქნებიან, ამ მიმართულებით ყოველთვის ჰყავდეთ მნიშვნელოვანი ძალები. გარდა ამისა, ლათას ხეობაში შეყვანილ შორსმსროლელ არტილერიას შეუძლია თავად სოხუმსაც მისწვდეს.

ქართულმა საარმიო დანაყოფებმა, შეთანხმების თანახმად რომ დატოვონ ხეობა, ზამთრის პირობებში შეტევის განხორციელება აფხაზებს მაინც ძალიან გაუჭირდებათ. საქმე შემდეგშია — ხიდას უღელტეხილი სამანქანო მიმოსვლისთვის დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია. ერთადერთი გზა, საიდანაც შეიძლება დატოვონ ქართულმა დანაყოფებმა ხეობა, მხოლოდ საჰაეროა. მაგრამ რამდენიმე ასეული კაცის საშტატო შეიარაღებითურთ გამოყვანას არც ისე მცირე საავიაციო საწვავი და შვეულმფრენები სჭირდება. სწორი არ იქნება, თუკი ქართველი გენერლები საწვავის ისედაც მწირ მარაგს შეტევის ან ჯარის სწავლების მაგივრად, ამ დანაყოფების ევაკუაციაზე დახარჯავენ. ამასთან, ხეობაში ჩარჩება ის სატვირთო ავტომობილები და სხვა მძიმე აღჭურვილობა, რომელთა შვეულმფრენებით გამოყვანა შეუძლებელია.

ჭუბურხინჯში ხელმოწერილი ოქმის თანახმად, უნდა განახლდეს გაეროს პატრულირება კოდორის ხეობაში და ჩატარდეს ინსპექტირება ლათასა და ტყვარჩელში. თუკი იქ აფხაზურ მხარეს აღმოაჩნდება მძიმე საბრძოლო ტექნიკა, მაშინ გაერო მათ მოშორებასაც მოითხოვს.

ეს ქაღალდზე ჩანს მარტივად, თორემ სამანქანო გზით გაყვანილი ტანკი მეორე დღესვე დაბრუნდება ლათაში, მაშინ როდესაც დამატებითი ქართული დანაყოფების კვლავ იმავე აჟარაში გადასხმას საფრენი ამინდის ლოდინი სჭირდება.

***ირაკლი ალადაშვილი***

# რუსი სამხედროები შტაბს გვიტოვებენ



რუსული შტაბის რკინის ღობე ჯერ კიდევ ნადიბაიძემ მოშალა.

ბოლო ხანს გავრცელებული ცნობის თანახმად, ზაფხულამდე გამოთავისუფლდება ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების — ГРВЗ-ს შტაბი, რომელიც ვაკე-საბურთალოს გზასაყარზე მდებარეობს.

შტაბს და კერძოდ, მის შენობას ნებისმიერი სამხედრო შენაერთისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გამონაკლისი არც ეს შტაბია, რომელშიც მერამდენე ათეული წელია, განთავსებულია „ტვინი“, რომელიც მართავს ამ რეგიონში დისლოცირებულ მსხვილ სამხედრო შენაერთებს.

დღეს არის ეს ათსართულიანი შენობა ნახევრად ცარიელი, თორემ „ცივი ომის“ დროს აქ მუშაობა დუღდა — მზადდებოდა ბრძანებები ჯარების სამართავად, იქმნებოდა ოპერატიული რუკები სამხედრო წვრთნების ჩასატარებლად და ა.შ.

მაგრამ, რაც მთავარია, ამ შენობას აქვს გასაიდუმლოებული მიწისქვეშა ბუნკერები სთადარიგო სამართავი პუნქტების განსათავსებლად. დახალოებით ასეთი მიწისქვეშა სათადარიგო შტაბი მცხეთაში ე.წ. ტოლბუხინის აგარაკთანაც არის.

რუსული სამხედრო შტაბის ლიკვიდაციას მკითხველი მოსკოვის კეთილ ნებად ნუ მიიჩნევს — ბოლო წლებში ამ შტაბში მოსამსახურეთა რიცხვმა — როგორც სამხედროების, ისე სამოქალაქო პირებისა, ძალიან იკლო. ეს გამოიწვია საქართველოში ჯერჯერობით დარჩენილი ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებში პირადი შემადგენლობის რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებამ და ყველაზე მნიშვნელოვანი ვაზიანის ბაზის გაუქმებამ.

არადა ГРВЗ-ს სამხედრო მოსამსახურეები, როგორც დაძაბულ რეგიონში მყოფნი, ხელფასთან ერთად იღებდნენ ფულად დანამატს. ეს კი ჩვენეთში მებრძოლი რუსი ოფიცრების სამართლიან პროტესტს იწვევდა — ჩვენ ყოველდღე სისხლს ვღვრით, ეგენი კი გემრიელ ქართულ ღვინოს შეექცევიან და დანამატსაც იღებენო.

სხვათა შორის, როდესაც ორიოდე წლის წინ მოსკოვი დაჟინებით მიგვიწოდებდა ერთობლივი სამხედრო ოპერაცია ჩაგვეტარებინა პანკისის ხეობაში, ამის პირველი მონინააღმდეგე სწორედ ГРВЗ-ში მოსამსახურე რუსი ოფიცრები იყვნენ.

ГРВЗ-ს შტაბის ლიკვიდაციის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში დარჩენილი სამი რუსული სამხედრო ბაზის (12-ე, 62-ე და 137-ე) მართვა ერევნიდან განხორციელდება. იგი ისედაც არის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის — СКВО-ს ოპერატიულ დაქვემდებარებაში, რაც დღეისათვის თბილისში მყოფ რუს გენერლებს სულაც არ ეჭაშნიკებათ და ძალიან გაუხარდებოდათ, თუკი ისინი პირდაპირ მოსკოვს დაექვემდებარებიან, როგორც ეს გუდაუთაში მოხდა.

# ჩინელები ამერიკას დაემუქრებიან, — თვლიან C.I.A.-ში

11 სექტემბრის საჰაერო ტერაქტების შემდეგ თეთრი სახლი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავისი ქვეყნის საჰაერო თავდაცვას. ამის დასტურია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის 1972 წლის ხელშეკრულებიდან გამოსვლაც, რადგან იგი აფერხებდა ამერიკელებს, უფრო თანამედროვე „ქოლგით“ დაეცვათ საკუთარი საჰაერო სივრცე.

ახალ ამერიკულ ანტისარაკეტო სისტემას თავდაპირველად ძალზე გაუჭირდება რამდენიმე ათასი რუსული ბირთვული ქობინის „მოგერიება“, მაგრამ თავისუფლად შეუძლია ჰაერშივე გაანადგუროს ის ათეულობით მუხტი, რომელთა აშშ-სთვის დაშენაზე რამდენიმე ქვეყანა ნამდვილად ოცნებობს.



ჩინელები ბირთვული ძალის დემონსტრირებას არ ერიდებიან

თავად აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში ფიქრობენ, რომ უპირველესად ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება ჩრდილოეთ კორეა და ირანი, თუმცა ამერიკელი სპეციალისტები არც ჩინეთის მზარდი სარაკეტო პოტენციალიდან მომდინარე საფრთხეს გამორიცხავენ.

ფაქტობრივად, დღეისათვის ჩინეთი, რუსეთისა და აშშ-ის შემდეგ, მესამე ქვეყანაა, რომელსაც ბირთვული ტრიადის სამივე კომპონენტი გააჩნია — ბალისტიკური რაკეტების, ბომბდამშენებისა და წყალქვეშა ნავების სახით (დიდ ბრიტანეთს სტრატეგიული ბირთვული იარაღი მხოლოდ ატომურ წყალქვეშა ნავებზე აქვს განთავსებული, ხოლო საფრანგეთმა ალბიონის პლატოდან უკვე დაიწყო თავისი ბალისტიკური რაკეტების მოხსნა).

ჩინეთის ბირთვულ სახელმწიფოდ გარდაქმნას სტალინმა ჩაუყარა საფუძველი, როდესაც მაო ძედუნს გადასცა გერმანული ნაალაფარი „ფაუ-2“ რაკეტის საბჭოთა ანალოგი Р-2.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ჩინეთთა დახმარება ინერციით გრძელდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობას ნიკიტა ხრუშჩოვი გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა, ურთიერთობას არ აფუჭებდა მასთან, რადგან მოსკოვი ატომური ბომბისა და ბალისტიკური რაკეტების სქემებს უგზავნიდა.

მოსკოვსა და პეკინს შორის დაპირისპირება მაშინ გამწვავდა, როდესაც 1959 წელს ჩინელებმა საბჭოთა სპეციალისტებს არ გადასცეს იმ დროისათვის უახლესი ამერიკული „ჰაერი-ჰაერი“ კლასის AIM-9 „საიდუინდერის“ ტიპის რაკეტა. ჩინური „მიგებისა“ და ტაივანური „სეიბრების“ საჰაერო ბრძოლის დროს ტაივანელი პილოტის ნასროლი „საიდუინდერი“ მიზანს ასცდა და ჩინეთის ტერიტორიაზე უვნებლად დაეცა. ჩინელები თავადვე აპირებდნენ ამ რაკეტის კოპირებას და იგი მოსკოვს დაუმალეს, მაგრამ ეს ამბავი მაინც მისწვდა ГРУ-ს აგენტურის ყურს. ჩინელებზე გაბრაზებულმა ხრუშჩოვმა პეკინს შეუწყვიტა Р-12 ტიპის ბალისტიკური რაკეტების ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა (ეს სწორედ ის რაკეტებია, რომლებიც კარიბის კრიზისის დროს მოსკოვმა კუბაში შეიტანა და ჩრდილოეთ ამერიკას დაუმიზნა).

ასე იყო თუ ისე, საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩინეთი ბირთვული ქვეყანა გახდა — პირველი ჩინური ატომური ბომბი 1960 წლის 16 ივლისს გამოიცადა.

დღეს ჩინელების ყველაზე თანამედროვე ბალისტიკურ რაკეტაა DF-31 („დუნ ფენი“-31, რაც ქართულად „აღმოსავლეთის ქარს“ ნიშნავს). ეს სამსაფეხურიანი მყარსაწვავიანი ბალისტიკური რაკეტა სამი წლის წინ მიიღეს შეიარაღებაში. მან 8 ათასი კმ შეიძლება გადალახოს და მიაღწიოს აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს, ალასკას ან ჰავაის კუნძულებს. მის ბირთვულ ქობინს 250 კტ ტროტილის ეკვივალენტის სიმძლავრე გააჩნია, ხოლო მიზანს სავარაუდოდ სცილდება არა უმეტეს 600 მ-ით (საუკეთესო ამერიკული და რუსული ბალისტიკური რაკეტების ქობინებისთვის ეს 170-220 მ-ს არ აღემატება).

პეკინს დაგეგმილი აქვს ახალი DF-41 ტიპის კონტინენტათაშორისი ბალისტიკური რაკეტების წარმოება, რომელთა სროლის სიშორე 12 ათას კმ-ს მიაღწევს, ანუ ჩინელებს შეეძლებათ „ბირთვული ხელკეტით“ დააშინონ არა მარტო ევროპისა და რუსეთის უდიდესი ნაწილი, არამედ თავად აშშ-ის თითქმის ყველა დიდი ქალაქი.

# არსენალი „პარაბელუმის“ საიდუმლოებანი

ამ, ერთი შეხედვით უცნაური ფორმის პისტოლეტს სახელიც შთამბეჭდავი ერქვა — PARA BELLUM (ემზადე ომისთვის), მისი შექმნის და წარმოების ისტორიაც არ ყოფილა ორდინარული.

„პარაბელუმი“ წელს ერთი საუკუნისა ხდება, თუმცა მიუხედავად ამისა, ძალზე პოპულარული რჩება არა მარტო კოლექციონერებს, არამედ სამხედრო სპეციალისტთა შორისაც.

მისი „მამა“ ამერიკაში გადასახლებული გერმანელი კონსტრუქტორი ჰუგო ბორხარდი იყო. „პარაბელუმის“ სახელს ხშირად უკავშირებენ ასევე ცნობილ კონსტრუქტორ გეორგ ლუგერს, რასაც გარკვეული საფუძველი გააჩნია — გასული საუკუნის დასაწყისში სწორედ მან დახვეწა და გააუმჯობესა ეს იარაღი.



**ჩვენი დოსიე:** P 08 Para bellum-ი ერთ-ერთი პირველი თვითდამტენი, 9 მმ კალიბრის პისტოლეტი იყო. მისი ლულის სიგრძე 10,2 სმ გახლდათ, ხოლო საზღვაო ვარიანტისა — 15 სმ-ს აღწევდა. კარგი მსროლელი 50 მ-იდან ტყვიას 5 სმ რადიუსის მქონე წრეში არტყამდა.

თავდაპირველად „პარაბელუმი“ 7,65 მმ კალიბრის ტყვიებისთვის იყო გაანგარიშებული. მოგვიანებით პისტოლეტის კალიბრი 9 მმ-მდე გაიზარდა და შესაძლებელი გახდა ახალი ვაზნების გამოყენება, რომლებიც ისტორიაში სწორედ Para-ს ან „ლუგერის“ სახელით შევიდა.

„პარაბელუმების“ წარმატების ამბავმა რუსეთამდეც მიაღწია. ოფიცრებს მეფემ ნება დართო, საკუთარი ხარჯით შეეძინათ ეს პისტოლეტი.

იგი არანაკლებ პოპულარული იყო საქართველოს გუბერნიაშიც. ქართველი თავადაზნაურები არაფერს იშურებდნენ, ოღონდ კი ქამარზე „პარაბელუმი“ ჩამოეკიდათ. ეს სიამოვნება კი ამპარტავან, თავმომწონე ოფიცრებს 45 ოქროს მანეთი უჯდებოდათ.

„პარაბელუმმა“ სახელი მას შემდეგ უფრო გაითქვა, რაც ჰიტლერის ბრძანებით დაიწყო SS-ისა და ვერმახტის ოფიცრების ამ ტიპის პისტოლეტებით აღჭურვა. ამისათვის 1934 წლიდან „მაუზერის“ ქარხნებმა გააფართოვეს „პარაბელუმების“ წარმოება. მსოფლიო ომის დასაწყისისთვის (1939 წლის 1 სექტემბერი) ვერმახტის შეიარაღებაში ნახევარ მილიონზე მეტი „პარაბელუმი“ იყო. მისი წარმოება 1942 წლამდე გაგრძელდა, შემდეგ იგი Р38 „ვალტერმა“ შეცვალა. სულ შეიარაღებაში მიიღების დროიდან გერმანიამ 2 მლნ 620 ათასამდე P08 „პარაბელუმი“ გამოუშვა.

მისი უპრავლესობა, ნაალაფარის სახით, საბჭოთა მეომრებმა გერმანიიდან შინ წამოიღეს. ასე მოხვდა „პარაბელუმის“ არც ისე მცირე რაოდენობა საქართველოშიც. თუმცა НКВД-ს მიერ დაშინებულ ყოფილ მებრძოლებს თავიანთი სიამაყე პისტოლეტი საგულდაგულოდ ჰქონდათ გადამალული, მაგრამ ბევრმა „პარაბელუმმაც“ „სიცოცხლე“ ეზოს ჩუმმაში „დაამთავრა“, რათა ხელში არ ჩავარდნოდა გასამხრეკად მოსულ „ენკავედეშნიკებს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველი მდივნის, ლეონიდ ბრეჟნევისათვის „მაუზერის“ ფირმამ საგანგებოდ დაამზადა ერთი მოოქრული „პარაბელუმი“. როგორც ამბობენ, ბრეჟნევი ძალიან ამაყობდა ამ საჩუქრით და ნადირობის დროსაც თან დაჰქონდა...



ვერმახტი „პარაბელუმით“ ხელში იპყრობდა ევროპასა და საბჭოთა კავშირს

*გვერდი მომზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# მკითხველის სვეტი

„გაირკვა თუ არა საბოლოოდ, რამ გამოიწვია რუსული ატომური წყალქვეშა ნავის „კურსკის“ კატასტროფა?

## „კურსკის“ ტრაგედიის მიზეზი ცნობილია, მაგრამ მოსკოვი მას ჯერ არ ამხელს

ეს კითხვა, ეტყობა, ბევრ ჩვენს მკითხველს აწუხებს, მიუხედავად იმისა, რომ „კურსკის“ ტრაგედია ერთი შეხედვით შორს იყო ისედაც პრობლემებით დახუნძლული საქართველოსგან.

„კურსკის“ ავარია ტექნოლოგიური კატასტროფების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ტრაგიკული შედეგი შეიძლება მართლაც გლობალური იყოს.

საერთოდ, საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, ასეთ ტრაგედიებში უმთავრესად ადამიანს ადანაშაულებდნენ, რადგან „საბჭოთა იარაღი მსოფლიოში საუკეთესო იყო და არ შეიძლებოდა მწყობრიდან გამოსულიყო“.

მაშინ, 2000 წლის 12 აგვისტოს, ბარენცის ზღვაში მცირე სიღრმეზე მცურავ „კურსკზე“ ტრაგედია დატრიალდა — ფაქტობრივად ერთადერთმა ავარიულმა ტორპედომ აფეთქებისას გამოიწვია ის „ჯაჭვური რეაქცია“, რამაც საბოლოოდ დაღუპა 24 ათასი ტ წყალწყვის ატომური წყალქვეშა რაკეტმზიდი.

ამ ტრაგედიისთანავე „კვირის პალიტრამ“ გამოთქვა ვარაუდი „კურსკის“ თავისივე ტორპედოთი დაღუპვის შესაძლებლობაზე. იმ პერიოდში ამ ვერსიას თავად მოსკოვი დაბეჯითებით უარყოფდა. რუსი ადმირალები თითქმის ერთხმად აცხადებდნენ, — „კურსკს“ ინგლისური თუ ამერიკული წყალქვეშა ნავი შეეჯახა, ანდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელ საზღვაო ნაღმს წამოედოო.

სინამდვილეში კი ყველაფერი ამგვარად შეიძლება მომხდარიყო: ერთ-ერთ „მსუქან“ ტორპედოზე (ასე ეძახიან მსხვილკალიბრიან ტორპედოს) დაირღვა ჰერმეტიზაცია და მისი საწვავი — ნავთი და დამჟანგველი — წყალბადის ზეჟანგი — ერთმანეთს შეერია. წესით, ასეც უნდა მომხდარიყო, ოღონდ გასროლის შემდეგ, გაშლილ ზღვაში. ეს ქიმიური



რეაქცია, დიდი სითბოს გამოყოფით, უშუალოდ სატორპედო ნაკვეთურში დაიწყო. ტორპედო შეიძლება ყოველ წუთს აფეთქებულიყო. განგაშის შესახებ ტორპედისტებმა სასწრაფოდ მოახსენეს წყალქვეშა ნავის კაპიტანს ლიაჩინს. ამ დროს „კურსკი“ 50-60 მ სიღრმეში მიცურავდა. ლიაჩინმა დაუყოვნებლივ ამოაცურა „კურსკი“ წყლის ზედაპირზე და საზღვაო შენაერთის ხელმძღვანელს რადიოთი, ღია ტექსტით გადასცა (სწორედ ეს რადიოგადაცემა „დაიჭირეს“ ამერიკულმა მზვერავმა გემებმა) — ბორტზე ავარიული ტორპედოა, ზღვაში უნდა გადავაგდოთ! დასტურმაც დიდხანს არ დააყოვნა. ლიაჩინმა „კურსკი“ კვლავ ზღვის სიღრმეში გააყვინარა და ტორპედისტებს უბრძანა, საშიში იარაღი წყალში გადაეგდოთ.

ამ უკანასკნელებმა, მართალია, შეძლეს ამ ტორპედოს სატორპედო აპარატში მოთავსება, მაგრამ მისი დაკეტვა ვეღარ მოახერხეს, რადგან ტორპედო იწვოდა, მაღალ ტემპერატურასა და მომწამვლელ გაზებს გამოყოფდა. ტორპედისტებმა თავის საშველად ნაკვეთურის დატოვება დაიწყეს. ამასობაში იფეთქა ტორპედომ, რასაც 500 კგ-იანი საბრძოლო ქობინის დეტონაციაც მოჰყვა.

პირველ ნაკვეთურში გაჩენილმა ხანძარმა ორიოდ წუთში დანარჩენი ტორპედოების დეტონაცია გამოიწვია. აფეთქების ტალღა ისეთი სიძლიერისა იყო, რომ მე-5 ნაკვეთურამდე (იქ ორი ატომური რეაქტორია მოთავსებული) არსებული ყველა ტიხარი ქაღალდის ფურცლებივით „დაუხრიდა“. ვინც -V ნაკვეთურებში იმყოფებოდა (მათ შორის ერთი ქართველი ოფიცერიც) იმწამსვე დაიღუპა.

დაღუპული „კურსკი“ ცხვირით ჩაერჭო 108 მმ სიღრმეში ზღვის ფსკერს. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ შეჯახების შემდეგ განიცადა დეფორმირება მე-9 ნაკვეთურის თავზე მოთავსებულმა სავარიო ლუკმა. არადა ამ ბოლო ნაკვეთურში თავი მოიყარეს პირველ წუთებში გადარჩენილმა მეზღვაურებმა. მათ დახმარების იმედი ჰქონდათ, თუმცა კატასტროფის ზუსტი ადგილი ზღვის ზედაპირზე მყოფმა სარდლობამ მხოლოდ მეორე დღეს დაადგინა. აფეთქებული ნაკვეთურებიდან წამოსულმა, ნავთითა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებულმა ზღვის წყალმა სადრენაჟო მაგისტრალიდან მე-9 ნაკვეთურშიც შეაღწია.

წყალი ნელ-ნელა ავსებდა ნაკვეთურის სამ სართულს, მეზღვაურებიც თანდათანობით მაღლა ადიოდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მაშველები მოუსწრებდნენ...

მაგრამ ასე არ მოხდა — ჯერ ერთი ბიუროკრატიული ბარიერების გამო და მეორეც — საათაო სავარიო-სამაშველო გემები და სხვა მოწყობილობები იმავე ადმირალებს უკვე დიდი ხანია ჯართის სახით ჰქონდათ გაყიდული, მათში აღებული ფული კი ჩაჯიბული...

# „მე და ჩემი მებრძოლები ალყას დარასელიას გოლით გადავურჩით...“

**დრო თანდათან ხსნის ტაბუს ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ აკრძალულ თემებს და ჩემმა თანამოსაუბრემაც, გენერალმა თენგიზ ეპიტაშვილმა „გაიხსენა“ ზოგი რამ ავღანური წარსულიდან.**

## გზის მშენებელი კგბ-ის პოდპოლკოვნიკი

— პაკისტანის საზღვრიდან ავღანეთის მეორე დიდ ქალაქ ყანდაარამდე ოთხმოცდაათი კილომეტრია. ქალაქამდე რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, გზისპირა დაფაზე კი დაახლოებით ასეთი შინაარსის წარწერაა: „მგზავრო, შეჩერდი და იცოდე, — ავღანეთის დაპყრობას ბევრი ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ ვერავინ დაიპყრო იგი. იგი დალაშქრეს ალექსანდრე მაკედონელმა, ჩინგიზ-ხანმა და ქართველთა მეფემ გიორგი X-მ, რომლის მავზოლეუმი აქვე, ახლოსაა“ (გიორგი X-მ, ირანელთა მიერ წართმეული ტახტი რომ დაებრუნებინა, შაჰ ჰუსეინის დავალებით ავღანეთი დალაშქრა. ქართველთა ლაშქარი ირანელთა ჯარის ავანგარდში იბრძოდა. ავღანეთი კი დაიმორჩილა ირანმა, მაგრამ მეფე გიორგი ავღანელებმა ღალატით მოკლეს. მეფის დაღუპვის შემდეგ მისი თანმხლები ქართველები ავღანეთში დასახლდნენ. ორმოცდაათი ათასი კაცი ირიცხებოდა მაშინ, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს, ქართველთა მეფის ლაშქარში. — ვ. გ.).

1978 წელს, ავღანეთის მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი საბჭოური ორიენტაციისა გახლდათ, მაგრამ ყანდაარი და მისი შემოგარენი ოპოზიციის სწორედ იმ ათი პროცენტის ხელში იყო, რომელთაც საბჭოელებს ვერ უხსენებდი. თუმცა, როცა შევუთვალე, საბჭოთა ქართველ ოფიცერს სურს მოინახულოს მისი წინაპარი მეფის საფლავი-მეთქი, უარი არ უთქვამთ. პირიქით, გამიკეთეს კორიდორი და მარტოდმარტო, უიარაღოდ შემიშვეს საუცხოოდ მოვლილ მავზოლეუმში, სადაც განისვენებს ქართველთა მეფე. მუხლი მოვიდრიკე მისი საფლავის წინაშე და ავღანეთში ჩასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ პირველად გამიელვა ფიქრმა, — ქართველი მეფის ნაკვალევზე სამასი წლის შემდეგ მეც ამ ქვეყნის დასაპყრობად ვიყავი მოსული. დიდსულოვანი და ალალი ხალხი ყოფილა ავღანელები — სამტროდ მოსული მეფე, რომელიც თვითონვე მოკლეს, მავზოლეუმში დაკრძალეს და სამი საუკუნის მანძილზე პატივით ეპყრობიან მის ძვალთშესალაგს...

მე, საბჭოთა კგბ-ის ოფიცერი თენგიზ ეპიტაშვილი 1978 წლის თებერვალში გადამისროლეს ავღანეთში ცამეტკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელად, რომელსაც ამგვარივე სხვა პატარ-პატარა ჯგუფთან, ანუ კასკადებთან ერთად ავღანელთა სამთავრობო ოპოზიციას რევოლუციურ გადატრიალებაში უნდა დავხმარებოდით.

ახლა ყველა ერთმნიშვნელოვნად, ანუ უარყოფითად აფასებს საბჭოეთის ჩარევას ავღანეთის საქმეებში და ეს გარკვეულწილად სიმართლეა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს აუცილებელიც იყო და აი, რატომ.

1978 წლის დამდეგს აიათოლა ჰომეინიმ, რომელიც ამ დროისათვის უკვე აცხადებდა პრეტენზიას ირანის სულიერ ლიდერობაზე, პარიზში მიიწვია ირანის, ავღანეთის, თურქეთის, პაკისტანისა და ერაყის მთავრობების ხელმძღვანელები და სამი დღის მანძილზე ცდილობდა თავს მოეხვია მათთვის საკუთარი იდეა (თუმცა ეს იდეა მანამდეც არსებობდა) — ამ სახელმწიფოების გაერთიანებით უნდა შეექმნათ აღმოსავლეთის დიდი ისლამური სახელმწიფო, რომელიც შემდეგ შეიერთებდა შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებსაც. კონსპირაციულობის მიუხედავად, ამ ღონისძიებას კგბ-ის წარმომადგენელიც ესწრებოდა. აიათოლას წინადადებაზე თურქეთმა და ერაყმა კატეგორიული უარი განაცხადეს, პაკისტანმა განაცხადა, ვიფიქრებთ და პასუხს მოგვიანებით გაახლებთო. ირანის თანხმობა გარანტირებული იყო, რადგან ყველამ იცოდა, ხვალ თუ ზეგ ამ სახელმწიფოს სათავეში იდეის ავტორი მოვიდოდა. რჩებოდა ავღანეთი, რომლის პრეზიდენტი დაუდ შაჰი ჩვენი მიყვანილი იყო ხელისუფლებაში. სწორედ მან გადაწყვიტა თავისი ქვეყნით იმ ალიანსში შესვლა, ოღონდ იმ პირობით, თუ მას ახალშექმნილ სახელმწიფოში ვიცე-პრემიერის პოსტს არგუნებდნენ.

საბჭოთა კავშირს არ უნდა დაეშვა ამ სახელმწიფოს შექმნა, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი დაკარგავდა შუა აზიას, სანაცვლოდ, შეიძენდა თავისსავე წინააღმდეგ შექმნილ უძლიერეს კონგლომერატს.

ერთი სიტყვით, დავალება პირნათლად შევასრულეთ — 1978 წლის 28 აპრილს ტახტიდან ჩამოვაგდეთ და ფიზიკურად გავანადგურეთ დაუდ შაჰი და მისი გარემოცვა. ახლა ქვეყნის სათავეში კრემლის სანდო ხალხი უნდა მისულიყო; გადაწყვეტილი იყო, პრეზიდენტად ნურმუჰამედ თარაქი, ხოლო პრემიერ-მინისტრად ამინი დაესვათ. ამ ორ კაცს მამა-შვილივით უყვარდა ერთმანეთი. თარაქი ლიბერალი პოლიტიკოსი იყო, ანუ ზუსტად ის, ვინც რუსებს სჭირდებოდათ. ამინი კი რადიკალურად განსხვავდებოდა მისგან, იგი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ანუ ავღანეთის უცხოელთა, უფრო სწორად, რუსებისაგან გასათავისუფლებლად იბრძოდა. ამიტომ კგბ-მ გადაწყვიტა, ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა თარაქი და ამინი. გეგმის მიხედვით, პრეზიდენტ თარაქს უნდა გადაეყენებინა პრემიერ-მინისტრი ამინი, მაგრამ მოხდა პირიქით. ამინმა ფიზიკურად გაანადგურა თარაქი და ერთდროულად დაიკავა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები და იმ დღესვე განგვიცხადა, ორმოცდარვა საათში დატოვეთ ქვეყანაო. საქმეში კრემლი ჩაერია და ვადა გაგვიგრძელეს. ამასობაში გამალებით ვმუშაობდით ამინის დასამხობ გეგმაზე, მისი მაკომპრომატირებელი კამპანიაც გავაჩაღეთ, მაგრამ ამაოდ.

გადაწყდა, ავღანეთში უნდა შემოსულიყო საბჭოთა ჯარი და 1979 წლის 27-28 დეკემბერს შტურმით ავიღეთ ამინის სასახლე...

უფრო ადრე კი, ქვეყანაში ჯარების შეყვანამდე, მოსკოვმა მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა. საჭირო იყო გზების გაყვანა და აი, კრემლი „ჰუმანური“ მიზნებით სთავაზობს ავღანელებს საავტომობილო გზების გაყვანას. ავღანელმა ხალხმა, რასაკვირველია, არაფერი იცოდა ამ მზაკვრული ჩანაფიქრის შესახებ და დათანხმდა. უარი მხოლოდ ორასორმოცდაათი ათასი ქართველით დასახლებულმა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთმა პროვინციამ განაცხადა.



— იქაც ქართველები? — გველივით სისინებდა სუსლოვი პოლიტბიუროს სხდომაზე. პარტიული ფუნქციონერები ერთსულოვანნი იყვნენ — ეს პროვინცია მთლიანად უნდა განადგურებულიყო. მაგრამ უეცრად სიტყვა მოითხოვა ავღანეთში კგბ-ის დაჯგუფების ხელმძღვანელმა, გენერალმა ბორის სემიონოვიჩმა, რომლის გვარი დღესაც არ ვიცი და განაცხადა, მართალია, ავღანელმა ქართველებმა უარით გამოისტუმრეს ჩვენი ხალხი და ერთ ჯგუფს თავებიც დააყრევინეს და ამანათებით გამოგვიგზავნეს, მაინც არ იქნება გამართლებული მათი განადგურება, ამას ჯერ ჩვენი, კავკასიელი ქართველები არ გვაპატიებენ, შემდეგ კი მსოფლიო საზოგადოებაც აგვიჯანყდება და ჩემი აზრით, აჯობებს, კიდევ ერთხელ ვცადოთ მათთან მოლაპარაკებაო.

— როგორ? — იკითხა ბრეჟნევმა.

— ჩვენთან მსახურობს ერთი ქართველი პოდპოლკოვნიკი, რომელიც ალბათ შეძლებს მათ დაყოლიებას...

— ისევ ქართველი... — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა სუსლოვმა.

ბრეჟნევმა მრავალმნიშვნელოვნად გახედა კგბ-ის შეფს, ანდროპოვს.

— ვიცნობ იმ პოდპოლკოვნიკს, შეიძლება ვანდოთ ეს დავალება, — თავი დაუქნია ანდროპოვმა...

მეორე დღეს გზის მშენებელი ინჟინრის ალკაზმულობით ქართველების ავღანურ პროვინციაში ვიყავი.

## ავღანელი ქართველების გარემოცვაში

უცნაური ვინმეა ქართველი კაცი. იქ, იმ ავღანურ პროვინციაში, პატარა საქართველო დამხვდა — ჩვენებური ბაღ-ვენახი, სამასი წლის განმავლობაში შენარჩუნებული ადათ-წესები, სტუმრის პატივისცემა, მაგრამ ჩემს მტერს, მე რომ იმათ მიმიღეს. არ გაქრა ჩემმა მტკიცებამ, გზის მშენებელი ინჟინერი ვარ, თქვენთვის სასარგებლო საქმეს გთავაზობთ. გზას ჩვენ, საბჭოელები გაგიკეთებთ, თქვენს ქვეყანასაც ეშველება და ამ პროვინციასაც-მეთქი. პირდაპირ მომახალეს, — შენ კგბ-ის თანამშრომელი ხარო და დაუზოგავად მცემეს... გახსენებაც არ მინდა, მაგრამ დავიწყებაც რომ არ შემიძლია?! ბევრი რამ ვიცი ავღანელების სისასტიკის შესახებ, თავადაც არაერთგზის გამომიცდია, მაგრამ ავღანელი ქართველების სისასტიკემ ყველაფერს გადააჭარბა. ცემით ხომ ლამის სული ამომხადეს, ექვსი კბილიც ამომგლიჯეს გაზით — როგორ გაბედე ამ საქმეზე მოსვლაო. გონს რომ დავკარგავდი, წყალს მასხამდნენ და ისევ მაწამებდნენ. ორი დღე-ღამე ფეხსალაგში ჩამკიდეს, ყელამდე ვიყავი ჩაფლული სიბინძურეში და იქამდე მიმიყვანეს, ვევედრებოდი, გამასამართლეთ-მეთქი. მეოთხე დღეს სხვა ორმოში ჩამაგდეს და თავზე გველები დამაყარეს. სამი დღე-ღამე გველებთან მეძინა. მართალია, არ იკბინებოდნენ, მაგრამ როგორია მთელ ტანზე, სახეზე გველები რომ დასრიალებენ, შენ კი ისე ხარ ძალაგამოცლილი, მათი მოშორების თავიც არა გაქვს. მტერს არ ვუსურვებ ამის განცდას. ბოლოს და ბოლოს, გაიღეს მოწყალება და გამასამართლეს. უხუცესების სამსჯავრომ... სიკვდილი მომისაჯა. განაჩენი რამდენიმე საათში უნდა აღსრულებულიყო. სხვა რა გზა მქონდა და ჩემი კაგებეშნიკობის გარდა, ყველაფერი ვაღიარე, ისიც ვუთხარი — ჩემი სიკვდილი მთელი ქართული მოსახლეობის ამოწყვეტას ნიშნავს. თქვენთან სამტროდ არ მოვსულვარ, მეც ქართველი ვარ და მინდა განსაცდელისაგან გიხსნათ, თუ არ დამიჯერებთ, იცოდეთ, ერთიანად ამოგწყვეტენ-მეთქი. ყველაფერ ამას ავღანურად ვლაპარაკობ, შიგადაშიგ ცოტა ქართულსაც ვურევ. მომიყვანეს ერთი ოთხმოცს გადაცილებული ჩალმიანი კაცი, ქართულის სხვებზე უკეთ მცოდნე. რის ვაი-ვაგლახით დავარწმუნე ჩემს ქართველობაში და ვიგრძენი იმ წუთიდან, ერთბაშად შეიცვალეს ჩემდამი დამოკიდებულება.

— როგორ ამოგვხოცავენ?

— როგორ და, ღამით მოფრინდება ორმოცდაათი თვითმფრინავი, დაგაყრიან ბომბებს და აქ ადამიანი კი არა, ქვა ქვაზე აღარ დარჩება... მერე კი გზას მაინც გაიყვანენ.

— რით დაგვიმტკიცებ? — მკითხეს.

— მომეცით ჩემი რაცია და ამაღამვე დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში.

მართლაც, ცენტრს გადავეცი, რომ მიზანთან ახლოს ვიყავი. საჭირო იყო ჩემი ნათქვამის დასაბუთება, ანუ დაბომბვის იმიტაცია, სადემონსტრაციო ფრენები პროვინციის თავზე.

გვიან ღამით სამოცდაათი ბომბდამშენი მოფრინდა ტაჯიკეთის მხრიდან, თხუთმეტი წუთის განმავლობაში სერავდნენ ისინი ქართული პროვინციის ცას და ფსიქოლოგიური ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ გაუნათლებელმა, მაგრამ საოცრად გონიერმა ხალხმა დამიჯერა და საბოლოოდ თავისიანად მაღიარა კიდეც. ცენტრი უკან დაბრუნებას მთხოვდა, მაგრამ სიარული არ შემეძლო და არც მასპინძლები მიშვებდნენ. ჩემებს გადავეცი რა მდგომარეობაშიც ვიყავი.

ერთ კვირაში ჩვენებურებმა ფეხზე დამაყენეს და ნაღვლიანად დამემშვიდობნენ. თუმცა დამნაშავე მე ვიყავი მათთან, მინდოდა თუ არა, მაინც ვატყუებდი — მე ხომ ვიცოდი, რისთვისაც კეთდებოდა ეს ბოროტების გზა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ბევრი არაფერი ვიცოდი ჩემი ხელმძღვანელობის უფრო შორს მიმავალი გეგმების შესახებ. თურმე ამ გზით ირანში უნდა შევსულიყავით, აგვეღო პაკისტანი, ინდოეთი და ოკეანეშიც გვებანავა (რუსეთის საუკუნოვანი ოცნება — ვ.გ.).

> **ბევრი რამ ვიცი ავღანელების სისასტიკის შესახებ, თავადაც არაერთგზის გამომიცდია, მაგრამ ავღანელი ქართველების სისასტიკემ ყველაფერს გადააჭარბა. ცემით ხომ ლამის სული ამომხადეს, ექვსი კბილიც ამომგლიჯეს გაზით — როგორ გაბედე ამ საქმეზე მოსვლაო. გონს რომ დავკარგავდი, წყალს მასხამდნენ და ისევ მაწამებდნენ.**

ავღანელი ქართველები ავღანეთის ომის დროს პაკისტანსა და ირანში გაიფანტნენ. არ ვიცი, კიდევ სახლობენ თუ არა თავიანთ პროვინციაში, დაბრუნდნენ თუ არა ომის შემდგომ უკან. თვითონ ავღანელებისგან არაერთგზის მსმენია, იქაური ქართველების ქება — ირანელები ბრძოლაში ჩვენთან შედარებით ცხვრები არიან, ქართველებთან შედარებით კი ჩვენ ვართ ცხვრები — ამბობდნენ ისინი.

ასე იყო თუ ისე, სიცოცხლე შევინარჩუნე, თუმცა ეს რა მოსატანია იმ ორასორმოცდაათი ათასი ქართველის სიცოცხლესთან შედარებით, რომლებიც დასაღუპავად იყვნენ განწირულნი. ამის გამო საბჭოთა კავშირის გმირობაზე წარმადგინეს, მაგრამ რატომღაც არ მომცეს ეს წოდება და გულიც არ დამწყვეტია. სამაგიეროდ, დღემდე მომყვება იმის განცდა, რომ ვალი მოვიხადე ჩემი ხალხის წინაშე და ამაზე დიდი ჯილდო რაღა უნდა ვინატრო.

## ავღანელი: მტერი და მოყვარე

— მთელი დღის ნაჯაფარი ავღანელი ერთ ჭიქა ჩაის და პურის ნაჭერს რომ იყიდის და ფეხმორთხმით ჩაჯდება სავახშმოდ, გვერდით რომ ჩაუარო, გაგაჩერებს და ძალიან შეურაცხყოფილი დარჩება, უარს თუ ეტყვი და სანახევროდ არ გაინაწილებ მის სადილს. ერთი ისაა, ქალს ვერსად დალანდავ, თორემ არაფერს დაიშურებს, უკანასკნელ ლავაშსაც სუფრაზე მოიტანს. რომც იცოდეს მისი მტერი ხარ, ვიდრე მასთან სტუმრობ, ცივ ნიავს არ მოგაკარებს და არც სხვას მისცემს ამის უფლებას, მაგრამ ომის დროს მათგან დანდობას არ უნდა ელოდე.

მახსოვს 1982 წელს, ზამთარში, მორიგი დავალება შევასრულე პაკისტანის საზღვარზე, სოფელ სიმ-ბულ-გაკთან. როცა უკან ვბრუნდებოდით, მოწინააღმდეგე ავღანელების ერთმა დაჯგუფებამ მოგვაქცია ალყაში. ისეთი უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა, დუღდა იქაურობა. მედგრად ვიბრძოდით მე და ჩემი ბიჭები, მაგრამ მოალყეები ათმაგად მეტნი იყვნენ. სამი დღე გრძელდებოდა ბრძოლები. ქაბულს ვთხოვე დახმარება, მაგრამ უამინდობის გამო, ავიაცია ვერაფერს მიშველიდა. ამასობაში კი ბატალიონიდან ჩვიდმეტი კაციღა დავრჩით. მოალყეები დანებებას გვთხოვდნენ. უეცრად პოლკოვნიკი გიზო ხვედელიძე გამახსენდა, რომელიც ჩემგან ოთხმოც კილომეტრში იდგა, ჩემი გაჭირვება მას გადავეცი. ისიც ვუთხარი, — დილამდე გავუძლებთ, შემდეგ კი ყველას ამოგვხოცავენ-მეთქი. გიზოს საავიაციო პოლკის მეთაურისათვის უთქვამს, ეპიტაშვილი რომ ამ ბრძოლაში დაიღუპოს, მე საქართველოში აღარ ჩამესვლებაო და დილით, როცა ნისლი ოდნავ გაიფანტა, ოცდაათმა ვერტმფრენმა ერთიანად გაანადგურა ჩვენი მოწინააღმდეგე. შემდეგ სამი მათგანი ძირს დაეშვა და გადარჩენილი რვა კაცი ბორტზე აგვიყვანეს. გიზო ხვედელიძე ვერტმფრენში დამხვდა — დღეს რომ ცოცხალი ვარ, მას უნდა ვუმადლოდე.

## სტალინის სურათი — ინდუსი აჰმედის თილისმა

— როგორც გითხარით, ჩვენი ჯარების შესვლის შემდეგ ავღანელები ავიმხედრეთ, მალე მსოფლიოც ჩვენს წინააღმდეგ დაირაზმა. ყოველგვარი შეიარაღება და ცოცხალი ძალა, ძირითადად, ინსტრუქტორების სახით პაკისტანის მხრიდან შემოდიოდა. ამ ზონაში აქტიურად მუშაობდა ჩვენი დაზვერვაც და დროდადრო ვიღებდით ცნობებს ტვირთის ან ე.წ. „მოხალისეების“ გადაადგილების შესახებ და ჩვენც ვანადგურებდით მათ, ავღანეთის მიღმა, პაკისტანის ტერიტორიაზე — ასეთ შემთხვევაში უფრო ძნელი იყო იმის დამტკიცება, ვინ ჩაიდინა ესა თუ ის აქტი. რაც შეეხება საზღვარს, ეს პირობითი ხაზი იყო, ვერც ერთი მხარე ვერ აკონტროლებდა მას. მატერიალურად ეს არც პაკისტანს შეეძლო და არც ავღანეთს. ერთ დღეს უცხოელი ინსტრუქტორებით სავსე ავტობუსი უნდა გაგვენადგურებინა. ორმოცდაათგრადუსიან სიცხეში რამდენიმე საათის ყურყუტის შემდეგ ავტობუსიც გამოჩნდა. განკარგულება გავეცი, რომ პოზიციები დაეკავებინათ. უცებ ერთ-ერთი მებრძოლი, რომელიც ბინოკლით ზვერავდა იქაურობას, მეუბნება, ავტობუსის საქარე მინაზე სტალინის სურათია გამოკრულიო. საგონებელში ჩავვარდი — სტალინის სურათი რა შუაშია-მეთქი და ავტობუსის გაჩერება ვუბრძანე. მძღოლი კი ჩემთან მოვაყვანინე სტალინის სურათთან ერთად. მოიკლა თავი, სურათი მკერდიდან არ მოიცილა. მომკალით და ამას ვერ დაგითმობთო. კი მაგრამ, სად შენ და სად სტალინის სურათი-მეთქი. დიდი ომის დროს მამაჩემი ინგლისელების არმიაში იბრძოდა, ეს სურათიც მან მიანდერძა, როგორც თილისმა და მთხოვა, არასოდეს მოიცილოო. ინდუსი ვარ და ახლა აქ, პაკისტანში ვმუშაობ. თილისმა ყველგან თან დამაქვს, იმდენჯერ მიხსნა განსაცდელისგან, სიკვდილი მირჩევნია მასთან განშორებასო. ასე გადაარჩინა ინდუსი აჰმედი სტალინის სურათმა და განა მარტო ის, მისი ავტობუსი თურმე ქალებითა და ბავშვებით იყო სავსე. ჩვენთვის საინტერესო ავტობუსი კი, როგორც აჰმედმა მითხრა, ცოტა ხანში ჩამოივლიდა, წყაროსთან გადმოუსწრია მისთვის...

— და როცა ამ ავტობუსმა ჩამოიარა?

— ო, ეს უკვე დეტალებია... გინდა ახლა ფეხბურთზე მოგიყვები?

— რა ფეხბურთზე, ავღანეთი და ფეხბურთი?

— ჰო, ავღანეთი და ფეხბურთი. ხომ გახსოვს 1981 წლის 13 მაისი, თბილისის „დინამო“ ევროპის თასისათვის იბრძვის, მე და ჩემი მებრძოლები კი ამ დროს ალყაში ვართ. რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ 15 კაციღა დავრჩით. მოწინააღმდეგე 120-150 კაცი იქნება. უცებ ჩემი რადისტი მეუბნება, ფეხბურთის მატჩს გადმოსცემენ, აშკარად ქართული აქცენტითო და საყურე მომაჩეჩა ხელში — კოტე მახარაძის ხმა მომესმა, ერთით ნოლს აგებდნენ ბიჭები. ფეხბურთის დიდი მოყვარული ვარ და მართალია, ახლა ამის დრო არ იყო, ბიჭებს ვუთხარი — თუ თბილისის „დინამო“ მოიგებს, ჩვენ ამ ალყას გავარღვევთ, თუ არადა ყველანი დავიღუპებით-მეთქი. ამასობაში გუცაევმა შეაგდო გოლი, შემდეგ დარასელიამ და ამით წახალისებულმა ჩემმა მეომრებმა ისეთი ცეცხლი დაანთეს, გაგიჟდნენ ავღანელები. ალყა გავარღვიეთ და გამოვაღწიეთ. ეს ქართული ფეხბურთის დამსახურება იყო. უფრო სწორად, სამშობლოს სიყვარულის, რომლის შვილობითაც დღემდე ვამაყობ.

***ესაუბრა ვაჟა გავაშელი***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## კტო ჩიხნულ!



სტალინის სიმკაცრეს რომ ვერავინ უმკლავდებოდა — ცნობილი ამბავია. დალაპარაკება რაა, შეხედვასაც ვერ უბედავდნენ ხეირიანად. უკრაინის დედაქალაქის დაკარგვის საშიშროება დადგა. მოიწვია გაცოფებულმა სტალინმა გენერალიტეტი.

— უნდა დავთმოთ, სხვა გზა არააო — ბრძანა ჟუკოვმა. ამ განცხადებას სამარისებური სიჩუმე მოჰყვა. სტალინმა ბოლთის ცემა დაიწყო.

მოულოდნელად ერთ-ერთმა გენერალმა საშინელი ხმით დააცემინა.

სტალინი დინჯად შემობრუნდა.

— კტო ჩიხნულ?

...ხმა ვერავინ ამოიღო. ყველას მიტკლისფერი დაედო. გენერალსაც მკვდრის ფერი ჰქონდა....

— კტო ჩიხნულ? — ისევ ავბედითად გაიმეორა ბელადმა.

ჩვენ არ ვეგონოთო და ყველანი „ნაგრიპალ“ გენერალს მიაჩერდნენ.

— კტო ჩიხნულ?! — მესამედ იკითხა ბელადმა.

—ია! — სიკვდილმისჯილივით წამოდგა გენერალი.

— ბუდტე ზდოროვი, ტოვარიშჩ გენერალ! — უთხრა სტალინმა. .

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## „ვირი მეგონე... ვირი!..“



ჭიათურის პროკურორი ალექსანდრე ყაველაშვილი და რესტორნის დირექტორი გერვასი ვაშაძე, რომ იტყვიან, მტერ-მოყვარე მეგობრები იყვნენ: ერთმანეთს ათასგვარ ოინს უგონებდნენ და მაინც სულ ერთად იყვნენ...

გერვასის რესტორანში პატარა კაბინეტი ჰქონდა, რომლის ფანჯარაც ქუჩაში გადიოდა. იგი უმეტესად კაბინეტში იჯდა და შემოსავალ-გასავალს ანგარიშობდა. გარეშე პირი, თუ მასთან საქმე ჰქონდა, ფანჯარაზე დააკაკუნებდა და ისიც გადახედავდა. ერთხანს ვიღაც აკაკუნებდა, გერვასიც გადაიხედავდა, იქ კი არავინ იყო. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. ბოლოს დაადგინა, ამას ალექსანდრეს მეტი ვინ იზამსო... და გადაწყვიტა, მისთვის სამაგიერო გადაეხადა. ერთხელ დაინახა, ქუჩაში ალექსანდრე მოდის. გერვასი წყლით სავსე ვედროთი დადგა ფანჯარასთან. დაკაკუნება, ფანჯრის გაღება და წყლის გადასხმა ორიოდე წამში მოხდა.

...მაგრამ გერვასი მოულოდნელობისგან გაქვავდა: წყალგადასხმული რაიკომის პირველი მდივანი შოთა ხიდაშელი აღმოჩნდა.

— რა მიქენი, კაცო, ეს?! — ამბობდა პირველი მდივანი და თავს და სახეს ცხვირსახოცით იწმენდდა.

— მაპატიე, პატივცემულო შოთა, ვირი მეგონე... ვირი მეგონე... — ლუღლუღებდა გერვასი.

— უყურე ახლა ამას შენ, კაცი მომსპო და კიდევ იმას იძახის, ვირი მეგონეო.

***ჯიმშერ აბესაძე, ჭიათურა***

## გოგიას მოხყოვური გახაჭირი



ადრეულ წლებში, კერძო ვაჭრობა რომ კანონით აკრძალული იყო, კოლია ნეფარიძე ხშირად სტუმრობდა მოსკოვს, იძენდა ტანსაცმელსა თუ დეფიციტურ საქონელს და მერე აქ გარკვეული სარგებლით ყიდდა. ამ საქმეში დახმარებას უწევდა იქაური რუსი მეგობარი, რომელიც სარეალიზაციოდ გამზადებულ საქონელს ახვედრებდა.

ერთხელაც კოლიამ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო დანიშნულ დროს მოსკოვში გამგზავრება და „ტავარის“ ჩამოსატანად თანასოფლელი, ახლო ბიძაშვილი გოგია გააგზავნა.

ამხელა ქალაქში პირველად ჩასულმა გოგიამ, როგორც იქნა, მიაგნო სახლს, მაგრამ კოლიას მეგობარი რუსი შინ არ დახვდა და მისი ცოლი გამოეგება. გოგია რუსულთან ცოტა მწყრალად გახლდათ, ცალკე მასპინძლის სილამაზემაც დაატყვევა და ფეტვივით დაიბნა... ქალს ვერაფერი გააგებინა და მანაც გოგია ვიღაც ვიგინდარად მიიჩნია — „პაშოლ ნახერო!“ (ჯანდაბამდის გზა გქონია! — დაახლოებით ასე ჟღერს ქართულად) მიაძახა და კარები ცხვირწინ მიუჯახუნა...

დაბნეულმა გოგიამ ფოსტას მიაშურა და კოლიას შეშფოთებულმა დაურეკა — შენი მეგობარი რუსი, ნახირში ყოფილა და ამხელა ქალაქში რომელ ნახირშია რა ვიცი მე, როგორ ვიპოვოო?!

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## იქნებ თავიც დამიპატარავოთო!..



მეგობარი მყავს ერთი ნოდარ ჩარქსელიანი, ისე გასუქდა, 180 კილოგრამამდე „ავიდა“... თბილისში წასვლა ურჩიეს, ექიმთან — გახდომის წამალს გასწავლისო.

თავი აქვს, იმხელა, დილით მაისურს რომ იცვამს, თავზე საპონს უსვამენ... და ისე აცმევენ. ჩასულა თბილისში ექიმთან. ექიმს უთქვამს „ატვეჩაი“ ვარ, 70კილოგრამს დაგაკლებინებო... ნოდარს მადლობა მოუხდია და თან უთქვამს, ამდენი დაკლება არ მინდა, 30-ც მეყოფა, თვარა ჩემი თავის პატრონს ბიჯგები დამჭირდება, რო არ წავიქცე. ან იქნება ცოტა თავის დასაპატარავებელიც დამინიშნოთ რამეო.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## ქალ გვანებულხარ, არქალსა!..



ორმოციანი წლები იქნებოდა. ქალაქისკენ მიმავალი ხევსური და ახალგაზრდა ქალი ერთმანეთს დაემგზავრნენ და კიდევაც შემოაღამდათ. მხოლოდ პატარა ქოხის მფლობელმა დედაბერმა ისტუმრა მგზავრები... შვილებო, სასტუმროდ, მხოლოდ ერთი ტახტი და ერთი ხელი ლოგინი მაქვს და როგორ დაწვებით, ერთმანეთში მორიგდითო... თავშექცეული დავწვეთო, შესთავაზა ხევსურმა. არა, მუთაქა ჩავიდოთ შუაში და ისე დავწვეთო, უთხრა ქალმა... ცოტა ხნის შემდეგ ქალმა ხევსურის გასაგონად ჩაილაპარაკა: ეს ოხერი, როგორ ცივა, ვერაფრით ვერ გავთბიო... მუთაქას ჩაეხუტე და ჩათბებიო!.. უთხრა ხევსურმა და ხვრინვა ამოუშვა... დილით, მგზავრობა რომ გააგრძელეს, ორღობეში ქარმა ქალს თავშალი ღობის იქით გადაუგდო. ახლავე გადავხტები და მოგიტანო, — უთხრა ხევსურმა... მოიცა, თუ კაცი ხარ, წუხელ მუთაქას ვერ გადმოახტი და შენ მაგ ღობეზე გადახტებიო!..

ჰაი, დედასა, დედასა!

გგონ ტყუილ ვათრევ ამასა?

ძმასავით შენთან დავწექი

ქალ გვანებულხარ, არქალსა!..

მიაძახა გამწარებულმა ხევსურმა და თავის გზას გაუყვა.

***ნოდარ ფირჩხნარაშვილი, ქარელი***

## გოგოებს გაეჭედათ...



სოფელში ერთი მეტად ღირსშესანიშნავი დღე გადავიღეთ ვიდეოფირზე. კასეტამ თითქმის მთელი თელავის რაიონი მოიარა. ერთხელაც დამჭირდა კასეტა. მოვიკითხე თუ ვისთან ინახებოდა. ვიშოვე მანქანა და კითხვა-კითხვით მივადექი სოფელ ზემო ხოდაშენში უცნობ მასპინძელს. სახლიდან 17-18 წლის გოგონებმა გამოიხედეს. მე ავუხსენი, — კასეტისთვის შეგაწუხეთ-მეთქი. გოგონებმა მორცხვად მომიბოდიშეს, გაჭედილი გვაქვსო... ჩემს სახეზე ღიმილი რომ შეამჩნიეს, მალევე დაუმატეს „ვიდეოშიო“. მე ვუთხარი, რომ სხვა დროს გამოვივლიდი და წამოვედი. ერთი თვის მერე ჩემს ამხანაგებთან ერთად კვლავ მივადექი ნაცნობ კარებს, მაგრამ სახლიდან გოგონების ნაცვლად მოხუცმა ბებიამ გამოიხედა. მანქანიდან გადმოსულს მისალმება არ მაცალა, ისე დაიწყო მოთქმა:

— ვაიმეე, შვილო! გოგოებს ისევ გაჭედილი აქვთ და ძალიან უხერხულად არიან შენთანა, გარეთაც მაგიტომ ვერ გამოდიანო.

ამის თქმა იყო და შევამჩნიე, ჩვენმა მანქანამ როგორ დაიწყო აქეთ-იქით რწევა. კარი რომ გამოვაღე, სიცილისაგან ჩაბჟირებული ბიჭები სულს ველარ იბრუნებდნენ.

***ფარნა მაყაშვილი, სოფელი იყალთო***

## ვერ გენდობი, ვერა!..



ერთხელ, თემური შეუძლოდ შეიქნა, ისე, რომ ნემსებიც დასჭირდა. მის მეუღლეს ნემსების კეთება მშვენივრად შეეძლო, მოამზადა შპრიცი და ელოდება თემურს, როდის გადაბრუნდება.

თემურმა, — მოიცა, ქალო — ექიმი თუ არა, ექთანი მაინც მოვიყვანოთო. რა იყო, თემო, რისა გეშინია, პაპაშენს სულ მე არ ვუკეთებდი ნემსებს?

— ხოდა, მაგიტომა გვაქ ხვალ მისი ორმოცი!.. ვერ გენდობი, ვერა!

***გივი ზარდიაშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფელი კალაური***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი



### „დუელში“ ვიწვევთ ჯანო ონიანს...

ავტომატ — ავთოს დედა
დოსტოიევნია — ჟენიას „დოსტები“
დუბლიონკა — ლეონიდ ბრეჟნევის (ლიონკას) დარგული მუხა
კრასნოდარ — შეღებე ნოდარი
პარაშუტ — წყვილი ხუმარა
პუტეშესტვენიკ — გზაზე ექვსი ცოცხია
სტოროჟ — ასი სიფათი

***სოფო ღვინიაშვილი, თბილისი***

## რუსულიდან მთარგმნელთა დასახმარებლად

ბრატ ნა ბუქსირ — ძმა ბუქსირზე
ბუკსირ — ყველის საყვირი
ვიბრატორი — თქვენ ორი ძმა ხართ
მათემატიკა — მათემ თითი ტიკა
მეშოკ — მე შოკში ვარ

***ლადო კაკაბელი, სიღნაღი***

## მკითხველის სახუმარო ანეკდოტი



კახელი მეზობელს შთაბეჭდილებას უზიარებს:

— კაცოო, ოპერაში ვიყავი და მე მგონი, სვანების აშენებული უნდა იყოს.

— რა იცი?

— ბალკონები შიგნითა აქ...

***გიორგი ხომასურიძე, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

ხრდილოეთ გერმანიაში, რურის მხარის ქალაქ ესენის ქუჩებში აუცილებლად გადააწყდებით ესენის ცნობილი თეატრის აფიშებს, რომლებზეც უზარმაზარი ასოებით წერია, რომ სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებს **რეზო ჩხიკვიშვილი**. აგერ უკვე შვიდი წელია, ყოველი წარმოდგენა მისი მონაწილეობით ანშლაგით მიდის. გერმანელები პატივს სცემენ რეზოს, უყვართ, ამაყობენ მისი ნიჭით, აღფრთოვანებულები ხშირად ოვაციებს უმართავენ, სოლო სპექტაკლებს ანდობენ, ინტერესდებიან მისი წარმომავლობით, მის სამშობლოზე სულ უფრო მეტის გაგება სურთ...

ამ ცოტა ხნის წინ ესენის თეატრს კიდევ ერთი ქართველი მსახიობი შეემატა — ამირან შალიკაშვილის დასის წევრმა ნინო შატბერაშვილმა თავისი მომავალი მეუღლე — ეროვნებით გერმანელი — თბილისში გაიცნო და გერმანიაში გაჰყვა... მუსიკალური ჟანრის მსახიობის ამპლუაში ნინოს დებიუტი ნოემბერში შედგა...

სწორედ ესენში, ნინოს ოჯახში შეხვდნენ ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი ნაცნობები — რეზო ჩხიკვიშვილი და თბილისელი ექიმი დათო კალანდაძე (მომღერალ ექიმთაგან ერთ-ერთი). იქ ატყდა და თუ ატყდა ამბავი — ყოველმხრივ მოწესრიგებული და პუნქტუალური გერმანელები განცვიფრებული შეჰყურებდნენ ქართველების ნადიმს, რომელსაც არც ყანწების ტრიალი და სადღეგრძელოები აკლდა, არც მრავალხმიანი სიმღერა, არც მხიარულება და არც ცრემლი. ბევრმა ვერც გაიგო — ეს ყველაფერი წინასწარ დადგმული შოუ იყო, თუ ჩვეულებრივი ქართული პურობა.

დათომ თბილისში რეზოს ფოტოები და კოორდინატები ჩამოიტანა. თბილისს მონატრებულ მსახიობთან დაკავშირების სურვილი წამში გაჩნდა — მით უმეტეს, რომ რეზოს ბედით მისი უამრავი გულშემატკივარია დაინტერესებული. საქართველოში რეზო ჩხიკვიშვილი ისევ ისე უყვართ, როგორც ადრე, წლების წინ, როცა სრულიად ახალგაზრდამ რუსთაველის თეატრის სცენაზე კოკა მხეიძის როლი შეასრულა სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. მას შემდეგ იყო უამრავი როლი, მაგრამ კოკა მის სავიზიტო ბარათად იქცა...

ალბათ, ოდესმე რეზო თავისი ლამაზი ოჯახით — მეუღლით — არაჩვეულებრივი ხათუნა ჩაგელიშვილით (რომელიც მაყურებელს კარგად ახსოვს მარის როლით კინოფილმ „ჩიორაში“) და ორი ვაჟკაცით, რომლებიც გერმანიაში სწავლობენ, დაუბრუნდება თბილისს, მარჯანიშვილის თეატრს... მანამდე კი, სანამ დარაბებს მიღმა სუსხიანი ზამთარია, მონატრებულ მაყურებელს ვთავაზობთ ინტერვიუს საყვარელ მსახიობთან:

**— რეზო, სად და როგორ შეხვდით ახალ წელს?**

— 31 იანვარს სპექტაკლის შემდეგ, დიუსელდორფში წავედი ოჯახით — ერთ მშვენიერ ქართულ ოჯახში ვიყავით დაპატიჟებული. იქ თამადობა მომიწია გერმანიაში მცხოვრებ ქართველებში. 20-25 კაცი ვიყავით. ძალიან ლამაზად და საინტერესოდ გავატარეთ საღამო.

**— საახალწლო სუფრა ალბათ ქართული ტრადიციებით წარმართეთ...**

— რა თქმა უნდა. ჩვენს მასპინძელს რამდენიმე გერმანელი მეზობელი ჰყავდა მოწვეული. მათ სადღეგრძელოებს ვუთარგმნიდი და ქართულ ტრადიციებზე ვესაუბრებოდი. ბოლოს ცოტა დავიღალე თარჯიმნობით და მასპინძელს გადავულაპარაკე ქართულად — კი მაგრამ, ესენი წასვლას აღარ აპირებენ, ბოლომდე ქართულად რომ ვიქეიფოთ-მეთქი? მაგრამ... წასვლა კი არა, ისე მოიხიბლნენ ქართული სუფრითა და სიმღერებით, რომ დილის 7 საათამდე ფეხი არ მოუცვლიათ.

**— ცხოვრების წესით გერმანელები ალბათ სრულიად განსხვავდებიან ქართველებისაგან...**

— ძალიან განსხვავდება ქართული და გერმანული მენტალიტეტი, ცხოვრების წესი. მათაც, ჩვენსავით თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვთ. მიჭირს ზოგ რამესთან შეგუება, მაგრამ რას იზამ — სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო, ნათქვამია. მახსოვს, ერთხელ დილით მეზობელმა დამიკაკუნა კარზე: თურმე ღამის თორმეტის ნახევარზე, სპექტაკლიდან დაბრუნებული შხაპს რომ ვიღებდი, წყლის ხმას გაუღვიძებია და ნახევარი საათი ველარ დაუძინია. სწორედ ამის სათქმელად მოვიდა — რომ ნახევარი საათით დავურღვიე მყუდროება... მეორე მეზობელი ნამცხვარს ისე არ გამოაცხობდა, ჩვენთვის რომ არ შემოეტანა. თუმცა წესსა და კანონზე თუ მიდგებოდა საქმე, ისიც მითითებებს იძლეოდა...

**— ვინ და რა გენატრებათ გერმანიაში ყველაზე მეტად?**

— საქართველო მენატრება — ისეთი, როგორიც ჩემს მოგონებებში დარჩა. ჩემი ახლობლები, მეგობრები, ჩემი კოლეგები მენატრება ძალიან. ფიქრებით სულ საქართველოში ვარ. მენატრება ჩემი მარჯანიშვილის თეატრი. ხანდახან კი ქართული ღვინის მონატრებაც მომივლის ხოლმე...

**— რა გაღიზიანებთ უცხოეთში?**

— ზედმეტი, ხშირად გადაჭარბებული წესრიგი და აკურატულობა, გამუდმებული უმზეობა და ხშირი წვიმები...

**— ამ წლების განმავლობაში რა მოხდა მნიშვნელოვანი თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში?**

— როცა ქართველი ხელოვანი უცხოეთში მოღვაწეობს, ვფიქრობ, ამით უკვე წარმოაჩენს თავის ქვეყანას. აქ ჩემი ცხოვრების 7 წლის მანძილზე, მაყურებლის სიმპათია და სიყვარული არ დამკლებია. ამიტომაც, ყოველი ახალი როლი ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვისაც და ჩემი თაყვანისმცემლებისთვისაც. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი ბოლო სოლო სპექტაკლი — ჯონ ფოსეს „გიტარისტი“...

**— თქვენი მეუღლე, ხათუნა რას საქმიანობს?**

— ხათუნა ფიზიოთერაპიულ პრაქსისში მუშაობს ექიმის თანაშემწედ. ისიც უამრავ საინტერესო ადამიანს ხვდება თავისი საქმიანობის დროს. მაგალითად, ამ პრაქსისის პაციენტია ცნობილი გერმანელი ფეხბურთელის ოლივერ ბირჰოფის დედა. ეს ქალბატონი და ჩემი მეუღლე ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და ხშირადაც საუბრობენ.

**— ქართველი ემიგრანტები? თუ ხვდებით ხშირად?**

— ეს საკითხი ძალიან მძაფრად დავსვი, როდესაც ერთ-ერთი ქართველი მხატვარი გოგოს ნამუშევრების გამოფენაზე შევხვდით. მაშინ „მკაცრად მოვითხოვე“, რომ თვეში ერთხელ მაინც შევკრებილიყავით, გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის ჩვენი აზრები, შეხედულებები, გავცნობოდით ერთმანეთის ცხოვრებას, საქმიანობას და საერთოდ, ერთი მუჭა ქართველები ერთმანეთს მხარში ამოვდგომოდით.

ჩვენი პირველი დიდი შეხვედრა გასული წლის 26 მაისს მოხდა ერთ პატარა რესტორანში, რომელიც თბილისელ სომეხს ეკუთვნის. მას შემდეგ შეძლებისდაგვარად ვიკრიბებით. ბევრი ქართველი ჩამოდის ესენში და ჩემს სპექტაკლებს სიამოვნებით ესწრება...

# [illegible]



გერმანიაში ბოლომდე ქართულად ვქეიფობთ...

**— თუ არ ვცდები, ორი წელია თბილისში არ ყოფილხართ...**

— თბილისში 2000 წლის ზაფხულში ვიყავი. ძალიან მომენატრა ჩემი ქალაქი და წელს ივნისის ბოლოსთვის ვგეგმავ სამშობლოში გამომგზავრებას.

**— როცა ბოლოს იყავით თბილისში, რამდენად გამოცვლილი გეჩვენათ აქაურობა და აქაურები?**

— უცხოეთიდან ჩამოსულს, ყველაფერი სხვაგვარად მეჩვენებოდა. უამრავი ნიშნით ვადარებდი გერმანიასა და საქართველოს. რა თქმა უნდა, ყოველივე ახალი, რაც თბილისში ამ 7 წლის მანძილზე აშენებულა, თვალში საცემია და სასიამოვნო, მაგრამ საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, აეროპორტიდანვე დავითრგუნე... საშინლად მომხვდა გულზე ხალხის მოღუშული სახეები, საერთო განწყობა... ეს განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როცა ფეხით დაუყვები თბილისის ქუჩებს — გაღიმებულ და კარგ გუნებაზე მყოფ ადამიანს იშვიათად შეხვდები. იმდენად განვიცადე, რომ დეპრესია დამეწყო და ერთი კვირა შინიდან არ გამოვსულვარ.

**— თუ ფიქრობთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თბილისს საბოლოოდ დაუბრუნდებით?**

— როგორც ბიბლიაშია ნათქვამი, ყველაფერს თავისი დრო აქვს — არის დრო ერთად ყოფნის, არის დრო მარტოობის, არის დრო სიყვარულის, არის დრო სიძულვილის, არის დრო დაშორებისა და არის უკან დაბრუნების დრო. მე ვფიქრობ, ის დროც დადგება, როცა არა მარტო მე, არამედ ბევრი ქართველი დაუბრუნდება საქართველოს და საზღვარგარეთ შეძენილ გამოცდილებას თავის ქვეყანასა და ხალხს მოახმარს. შორიდან კი გელაპარაკებით, მაგრამ ჩათვალეთ, მანდ ვარ...

**— რაზე ოცნებობთ?**

— ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა ჩემი ქვეყნის მომავალი, მისი ხვალინდელი დღე. ღმერთმა ქნას, ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები მაინც მოსწრებოდნენ წელგამართულ, ჯანსაღ, აღორძინებულ, ერთიან საქართველოს, ისეთს, როგორიც ჩემი თაობის მეხსიერებაში შემორჩა — ლამაზს, სიყვარულით მდიდარს, სტუმართმოყვარეს, სადაც ადამიანების პატივისცემაა არსებობის მთავარი აზრი. ვოცნებობ, რაც შეიძლება მალე გამოვიდეს ჩვენი ქვეყანა კრიზისიდან და მიაღწიოს ცხოვრების იმ დონეს, როგორიც აქ, გერმანიაშია...

**P.S.** ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რეზო ჩხიკვიშვილის ბოლო სოლო სპექტაკლი „გიტარისტი“ ნორდრაინ-ვესტფალენის მხარეში, სადაც 40-ზე მეტი თეატრია, დეკემბრის თვის საუკეთესო სპექტაკლად (Tipp des monats) ცნეს. ვულოცავთ რეზოს ამ დიდ წარმატებას და გთავაზობთ ნაწყვეტს „ნეუე-რუჰვ ზეიტუნგ“-ში გამოქვეყნებული წერილიდან ***„რეზო ჩხიკვიშვილი: ერთნაირად ფლობს რეჩიტატივის ხელოვნებასაც და ზონგის სტილსაც. საკუთარ თავს იგი განწყობილების შესაბამისად — ხან ფაქიზი, ხან კი ენერგიული აკორდებით აკომპანირებს. განსაცვიფრებელია, როგორ ახერხებს ის ტექსტის მელანქოლიური შეფერილობის გადმოცემას ასე მსუბუქად და ჰაეროვნად — ხშირად, ოდნავ ირონიულადაც, მაგრამ მუდამ მდარე სენტიმენტალობის გარეშე — ეს ნამდვილად გამაოგნებელია...“***

***ეკა მახარაშვილი***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— ხალხის აზრით, გარეშეთა დავა-კამათში ადამიანი არ უნდა ჩაერიოს. როგორ უყურებს ამ საკითხს მართლმადიდებლობა?**

— მოყვასისადმი ძმური სიყვარული მოითხოვს ჩვენგან არა მარტო შეძლებისდაგვარად ყველასთან მშვიდობის შენარჩუნებას, არამედ გარეშეთა შორისაც ურთიერთთანხმობის მიღწევას („ნურავინ ეძებს თავისას, არამედ ყველა ეძებდეს სარგებელს სხვისას“. 1 კორ. 10,24). ჭეშმარიტი ქრისტიანი გულგრილად ვერ უყურებს ერთმანეთს გადამტერებულ ახლობელ ადამიანებს და ყოველნაირად ცდილობს მათ შორის მტრობის აღმოფხვრას.

**— გთხოვთ გაგვარკვიოთ, რომელ ცოდვას ეწოდება სასიკვდინე?**

— ეკლესიის სწავლებით, სასიკვდინეა ცოდვა, რომელსაც ჩვენ ჩავდივართ ნათლობის შემდეგ, საკუთარი სურვილით, ზრდასრულ ასაკში, უფლის მცნებათა საპირისპიროდ, უფლისა და მოყვასის სიყვარულის უგულებელყოფით.

**— როგორ გავიგოთ, უფლისთვის სათნოა თუ არა ჩემ მიერ არჩეული საქმე თუ პროფესია?**

— ეცადეთ, რომ თქვენი მოსაქმეობა არ აირჩიოთ სათანადო განსჯისა და ღმრთისადმი ლოცვის გარეშე. ილოცეთ უფლის მიმართ და ის მიგითითებთ იმ ასპარეზისაკენ, სადაც იმოღვაწევებთ უფლის სადიდებლად, თქვენსა და გარეშეთა სასარგებლოდ.

**— მართალია თუ არა, რომ მიწიერი სიკეთის ბოროტად გამოყენება — ცოდვაა?**

— მართალია. მათში იგულისხმება: სიძუნწე, მომხვეჭველობისაკენ მოჭარბებული სწრაფვა და მფლანგველობა — ქონების უფრო მეტად ხარჯვა, ვიდრე ამის საშუალებას გვაძლევს მდგომარეობა.

**— ჩვენს მრწამსში წერია: „მწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. ამ დროს დასავლეთის ეკლესია იჩემებს კათოლიკურობას. ჩვენ, გასაგებია, რატომაც ვართ მართლმადიდებელნი, მაგრამ იქნებ განგვიმარტოთ — ისინი რატომღა არიან კათოლიკეები?**

— აბსოლუტურად სწორი შენიშვნაა. მათ დაუმსახურებლად უწოდეს თავიანთ თავს კათოლიკეები. „კათოლიკე“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საყოველთაოს, მსოფლიოს, კრებითს — ამიტომაც, ჭეშმარიტად საყოველთაო ანუ „კათოლიკური“ — ისევ და ისევ ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიაა, რომელმაც შეინახა მსოფლიო ეკლესიასთან რწმენის ერთიანობა და მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებათა ერთგული დარჩა. რომის ეკლესია კი ჩამოშორდა ამ ერთობას, განუდგა კათოლიკურობას (საყოველთაობას), კრებითობას, მსოფლიო კრებათა დადგენილებებს და ამიტომ აღარ არის ჭეშმარიტად კათოლიკური.

**— მართალია თუ არა, რომ ცოდვაა ნაირნაირი ტანსაცმლით თავის მოწონება?**

— ვინც მიწიერ ცხოვრებაში სხეულს განიმშვენებს სხვადასხვა შემამკობელი სამოსით, იგი ეტრფის ადამიანურ დიდებას, ხოლო ვინც სულიერ ცხოვრებაში ეძიებს წარმატებას, მას ყოველივე ეს სძაგს — გააჩნია მხოლოდ სხეულისათვის აუცილებელი ტანსაცმელი და ელტვის ზეციურ დიდებას, როგორც მოციქული გვასწავლის: „თუ საჭმელი და ტანსაცმელი მოგვეძებნება, ვიკმაროთ ეს“ ( ტ., 6,8).

**— როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც უფროსი მას ირჩევს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ხოლო კოლეგების უმრავლესობა წინააღმდეგია?**

— ყოველგვარი არჩევანი მოითხოვს წევრთა ერთსულოვნებას. თუ ხედავ, რომ შენი არჩევა ხალხს არ სიამოვნებს, განერიდე და ამით დაამშვიდე ისინი; რადგან თუნდ ღირსეული ადამიანის არჩევა შუღლსა და შფოთს გამოიწვევს, იგი თავისი ნების წინააღმდეგ მოიტანს ზიანს და ზოგჯერ საყოველთაოსაც.

**— ჩემი მეგობრის შვილს სურს შედგეს ბერად. ოჯახში დიდი სიხარულის ნაცვლად ერთგვარ დაძაბულობას ვამჩნევ მშობლებს. შეიძლება თუ არა ასეთ გადაწყვეტილებაზე წინააღმდეგობის გაწევა?**

— უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: „აცადეთ ბავშვებს და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგისთანებისაა ცათა სასუფეველი“ (მათე. 19, 14).

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***



# „შატილის ასულოს“ ჩვენი თანამედროვე ავტორი

## კაცის ზურგს უკან უნდა იდგეს ყოველთვის ქალი, წინ კი არ წაუხტეს...



**„გულო, სიტყვების შენ ხარ საბადო, გონება კინძავს შენს სიტყვებს ლექსად და ენა ქალ-კაცს ლექსებს სთავაზობს ხალხში აძოვებს, უდგება მწყემსად.“**
***იოსებ ლონგიშვილი***

„კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ წინა ნომერში ანსამბლ „ერისიონის“ მონაწილეობით გადაღებული ვიდეოკლიპის შესახებ ვწერდით. წერილში სიმღერა „შატილის ასულო“ ხალხურად გვქონდა მოხსენიებული, რომელიც მოგვიანებით მუსიკალურად იური გოგოლაურს აღუდგენია. გულწრფელად გამიკვირდა და დავინტერესდი, როდესაც ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა — „შატილის ასულოს“ ტექსტი ალვანელი კაცის, თავის მხარეში კარგად ცნობილი პოეტის დაწერილიაო. ბუნებრივია, როდესაც მისი ადგილსამყოფლის შესახებ შევიტყვე, მაშინვე კახეთში, ალვანისკენ გავეშურე — „შატილის ასულოს“ დამწერი კაცი უბრალო კაცი არ იქნება და ბევრ სხვა საინტერესოსაც შევიტყობ-მეთქი...

არც შევმცდარვარ.

ზემო ალვანში, **იოსებ ლონგიშვილის** ოჯახში ვიმყოფებით. მისმა ქალიშვილმა, ქრისტინემ ოთახში შეგვიპატიჟა და მოგვიბოდიშა, მამას ახლავე შემოვიყვანთ, შეუძლოდ არის და ცოტა ხანს გაცდევინებთო.

— კაცი დაბერდა და აღიარებას მაინც ვერ ეღირსა ამ ჩვენი სახელოვანი მწერალ-პოეტებისაგან, თორემ მთა-თუშეთში ძია იოსებს ყველა იცნობს და აფასებს... — ჩამჩურჩულა ჩემმა თანმხლებმა კოლეგამ, რომელიც წარმოშობით ამ მხარიდან იყო და მეგზურობას მიწევდა, — დატოვებდა თავის ლექსებს რომელიმე გამომცემლობაში და წლობით უწელავდნენ დაბეჭდვას. სამაგიეროდ, თავის ტაეპებსა და სტრიქონებს ხან რომელი ცნობილი პოეტის ლექსში შეხვდებოდა და ხან რომელ მოთხრობაში...

დარდსა და ბოღმას ვეღარ მოერია და თვალისჩინი დაკარგა, დაავადმყოფდა...

ხუთიოდ წუთში ოთახში გამხდარი, მაღალი კაცი შემოიყვანეს. სიბერეს გაეტეხა და წელში მოეხარა. აკანკალებული, დაკოჟრილი და ჯაფით დაძარღვული ხელი ჩამომართვა და მეუღლის დახმარებით, უსინათლო კაცის სიფრთხილით ჩაჯდა სავარძელში.

ერთხანს ასე, ჩუმად ვისხედით. მერე ისევ თვითონ დაარღვია დუმილი. სადაური კაცი ხარო, პოეზია თუ გიყვარსო, ჩვენს მხარეში მანამდე თუ ხარ ნამყოფიო... ასე ნელ-ნელა, ლექსამდე მივედით. ძია იოსების ხმაში თანდათან ფოლადი გაერია. თვალებში უცნაური სხივი უელავდა...

უფსკრულთან ჭიუხის ქარივით ქანაობ,
ვერ გაკრთობს ფერხული მშფოთვარე ლოდების,
იფრთხილე, იფრთხილე, მეც გზვერავ, ქალაუ,
შატილის ბილიკზე შველივით მოდენილს.
...
ტიალი ფიქრები ჯანღივით ფარავს გულს,
ვერ გხიბლავ, აშექალ, მეცხვარის ფარებით.
ვაიმე, მეშინის, მეშინის, ქალაუ,
გზვერავენ შორიდან სხვა მწყემსის თვალებიც...

... ჩვენ თვალწინ რაღაც უცნაური გარდასახვა ხდებოდა — ხუთიოდე წუთის წინ ეს დავრდომილი და თითქოს, დაბეჩავებული კაცი ახლა რისხვას აკვესებდა, ბორგავდა, შმაგობდა... უფრო ძლიერი და ჩაუქი იყო, ვიდრე იმ ოთახში მყოფი ნებისმიერი ჯანმრთელი ადამიანი...

**— როდის დაწერეთ „შატილის ასულო“?**

— 1959 წლის დეკემბერში, თუშ-ფშავ-ხევსურთა წარმომადგენლები თბილისში, გიორგი ლეონიძის 60 წლისთავზე ჩავედით. კომისიის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე იყო — სამივე მხარის ხალხს 5 წუთს გაძლევთ სცენაზე, თავი რომ წარმოადგინოთო. 5 წუთი ერთ კაცს არ ეყოფოდა და სამს რა უნდა გვექნა?! მერე იოსებ ნონეშვილი მოვიდა. ჩემი ლექსი რომ წაიკითხა — ეს რომ სცენაზე არა თქვას, დიდი ცოდვა იქნებაო, აბაშიძეს უთხრა. საქმე იმაში იყო, რომ იმ ლექსში ბოლოს სტალინი მყავდა ნახსენები. ქაღალდზე განგებ არ დამიწერია, მჟავანაძე ესწრებოდა კონცერტს და ვიცოდი, არ წამაკითხებდნენ. რომ წავიკითხე, ერთი ამბავი ატყდა — თვითონ მჟავანაძემ მითხრა, ეს რა ჰქენი, კაცო, ორივეს დაგვიჭერენო. მე ვუთხარი, ერთი უბედური გლეხიკაცი ვარ, დამიჭერენ და რას დამაკლებენ, იმას მაინც ვიტყვი, რაც გულში მაქვს-მეთქი. იმ დავიდარაბაში ერთი ხევსურის ქალი მომეწონა. შინ დაბრუნებულს ფიქრი გადმომყვა — ღამეც კი ის მელანდებოდა, ვეუბნებოდი, თუშეთში გამომყევი-მეთქი. მოკლედ, ამ წვალებაში ავაგე ლექსი... ჩემი მეუღლეც ძალიან მიყვარდა და „შატილის ასულო, ლერწამო ფატიმა“-მეთქი, მისი სახელი ვიხმარე. თუმცა, მოგვიანებით, ლექსი რომ იბეჭდებოდა, მისი სახელიც ამოვიღე და ხადიშათით შევცვალე — ვიფიქრე, არ დამცინონ, ამ სიბერეში ცოლზე ლექსების ბეჭდვა დაიწყოო...

**— თვითონ სიმღერის წარმოშობაზე რას გვეტყვით?**

— წეღან ნახსენები „შატილის ასულო“ და კიდევ ერთი ლექსი, „აშექალა“ ახმეტის ცეკვისა და სიმღერის გუნდს გადავეცი — პაპალაშვილი იყო მაშინ, მაგარი მომღერალი. ცოტა აქედან გადაიღეს, ცოტა იქიდან და სიმღერად აქციეს. მერე, ნელ-ნელა ხალხში გავიდა და განვითარდა — ხან გარმონზე ამღერებდნენ, ხან ფანდურზე.

**— მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი აღარავის გახსენებია...**

— ჰო, ეგრეა, შვილო... თავიდან, თითქოს არაფერი, მაგრამ მერე მაგაზე დარდმა მომიღო ბოლო... ისეთი გრძნობა მაქვს ხოლმე, თითქოს ხელს ცოცხლად მაჭრიანო — ისეთს რას ვითხოვ, ავტორობას ნუ დამიკარგავენ...

**— ძია იოსებ, ზოგი სახალხო მთქმელად მოგიხსენიებთ და ზოგიც პოეტად. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ვახუშტი კოტეტიშვილმა და ალექსი ჭინჭარაულმა რომ ხალხური პოეზიის პირველი საღამო გამართეს, მეც მივედი. აბა, ჯერ მოგვასმენინე, როგორი ლექსები გაქვსო. ბალადა მაქვს და დავიწყო-მეთქი? — დაიწყეო.

ჰოდა, დავიწყე და დავიწყე...

301-ე ჰქვია, კრწანისის ომზეა დაწერილი.

... „მეფეს ვუშველოთ“! — არაბული
ვეფხვია ჰკივის,
ორთაბრძოლაში დაჩეხილ მტრებს
ხროვად ალაგებს,
ილევა რაზმი თავდადებულ სამასი გმირის,
ათი ათასი ერთად უტევს
სამას არაგველს...
... თენდება, ჭიუხს შურთხის
სტვენა აღვიძებს უკვე,
ლელაის ცხენიც შეეკიდა
არხოტის ბილიკს.
გრილი ნიავი გზას ულოცავს
თეთრონის მუხლებს,
უნდა იჩქაროს, სანამ მხედარს
გული აქვს თბილი.
...მე კრწანისიდან ცოცხალ-მკვდარი
მოვქრივარ ერთი,
რომ ქუდზე კაცი გამეძახა
არხვატის მთების,
ვინც არ დაიცვას საქართველო
საკუთარ მკერდით,
ის მორთეთ სისხლში გაბანილი
ამ ჩემი თმებით...“

ესენი კაი ხანს ეგრე მიყურებდნენ, გაოცებულები. მერე ბატონმა ვახუშტიმ მითხრა, მაგ ლექსს ვერაფრით ვერ წაგაკითხებთო — ეგა, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში კი არა, ლექსია, ჩამოყალიბებული ლექსი და არც შენა ხარ სახალხო მთქმელი — პოეტი ხარ და თანაც ძალიან კარგი პოეტიო... აი, ამის მერე დავდივარ და დავფარფატებ ღამურასავით — ეს პოეტები არ მიკარებენ, ხალხური ხარო, ხალხურები კიდევა, პოეტი ხარო...

მეც კიდე, ვეღარა ვჩერდები, კაცო — თვალისჩინი დაკარგული მაქვს და ეხლა ჩემს ცოლს ვაწვალებ — დავსვამ ხოლმე და ლექსებსა ვკარნახობ... რა ვიცი, რა ძალა მაიძულებს...



**— კიდევ სხვა თქვენი რომელი ლექსი იქცა სიმღერად?**

— „ლაშარობა“ გეცოდინება:

რა კარგი იყო თუშეთი,
და ლაშარობა თუშური,
რქებჩაგრეხილი ჭედილა,
სანთლით შუბლგადატრუსული...

ეს მთელ საქართველოშია ცნობილი, თორემ ისე, ბევრი ლექსია, დღეს რომ მთაში მღერიან...

**— ძია იოსებ, ახალგაზრდობაში ცნობილი თამადა და ხატობის „თვალი“ ყოფილხართ. შეიცვალა ხალხი მას შემდეგ?**

— აბა, რა გითხრა, შვილო. ხალხი ყოველთვის იცვლებოდა — ჩემს წინაპრებს ჩვენი არ მოსწონდათ რაღაც, ჩვენ მომავალი თაობისა არ მოგვეწონება, იმათ კიდევ თავისი მომავალისა და ასე შემდეგ...

**— ნაღდი, კაცური კაცი თქვენთვის რას ნიშნავს, „ვაჟობას“ რითი აფასებთ?**

— თავისი სამშობლო-ქვეყნის სიყვარულით. ოღონდ ისე კი არა, დღეს რომ არიან ზოგ-ზოგები — სუფრაზე ლომები და შარაზე კურდღლები.

კიდევ, სიმართლის სიყვარულით ვაფასებ ვაჟობას — ერთხელ რომ იტყვი კაცი, იმ სიტყვას არ უნდა გადახვიდე, თუ არა და სულაც არ უნდა თქვა.

**— ქალზე რას იტყვით?**

— ქალს სინაზე შვენის, კდემამოსილება. კაცის ზურგს უკან უნდა იდგეს ყოველთვის ქალი, წინ კი არ წაუხტეს...

***დაჩი გრძელიშვილი***

**თავიდან, თითქოს არაფერი, მაგრამ მერე მაგაზე დარდმა მომიღო ბოლო... ისეთი გრძნობა მაქვს ხოლმე, თითქოს ხელს ცოცხლად მაჭრიანო – ისეთს რას ვითხოვ, ავტორობას ნუ დამიკარგავენ...**

# „თუ რუსეთი აფხაზეთს დააბრუნებს, ჩეჩნები დღესვე დავტოვებთ საქართველოს“

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ამჟამად პანკისში ტალღის აგორების მიზეზი ავღანელთა კავშირის ჩასვლა გახლდათ. ხომ არ ფიქრობთ, თუნდაც იმ ფონზე, რომ გასულ კვირას ისინი პრეზიდენტს შეხვდნენ, ვინმესგან იმართებიან?**

— როდესაც მათ აქცია დაიწყეს, მგონი, ერთ-ერთი პირველი მე მოვხვდი ხეობაში. თუმცა ჩემი ჩასვლის მიზეზი პანკისში გავრცელებული ბოტკინის ეპიდემია იყო. იქ მითხრეს, „ავღანელები“ მშვიდობიან აქციას მართავენო და გადავწყვიტე მათი მონახულება. ვესაუბრე მათ ხელმძღვანელს ნუგზარ კახნიაურს. ამის შემდეგ თავი ვალდებულად მივიჩნიე, ჩემი ერის სახელით ბოდიში მომეხადა ქართველობისთვის. წამოიდგინეთ, ჩვენი გულისთვის ხან იქ იკრიბება ხალხი, ხან შს მინისტრს ხსნიან, ხან რა ხდება, ხან — რა. მან მიპასუხა, — ხიზრი, საბოდიშო რა გაქვს, შენ ხომ იცი, საიდან მოდის ეს პრობლემაო. მათი მოთხოვნა ჩვენთვის მისაღები იყო. როგორ ვიფიქრო, რომ ისინი ვინმეს შემოგზავნილები არიან?

**— მაგრამ რატომღაც მათ გვერდით არ დადგა სახალხო ლაშქარი ლუკა რამაზაშვილის მეთაურობით და ფაქტია, რომ ისინი უკვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.**

— დაიღალა საქართველო ასეთი დაპირისპირებით. ისე, სახალხო ლაშქარი რასაც ამბობს, უთუოდ ყურადსაღებია იმიტომ, რომ მართალია, ჩემთან არ თქმულა, მაგრამ ავღანელთა ერთი-ორი ისეთი ნათქვამი გავიგე, რომელიც არ მომეწონა — ჩვენ ძმები გვყავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიო...

**— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. სხვათა შორის, სახალხო ლაშქრის ერთი წევრის, ბათურიშვილის მიერ გავრცელებული ცნობით, „ავღანელები“ ნარკომაფიას კი არ ებრძვიან, მფარველობენ. გარდა ამისა, ნუგზარ კახნიაურს ბათურიშვილისთვის უთქვამს, თუ საჭირო გახდება, რუსეთიდან და უკრაინიდან მოგვივა დახმარებაო.**

— ჩვენს საქმეში უცხოს ჩარევას უბედურება მოჰყვება. არანაირი რუსი საჭირო არ არის, არც ავღანელის, არც მეზობლისა და კაი მეგობრის სახელით.

**— ისე, გადაჭარბებულად არ გეჩვენებათ ამხელა აჟიოტაჟი რაღაც ათიოდე დამნაშავის დასაკავებლად? ხომ არ ფიქრობთ, რომ პანკისში ომის გაჩაღების პროვოცირება ხდება. გამორიცხავთ, რომ იქ შესაძლოა, თოფი გავარდეს და ჩეჩნები და ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ?**

— მართალს ბრძანებთ. გულახდილად გითხრათ, ავი წინათგრძნობა მაქვს. ჩეჩნეთში ომი იცით, როგორ დაიწყო?! ზუსტად ისე, როგორც პანკისში ვითარდება მოვლენები. იტაცებდნენ ხალხს, ხდებოდა ათასნაირი დანაშაული და ყველაფერს ჩეჩნების სახელი ერქვა. სხვათა შორის, ბოლო ხანს უკვე ხელისუფლებაც ალაპარაკდა, — ჩეჩნები უნდა წავიდნენ, მათ გამო ხდება ყველაფერიო... მე ამ ლტოლვილებს „კონცლაგერში“ ვერ გავუშვებ.

**— ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყებაო. ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ჩეჩნების სანაცვლოდ შესაძლოა რაიმე გარიგება მოხდეს?**

— მჯერა, რომ გაიმარჯვებს საღი აზრი. არ არის საქართველოს პრეზიდენტი ის კაცი, რომ ვიღაცამ მოატყუოს და შეაცდინოს. შევარდნაძეს პუტინი ვერ გააცურებს. თუ ჩეჩენი ლტოლვილების გაყვანის სანაცვლოდ რუსები აფხაზეთს დააბრუნებენ, დღესვე დაველაპარაკები ჩეჩნებს და სულ სხვა ქვეყანაში წავალთ, ოღონდ კი ეს მოხდეს.

ჩეჩენ ლტოლვილებს იმედი აქვთ, რომ შევარდნაძე მათ აქედან არ გაყრის... მაშინ რატომ გადამარჩინე?! თუ იმიტომ გადამარჩინე, რომ ჩამაბარო და მომკლა, ეს რა დახმარებაა?! ამჟამად რუსეთს ჩეჩნეთი იმდენად აღარ სჭირდება, რამდენადაც საქართველო. თუ ჩეჩნეთი დღეს გადარჩა და ომი შეწყდა, ჩათვალეთ, რომ რუსეთმა საქართველო სამუდამოდ დაკარგა. თუ ჩეჩენმა დაიჩოქა, საქართველო უკვე ლომის ხახაში აღმოჩნდება.

**— სხვათა შორის, როგორც მითხრეს, პანკისში პანიკააო. თქვენ ხომ იყავით პანკისში, რა სიტუაცია დაგხვდათ?**

— კი, პანიკა არის. იმათაც აქვთ ინფორმაცია, რომ რუსეთთან რაღაც მოლაპარაკება მიდის. ზოგიერთმა ისიც მითხრა, — მგონი, აქ ჩახოცვას გვიპირებენ, გაგვიყვანე, წაგვიყვანე აქედანო. შევეცადე, ეს ხალხი დამემშვიდებინა.

**— თქვენი საუბარი გასაგებია, მაგრამ თქვენს ნათქვამს გავიხსენებ: „ამ ნაბიჯს სროლა მოჰყვება, სროლას — სისხლი, სისხლს კი მსხვერპლი“. რატომ თქვით ასე?**

— იცით, რატომ ვთქვი? მხედრიონის ლიდერი გამოვიდა და თქვა, თუ ჩვენ პანკისის თავი არ გვაქვს, მაშინ უნდა მოვიყვანოთ რუსიო. ნუ მაშინებ რა ამ რუსით, კაცო. თუ სროლაზე მიდგა საქმე, იქიდანაც იქნება ხომ სროლა? მაშინ დავერიოთ ერთმანეთს და ამ სროლას სისხლი არ მოჰყვება?! მე არ მინდა არც ქართველის, არც ქისტის და ჩეჩენის სიკვდილი. რუსის გასახარად არ მინდა, რომ იქ თოფი გავარდეს. მახსოვს, ერთ გასროლას რა მოჰყვა აფხაზეთში, სამაჩაბლოში... მაგრამ მე მივესალმები იმას, რომ ნარჩემაშვილმა აიყვანა დღეს ბიჭები და ქართველები და ქისტები ერთად დგანან. სხვათა შორის, პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ ისეთი განცხადებები გააკეთა მასმედიის საშუალებით, რომ შემეშინდა მაგ კაცის! რომელი პოლიტოლოგი იტყვის — სადაური ძმები არიან ისტორიულად ქისტები, ჩეჩნები და ქართველები. მერე რა, დაიღვაროს სისხლიო... ამის თქმა შეიძლება?! მაშინ თავად აიღეთ თოფი, ბატონო სოსო, მიბრძანდით და იომეთ!.. თუ თქვენ არ მიდიხართ, შვილი გაგზავნეთ! დისშვილი, ძმისშვილი!.. იქ რომ მარტო დამნაშავეები იყვნენ, პირველი მე გავისვრი. ხეობა ბავშვებითა და ქალებით არის სავსე. იმიტომ იკავებენ თავს, თორემ თქვენი თქმისა არ იყოს, ათიოდე დამნაშავის დაჭერას რა უნდა?!

**— ფაქტია, ბლოკ-პოსტებმა გადაიწიეს, აქციები გრძელდება, მაგრამ მამა ბასილი მაჩიტაძე და ფიზული ხალილოვის მამა ისევ ტყვეობაში არიან... რა ინფორმაციას ფლობთ მათ შესახებ?**

— ჩვენი ინფორმაციით, მათ გამტაცებელს ეძებენ ხეობაში, თუმცა ძალიან ნელ-ნელა გადიან მათზე. რაც შეეხება მამა ბასილს, ვინ იცის, იქნებ თბილისშიც ჰყავდეთ წამოყვანილი.

**— როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ისახავდა მამა ბასილის გატაცება?**

— თბილისიდან რომ არ დაერეკათ, მღვდლებს არ აიყვანდნენ. ვერ დავაზუსტებ, მაგრამ როგორც ვიცი, ვისთანაც ისინი მეგობრობდნენ, ის წავიდა ამერიკაში და ძლიერი ფინანსური ზურგის მქონე ორგანიზაციის წევრი გახდა. ამის თაობაზე იცის ვიღაცა დამნაშავე ქისტმა ან ქართველმა. ვიცი, რომ ამ ყველაფერს კუდი რუსეთში აქვს. ეს რელიგიურ შუღლზეც არის გაანგარიშებული. ამის შემკვეთს ორი კურდღლის დაჭერა უნდოდა: ერთი ფინანსური და მეორე — ქართველისა და ჩეჩენის გადაკიდება.

***მარინა მამისაშვილი***

# მიხეილ სააკაშვილი: დიდი დრო გავა, ვიდრე თარგამაძე და მისი თანამზრახველები მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან!



***ავტორიტეტულმა ინგლისურენოვანმა საინტერნეტო გამოცემამ „იურეიჟ რევიუმ“ ახლახან გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის ყოფილ მინისტრთან, ამჟამად პარლამენტარ მიხეილ სააკაშვილთან. ინტერვიუს შესავალში ნათქვამია, რომ ბევრი ექსპერტი მას მიიჩნევს საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ედუარდ შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ...***

**— თქვენი დასავლური ორიენტაცია მითქმა-მოთქმას იწვევს, ზოგი დასავლეთის მარიონეტადაც მოგიხსენიებთ...**

— საქმე ეხება არა ორიენტაციას, არამედ ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა თავისუფლება, შემწყნარებლობა, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა და მთავარია, ეს ფასეულობები დავამკვიდროთ ჩვენში, შევამზადოთ ნიადაგი გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის დასავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც ჰუმანიტარული დახმარებით მხარში გვიდგანან. სწორ გზას რომ არ ავცდეთ, დასავლეთმა საქართველოზე ზეწოლა უნდა მოახდინოს. ქვეყანაში იზრდება ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბები, ფულის გათეთრებით დაწყებული და ნარკოტიკებით ვაჭრობით დამთავრებული. გამორიცხული არ არის, რომ დასავლეთმა ამ პრობლემებზე სათანადო რეაგირება დააგვიანოს. რაღაც უნდა ვიღონოთ, სანამ პროცესი უმართავი გამხდარა. დასავლურ ორიენტაციაზე ჩვენი პოლიტიკური ლიდერებიც საუბრობენ, მათ შორის, შევარდნაძეც, მაგრამ ყველაფერი უმალ მთავრდება, როგორც კი ხელისუფლებას ეუბნებიან — კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს, ეკონომიკური შესაძლებლობებიც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდესო...

**— დასავლეთი შევარდნაძით დღესაც კმაყოფილია?**

— დასავლეთი დაინტერესებულია და კმაყოფილია იმით, რასაც საქართველოში არსებული მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური ვითარება ჰქვია. ყველაზე ნაკლებ დასავლეთს არეულდარეულობის და იმისი დანახვა სურს, რომ მთელმა მისმა ძალისხმევამ, საქართველოსადმი დახმარების თვალსაზრისით, ფუჭად ჩაიარა. შევარდნაძემ ეს კარგად იცის და სიტუაციას თავის სასარგებლოდ იყენებს. აცხადებს, — მე ყველასთვის მისაღები ვარ, დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც. თუ გადავდგები, ქვეყანას მაშინვე ქაოსი მოიცავს და ყველაფერი წყალში ჩაიყრებაო.

**— კახა თარგამაძე რჩება თუ არა პოლიტიკურად ანგარიშგასაწევ ფიგურად?**

— თარგამაძეს ბევრი ფული აქვს და სახელმწიფოს სამართალდამცავ უწყებებში დღემდე დიდი გავლენით სარგებლობს. ამ კავშირების მოშლას ძალიან დიდი დრო დასჭირდება, ხოლო თარგამაძისა და მის თანამზრახველთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგომას შესაძლოა წლები დასჭირდეს, ან არც არასოდეს მოხდეს...

**— მართალია, რომ თარგამაძეს თქვენი და პარლამენტის ყოფილი სპიკერის ზურაბ ჟვანიას დაპატიმრება ჰქონდა განზრახული?**

— მხოლოდ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო სტუდენტების მიერ დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა და ამ გეგმისადმი თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძის უარყოფითმა პოზიციამ ჩაშალა მათი ზრახვები. თავდაცვის მინისტრი შესაძლოა დიდი გაქანებით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ პატიოსანი კაცი მაინც არის...

**— რა კომენტარს გაუკეთებდით საქართველოს როლს ნარკოტიკების ბიზნესში?**

— ნარკოტიკების წყარო სათავეს ავღანეთში იღებს, უწინარესად კი იმ რეგიონში, რომელსაც თალიბანის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე ჩრდილოეთის ალიანსი აკონტროლებდა. აშშ-სა და მის მოკავშირეებს შესაძლოა არც ესიამოვნოთ ამის მოსმენა, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, თალიბანის დამარცხების შემდეგ ეს ბიზნესი საქართველოში უფრო ღრმად გაიდგამს ფესვებს. ჩვენში ამჟამად შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება საუცხოო პირობებს ქმნის ნარკობიზნესის შეუფერხებლად განვითარებისთვის. ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის ჩვენ იდეალური სიტუაცია შევქმენით თუ გავითვალისწინებთ უკონტროლო ტერიტორიების არსებობას და სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოს ხელსაყრელ მდებარეობას, რომელიც უმოკლესი გზითაა დაკავშირებული დასავლეთთან. დასავლეთი კი ამჟამად უფრო მნიშვნელოვანი ამბების მოგვარებითაა დაკავებული და ნარკოტიკების საკითხს მეორეხარისხოვნად მიიჩნევს, რაც შეცდომაა.

**— საიდან იღებთ ინფორმაციას ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ?**

— წყარო ბევრი მაქვს, მაგრამ ვერ დავასახელებ. ადამიანის სიცოცხლეს საქართველოში და განსაკუთრებით პანკისის ხეობაში, ჩალის ფასი აქვს. ვინმეს გვარი რომ წამომცდეს, იმ ადამიანს მაშინვე მოკლავენ, ან კიდევ უარესი — მიზანში ამოიღებენ მისი ოჯახის წევრებს.

**— როგორია თქვენი აზრი საქართველოში პრესის თავისუფლების შესახებ?**

— რუსეთთან და უკრაინასთან შედარებით ჩვენ ასე თუ ისე თავისუფალნი ვართ, სუნთქვისთვის რაღაც სივრცე ჯერ კიდევ არსებობს. უფრო მნიშვნელოვანია კითხვა, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს! ბევრს უნდა პრესის თავისუფლების მოსპობა. ასეთ ვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია მხარი დავუჭიროთ დამოუკიდებელ პრესას და ჭეშმარიტად დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**— რას იტყვით შევარდნაძესა და ბადრი პატარკაციშვილს შორის შესაძლო გარიგებებზე?**

— ეს კავშირი უფრო პოლიტიკურადაა მოტივირებული, ვიდრე ეკონომიკური ხასიათისა. შევარდნაძეს სჭირდება ვინმე, რომელიც მას პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებაში დაეხმარება. პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი ცდილობს, მონოპოლიზება გაუკეთოს არა მარტო ბიზნესს, არამედ პოლიტიკურ სტრუქტურებსაც. კი ამბობენ, შევარდნაძე უნდა შეიცვალოსო, მაგრამ სინამდვილეში სასახლის კარის გადატრიალების მაგვარ რამეს ესწრაფვიან, რაღაც შუააზიური მოდელის მსგავსს. მეორე მხრივ კი, შევარდნაძეს არ სურს დანებება და ბოლომდე შეეცდება შეინარჩუნოს ძალაუფლება...

# კავკასია

# სამხრეთულაქცენტიანი არჩევნები

***ჩრდილო კავკასიაში არჩევნების სეზონი იწყება. ჯერ ადიღე და ყაბარდო-ბალყარეთი არჩევენ თავიანთ მეთაურს, 27 იანვარს კი სამხრეთ ოსეთში ჩატარდება არჩევნები, ხოლო 7 აპრილს — ინგუშეთში.***

***ადიღესა და ყაბარდო-ბალყარეთში ასლან ჯარიმოვს და ვალერი კოკოევს, რომლებიც თავ-თავიანთ რესპუბლიკებს — 13 და 12 წელი ხელმძღვანელობენ, ავტომატურად გადაირჩევენ. ჩრდილოეთში ალექსანდრ ძასოხოვს დიდი ბრძოლა მოუწევს პოსტის შესანარჩუნებლად, ინგუშეთში კი აუშევს ტიტანური ძალისხმევა დასჭირდება თავისი კანდიდატის გასაყვანად.***

## ადიღეელთა „ოქროს კოზირი“

ადიღეს რესპუბლიკა სამი თვე საგონებელში იყო ჩავარდნილი: ერთგულება გამოეჩინათ თავისი უცვლელი პრეზიდენტისათვის ასლან ჯარიმოვისთვის, რომელიც უკვე 13 წელია ხელმძღვანელობს ადიღეს, თუ ხელგაშლით მიგებებოდნენ ზღაპრულად მდიდარ ოქროს მრეწველ ჰაზრეთ სოვმენს.



**შუაში: „ოქროს პრეზიდენტი“**

ჰაზრეთ სოვმენი ადიღეში დაიბადა. ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კრასნოიარსკის მხარეში არტელს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი, — ოქროს მომპოვებელ კომპანია „პოლუსს“. მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, დიდი გამოგონებების ავტორმა (ოქროს მოპოვების დარგში), არჩევნების პირველსავე ტურში გაიმარჯვა.

ჰაზრეთის საარაკო სიმდიდრემ მოაჯადოვა ელექტორატი. ბევრმა იცოდა, რომ არსებობს ერთი მდიდარი კავკასიელი, რომელიც კრასნოიარსკიდან, ყოველ ახალ წელს საჩუქრებს უგზავნიდა რესპუბლიკის ყველა ბავშვს, ხოლო როდესაც შარშან „თოვლის ბაბუამ“ თავის მშობლიურ სოფელში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ცენტრი გახსნა, მასზე მთელი ადიღე ალაპარაკდა. ისიც გაიგეს, რომ სოვმენს 280 მილიონი რუბლი გადაურიცხავს რუსული მეცნიერების განვითარებისათვის, ამაზე გაცილებით მეტი კი მოსკოვში მაცხოვრის ტაძრის გუმბათის მოსაოქროებლად...

ადიღეში, თავისი რაიონის მიუვალ სოფლებში უფასოდ გაიყვანა გაზი და გზები; ახალგაზრდებს კი სამუშაო მისცა თავის ოქროს საბადოებზე. სამედიცინო ცენტრის მედპერსონალს და ყველა მომსახურეს ევროპის სტანდარტების შესაბამისი ხელფასები დაუნიშნა, ხოლო ბინებისა და მანქანების შესაძენად შეღავათები დაუწესა. გაჭირვებულ პაციენტებს მკურნალობა უფასო აქვთ. ყველაფერს, „სასწრაფო დახმარების“ ბენზინის ფულსაც „პოლუსის“ დამფუძნებელი იხდის.

სოვმენის თანასოფლელები ამბობენ, ბუნებით კეთილი კაცია და რაც ოქროს საბადოებზე დაიწყო მუშაობა, მას შემდეგ გვეხმარება, ხოლო ერთადერთი მემკვიდრის დაღუპვის შემდეგ, მთელი თავისი კაპიტალი მშობლიური რესპუბლიკის აყვავებას უნდა მოახმაროსო.

მწარედ ცდებიან ისინი, ვინც იმედოვნებენ, რომ სოვმენი თავისი გამარჯვების შემდეგ, მთელ თავის სიმდიდრეს თანამემამულეებს გადაუნაწილებს. იგი მუდმივ თოვლის ბაბუობას არ აპირებს, თუმცა თანამემამულეთ დაჰპირდა, რომ ორ წელიწადში ქვეყნის ეკონომიკას ააღორძინებს, მაგრამ უცხოური და რუსეთის ინვესტიციების ხარჯზე. იგი კარგ მენეჯერად ითვლება — ღარიბი არტელი „პოლუსი“ უდიდეს წარმოებად აქცია, რომელიც წლიურად 30 ტონა ოქროს მოიპოვებს. სახელმწიფოს კი გადასახადის სახით, 5 მილიარდ რუბლს უხდის.

ისე, იმასაც ამბობენ, ოქროს მწარმოებელს პუტინმა „დაავალა“ ადიღეს აღორძინებაო.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №2***

# რა იმალება რუსლან აუშევის პრეზიდენტობიდან გადადგომის უკან?



**ინგუშეთის პრეზიდენტის, რუსლან აუშევის პოსტიდან ამასწინანდელი გადადგომა მოულოდნელი არ ყოფილა. ჯერ ერთი — ამას კარგა ხანია ელოდნენ, მეორეც — თვით რესპუბლიკაშიც არაფერი შეიცვლება — ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში.**

ხმები გენერლის გადადგომის შესახებ, ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბრიდან დაირხა — ჩრდილო კავკასიაში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ვიზიტის შემდეგ. პუტინი პირისპირ შეხვდა კავკასიის ამ რეგიონის ყველა რესპუბლიკის მეთაურს და სწორედ მან განუსაზღვრა აუშევს გადადგომის ვადა — 2001 წლის ბოლომდე. ამბობენ, ინგუშეთის პრეზიდენტი ამ შეხვედრის შემდეგ ცუდ გუნებაზე იყოო.

აშკარაა, რომ რუსლან აუშევის პოზიცია ჩეჩნეთის მიმართ დიდი ხანია აღიზიანებს რუსეთის ძალოვნებსაც და უმაღლეს ხელისუფლებასაც. ჯერ მარტო მისი განცხადებები რად ღირს ასლან მასხადოვის ლეგიტიმურობის შესახებ და არაერთგზისი დემარშები ინგუშეთში რუსეთის სამხედროების მიერ მოწყობილი პროვოკაციების მიმართ. აქამდე შეიძლებოდა ასეთი მძაფრი პოზიციის შენარჩუნება, მაგრამ 2002 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა კანონი, რის მიხედვითაც სუბიექტის მეთაური (რესპუბლიკის თუ რაიონის, არა აქვს მნიშვნელობა) ვეღარ იქნება იმავდროულად ფედერაციის საბჭოს წევრი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო მოეღება ხელშეუხებლობას — ახლა რაიონის პროკურორსაც შეუძლია თავისი პრეტენზიები წაუყენოს პრეზიდენტს — ეს თეორიულად, თუმცა, როცა ინგუშეთის ლიდერმა ასე გაამწვავა ურთიერთობა ცენტრთან, არ არის გამორიცხული, თეორია პრაქტიკად იქცეს. აუშევის მოწინააღმდეგეებს უამრავი კოზირი აქვთ, თუ დასჭირდათ ბევრ რამეს გაახსენებენ და მათ შორის, მის დროს აღმოცენებულ ეკონომიკური კეთილდღეობის ზონას „ინგუშეთსაც“. რესპუბლიკასა და მოსკოვში იციან ოფშორული ზონის შავ ხვრელში საკმაოდ დიდი თანხის უგზო-უკვლოდ გაქრობის შესახებ, ამაზე პასუხისმგებელი კი, ჯერაც არ დაუსახელებიათ.

არის ვერსია, რომ უკან დასახევი გზები აუშევმა წინასწარ მოიმზადა, როცა დუმის უკანასკნელ არჩევნებზე აქტიურად დაუჭირა მხარი ოფშორული ზონის ყოფილ ხელმძღვანელს, ახლა კი ინგუშეთის პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატს, ალიხან ამირხანოვს.

ასეა თუ ისე, ინგუშეთში ახალ არჩევნებამდე მაინცდამაინც არაფერი შეიცვლება, მაგრამ ჩეჩნეთზე კი ნამდვილად იმოქმედებს — სავარაუდოა, რომ აუშევის გადადგომას ჩეჩნეთის სეპარატისტებისთვის ინგუშეთში არსებული ე.წ. ზურგის ბაზის მოშლაც მოჰყვება. ჩეჩნებიც, ინგუშებიც და რუსი სამხედროებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მასხადოვი ხშირად სტუმრობს ინგუშეთს. ჩეჩნეთის საქმეების ფედერალურმა ინსპექტორმა ბესლან განტამიროვმა კი განაცხადა: „ბევრი რამ გაკეთდა ჩეჩნეთში მშვიდობის დასამყარებლად და სამხედრო მოქმედებების შესაწყვეტად. დიდი ნაბიჯი გადაიდგა იმ უმსგავსობის შესაწყვეტად, რაც ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ხდებოდა. აუშევის გადადგომასთან ერთად, ომიც სანახევროდ შეწყვეტილია“. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამის იმედი აქვს ფედერალურ ცენტრს.

სრულიად საპირისპირო აზრის არიან ინგუშეთის პოლიტიკოსები და ინტელიგენცია. მათი აზრით, ინგუშეთში შორსმჭვრეტელი და ხალხისთვის თავგადადებული ახალი პრეზიდენტიც რომ მოვიდეს, ის აუშევი ვერ გახდება. ახლა ვეღარავინ შეუშლის ფედერალებს ხელს იგივე გაიმეორონ ინგუშეთში, რაც ჩეჩნეთში. ქვეყანაში ერთი ეპოქა დამთავრდა, მეორე წინაა და შეიძლება არა მარტო ინგუშეთისათვის, არამედ მთელი ჩრდილო კავკასიისთვისაც.

***ობშჩაია გაზეტა №2***

# ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის ჯარებს საქართველოში დარჩენა შესთავაზა

დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა ძალები, რომლებიც ფაქტობრივად მარტო რუსეთის ქვედანაყოფებისგან შედგება, საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან არიან შესული და აფხაზეთის მხრიდან საზღვრის 24 პოსტს, ხოლო საქართველოს მხრიდან — 12 პოსტს აკონტროლებენ. მშვიდობისმყოფელებმა თავისი სამსახურის მანძილზე ბევრი ჯარისკაცი დაკარგეს, ბევრი მათგანი აფხაზეთის მოსაზღვრე გალის რაიონში დაიღუპა. ეს რაიონი უმეტესად მეგრელებით არის დასახლებული. მშვიდობისმყოფელთა მძიმე ტექნიკა და ავტომობილები ხშირად აუფეთქებიათ და დაუცხრილავთ ქართველ პარტიზანებს, რომლებსაც რუსები „სოხუმელი სეპარატისტების“ ხელის შემწყობად მიაჩნიათ.

მშვიდობისმყოფელთა მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1998 წელს, როცა პარტიზანთა დიდმა ნაწილმა მდინარე ენგურის ფორსირება მოახდინა და აფხაზეთში შეიჭრა, მათ გალის დაპყრობა და იქ აფხაზეთის დევნილი „ლეგიტიმური მთავრობის“ ჩაყვანა სურდათ, მაგრამ მშვიდობისმყოფელებმა ეს არ დაუშვეს და თავიანთი მოვალეობა შეასრულეს — აფხაზებს დაეხმარნენ. საქართველოს პარლამენტმა გადაწყვეტილება მშვიდობისმყოფელების გაყვანის შესახებ, 2001 წლის 11 ოქტომბერს მიიღო. როგორც ქართველი მეომრები ამბობდნენ, ბრძოლის ველზე აფხაზებზე რევანშის აღებაში სწორედ მშვიდობისმყოფელები უშლიან ხელს. იგივე გაიმეორა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გივი აგრბამ: „რუსეთის მშვიდობისმყოფელთა გაყვანა ახალი ომის გაჩაღებას ნიშნავს“.

ედუარდ შევარდნაძის ახლანდელი უარი თავისივე პარლამენტის გადაწყვეტილების ვიზირებაზე, ცხადყოფს, რომ საქართველოს პრეზიდენტს ახალ ომში გამარჯვების, ყოველ შემთხვევაში, სწრაფი გამარჯვების იმედი არ აქვს. გაგრძელებული ომი აფხაზეთში კი შევარდნაძის ამერიკელი მეგობრების განრისხებას გამოიწვევს, რომელთაც კავკასიაში დესტაბილიზაცია არ აძლევთ ხელს.

ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის რადიოინტერვიუში განმარტა, თუ რატომ თქვა უარი თავდაპირველ იდეაზე — რუსეთის მშვიდობისმყოფელების ნატოს „ცისფერჩაფხუტიანებით“ შეცვლაზე. მან თქვა, რომ ნატოს 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ არ სცალია და სხვა საქმეებითაა დაკავებული და საერთოდ, „აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მონაწილე ყველა ქვეყანა — პარტნიორი, მათ შორის აშშ, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი გაუმართლებლად თვლის ამ სიტუაციაში რუსეთის მშვიდობისმყოფელთა გაყვანას. მაგრამ შევარდნაძე მანდატის გაგრძელების ერთადერთ პირობად მოითხოვს უშიშროების ზონის გაფართოებას მდინარე ღალიძგამდე (აფხაზეთის მხარე), სადაც ქალაქი ოჩამჩირე მდებარეობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარტიზანთა შესაძლო შეტევის დროს, არა მარტო მთელი გალის რაიონი, არამედ ოჩამჩირის რაიონის ნაწილიც დაიკეტება აფხაზეთის საბრძოლო ტექნიკისა და არტილერიისათვის. „აფხაზეთის დევნილი მთავრობის“ თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი კი, 2002 წლის მაისისთვის პარტიზანული ომის ახალი გაჩაღებით იმუქრება.

მიუხედავად ამისა, რუსეთს კომპრომისი უფრო აძლევს ხელს, ვიდრე კონფლიქტის ზონიდან გასვლა. რუსი მშვიდობისმყოფელები „უშიშროების ზონაში“ ქართულ ნაღმებზე ფეთქდებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრ მათგანს მიაჩნია, რომ კონფლიქტის ზონიდან გასვლა აფხაზების გაწირვას ნიშნავს, გაწირვას ერისა, რომელსაც ომი გაქრობამდე მიიყვანდა.

***ვესტი რუ***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



**4 წლის კოკა იაკობიძეს** ძალიან უნდოდა ვირი და პაპას ეხვეწებოდა, ვირი მიყიდეო. პაპამ უთხრა:

— კობა, ახლა მამაშენი ჩამოვა მოსკოვიდან და ჩამოგიყვანს.

— პაპა, ლად მინდა მოსკოვის ვილი, იმან ქალთული ალ იცის, მე კიდევ ლუსული.

***

**5 წლის ანა მხეიძე** მოუსვენრად დახტის, დედამ დატუქსა:

— ანა, მოისვენე, რა მოგივიდა?!

— რა ჩემი ბრალია, თუ ენერგია არ მასვენებს, — თავს იმართლებს ონავარი.

***

**3 წლის გუგა კლდიაშვილი** სთხოვს ბებოს:

— ბებო, ჩამირთე, რა „მულტიკები?“

ბებო ეუბნება:

— გუგა, არც ერთ არხზე არ არის მულტფილმები!

— მაშინ ჩართე პარლამენტი!

***

**3 წლის გიორგი იამანიძე** ათვალიერებს ჟურნალს, სადაც ხატია წყალში მოცურავე თევზები. გიორგი ეკითხება დედას:

— დედიკო, თევზები მონათლულები არიან?

***

**3 წლის ანანო ამბროლიძე** იყურება ცაში და დედას ეუბნება:

— დედა, დედა, ნახე, ვარსკვლავები ღმერთმა როგორ დაამწიფა.

***

ზეიმისთვის **პატარა ნატო ცაბუტაშვილს** დედა ნამცხვარს უცხობდა.

— დედა, რა ჰქვია ამ ნამცხვარს?

— მადონა, — უპასუხა დედამ.

— რა გვარია? — დაინტერესდა ნატო.

შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: სიცივეში მაგარია, სითბოში ტბად დამდგარია.



## იპოვეთ 15 განსხვავება







გამოიცანი, რომელ ბურთს ჭამს ნიანგი

ქვემოთ მოცემული ზედხედებიდან, რომელი შეესაბამება ოთახის ხედს?



ალეკო ნაძვის ხისგან მარცხნივ დგას, არყის ხისგან კი — მარჯვნივ, რომელ ბიჭს ჰქვია ალეკო?



## I რებუსი





მიიყვანე გოგონა საჭმელთან

ნიფ-ნიფი ნუფ-ნუფზე მსუქანია, ნუფ-ნუფი კი — ნაფ-ნაფზე. გამოიცანი, რომელია ყველაზე მსუქანი და ყველაზე გამხდარი?



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იგავ... | დათვის ნაშიერი | ჩვილის პირველი სიტყვა | მატყუარა ცხოველი | „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს...“ | სახელდახელოდ თქმული ლექსი, შაირ... | |
| უარის ნიშანი | შენობაში შესასვლელი საფეხურები | ქალის სახელი | რკინისგან დამზადებული გასათბობი მოწყობილობა | კონტინენტი | საჭმელი ბავშვის ენაზე | |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 32-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# ჰონორარი _ ტყვია პირდაპირ საფეთქელთან, ანუ ვინ ჩაიდინა ეს...

თბილისი. 1937 წელი. მახარაძის ქუჩა. სახლებში შუქი ქრება, ხალხი მიჰყავთ, უკან აღარავინ ბრუნდება. სადარბაზოებში ისეთი სიჩუმეა, რომ თაგვის გაფაჩუნებაც ისმის. თავზარდაცემულ მობინადრეებს ღამე უფრო აფრთხობთ, რადგან აღარაფერია იმაზე მძიმე და საშინელი, როცა სიზმარსა და ცხადს ველარ არჩევ ერთმანეთისგან, რადგან ორივე ერთნაირი კოშმარია... აუტანელი სიზმრები დღისით ცხადდება, ყოველ დილით იგებ, რომ მეზობლები, ესა თუ ის



ერიკ ბედია



ნინა ჩაჩუა-ბედია

ოჯახი, სადღაც მოუსავლეთში წაასხეს...

— დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ მოიგონებს ქეთევან ორახელაშვილი და თავის ერთგვარ ცოდვასაც გაამხელს: იმ ღამით, სადარბაზოში, ისევე, როგორც ყოველთვის, საზარელი, აუტანელი სიჩუმე თამამმა ფეხის ხმამ დაარღვია, მარტო არ არის, ორნი უნდა იყვნენ, შეიძლება სამნიც, მძიმე, მაგრამ გაბედული ნაბიჯებით მოდიან. ასე თავდაჯერებულად, ასე მოურიდებლად მხოლოდ ისინი (ჩეკისტები) დააბოტებენ... ნამდვილად არ ვცდები, ისინი არიან... ნეტავ ჩვენთან არ იყვნენ, ღმერთო, გევედრები, გადმომხედე, გვიშველე რამე და სხვასთან მიიყვანე ისინი, — დაძაბული ევედრებოდა უფალს. ფეხის ხმა მათ სართულზე შეჩერდა, სულ ახლოს არიან, მათი სუნთქვაც ისმის. ღმერთმა ისმინა ქეთევანის ვედრება, ჩეკისტებმა ბედიების კარზე დააკაკუნეს. მალევე კარი ნინა ბედიამ გააღო... ქეთევანს ესმის ნინა ჩაჩუა-ბედიას ხმა: — გელოდით! როგორც იქნა, მოხვედით, მზად ვარ, ბარგიც უკვე ჩალაგებული მაქვს, წამიყვანეთ... წაიყვანეს... ქეთევანი მხოლოდ ახლა ატირდა ხმამაღლა, ევედრებოდა უფალს, ეპატიებინა წელანდელი მკრეხელური ფიქრი... ხომ არ ჯობდა, მე წავეყვანეო... ერიკ ბედია ნინა ჩაჩუა-ბედიას აყვანამდე რამდენიმე დღით ადრე წაიყვანეს და ისიც სხვებივით უმისამართოდ დაიკარგა. ერიკ ბედიას ტროცკისტ ბესო ლომინაძესთან კავშირი დასდეს ბრალად.

— 30-იანი წლების მიწურულის განათლების მინისტრი ერიკ ბედია ტროცკისტობისთვის კი არ დაუხვრეტიათ, არამედ იმ წიგნის გამო, რომელიც უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის დავალებით დაწერა, „ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორია“ იმ დროს ყველა კომუნისტის სამაგიდო წიგნად იქცა, — მითხრა ერიკ ბედიას ძმისშვილმა, ქალბატონმა ნინომ, — ოღონდ ავტორად, ბედიას ნაცვლად, შეგნებულად ბერია ეწერა. ბერიამ ავტორობა მიითვისა, რაზეც, რა თქმა უნდა, ხმას ვერ ამოიღებდა მაშინდელი განათლების მინისტრი. თუმცა, ეს ამბავი შესანიშნავად იცოდა იმდროინდელმა ინტელიგენციამ. ერთხელ, განათლების მინისტრთან გაბედული თანამშრომელი შესულა და ურჩევია, — ყოველი მხრიდან მესმის, ეს წიგნი ერიკმა დაწერაო. თუკი ამ ხმებს შენ ავრცელებ, ნორმალური არ უნდა იყო და გირჩევ, ამ თემაზე ლაპარაკი აკრძალოო. ამის შემდეგ ხმები წიგნის ავტორობაზე მართლაც შეწყვეტილა — იმ კვირამდე. ერიკ ბედია ბერიას ბრძანებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად გადაუყვანიათ. იმავე დღესვე ერიკ ბედია მეუღლითურთ იმ ვახშამზე დაუპატიჟებიათ, სადაც მთელი პარტიული ნომენკლატურა ყოფილა თავმოყრილი. გადმოცემის მიხედვით, ასეთი ვახშმები ძალზე დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. თითოეულ სიტყვაში ყველა ქვეტექსტს ეძებდა და ხედავდა კიდეც. ამ საბედისწერო ვახშამზე ერიკ ბედიას ვითომდა გაბედულ მეუღლეს ბერიასთვის ანუ თამადისთვის ხმამაღლა მიუმართავს, ლავრენტი პავლოვიჩ, დაავალეთ რა ჩემს მეუღლეს კიდევ ერთი წიგნი დაწეროს თქვენთვისო. სუფრასთან უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილა, რაც ისევ ბერიას განუმუხტავს — დავავალებ, რა თქმა უნდა, ასეთი ტალანტი არ უნდა დაიკარგოს... მისი საქმე წერაა და ამიტომ დავაწინაურეთ ამხელა გაზეთის რედაქტორადო. მეორე დღეს, დილით, რედაქტორი ერიკ ბედია სამსახურიდან აიყვანეს. ტროცკისტებთან ანუ ხალხის მტრებთან კავშირში დაადანაშაულეს. იმ დღესვე მისი მეუღლე მიხვდა „დანაშაულს“, გააცნობიერა კიდეც, რომ მალე მასაც იგივე ბედი ელოდა. უშიშროების ახლა უკვე ტაბუახსნილი არქივებიდან ირკვევა, რომ ბედია წყლით სავსე გვირაბებით მიიყვანეს საკნამდე. სრულ სიბნელეში ჩაკეტეს. ისმოდა მხოლოდ წყლის წვეთების ხმა. ეს ხმა თანდათან აღიზიანებდა ტუსაღს. ერთი დღე-ღამის შემდეგ დაკითხვაზე გაუყვანიათ. გზაში ჯალათს უთქვამს, — შენს ბედს მტერსაც არ ვუსურვებდიო. საქმეს იძიებდნენ პარამონოვი, სავიცკი, ქობულოვი. გამომძიებლები ეჭვმიტანილს ოთახის შუაგულში სვამდნენ, გარს უტრიალებდნენ და კითხვას კითხვაზე უსვამდნენ. ერიკ ბედიას გამომძიებლებმა ვერაფერი ათქმევინეს. ტროცკისტებთან კავშირს კატეგორიულად უარყოფდა. მხოლოდ ერთხელ წამომხტარა, სკამისთვის ხელი დაუვლია, ალბათ, იფიქრა, შეურაცხმყოფელს ჩავარტყამო, მაგრამ სკამი იატაკზე დამაგრებული აღმოჩნდა. ჩეკისტებმა ეს ფაქტი სათავისოდ გამოიყენეს და ბერიასათვის უცნობებიათ. ამის შემდეგ, დაკითხვა ფსიქოლოგიურ ზეწოლაში გადაიზარდა, მაგრამ ვერც ამან გამოიღო შედეგი. გამომძიებლები შეიცვალნენ, ახლა საქმეს აწარმოებდნენ პირადად სახალხო კომისარი გოგლიძე და თავად ბერია. პირველივე დაკითხვის შემდეგ, ბედიამ ბერიასა და გოგლიძესთან „აღიარა“ ტროცკისტებთან კავშირი და „გულწრფელ აღიარებას“ თურმე ისიც დაერთო, რომ ის ბერიას მოსაკლავად ტერაქტსაც ამზადებდა. „გულწრფელი აღიარება“, ბუნებრივია, გაითვალისწინეს, მაგრამ მდგომარეობა „ვერ“ შეუმსუბუქეს. ჰონორარი — ერთი ტყვია პირდაპირ საფეთქელში, — უთქვამს ბერიას და რედაქტორისთვის თითი საფეთქელზე მიუდია... ეტყობა, ამის შემდეგ დააპატიმრეს ერიკ ბედიას მეუღლე. ამბობენ, რომ მისი დაკითხვა პირადად ბერიამ გადაწყვიტა. ერიკ ბედიას ძმისწულის თქმით, ბერიას მეუღლე ნინო გეგეჭკორი და ერიკ ბედიას მეუღლე ახლო მეგობრები იყვნენ. მეტიც, რესპონდენტი ირწმუნება, რომ სწორედ ნინო გეგეჭკორთან ახსენა ნინა ბედიამ წიგნი, რაც დაპატიმრების საბაბი შეიქნაო. ნინა ჩაჩუა-ბედიას წამების რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ცნობით და, ამასვე ამტკიცებს რესპონდენტიც, ბერიამ ჩაჩუას მოაჭრა ენა, გააუპატიურა და ჭკუაზე შეშლილი ქალი გაათავისუფლა. სხვა წყაროებით ის მოკლეს ან წამებას ვერ გაუძლო. ბერიას დახვრეტის შემდეგ გავრცელდა ხმა, შეშლილი ნინო ჩაჩუა-ბედია თბილისის ქუჩებში დაეხეტება, დროდადრო თავში ხელს წაიშენს და აკივლდება, — ერიკმა დაწერა!.. გესმით, ერიკმა დაწერაო. ისიც ითქვა, გონწასული ქალი ქიაჩელის ქუჩაზე, იმ სახლის წინ გარდაიცვალა, სადაც ბერიას ოჯახი რაღაცას ზეიმობდა და ხალხი შიშით მიცვალებულსაც ვერ გაეკარაო...

***თამაზ ხაბეიშვილი***

## ასწლეულის ადამიანი

# ქალი, რომელსაც უმღერია სტალინთან და უცეკვია ვოროშილოვთან ერთად

ბუნება განსაკუთრებული ნიჭით მხოლოდ ერთეულებს აჯილდოებს და ისიც... საუკუნეში ერთხელ! საქართველოს უამრავი მომღერალი ჰყავდა, მაგრამ თავისი განუმეორებელი ხმის ტემბრითა და კოლორიტით მხოლოდ რამდენიმემ გაუძლო ათწლეულებს და დღესაც, მათი ჩანაწერების მოსმენა აოცებს და აღაფრთოვანებს მსმენელს.

**მარგო თედიაშვილის** მშვენიერი ხმა ჟღერს ფილმებში: „ხევისბერი გოჩა“, „დარიკო“, „არსენა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“... რევაზ ლაღიძე სიხარულს ვერ მალავდა „ხევისბერი გოჩას“ მუსიკის ჩაწერის დროს — ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ხმა ვიპოვე, როგორიც მესმოდა ამ მუსიკის წერის დროსო. კომპოზიტორი გულისხმობდა მძაფრ ტრაგიკულ ტონს ფილმის ფინალში, რომელსაც მკაფიოდ გამოხატავდა მარგო თედიაშვილის ხმა.

ქალბატონი მარგო ახლა 84 წლისაა, დღესაც თამამად და სუფთად მოსდევს ხმა. საუბარს ცნობილი ხალხური სიმღერების პოპური ახლდა.

**— როგორ დაიწყეთ სიმღერა, ოჯახში გქონდათ მუსიკალური ტრადიციები?**

— დედა ეკლესიის მგალობელი იყო. ისე, შეიძლება ითქვას, რომ მარო თარხნიშვილისგან ვისწავლე ხალხური სიმღერები — რადიოთი ვუსმენდი და შემდეგ ჩემებურად ვამუშავებდი. სკოლაში გუნდიც შევქმენი. გულაშვილის ქალი იყო ერთი, მარო, იმან შემომთავაზა ანსამბლში სიმღერა. დედა არ მიშვებდა. როგორც იქნა, დავიყოლიეთ — ქალთა ანსამბლია, მხოლოდ ლოტბარია მამაკაცი და ისიც ხნიერიო. ვუკრავდი ფორტეპიანოზე, გიტარაზეც. ანსამბლში რომ მივედი, პირველად იქ ვნახე ჩონგური. მაშინდელმა ხელმძღვანელმა ავქსენტი მეგრელიძემ რამდენიმე აკორდი ჩამოჰკრა და მკითხა — გაიმეორებო? დავუკარი. მაშინვე მიმიღო ანსამბლში. შემდეგ სოლისტმა ჭუბაბრიამ მეგრული სიმღერები მასწავლა და...

**— საოცარია, კახელი ქალი ასე ოსტატურად მღეროდით მეგრულ სიმღერებს.**

— ხმა მქონდა ისეთი რბილი, რომ მეგრულს უხდებოდა. თავიდან არც მესმოდა ტექსტი, ისე ვმღეროდი.

**— როგორ მოხვდით საკავშირო დეკადაზე?**

— 1936 წელს ჩვენს ანსამბლში მოვიდა თავად ბერია და გვითხრა — მოემზადეთ, ერთ წელიწადში მოსკოვში კონცერტები უნდა გამართოთ და აბა, თქვენ იცით, გვასახელეთო. მაშინ ანსამბლში 9-10 ქალი ვიყავით, თან ჩონგურზე ვუკრავდით. დეკადაზე წასასვლელად შეგვაერთეს ეთნოგრაფიულ ანსამბლთან, რომელშიც მოცეკვავეებიც იყვნენ. საშა „პარტნოიმ“ (ძველ თბილისელებს ყველას ახსოვს...) იაპონური კრეპდიშინის ცისფერი კაბები შეგვიკერა. მოსკოვში 1937 წელს 7 იანვარს ჩავედით — მაშინ მხოლოდ 16 წლის ვიყავი. 9 იანვარს დიდ თეატრში, ხოლო 15-ში კრემლში კონცერტი გავმართეთ — სცენაზე წრიულად ვისხედით. ჩემთან მოვიდა ბერია და ბოლოში გადამსვა — აქეთ სტალინი დაჯდება, ლამაზი ხარ და შენ უნდა გიყუროსო. დავიწყეთ სიმღერა, ტექსტი კი ასეთია: „ცაზე მთვარე ამოვიდა, ნიშანია დარისა, კოლექტივი გაძლიერდა, ვენაცვალე სტალინსა“. ბოლო ორი სიტყვა ვთქვი, მივიხედე ლოჟისკენ და გავუღიმე — ძალიან ესიამოვნა, წამოდგა და ტაში დაგვიკრა.

კონცერტის დასასრულს გეორგიევსკის დარბაზში ბანკეტი გაიმართა. შემდეგ ევროპული ცეკვების ჰოლში გადავინაცვლეთ. ვდგავართ: კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, ქეთევან ღოღობერიძე, მე და სტალინი. ძალიან თბილად მელაპარაკა: შემომთავაზა — დარჩით მოსკოვში და აქ ჩამოაყალიბეთ ქართული ანსამბლიო. ისიც მკითხა — თედიაშვილი მეგრულ სიმღერებს რატომ ასრულებო. ამ დროს ჩვენკენ ერთი მხარბეჭიანი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი წამოვიდა, სტალინმა წამჩურჩულა — ეს ვოროშილოვია, მაგას ახლა ცეკვა უნდაო. თავად ვოროშილოვს კი მიუბრუნდა და ეუბნება — Выбирай, которую хочешь.

ქეთი ღოღობერიძე ძალიან მაღალი იყო, ვოროშილოვი კი დაბალი, მე კიდევ იმაზე დაბალი, ამიტომაც მე ამირჩია. დაიწყო ვალსი, მაპროწიალა, მაგრამ რა მაპროწიალა!!! მერე მეორე სამხედრომ მიმიწვია საცეკვაოდ, შემდეგ გავიგე, ტუხაჩევსკი ყოფილა. მკერდი ორდენებით ჰქონდა სავსე. მასთან ტანგო ვიცეკვე, ცეკვის დროს მელაპარაკებოდა — რა ლამაზი თმა გაქვთ, ქართველები ძალიან ლამაზები ხართო. ჩვენს გოგოებს შეშურდათ. ერთ საღამოს საბჭოთა კავშირის ორ მარშალს ეცეკვაო. სტალინს არ უცეკვია, მაგრამ ისე იმღერა „ხასანბეგურა“, ყველა გაგვაოცა. შემდეგ „გაფრინდი, შავო მერცხალო“ წამოიწყო და ჩვენც ავყევით.



მარგო თედიაშვილი



ამ გუნდს ტაშს უკრავდა სტალინი და მთელი პოლიტბიურო

**— სტალინთან საუბარი მაშინ წარმოუდგენელი რამ იყო. როგორი შთაბეჭდილება ჰქონდათ ანსამბლის წევრებს?**

— გაოგნებულნი დავრჩით. ის კი არა, კონცერტის დასასრულს სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი. ჩვენ ერთი კვირა ხელებს არ ვიბანდით — სტალინს ხელი ჩამოვართვითო!

**— ხომ არ დაუსაჩუქრებიხართ?**

— მაშინ უმაღლესი ხელფასი 60 მანეთი გვქონდა და ორი თვის ხელფასით — 120 მანეთით დაგვაჯილდოეს. მე პატეფონიც მაჩუქეს. ბევრი შეკვეთა მოგვცეს ფირფიტებზე ჩასაწერად. საგასტროლოდაც მიგვიწვიეს.

**— შემდეგ კიდევ ხომ არ შეხვედრიხართ სტალინს?**

— კი, 1949 წელს, როცა სტალინი 70 წლის გახდა. მაშინ მთელი მსოფლიო იყო მოწვეული, მათ შორის საპატიო სტუმარი იყო მაო ძე დუნი. ქართველები 21-ე მაგიდაზე ვისხედით. მარტო თორმეტნაირი ღვინო იყო, დანარჩენზე აღარ ვამბობ. ყველანი დათვრნენ. მარტო ქართველები ვისხედით ამაყად, ფხიზლად. გავიგონე კიდეც, ვიღაცამ თქვა: „აი, რას ნიშნავს ქართველობა, თქვენ გენაცვალეთ!“ მაშინ უკვე მეუღლეც მახლდა, ჩვენი ანსამბლის მოცეკვავე ლეო ბალისევიჩი.

ცეკვავდა თამარ წერეთელი, სუხიშვილების სოლისტი. ისე მოხდა, რომ არავინ გამოეცეკვა, ჩემი ქმარი მაგიდაზე ავიდა და ისე ჩაუხტა თამარს. ლეო წარმოშობით პოლონელი იყო. პროფესიონალი მოცეკვავე არ ყოფილა, თეატრალური განათლება ჰქონდა. ბიჭიკო ჩხეიძე და მედეა ჩახავა მისი თანაკურსელები იყვნენ. არაჩვეულებრივად ცეკვავდა. ერთხელ, გასტროლებზე ვართ, ბიჭები ცეკვავენ „მარულას“, უფროსი ჯანო ბაგრატიონის ჩანაფიქრი იყო, რომ ლეოს ოდნავ გაესწრო დანარჩენებისთვის და მერე უფრო ჩქარა „გაეჭენებინა“. კონცერტის დროს ლეო რატომღაც ჩამორჩა. კულისებიდან ჯანო უყვირის — არიქა, ლეო, წინ წადიო! უცებ ლეომ ჩოხის უბიდან ბალახი ამოიღო, თითქოს ცხენს უჩვენებსო და ისე „გააჭენა“. გადაირია ჯანო — რაღას არ მოიგონებსო. სხვათა შორის, ჯანოს დაც, მანანა ბაგრატიონიც, ჩვენს ანსამბლში იყო, მისი ვაჟი, ბუბა კიკაბიძეც ცოტა ხანს დიპლიპიტოზე უკრავდა.

**— მოსკოვში აღარ ყოფილხართ?**

— 1958 წელს უკვე მეორე დეკადაზე ვიყავით ხრუშჩოვის დროს. სულ სხვა სიტუაცია დაგვხვდა — უფრო ცივი. არც კი მოსულა ჩვენთან, 60-60 მანეთით დაგვაჯილდოვა მხოლოდ.

**— ანსამბლის დაშლის შემდეგ რას აკეთებდით?**

— 1960 წელს დავიშალეთ. მას შემდეგ ხან ვასწავლიდი, ხან ვმღეროდი. ძირითადად, მაინც პენსიის იმედად ვარ. 1947 წელს, მოსკოვში მეორედ ყოფნის დროს, სტალინმა დამაჯილდოვა მედლებით „სამამულო ომის დროს ზურგში კეთილსინდისიერი შრომისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“ — მაშინ ჰოსპიტლებში დავდიოდით და სიმღერით დაჭრილებს ვამხნევებდით. ამ მედლებით, როგორც ომის მონაწილე, ვიღებ 35 ლარს.

**— საქართველოს მთავრობისგან რაიმე წამახალისებელი ჯილდო თუ მიგიღიათ?**

— მხოლოდ ახლახან გადმომცეს ღირსების ორდენი. სასიამოვნო მოგონებად დამრჩა ანზორ ერქომაიშვილის ტელეგადაცემა, რომელიც ჩემს შემოქმედებას მიეძღვნა. მასში ოქროს ფონდის ჩანაწერებიც იყო გამოყენებული.

**— საჯაროდ ბოლოს როდის იმღერეთ?**

— რამდენიმე თვის წინ. „მესამე ასაკის“ კონცერტში მივიღე მონაწილეობა. სხვათა შორის, 50 დოლარით დაგვასაჩუქრეს. ეს თანხა დიდად დამეხმარა თვალის ოპერაციის გაკეთებაში... არასოდეს მიავადმყოფია, მაგრამ კატარაქტა განმივითარდა. მივედი ექიმთან, აცხადებდნენ, უფასოდ ვაკეთებთო, მე 50 ლარი მაინც შევთავაზე, არა უშავს, თუ მეტი არ გაქვთ, მაინც გაგიკეთებთო...

**— შთამომავლობაზე რას გვეტყვით?**

— მყავს ქალ-ვაჟი, ორი შვილიშვილი და ორიც შვილთაშვილი, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი არ გაჰყოლია ხალხურ მუსიკას...

ახლა ძველ ამბავთა მოგონებებით ვტკბები. აქ აღარავის ვახსოვარ, ისიც გამიკვირდა, ინტერვიუ რომ მთხოვეთ...

***ალექსანდრე ბერიძე***

CMYK

DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი №7 21.01.2002

## სარედაქციო კოლონა

2001 წლის 21 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადვოკატთა შესახებ, რომლის საფუძველზეც საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ადვოკატურის ინსტიტუტი. კანონი ითვალისწინებს ადვოკატთა ერთიანი ასოციაციის შექმნას. ასოციაციის ძირითადი ამოცანაა ამ ინსტიტუტის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ეთიკის ერთიანი სტანდარტების დაწესება და მისი კონტროლი, აგრეთვე ადვოკატთა ტესტირების ორგანიზება.

მთლიანობაში, აღნიშნული კანონი, ქართველი იურისტების მხარდაჭერით სარგებლობს. გარკვეული უთანხმოება გამოიწვია მხოლოდ იმ პუნქტმა, რომელიც გულისხმობს ადვოკატთა ტესტირებას. არსებობს მოსაზრება, რომ ადვოკატის კვალიფიკაციას ყველაზე უკეთ ამოწმებს ბაზარი და ამიტომ გამოცდები აუცილებელი არ არის. კლიენტი თავისუფალია ადვოკატის არჩევაში და ის ადვოკატის ცოდნის საუკეთესო შემფასებელია.

ჩვენ რა თქმა უნდა, ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ადვოკატის წარმატებული კარიერა და კვალიფიკაციაც თავისუფალი ბაზრის პირობებში ყველაზე უკეთ ფასდება, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია სხვა მომენტებიც. ჯერ ერთი, აუცილებელია თითოეული ადვოკატი აკმაყოფილებდეს მინიმალურ მოთხოვნებს, რათა კლიენტმა დაცულად იგრძნოს თავი. დღევანდელ ვითარებაში ძალიან ბევრი მოქალაქე ვერ ერკვევა, ვინ კარგი ადვოკატია და ვინ ცუდი. საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ადვოკატების მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობა კი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მოქალაქეს გარკვეული გარანტია მაინც უნდა ჰქონდეს, რომ მის მიერ დაქირავებულ ადვოკატს მისი დაცვისათვის აუცილებელი ცოდნა გააჩნია. დღეს, კონსტიტუციის შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვა შეჯიბრებითობის საფუძველზე ხდება. ამავე დროს, გაუქმდა საზედამხედველო წარმოება და საქმის ხელახალი გადასინჯვა მხოლოდ ახლად აღმოჩენილი გარემოებების არსებობისას არის შესაძლებელი. ამიტომ, არაპროფესიონალმა ადვოკატმა შეიძლება ისეთი ზიანი მიაყენოს კლიენტის ჯანმრთელობას ან ქონებას, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება. სწორედ ამიტომ, ექიმის მსგავსად, ადვოკატი თავის კლიენტთან ურთიერთობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შედიოდეს, როდესაც მინიმალური კვალიფიკაცია მაინც გააჩნია.

# დამოუკიდებლობა პლუს პროფესიონალიზმი

## ახალი ქართული ადვოკატურა




გარდა ამისა, ადვოკატურის ტესტირების შემოღება შემდეგი გარემოებითაცაა განპირობებული:

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, სამოქალაქო, სისხლის და ზოგადი ადმინისტრაციული ახალი კოდექსი. არსებითად შეიცვალა სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, აგრეთვე სასამართლოში საქმის განხილვის წესები. შესაბამისად, დადგა მოქმედი იურისტებისათვის ახალი კანონმდებლობის გაცნობის აუცილებლობა. მართალია, დღეს საქართველოში ასობით უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს იურიდიული ფაკულტეტები, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრ ამ სასწავლებელში სწავლების დონე ძლიერ დაბალია. აუცილებელია უმაღლესი იურიდიული განათლების რეფორმის განხორციელება, რომელიც ერთიან სახელმწიფო სტანდარტს დააწესებს. ასევე აუცილებელია ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ცოდნას შეამოწმებს.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა გამოცდების ჩატარებაზე თვით ადვოკატთა ასოციაციაა პასუხისმგებელი და მასში სახელმწიფო არ ერევა. ეს ასოციაცია თვითონ ქმნის საგამოცდო კომისიასა და საგამოცდო ტესტებს.

(დასასრული მე-18 გვერდზე)

## სასამართლო დარბაზებში

სოფო ბუკია

## ავსტრალიური საჩუქრის ქართული თავგადასავალი

ეკატერინე ქ.-ს 1999 წელს, დახმარების სახით ავსტრალიიდან 2.785 აშშ დოლარი გამოუგზავნეს.

ადრესატმა ავსტრალიური „პრეზენტის“ მისაღებად „თბილინტერბანკს“ მიაკითხა და იქ კუთვნილი თანხის ნაცვლად მმართველის ასეთი პასუხი მიიღო: „ხელფასები დავარიგე და ამ მომენტისთვის, ფული არ მაქვსო“. ამის მერე ქალბატონი ეკატერინე თვეში 3-4-ჯერ მაინც სტუმრობდა ბანკს საკუთარი ფულის დასახსნელად, თუმცა უშედეგოდ.

ერთი წლის თავზე ეკატერინე ქ.-მ თანხის მიღება შეძლო, ოღონდ არა ბანკის კეთილი ნებით, არამედ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი), ბანკს კლიენტისთვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც მოუწევს.

## რაც არ გერგება...

ლოგინად ჩავარდნილ, 80 წლის მარტოხელა პენსიონერს, მანია ლ.-ს წამლის მიმტანიც რომ არავინ ჰყავდა, სწორედ მაშინ გამოეცხადა მემაწვნე ქალი თინა შ.-ლი და მოხუცს „დახმარების“ ხელი შესთავაზა. დროთა განმავლობაში თინა შ.-ლი ქალბატონ მანიას დაუახლოვდა და იმ იმედით, რომ სიბერეში მომვლელი ვიშოვეო, ამ უკანასკნელმა ჩუქების ხელშეკრულება გაუფორმა და საკუთარი ბინა, სხვა ქონებაც თინას ვაჟს გადაუფორმა. ხელშეკრულების თანახმად, თინა და მისი ვაჟი ვალდებულები იყვნენ სიცოცხლის ბოლომდე ეპატრონათ ქალბატონი მანიასათვის და მისი გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი ქონება მათ საკუთრებაში გადავიდოდა. ხელშეკრულება ნოტარიუსის თანდასწრებით გაფორმდა, მაგრამ დიდხანს არსებობა არ ეწერა.

როგორც შემდგომ სასამართლოში გაირკვა, ქალბატონი თინა არცთუ კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს და 4 თვის თავზე საერთოდ აღარ აკითხავდა მოხუცს. თინა შ.-ლს, ეტყობა, ვერ წარმოედგინა, რომ 80 წლის დაუძლურებული მოხუცი სამართლის საძიებლად სასამართლომდე მიაღწევდა და სამივე ინსტანციას მოივლიდა.

შესაგებებელ სარჩელში თინა შ.-ლი ამტკიცებდა, რომ 4 წელიწადი და 6 თვე ჩიტის რძეს არ აკლებდა ქალბატონ მანიას და რაიონულმა სასამართლომაც ყოველივე მოხუცის ახირებად ჩათვალა. იგივე განმეორდა საოლქოშიც, ვიდრე საქმე უზენაეს სასამართლომდე არ მივიდა. მოსამართლე ხიმშიაშვილის გადაწყვეტილებით, უზენაესმა ინსტანციამ დასაბუთებულად ჩათვალა მანია ლ.-ის სარჩელი და ნაჩუქრობის ხელშეკრულება გააუქმა.

# რეფორმა P.S.

## ნავთლუღელი მომჩივანი გლდანის პალატაში

ნონა მაისურაძე

**სასამართლო რეფორმა მხოლოდ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებით არ დამთავრებულა. რეფორმის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ სასამართლო ხელისუფლებაში ცვლილებები კვლავაც გრძელდება. ამჯერად თბილისის ხუთი რაიონული სასამართლოს ერთ საქალაქო სასამართლოდ გაერთიანებაზეა საუბარი. ანუ, ერთ-ერთი ვარიანტით, შეიქმნება პირველი ინსტანციის ერთი სამოქალაქო სასამართლო, რომელსაც სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატები ექნება. პალატები სხვადასხვა შენობაში განთავსდება და მოქალაქეებს უკვე ეცოდინებათ, რომელი საქმის განხილვა სად გაიმართება. მოქალაქეები სასამართლოში უკვე განსჯადობის, ანუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კი აღარ წავლენ, არამედ საქმის სპეციფიკის მიხედვით. მეორე ვარიანტით, შესაძლოა, სამი სპეციალიზებული დამოუკიდებელი სასამართლო შეიქმნას, ანუ არა პალატების, არამედ თავად სასამართლოების დონეზე.**

რაიონული სასამართლოების გაერთიანების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი სპეციალიზაცია გახლავთ. დღესდღეობით სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს ერთი მოსამართლე იხილავს. მოსამართლეთა პალატებში გადანაწილების შემდეგ კი მოსამართლეები საქმეებს უკვე ვიწრო სპეციალიზაციით განიხილავენ, ანუ სამოქალაქო პალატის მოსამართლე მხოლოდ სამოქალაქო საქმეებს განიხილავს და ა.შ.

რაიონულ სასამართლოთა ამ პრინციპით გაერთიანების იდეა საკმაოდ საინტერესოა, პირველ რიგში, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, სპეციალიზაციაზე აქცენტის გაკეთება უკვე იმის მანიშნებელია, რომ რეფორმის მომდევნო ეტაპი დგება: მოსამართლეებმა გარკვეული გამოცდილება ამ რამდენიმე წლის განმავლობაში უკვე დააგროვეს და ახლა აქცენტი, უკვე თავად მოსამართლეთა პროფესიონალიზმზე, ანუ მათ ვიწრო სპეციალიზაციაზე კეთდება. მეორეს მხრივ, ერთ კონკრეტულ სფეროში დასპეციალიზებული მოსამართლე, ცხადია, საქმეს გაცილებით უკეთ განიხილავს, ანუ გადაწყვეტილებათა ხარისხი გაიზრდება. მესამეც, გაერთიანების შემთხვევაში დღესდღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაიჭრება: განხილვის გაჭიანურებები შემცირდება. ეს კი საკმაოდ მტკივნეული პრობლემა გახლავთ როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე მოქალაქეებისთვისაც: თვეობით საქმეების გადადება და ვადების გაჭიანურება მხოლოდ მოსამართლის ბრალი არ არის, ამას საკმაოდ ობიექტური მიზეზები ახლავს (მაგალითად, მხარეთა გამოუცხადებლობა).

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას შეფასებით, ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში, გვეყოლება პროფესიონალი, კონკრეტულ საქმეებზე სპეციალიზებული მოსამართლეები.

„მოქალაქეს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს: მისი საქმე გადაწყვიტოს კომპეტენტურმა სასამართლომ და, რაც შეიძლება, სწრაფად.

(დასასრული მე-18 გვერდზე)

C M Y K

სამართალი საზღვრებს გარეშე

მაია ოქრუაშვილი

# „ტალიდომიდი“ მავნებელია „სანდი თაიმსისათვის“,

## „სანდი თაიმსი“ – დიდი ბრიტანეთისთვის

1959 წლიდან 1962 წლამდე თანდაყოლილი დეფექტით ინგლისში ბევრი ბავშვი დაიბადა. ვარაუდობდნენ, რომ ამის მიზეზი პრეპარატი „ტალიდომიდი“ იყო, რომელსაც დედები ფეხმძიმობის პერიოდში იღებდნენ, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას. მშობლებმა წამოიწყეს სასამართლო პროცესი პრეპარატის მწარმოებელი კომპანია „დისტილერსის“ წინააღმდეგ.



გაზეთმა „სანდი თაიმსმა“ 1972 წელს გამოაქვეყნა სტატია „ჩვენი ტალიდომიდიანი ბავშვები — ეროვნული სირცხვილის მიზეზი.“ სტატიაში ასევე გაცხადებული იყო, რომ გაზეთი აპირებდა ამ საკითხზე გამოძიების გაგრძელებას.

კომპანია „დისტილერსმა“ მიმართა გენერალურ პროკურორს, სადაც მიუთითებდა, რომ სტატიები სასამართლოს უპატივცემულობას გამოხატავდა, რადგან საქმეზე სასამართლო პროცესი ჯერ არ იყო დამთავრებული. გენერალურმა პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება მიემართა უზენაესი სასამართლოსათვის, რათა სამართლებრივი აკრძალვა დაედოთ სტატიებზე. ასეთი აკრძალვა 1972 წლის ნოემბერში მართლაც დაიდო, რომელიც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა, თუმცა ლორდთა პალატამ (საბოლოო ინსტანცია) კვლავ აღადგინა.

„სანდი თაიმსის“ ბედი საბოლოოდ სტრასბურგში გადაწყდა. 1974 წლის იანვარში გაზეთმა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს კომისიას განცხადებით მიმართა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი სასამართლოს აკრძალვა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლს ეწინააღმდეგებოდა, ასევე ირღვეოდა დისკრიმინაციის შესახებ მუხლი, რადგან მსგავსი სტატიების სხვა ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნება არ აკრძალულა; ამასთან, სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ ნორმები განსხვავდებოდა პარლამენტისათვის და პრესისათვის.

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ „სანდი თაიმსის“ პრეტენზიები სამართლიანი იყო და დარღვეული იყო მე-10 მუხლი, რადგან მსგავსი შეზღუდვა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის.“

# „ჟიგული“ — ფორტუნასგან, ფული — სასამართლოსგან

თეა ხოფერია

ვახტანგ თოფურიძეს ფორტუნამ მაშინ გაუღიმა, როცა 1991 წელს ლატარიაში ავტომანქნა „ჟიგული-2109“ მოიგო. თუმცა, როცა მოგებულის მისაღებად ავტომაღაზია „ავტოვაზტექმომსახურებას“ მიაკითხა, მანქანის ნაცვლად ცივი უარი მიიღო იმ მოტივით, რომ საქართველოში მანქანების შემოყვანა შეწყდა.

ვახტანგ თოფურიძეს მოგებულის მისაღებად ახლა უკვე სასამრთლოებში სიარული მოუწია. ვაკის რაიონის სასამართლომ საქმე მოდავის სასარგებლოდ გადაწყვიტა და მოპასუხეს — ფინანსთა სამინისტროს ავტომანქანის ღირებულების გადახდა დააკისრა. თანაც, რაც 1991 წელს 2000 მანეთად ფასობდა, სასამართლო გაანგარიშებით, ახლა უკვე 9700 ლარად შეფასდა.

ფინანსთა სამინისტრომ „2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი“ მოიმიზეზა და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ ბიუჯეტში თოფურიძის ავტომანქანის ფული გათვალისწინებული არ იყო. სხვადასხვა ინსტანციაში განხილვის შემდგომ, უზენაესმა სასამართლომაც დაადასტურა, რომ ფორტუნამ ნამდვილად ვახტანგ თოფურიძეს და არა ფინანსთა სამინისტროს გაუღიმა. მოქალაქის მოთხოვნა სამართლიანად და დასაბუთებულად ჩაითვალა.




მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

# რეფორმა P.S.

(დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე)

სამოქალაქო პალატის მიერ განხილული საქმე წავა საოლქო სასამართლოს სამოქალაქო პალატაში, იქიდან კი — უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატაში. ამით მოსამართლეებს უკვე შესაძლებლობა ექნებათ, ზედა ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა შეისწავლონ და თვითონაც დასპეციალდნენ ამ სფეროში. კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დრო მინიმუმამდე შემცირდება.“ — მიაჩნია ლადო ჭანტურიას.



სხვათა შორის, დღესდღეობით თბილისის რაიონულ სასამართლოებში სპეციალიზაცია სხვადასხვა მასშტაბით, მაგრამ მაინც ხორციელდება. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში სპეციალიზაცია გარკვეულწილად უკვე არსებობს. მაგალითად, მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს იხილავს, ნაწილი — სისხლის სამართლისას. სასამართლოს თავმჯდომარემ ამ შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული მომენტები გამოიყენა, კერძოდ, იმ სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, სპეციალიზაცია შესაძლებელია. მოსამართლეებს თავად პრაქტიკამ დაანახა, რომ საქმეების განხილვა სპეციალიზაციის მიხედვით გაცილებით უკეთეს შედეგებს მოიტანდა, ამიტომ ამ სასამართლოში მოსამართლეთა საერთო თათბირი ჩაატარეს, საკანონმდებლო შესაძლებლობა გამოიყენეს და სპეციალიზაციით საქმეების განხილვის პრაქტიკა დაამკვიდრეს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოშიც მოსამართლეები საქმეებს, ფაქტობრივად, უკვე სპეციალიზაციის მიხედვით იხილავენ. ამ სასამართლოში სპეციალიზაციასთან დაკავშირებით უფრო შორსაც წავიდნენ: მაგალითად, საოჯახო დავები ამ სფეროში დასპეციალებულ ერთ-ერთ მოსამართლეს ეწერება განსახილველად.

გაერთიანების შემთხვევაში, ბუნებრივია, მოსამართლეები პალატებში გადანაწილდებიან, თუმცა, გამორიცხული არ არის, თბილისის რაიონულ სასამართლოებში მომუშავე მოსამართლეთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს, კერძოდ, სამოქალაქო პალატაში მოსამართლეები დაამატონ. როგორც ჩანს, თავად სამოქალაქო საქმეები იმდენად მრავალფეროვანი და უამრავია, რომ ამ კატეგორიის საქმეთა დროულ განხილვას გაცილებით მეტი მოსამართლე სჭირდება, ვიდრე დღეს გვყავს.

თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, მოწინააღმდეგეები ამ იდეასაც ჰყავს. მათი აზრით კი: მაგალითად, ნავთლუღში მცხოვრებ მოქალაქეს გლდანში მდებარე პალატაში მისვლა გაუჭირდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე ნავთლუღში მცხოვრები ადამიანი დიღომში მდებარე საოლქო სასამართლოში მიდის, ეს არგუმენტი საკამათო ხდება.

წინასწარი მონაცემებით, სამოქალაქო სასამართლო ავლაბარში, ყოფილი საქალაქო სასამართლოს შენობაში განთავსდება. მომავალში საოლქო სასამართლო გლდანში უნდა გადავიდეს, დიღომში გამოთავისუფლებულ შენობას და გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს შენობას კი დანარჩენი ორი პალატა დაიკავებს. ამ ყველაფერს ორგანიზაციული პრობლემების მოგვარება სჭირდება, ამიტომაც ამ იდეის განხორციელება ორიოდე წლის შემდეგ არის ნავარაუდევი.

# „კეთილი ფერიას“ კეთილი დასასრული

სანდრო უსტიაშვილი

**მაგული მონიავას მსჯავრი დაედო მასში, რომ 1996 წელს მის მიერ დაფუძნებულმა აგროფირმამ „კეთილი ფერია“ დანაშაულებრივი გზით მოქალაქეთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და სახელმწიფო დაწესეულებების კუთვნილი 106.640 ლარის ქონება მიითვისა და სასჯელთა ერთობლიობის პრინციპით, ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი სასჯელს 1999 წლიდან იხდიდა.**

**გასულ წელს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, მოსამართლე მერაბ ტურავას თავმჯდომარეობით, განიხილა მოქალაქე მაგული მონიავას ადვოკატის ე. გოგუაძის შუამდგომლობა მონიავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტისა და პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ.**

**სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია საქმის მასალები და განსასჯელს ყველა დაუდასტურებელი და საეჭვო ბრალდება მოუხსნა, თუმცა არ გაიზიარა ადვოკატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მაგული მონიავას სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია. გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ მსჯავრდებული საპენსიო ასაკს გადაცილებული და სერიოზული ავადმყოფობით იყო დაავადებული, ასევე დაზარალებულთა ინტერესები, მაგული მონიავას სასჯელი პირობითად ჩაეთვალა და იგი საგამოცდო ვადით, გარკვეული ვალდებულებების დაკისრებით, სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.**

# დამოუკიდებლობა პლუს პროფესიონალიზმი

(დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე)

გარდამავალ პერიოდში, ადვოკატთა ასოციაციის ჩამოყალიბებამდე, ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობის არანაკლებ ნახევარს მოქმედი ადვოკატებისა და იურისტების გაერთიანების წევრები უნდა წარმოადგენდნენ. კომისიის შექმნის ორგანიზება ევალება საქართველოს იუსტიციის საბჭოს. სწორედ იუსტიციის საბჭოს წარდგინებით დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი გარდამავალი პერიოდისათვის ტესტირების პროგრამასა და ჩატარების ვადებს. როგორც კი ასი პირი მაინც გაივლის ტესტირებას, ისინი წერილობით მიმართავენ იუსტიციის საბჭოს, რომელიც ერთი თვის ვადაში მოიწვევს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებას. ამ კრებაზე ჩამოყალიბდება ასოციაციის სტრუქტურები და ამის შემდეგ იუსტიციის საბჭოს არავითარი შეხება აღარ ექნება არც ადვოკატთა ტესტირებასთან და არც ადვოკატთა საქმიანობის სხვა რაიმე მოწესრიგებასთან.

ადვოკატი წარმოადგენს თავის კლიენტს მრავალ ურთიერთობაში და მის ნაცვლად იღებს გადაწყვეტილებებს. იგი იღებს მისგან ისეთ ინფორმაციას, რომელიც კლიენტის კომერციულ ან პირად საიდუმლოებას განეკუთვნება. ამიტომ, კლიენტს უნდა შეექმნას გარკვეული გარანტია, რომ ადვოკატი მისთვის განდობილ საიდუმლო ინფორმაციას არ გაამჟღავნებს, კეთილსინდისიერად დაიცავს კლიენტის ინტერესებს და ამ ინტერესების საწინააღმდეგოდ არ იმოქმედებს. სწორედ ამისათვის იქმნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომლის განზრახ უხეში დარღვევისათვის ადვოკატს შეიძლება თვით ადვოკატთა გაერთიანების მიერ ჩამოერთვას საადვოკატო საქმიანობის უფლება.

დამოუკიდებელი ადვოკატურის ინსტიტუტი, რომელსაც საზოგადოება ენდობა, არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ ქვეყანაში რეალურად დამკვიდრდეს სამართლის უზენაესობის პრინციპი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, რომლებიც სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესში იმყოფებიან.

**საზოგადოებისთვის ადვოკატურის მნიშვნელობიდან გამომდინარე, „სასამართლო ქრონიკა“ მზად არის მომავალშიც გააშუქოს ეს საკითხი და ადგილი დაუთმოს განსხვავებულ მოსაზრებებს.**

# კომპიუტერული „ჰორიზონტი“

თეა ხოფერია

ფონდ „ჰორიზონტის“ სასარგებლოდ 12..921 აშშ დოლარის გადახდა კომპანია „გაერთიანებულ გლობალურ ტექნოლოგიებს“ მას შემდეგ დაეკისრა, რაც ამ უკანასკნელმა ფონდს ხარვეზიანი კომპიუტერული ტექნიკა მიაწოდა. „ჰორიზონტმა“ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს „გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიების“ წინააღმდეგ. მოსარჩელის განმარტებით, 1999 წლის 4 მაისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ მას მიაწოდა კომპიუტერული ტექნიკა, რომელსაც ფარული ნაკლი აღმოაჩნდა. ხარვეზი კომპანიამ არ გამოასწორა, რის გამოც „ჰორიზონტმა“ ტექნიკის ღირებულების დაბრუნება მოითხოვა. კომპანია „გაერთიანებულმა გლობალურმა ტექნოლოგიებმა“ სარჩელი იმ მოტივით არ სცნო, რომ ის ფუნქცია, რაც მყიდველს ხარვეზად მიაჩნდა — კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა — მისი კონფიგურაციის შეცვლით იყო გამოწვეული. ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ საქმე „ჰორიზონტის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა. თუმცა, „ჰორიზონტის“ კომპიუტერების ბედი ამით არ დასრულებულა. საოლქომ გადაწყვეტილება ხელახალი განხილვისათვის რაიონულს დაუბრუნა.

საბოლოო სიტყვა კომპიუტერულ დავაში უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა „ჰორიზონტის“ საკასაციო საჩივარი.

# საცვლების ამარა სასამართლოში

ივლისის ერთ პაპანაქება დღეს დათო ქართველიშვილმა გაგრილება გადაწყვიტა და „ლაგუნა ვერეზე“ უკეთეს ადგილას სად წავიდოდა საცურაოდ.

აუზში კი გაგრილდა, მაგრამ ნამდვილი სიგრილე მაშინ იგრძნო, როცა გასახდელში საგულდაგულოდ ჩაბარებული ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები, ადგილზე ვეღარ ნახა.

„მეგარდიროზეებმა“ ერთი კი აიჩეჩეს მხრები და დათოს ნივთების „გამოგლოვებაც“ ამით დაასრულეს.

დათომ „ლაგუნა-ვერეს“ დირექტორსაც შესჩივლა, მაგრამ „პლავკის“ ამარა დარჩენილი მოზარდის ჩივილი დირექტორმაც არად ჩააგდო, რომ არაფერი ვთქვათ კლიენტის მოთხოვნაზე, აენაზღაურებინათ მისთვის მიყენებული ზარალი.

კომპლექსის დირექციას გაცილებით სერიოზული დამოკიდებულების გამომჟღავნება მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით მოუწია, როცა მოსამართლე ჯალაშვილის გადაწყვეტილებით, „ლაგუნა ვერეს“ დირექციას დათოს სასარგებლოდ: ბოტასების, მაისურის, „ლევაისის“ ჯინსის შარვლის, ქამრისა და „ALEX“-ის სპორტული ჩანთის, აგრეთვე ტყავის საფულის და მასში არსებული შიგთავსის ანაზღაურება, სულ — 475 ლარის გადახდა დაეკისრა.

# ადვოკატი გვირჩევს

**არსებობს თუ არა კანონი, რომელიც საქართველოში მომხმარებლის უფლებებს იცავს? — მომხმარებლის უფლებების რეგულირებისა და მოქალაქეთა სამომხმარებლო ინტერესების უზრუნველყოფის თემაზე გვესაუბრება ადვოკატი ნუგზარ გუმბერიძე:**



# განაჩენი გაფუჭებული ტელევიზორისა და კარაქისათვის

— საქართველოში მოქმედებს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, აგრეთვე სამოქალაქო კოდექსში არის მუხლი, რომელიც დირექტიულ უფლებებს არეგულირებს, რაც თავის მხრივ, უხარისხო პროდუქციის შეძენის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს.

**რას ნიშნავს უხარისხო საქონელი იურიდიული თვალსაზრისით?**

— იურიდიულად საქონლის ხარისხს მთელი რიგი განმსაზღვრელები აქვს: სერტიფიკატები, ლიცენზიები და სხვა. ყველაფერი დადგენილ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს.

**კონკრეტულად, როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, რომელმაც, ვთქვათ, უხარისხო ტელევიზორი შეიძინა?**

— პირდაპირ სასამართლოს უნდა მიმართოს. უნდა დაიწეროს სარჩელი, რომელშიც მითითებული იქნება, რა სახის პროდუქცია შეიძინა მომხმარებელმა, სად შეიძინა და რით დასტურდება ამ ნივთის უხარისხობა. ასევე უნდა მიეთითოს, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა. როგორც წესი, პასუხისმგებლობა უშუალოდ ნივთის გამყიდველს ეკისრება, ზოგჯერ რეალიზატორს, დამამზადებელს. მოსარჩელეს უფლება აქვს ზარალის ანაზღაურება, ან უხარისხო ნივთის ხარისხიანით შეცვლა მოითხოვოს. სხვათა შორის, ეს ასევე მომსახურების ყველა სახეს შეეხება.

**რა იურიდიული დოკუმენტი უნდა გაფორმდეს მყიდველსა და გამყიდველს, საერთოდ კლიენტებს შორის, მომხმარებელი მოტყუებული რომ არ დარჩეს?**

— გარკვეულ შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულების ერთგვარი ფორმაა ჩეკიც, რომელსაც თქვენ მაღაზია ნივთის შეძენისას გაძლევთ. საგარანტიო ხელშეკრულების გაფორმებისას, აუცილებელია განისაზღვროს და ხელშკრულებაში ჩაიწეროს, თუ რა პასუხისმგებლობას იღებს ნივთის გამყიდველი, გარკვეულ ვადაში ნივთის დაზიანების შემთხვევაში.

**და მაინც რა სახის პროდუქციაზე შეიძლება დადგინდეს უხარისხობის პარამეტრი?**

— როცა მომხმარებლის უფლებებზეა საუბარი, მხედველობაში გვაქვს ნებისმიერი პროდუქცია, რაც საბაზრო მიმოქცევაშია.

**მაგრამ, ტელევიზორის გამყიდველისგან განსხვავებით, კარაქის გამყიდველთან ხელშეკრულებას არავინ აფორმებს. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგასული საკვები პროდუქტი მომყიდეს, მაქვს თუ არა უფლება სასამართლოს მივმართო?**

— რა თქმა უნდა, უხარისხო საკვებ პროდუქტებს დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ ადამიანისათვის. ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, თამამად შეგიძლიათ სასამართლოში აღძრათ სარჩელი, რომელსაც თან სამედიცინო დასკვნაც უნდა დაურთოთ, აგრეთვე დოკუმენტურად დაასაბუთოთ სამედიცინო ხარჯები და სხვა დეტალები.

**რა სასჯელი ემუქრება უხარისხო პროდუქციის გამსაღებელს ან არასათანადო მომსახურების შემომთავაზებელთ?**

— როგორც წესი, დგება დირექტიული ვალდებულების, ანუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების საკითხი.

**თქვენი პრაქტიკიდან, რამდენად ხშირად მიმართავენ მოქალაქეები სასამართლოს ამგვარი სარჩელით?**

— სამწუხაროდ, არც ისე ხშირად. როგორც ჩანს, ბევრმა არ იცის თავისი უფლებების შესახებ, თუმცა ბოლო პერიოდში სასამართლოებს შედარებით უფრო ხშირად უწევს ამგვარი საქმეების განხილვა და შემიძლია გითხრათ, საინტერესო გადაწყვეტილებებიც მიიღება.

ესაუბრა **სოფო ბუკია**

ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: alpeonline@gol.ge

## სისხლის სამართლის ქრონიკა

მეგი ცანავა

# ხარ თუ არა მკვლელი, როცა პროკურატურა ცდება

1999 წლის 8 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე ნუცუბიძის პლატოზე მცხოვრებ არეშიძეების ბინას ხუთკაციანი შეიარაღებული ჯგუფი დაესხა თავს. ნიღბიან ბანდიტებს ამირან არეშიძემ საკუთარი „აკაემის“ ტიპის ავტომატური იარაღით გაუწია წინააღმდეგობა და ორი თავდამსხმელი — გოჩა ხეცურიანი და გიორგი ლაბაძე მოკლა. მერე კი ბანდიტთა ტყვიის მსხვერპლი თავად გახდა. ამ სისხლიან ინციდენტს ამირან არეშიძის ვაჟი მიხეილ არეშიძეც შეეწირა.

სამი ბოროტმოქმედი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

მესამე დღეს პოლიციამ იმავე უბნის მკვიდრი ბაჩუკი თოლორდავა დააკავა. სხვა პირებთან ერთად მას ბანდიტური თავდასხმის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვისა და ორი ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მუხლები მიუყენეს.

თოლორდავა ბრალს თავიდანვე უარყოფდა: „ამ დანაშაულში ბრალი არ მიმიძღვის, უბრალოდ იმ მომენტში იქ აღმოვჩნდი და მოგროვილ ხალხთან ვიდექი, მერე კი გამოსასვლელიდან მოკლულის გვამი გამოვათრიეო“, — ამტკიცებდა იგი.

სასამართლოზე ამირან არეშიძის მეუღლემ განაცხადა, რომ „ერთ-ერთი ბანდიტი სახეს იფარავდა, მაგრამ შუბლი უჩანდა. განსასჯელის მაღალი შუბლისა და აღნაგობის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ იგი ერთ-ერთი მათგანი იყოო“. სასამართლომ მოწმის ეს ჩვენება თოლორდავას დასადანაშაულებლად საკმარისად ვერ ჩათვალა, გამოძიების მასალებში კი, როგორც აღმოჩნდა, ბრალის დამადასტურებელი სხვა, რეალური საბუთები არ აღმოჩნდა. მკვლელობის ადგილზე ბაჩუკი თოლორდავას არყოფნის ფაქტი რამდენიმე მოწმემ დაადასტურა.

გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე მოსამართლემ პროკურატურის მიერ მიყენებული მუხლები გააუქმა და თოლორდავა მხოლოდ მის ბინაში ჩხრეკისას აღმოჩენილი ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიების შენახვაში დაადანაშაულა. მისჯილი წელიწადი და ექვსი თვე მოხდილად ჩაითვალა და ის გაათავისუფლეს.

# გამოძიებამ საგამოძიებო პროცედურები დაარღვია

17 წლის რ.შ-ს მკვლელობაში ბრალდებულ, თბილისელ დ.ნ.-ს პროკურატურამ უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესზე დანაშაული ვერ დაუმტკიცა. სასამართლო კოლეგიის შეფასებით, გამოძიების მიერ მოპოვებულ მასალებში დ. ნ-ს. წინაამღდეგ საკმარისი მტკიცებულებები არ აღმოჩნდა. საქმე დამატებით გამოძიებისათვის გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

პროკურატურა 20 წლის დ.ნ.-ს 1999 წლის 22 ივნისს, თბილისში, ზოოპარკის წინ მომხდარ საშინელ მკვლელობაში ადანაშაულებდა: საღამოს დაახლოებით 6 საათზე, მე-7 გიმნაზიის მოსწავლეები რენატ შეიხადინოვი და ორი მისი მეგობარი ზოოპარკიდან შინ წასვლას აპირებდნენ, როცა მათ ცენტრალურ შესასვლელთან ორმა უცნობმა ბიჭმა დაუძახა.

წითელმაისურიანი ხელში დანას ატრიალებდა. ჯერ ფული მოითხოვეს, შემდეგ კი ერთ-ერთის ყელზე ოქროს ძეწკვი შენიშნეს და მისი მოხსნა უბრძანეს. ამ უკანასკნელმა ძეწკვი დათმო, ხოლო შ-მა თავისი ვერცხლის ძეწკვის გადარჩენა სცადა და იგი ჯიბეში ჩაიცურა, რის შემდგომ კონფლიქტი უკიდურესობამდე გამწვავდა. შელაპარაკებისას წითელმაისურიანმა ბიჭებს დანა მოუღერა. რ.შ. — ვარაზისხევით, დანარჩენები კი მიწისქვეშა გადასასვლელით გაიქცნენ. უცნობები რ.შ.-ს დაედევნენ. პროკურატურის მასალების თანახმად, ერთ-ერთმა, შავმაისურიანმა თავდამსხმელმა, მას ხელ-ფეხი დაუკავა, ხოლო წითელმაისურიანი გულმკერდის არეში დანას ურტყავმდა. დაჭრილი მათ იქვე მიატოვეს და გაიქცნენ.

პროკურატურის დასკვნით, შავმაისურიანი თავდამსხმელი დ.ნ. იყო, ხოლო წითელმაისურიანის ვინაობა ვერ დადგინდა. ეჭვმიტანილმა თავი დამნაშავედ არ სცნო და გამოძიებისას დუმილის უფლება გამოიყენა. ჩვენება მან მხოლოდ სასამართლოს მისცა. მისი მტკიცებით, იგი მითითებულ დროს თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა. პროკურატურას ეჭვმიტანილის წინაამღდეგ მხოლოდ დაღუპულის მეგობრების ჩვენებები ჰქონდა, ხოლო ამოცნობის პროცედურა, როგორც სასამრთლოზე გაირკვა, სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. ამდენად, სამხილის სამართლიანობაც საეჭვო გახდა.




ALPE სამართლებრივი განათლების ასოციაცია WWW.SAMARTALI.GE

# საყვარელს თავს ვერ ვუღალატებ

**ახალ წლამდე სამი წერილი შემოვიდა რედაქციაში. სამივე მამაკაცებისაგან. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქალთა გვერდს მხოლოდ მანდილოსნები როდი ეცნობიან. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქალსაც და კაცსაც ერთნაირად შეიძლება აწუხებდეს რამე და თავისი სათქმელიც ჰქონდეს. ფიზიკურ სატკივარს როგორღაც უმკლავდება ადამიანი, ზნეობრივ და სულიერ ტანჯვას კი, ხშირად ვერ უძლებს. ერთ-ერთი მამაკაცი გვთხოვს რჩევას, დახმარებას, მაგრამ ასეთ ინტიმურ საკითხებში მრჩეველ ფსიქოლოგად ნაკლებად გამოვდგებით. მხოლოდ გულისყურით მოსმენა და მერე, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს, დაწვრილებით აღწერა შეგვიძლია იმ ამბისა, რამაც აგაფორიაქათ. ფაქტობრივად, ესეც სანახევრო დახმარებაა, რადგან პრესაში გამოქვეყნების მერე გულშემატკივართა რიცხვი მატულობს და, რაც მთავარია, წერილს ის პიროვნება კითხულობს, ვისაც იმ ამბავში ლომის წილი უძევს.**

**ვინაიდან სამივე წერილის შინაარსი თითქმის ერთნაირია, გვინდოდა, ზოგადი მასალა მოგვემზადებინა, მაგრამ ერთ-ერთი ავტორი კვლავ შეგვეხმიანა და ისევ კონკრეტულ სატკივარზე საუბარი ვამჯობინეთ. ვფიქრობთ, მისი ამბავი ყველას დააინტერესებს, ბევრი ყურად იღებს რესპონდენტის გულახდილობას. დაუფიქრდება მის ნაამბობს...**



— ოცდათხუთმეტ წლამდე ვერ დავოჯახდი, — მიყვება ჩემი სტუმარი, — დიდხანს ველოდი სიყვარულს. ბევრი ქალი მომეწონა, ბევრსაც მე ჩავუვარდი გულში, მაგრამ ნამდვილი, დიდი სიყვარული არ ჩანდა... მშობლების გაუთავებელმა წუწუნმა შემალონა. რით ვერ მოიძებნა შენი საოცნებო ქალი, ალბათ ისე დავიხოცებით, რომ შვილიშვილი არ გვეღირსებაო. მამაკაცებიც შემომიჩნდნენ — რა გააწყალე გული. სიყვარულით არც ჩვენ დავქორწინებულვართ, მაგრამ მერე გრძნობაც გაჩნდა და ახლა ბედნიერი ოჯახები გვაქვსო. მეც თითქოს ბედს მივენდე. ერთხელ, ნათესავმა მიმიპატიჟა და სიხარულით გამენდო, შენთვის მშვენიერი გოგო მყავს შერჩეულიო. ვერ მოგატყუებთ, დანახვისთანავე მომეწონა ის ქალი (გოგო აღარ ეთქმოდა — 32 წლის გახლდათ), წყნარი და სერიოზული ჩანდა. ჩემი მშობლების სიხარული ცას სწვდებოდა, რძლის პროფესიაც მოსწონდათ (დაწყებითი კლასების მასწავლებელია) — თავისი საქმეც ექნება და ოჯახისთვისაც მოიცლისო.

ასე რომ, დავეთანხმე ახლობლების რჩევას და შევირთე ცოლად. ხშირად ხდება ხოლმე, რომ თავდაპირველად, ქალი მშვიდად მოგაჩვენებთ თავს, მერე კი აფთარი გახდება. მაგრამ ჩემი ცოლი მართლაც წყნარი, სათნო და საოცრად შრომისმოყვარე გამოდგა. მეჩვენებოდა, რომ გრძნობა, რომელიც მის მიმართ გამიჩნდა, ნამდვილად სიყვარული იყო... თურმე ვცდებოდი. ჩემმა ცოლმა სამი შვილი ერთმანეთის მიყოლებით გააჩინა და ყელამდე ჩაეფლო საოჯახო საქმეში. მე განზე დავრჩი... მეგონა, შვილების გასაჩენად და ფულის შემოსატანად ვჭირდებოდი. როგორც მამაკაცი, მისთვის აღარ ვარსებობდი. ოჯახის მარჩენლის ფუნქციას ინერციით ვასრულებდი. ასე მდორედ და ერთფეროვნად მიდიოდა ჩემი ცხოვრება მანამ, სანამ არ გამოჩნდა ის... სამი შვილის მამას, 50 წლის ასაკში მეწვია პირველი და უკანასკნელი სიყვარული. ალბათ იტყვით, რა დროს ამ კაცის სიყვარული იყოო, მაგრამ ამ გრძნობამ ხომ ასაკი არ იცის... პირიქით, ჭარმაგთა სიყვარული უფრო ძლიერია. მხოლოდ მაშინ ვიყავი ბედნიერი, როცა მას დავინახავდი, მისი ხმის გაგონებისას ყველაფერი მავიწყდებოდა. ჩემზე ოცი წლით უმცროსი იყო, გაუთხოვარი. როცა მივხვდი, არც თვითონ ჩანდა გულგრილი, სიხარულმა ფრთები შემასხა. დღე დღეს მისდევდა, ჩვენი სიყვარული ძლიერდებოდა. მის გვერდით მყოფს თავი ზეცაში მეგონა. მივიდოდი შინ და თითქოს ყველაფერი თავზე მემხობოდა: ჩემი ცოლი ან იატაკს ხეხავდა, ან აუთოებდა, ან ჭურჭელს რეცხავდა. ერთს კი შემომძახებდა, — უკვე მოხვედიო და ულუფას მაგიდაზე დამიდებდა (როგორც ძაღლს!), ცოტა ხნითაც არ ჩამომიჯდებოდა, არ მკითხავდა, როგორ ხარ, რაიმე ხომ არ მოხდა სამსახურშიო. ერთი სიტყვით, სულაც არ აინტერესებდა, რით ვსუნთქავდი და რაზე ვფიქრობდი, რა მიჭირდა ან მილხინდა... მისი ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ ბავშვებს არ მოშივებოდათ და შინ ყველაფერი წესრიგში ჰქონოდა. ბოლოს საკუთარი სახლი გალიად მექცა. საყვარელი ქალის გარეშე სუნთქვა აღარ შემეძლო. ერთ მშვენიერ დღეს, ჩანთაში ჩავალაგე ჩემი ბარგი-ბარხანა და მასთან საცხოვრებლად გადავედი. ატყდა ალიაქოთი. ჯერ დედაჩემი მოვარდა, მეც გამლანძღა და ის ქალიც, მერე ნათესავები მესტუმრნენ. ამ „არამკითხე მოამბეთა“ სტუმრიანობა ხუთი დღე გაგრძელდა. მივხვდი, რომ ჩემთვის ახლობელი და უსაყვარლესი ადამიანი ამდენ ქირქილს, ამდენ უკადრებელს ვეღარ გადაიტანდა. ისევ და ისევ მის გამო, კვლავ ოჯახში დავბრუნდი. ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს ცოლს ჩემთვის... ან ეჩხუბა, ან ეტირა... ამ უთქმელობამ სულ გამაგიჟა... ყველას და ყველაფერს ჩემებური (ალბათ უაზრო) პროტესტი გამოვუცხადე, მეორე ოთახში გასაშლელ საწოლზე დავეგდე (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით). არც მშობლებს, არც ცოლს, არც ნათესავებს არ აინტერესებთ ჩემი სულიერი მდგომარეობა. მათთვის მთავარი ის არის, რომ ოჯახი არ დაინგრა და ჩვენ კვლავინდებურად ერთად ვართ, მაგრამ ვაი, ასეთ ერთად ყოფნას და ვაი, ასეთ ოჯახს. ვგრძნობ, რომ დიდხანს ვერ გავძლებ ასე. რა უნდა ვქნა, რა გზას დავადგე, არ ვიცი. მე ხომ ნამდვილი სიყვარული ახლა მეღირსა! რას მირჩევთ, ოჯახს ვკრა ხელი თუ გვიან მოსულ სიყვარულს?

**— ეს თქვენი გადასაწყვეტია... ამდენი ხანია გისმენთ და ერთხელაც არ გიხსენებიათ ბავშვები, ისინი როგორ რეაგირებენ ოჯახურ უსიამოვნებაზე?**

— უფროსი გოგონა სადაცაა ცამეტი წლის გახდება, ბიჭი თერთმეტისაა. მესამე გოგონა კი — 8-ის. უფროსები არც ისე პატარები არიან, რომ ვერ ხვდებოდნენ ოჯახურ უსიამოვნებებს. საკმაოდ აგრესიულად მექცევიან. მხოლოდ უმცროსისაგან ვგრძნობ სითბოს და სიყვარულს.

**— ცოტა არ იყოს, მიკვირს, რას ელით იმ ბავშვებისგან, ვისი დედის დანახვაც კი აღარ გინდათ? აკი თქვით, შვილები ყველაფერს კარგად ხვდებიანო.**

— შეიძლება ცუდი ქმარი ვარ, მაგრამ ცუდი მამა არასდროს ვყოფილვარ. ცოლ-ქმრის უსიამოვნება შვილებზე რატომ უნდა გადავიდეს?

**— გეთანხმებით, მაგრამ როცა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობთ, ძნელია ბავშვისთვის, უყუროს დედ-მამის ცივ დამოკიდებულებას.**

— ე.ი. მეთანხმებით, რომ ჩვენს ერთად ყოფნას, ცალ-ცალკე ცხოვრება სჯობს, ხომ ასეა?!

**— თუკი ურთიერთობა გაიბზარა, ოჯახში დაძაბულობაა, ალბათ წასვლა გიჯობთ, თუმცა, როგორც ვატყობ, თქვენ არც გიცდიათ ცოლის შემორიგება. გამოლმა შემომდავებლისა არ იყოს, თქვენ დატოვეთ ოჯახი და თქვენვე ბრაზობთ, ცოლი ხმას რატომ არ მცემდაო?**

— მე მისი ინდიფერენტულობა მაგიჟებს, თორემ, განა იმაზე ვბრაზობ, რატომ მებუტებამეთქი.

**— გვიან მოსულ სიყვარულზე კიდევ რას მეტყვით? იმ ქალში რა აღმოაჩინეთ ისეთი, რამაც მოგხიბლათ?**

— ძნელია, როცა ადამიანი გიყვარს, დააკონკრეტო, რატომ და რის გამო გიყვარს. ის ძალიან რომანტიკული ადამიანია, უფრო ზეციურია, ვიდრე მიწიერი. არ აწუხებს ყოველდღიური ერთფეროვნება. მის მიერ შექმნილ სამყაროში ბედნიერად გრძნობს თავს და ეს განწყობა მეც გადმომდო. ძალიან მიჭირს უმისობა, იმ ალიაქოთის მერე, ისიც ერიდება ჩემთან შეხვედრას.

**— თუკი ოჯახიდან წახვალთ, ხომ შეიძლება შვილებმა ზურგი გიჩვენონ?**

— ეს ძალიან მაფიქრებს, მაგრამ ადამიანში ეგოიზმი მძლავრობს. რაც გნებავთ მიწოდეთ — ეგოისტი, ჯიუტი კაცი... მე ამ საუბრის მერე ვაპირებ სასურველ ქალთან დაბრუნებას. შვილები კი... ისინი მართლაც შემაქცევენ ზურგს, მაგრამ მჯერა, როცა გაიზრდებიან, აღარ განმსჯიან, როგორც დამნაშავეს. მომავალში მათ თავიანთი ცხოვრება ექნებათ, თავიანთი გზა; მე კი ამ სიყვარულის უარყოფას ვერასოდეს ვაპატიებ თავს და შეიძლება თავი მოვიკლა.

**— უკვე გადაგიწყვეტიათ ყველაფერი...**

— დიახ, ყველასთვის ასე აჯობებს, რადგან ღალატი მგონია (არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ცოლის, მშობლების, შვილების და საზოგადოებისაც), ვიცხოვრო იქ, სადაც აღარ მეცხოვრება. ნუთუ ყველას კმაყოფილებას მიანიჭებს ყოველდღიურად ჩემი გატანჯული სახის ყურება? მამის მოვალეობისაგან არ ვითავისუფლებ თავს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მათზე ხელი ავიღო. ცოლი კი, გაცილებით უკეთ იგრძნობს თავს, როცა მე სხვაგან ვიცხოვრებ...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

მაიკო ორბელიანი

(1819-1847)



„საყვარელო დაო მაიკო...“

ასე ეფერებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის სათნო დობილს და ბიძაშვილს მაიკო ორბელიანს — მე-19 საუკუნის თბილისის მშვენებას, საოცრად პოეტური სულის ადამიანს.

მაიკო დიდი პოეტის უახლოესი მეგობარი, სულის თანაზიარი, მესაიდუმლე გახლდათ. ალბათ რამდენი ძვირფასი სტრიქონი დააკლდებოდა ქართულ ლიტერატურას, რომ არა მაიკო, რომ არა მისი მაღალი და მდიდარი სული, მისი დახვეწილი გემოვნება, ღვთიური ერთგულება... მაიკოს მადლია ბარათაშვილის იმგვარად წარმოჩენა, როგორადაც ვიცნობთ მას...

„ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი, — წერდა „მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“ მაიკოს, — კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ... შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით... სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?... „ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა, მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა, ოხვრა არის შვება უბედურისა!“ შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა — დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კაცი კი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!..“

სამწუხაროდ, ჟამთა ვითარებამ არ შემოგვინახა მაიკოს ცრემლითა და სიხარულით, თანალმობით და სევდით სავსე ბარათები, მაგრამ მისი დიდი თანამედროვის ნაკალმარი ცხადყოფს ამ თვალმწყაზარი, ნატიფი, წიგნიერი, მოკრძალებული, იმ დროის ლამაზ ქართველ ასულთა შორისაც გამორჩეული ადამიანის სულის მდინარებას...

ქართველი პოეტები ხოტბას ასხამდნენ მირმანოზ ორბელიანის ასულს, მისმა მშვენებამ დიდი რუსი პოეტი მიხაილ ლერმონტოვი ისე მოხიბლა, რომ მაიკოს „თბილისის უნაზესი მარგალიტი“ უწოდა, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეჰმღერა — „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო, შავთვალებიანო, დღისით მზევ, ღამით მთოვარევ, ნაზო და ამოდ ხმიანო...“

რუსმა მხატვარმა გრიგორი გაგარინმა ორჯერ დახატა ორბელიანთა ასული. როგორი ნატიფი სევდა დასტყობია მის ლამაზ სახეს...

ბევრი ვაჟკაცი ცდილობდა მაიკოს გულის მოგებას, მას კი ლევან მელიქიშვილის სიყვარული მსჭვალავდა, იმ ლევან მელიქიშვილისა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყრმის მეგობარი იყო და შემდეგ მისი უკანასკნელი გამპატიოსნებელი...

მაიკოს გული სამშობლოსთვის ძგერდა, მისი ბედი აღელვებდა და აფიქრებდა. ისიც იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც „საქართველოს ალამს კერავდა“, ვინც ლოცულობდა თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, „ოდესღაც დიდი“ სამშობლოს აღორძინებაზე, მონაწილეობდა ქართული თეატრის, გაზეთის თუ სხვა საქვეყნო საქმეების კეთებაში, ლიტერატურული სალონი უიმისოდ ღარიბი იყო...

საქართველოში სტუმრად ჩამოსული ნიკოლოზ I მოაჯადოვა მაიკოს სილამაზემ...

და „გატყდა უნაზესი პორცელანი“, გაიბზარა სული...

დიდი ცოდვა დაიდეს ქართველმა თავადაზნაურებმა — შეეწირა ზოგიერთის მზვაობას მაიკოს ბედნიერება...

დაჭლექდა, დაჭკნა „თეთრი ქრიზანთემა“...

განჯას გადახვეწილი ლევან მელიქიშვილის მოლოდინში გაილია უმზეო დღე...

მისი და ლევანის ერთადერთ ვაჟსაც არ ჰქონია დიდი ხანი...

ქართულ პოეზიას კი სამუდამოდ შემორჩა უნაზესი მუზა — მაიკო ორბელიანი.

# ის თუ მე?!



შეიძლება თუ არა ღალატის პატიება? თუკი პასუხი უარყოფითი გაქვთ, მაშინ ისღა დაგრჩენიათ, დამნაშავე მხარის ჩემოდანი გარეთ გადგათ და გაყრა გააფორმოთ. თუმცა ეს ხომ უბრძოლველად დანებება და წლების მანძილზე მოპოვებული ბედნიერების სხვისთვის დათმობა იქნება. მაშ, რა ვქნათო, — იკითხავთ თქვენ. დავმეგობრდეთ? ეს ხერხი, სხვათა შორის, ფრანგმა მწერალმა ანდრე მორუამ მოიგონა — მოტყუებული ცოლი მეტოქეს უმეგობრდება, რათა ქმარს მისი ხშირი ხილვით თვალში ეკალი ამოუყვანოს. ყოველივე ამის წაკითხვა სასაცილოც კია, მაგრამ რეალობაში, როცა თქვენ საამისო არც ნერვები გაქვთ და არც მტაცებლური ბუნება, საეჭვოა ასეთი თამაშის წამოწყება ღირდეს. გაითვალისწინეთ, მეტოქე ქალების უმრავლესობისათვის ამორჩეული „მსხვერპლის“ ცოლებთან დამეგობრება სანუკვარი ოცნებაა. როცა ასეთები თავიანთი სატრფოების სახლში, ადრე თუ გვიან, მაინც მოხვდებიან და იქ გამეფებულ მყუდროებას, მეგობრულ ატმოსფეროსა და იდილიას ნახავენ, ყველა მათგანი თითქმის ერთსა და იმავეს ფიქრობს: „თუ ეს ვაჟბატონი ასეთი მშვიდი და მეოჯახეა, რატომ არ უნდა დავიჭირო მისი უვარგისი ცოლის ადგილი?“ ასეთი „მეგობრობის“ გაგრძელება ცოლს მსხვერპლის როლში ჩააყენებს და მისი ტანჯვით მეტოქე ქალბატონი სიამოვნებას მიიღებს.

იქნებ ჩხუბი სჯობს? არც ამას გვირჩევენ ფსიქოლოგები. ნუ დაუწყებთ ქმარს დევნას, საყვედურებს. ნურც მეტოქე ქალს დააცხრებით თავს. ხელს ნუ შეუშლით. როგორც ამბობენ, ასეთ საქმეში თავშეკავება და მოთმინება ყველაზე ეფექტური წამალი ყოფილა მეტოქის გასაუვნებელყოფად. ბრძოლის ლოგიკის თანახმად, მეტოქე დარტყმას დარტყმაზე განახორციელებს, იატაკქვეშეთიდან ლეგალურ ბრძოლაზე გადავა. სწორედ ეს ღუპავს მას. ბრძოლის ველზე აშკარად ჩანს — ვინ ვინ არის და ის, ვინც სიტუაცია ასე გაამძაფრა, მარცხდება. კითხვა „ის თუ მე?“ წარმატებით იმის სასარგებლოდ გადაწყდება, ვისაც იგი არ დაუსვამს. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი შესაძლო პასუხი არსებობს: „ის“.

# ანეკდოტი

***

**— შეფმა ხელფასი მომიმატა იმისთვის, რომ შვილს მისი სახელი დავარქვი, — ეუბნება ერთი ქალი მეორეს.**

**— მე კი იმისთვის მომიმატა, რომ ჩემს შვილს მისი გვარი არ მივეცი.**

***

***ქორწინება, ეს — ამურის საკონტროლო გასროლაა...***

# ჯადოსნური ნიღბები

**მშრალ კანს უხდება:** 2ს/კ ხაჭო, 1ს/კ რძე და 1ჩ/კ თაფლი კარგად გალესეთ. წაისვით სახეზე და 20-30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.



**გაღიზიანებული და მზით დამწვარი კანისთვის** საუკეთესოა: 2ს/კ პიტნის ნაყენში გახსენით სახამებელი და სახეზე წაისვით, 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ პიტნის ნაყენით. ასე მოიქეცით კვირაში ორჯერ. მკურნალობის კურსია 10 პროცედურა.

**გაღიზიანებულ ცხიმიან და მშრალ კანს** რგებს პიტნის ლოსიონები.

1. 2ს/კ პიტნის ფოთოლს დაასხით მდუღარე, გააჩერეთ 20-30 წუთი.

2. 2ს/კ პიტნის ფოთოლს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაუმატეთ 2ს/კ ლიმონის წვენი ან სუფრის ძმარი — ამ ლოსიონებით გაიწმინდეთ სახე დილას და საღამოს.

**საფუარის სასწაულმოქმედი ნიღაბი:** სახის კანს სიგლუვე ან სინორჩე რომ შევუნარჩუნოთ, საჭიროა კვირაში ერთხელ გავიკეთოთ ასეთი ნიღაბი: 30გ ახალ საფუარს დაუმატეთ 1/2 ჩ/კ თაფლი. გაიჩერეთ სახეზე 15 წუთი და ჩამოიბანეთ ანადუღარი თბილი წყლით.

# მინდა კიდევ ერთი „ტრაგედია“ განმეორდეს

***თითქმის ორი წელია, რაც ქალბატონი ქეთი მითაიშვილი ტელეეკრანებზე აღარ ჩანს. ერთხელ ხმა გავარდა — მძიმედ ავადაა და ლოგინად ჩავარდაო. ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ის დრო წარსულს ჩაბარდა და ახლა მომხიბვლელი ქალბატონი და სამი ვაჟის დედა თავს საუცხოოდ გრძნობს საუკეთესო მეგობრებისა და უერთგულესი მამაკაცების — საკუთარი შვილების გარემოცვაში. ალბათ ამიტომაცაა, რომ ბევრ უსიამოვნებას უშიშრად ხვდება. ერთი კვირის წინ ქეთი მითაიშვილის ბინა მეორედ გაძარცვეს (რა პოპულარული გახდა ეს სიტყვათწყობა დღევანდელობისთვის), რის გამოც ჩვენი ინტერვიუ გადაიდო. ამ ამბიდან მეორე დღეს კი მანქანის მინა ჩაუმსხვრიეს, ისევ გაძარცვის მიზნით. ქალბატონი ქეთი ოპტიმისტია და მიაჩნია, რომ ბედი სულ მალე აუნაზღაურებს ყველა დანაკლისსა თუ დანაკარგს და, საერთოდ, ყველაფერი კარგად იქნება. გთავაზობთ ინტერვიუს ქეთი მითაიშვილთან, თუმცა იგი ალბათ სრულ წარმოდგენას ვერ შეგიქმნით მისი, როგორც დედის, დიასახლისის, მეგობრის და ქალის შესახებ.***

**— ქეთი, თქვენ ტელეეკრანიდან მოულოდნელად გაქრით, რა მოხდა?**

— ეს ის პერიოდი იყო, როცა ახალი თავმჯდომარე მოვიდა და რეფორმების გატარება დაიწყო. რეფორმა კი პირველ ეტაპზე იმით გამოიხატა, რომ ძველი თანამშრომლების დათხოვა გადაწყვიტეს. დიახ, დათხოვას ნიშნავდა ის, რომ ხალხს, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა რეალიზებული საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი, ვისაც შეეძლო საქმის კარგად კეთება, სხვადასხვა რედაქციაში ანაწილებდნენ. მოვლენებს დავასწარი და ღამის „მოამბეში“ პირდაპირ ეთერში დავემშვიდობე მაყურებელს. სტუდიიდან გამოსულს კოლეგები აღშფოთებულები დამხვდნენ, მაგრამ მე იმ მომენტში კმაყოფილი ვიყავი.

**— ნუთუ ასე უმტკივნეულოდ გადაწყვიტეთ ეს პრობლემა?**

— რა თქმა უნდა, არა, თვალები ცრემლებით მქონდა სავსე, გული კი ტკივილით. ახლა ამაზე ლაპარაკი აღარ მინდა — მაინც ვერაფერს შევცვლი. ერთს კი ვიტყვი — მე ვეკუთვნოდი ტელევიზიაში იმ თაობას, რომელიც უბრალოდ ხელის წამოსაკრავი არ იყო, სამწუხაროა იმის შეგრძნებაც, რომ ამ ხნის მანძილზე არავის დავჭირდი და დღეს პრაქტიკულად უმოქმედოდ ვარ. სამსახური ჩემთვის ყველაფერი იყო — უკიდურესად დეპრესირებული ეთერში გასვლის წინ ფენიქსივით აღვდგებოდი ხოლმე და ყველაფერი მავიწყდებოდა. სამწუხაროდ, ტელევიზიიდან ჩემი წამოსვლა სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ყველაფერი აირია ჩემს ცხოვრებაში.

**— ავადმყოფობამაც მაშინ იჩინა თავი?**

— არა მარტო ამან. ჩემ გვერდით არ იყო ადამიანი, რომელიც გამამხნევებდა და მეტყოდა — ქეთი ნუ დარდობ, მე შენთან ვარო. თავის გასამხნევებლად ერთთავად იმას ვფიქრობ, რომ ბედისწერა იმდენ სიამეს გვართმევს, რამდენიც მოგვიანებით უნდა სანაცვლოდ მოგვეცეს. ახლა სწორედ დაკარგულის საზღაურს ველოდები.

**— იმედია, ახლა თავს კარგად გრძნობთ.**

— ოპერაციის შემდეგ ინფექციის შეჭრის შედეგად მდგომარეობა გამირთულდა და ლოგინს მიმაჯაჭვა, მაგრამ ეტყობა, ღმერთს არ ვყავდი განწირული. და ეს ყველაფერი უკან დარჩა.

**— შვილებზე რას გვეტყოდით?**

— მყავს 22 წლის გიორგი და ტყუპი — 12 წლის საბა და ცოტნე. გიორგი ამერიკაშია, ახლახან შემატყობინა, რომ ამერიკის ჯარში დაუწყია სამსახური. ეს უცხოელისთვის მეტად რთული საქმე ყოფილა.



**„მოვლენებს დავასწარი და პირდაპირ ეთერში დავემშვიდობე მაყურებელს...“**

საბა და ცოტნე მოსწავლეები არიან. ორივე ძალზე ცელქი, მაგრამ საოცრად მოყვარული ბიჭია. (ცოტნე და საბა, თურმე დედასავით კარგი კულინარებიც არიან, ამაში მეც დავრწმუნდი, როცა ხილის სალათით გამიმასპინძლდნენ. — ე.ლ.)

**— თქვენ ყოველთვის ელეგანტური იყავით ეკრანზე, მუდამ გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი გეცვათ. როგორ ახერხებდით ამას?**

— ეს ჩემი პატარა საიდუმლოა (იცინის). არავის არასოდეს უზრუნია ჩვენს სტილზე ან ჩაცმულობაზე. ჩვენი გადასაწყვეტი იყო, რა ჩაგვეცვა და როგორ. რაც შეეხება, როგორც თქვენ ბრძანეთ, ჩემს ელეგანტურ ტანსაცმელს, ეს ძირითადად ჩემი მეგობრის და შვილების ნათლიის, ლია მღებრიშვილის დამსახურებაა. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ატარებ კოსტიუმს, როგორ წარუდგენ გარშემომყოფთ. ეტიკეტის მონა არასოდეს ვყოფილვარ, ვიცვამდი იმას, რაც მომწონდა.

**— თქვენი ერთი ჩანახატი წავიკითხე, წერთ — სიყვარული არასოდეს არის გვიანო...**

— დიახ, სიყვარული ჩემი ცხოვრების ამოსავალი წერტილია. როდესაც ვინმეს არ ვუყვარვარ, ის დრო მკვდარია ჩემთვის. ახლაც ასეა, მაგრამ მჯერა, რომ სიყვარული ისევ მეწვევა. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულმა ბევრი ტკივილი მარგუნა, მინდა კიდევ ერთი „ტრაგედია“ განმეორდეს. სიმღერისა არ იყოს, სიყვარული მძიმე და მსუბუქი ტვირთია ერთდროულად, მაგრამ დიდი ბედნიერებაა მისი განცდა.

**— ქეთი, ტელედიქტორობის დროინდელი რაიმე მხიარული ეპიზოდი თუ გახსენდებათ?**

— მახსოვს ერთხელ, როცა ოპერის თეატრის ანონსს ვკითხულობდი, გამოვაცხადე — „ძვირფასო ტელემაყურებელო, გთავაზობთ პირველ მოქმედებას ოპერიდან „აბესალომ და დაისი“. ღიმილი სახეზე შემეყინა, მაგრამ რაღას ვიზამდი. ერთხელ კი, ამას მხიარული ეპიზოდი ნაკლებად დაერქმევა, მაგრამ გავიხსენებ — სტუდიაში ძლიერი განათების გამო დამწვრობა მივიღე და კინაღამ დავბრმავდი... იცით, არ მინდა მხოლოდ სასიამოვნო მოგონებებით ვცხოვრობდე, არც იმდროინდელი ამბების გახსენება მინდა, ვინმემ რომ არ თქვას, ქეთი თავს იქებსო. ერთი რამ მსურს — სასიამოვნო აწმყო და ლამაზი მომავალი.

# „მაესტროს“ და „სველი ხაზის“ წყალობით მეუღლე შევიძინე



**ვასიკოზე ამბობენ — თავად მოარული კურიოზია და მასზე რაიმე განსაკუთრებულს, თანაც ასე ნაუცბადევად, ვერც გავიხსენებთო...**

***ხომ გინახავთ, რა შთაგონებით კითხულობს ახალგაზრდა ულვაშებაწკეპილი მამაკაცი ლექსებს „პირველი სტერეოს“ ეთერში, რა გულისხმიერად მიჰყავს ტელე-ვიქტორინა თუ ტელე-კროსვორდი „ლოტო-მაესტრო“ და მერე როგორ ისულელებს თავს ლელა დეკანოსიძის უერთგულესი მეგობრის კოტე ჩიტუნავას როლში, როცა პირველ არხზე ტელესერიალი „ძილის წინ“ მიდის. ამ „საქმეთა საგმიროთა“ მოქმედია ვასიკო ოდიშვილი. ვასიკო მთელი დღე ფიგაროსავით დარბის სამსახურიდან სამსახურში, რომელთაგან ერთ-ერთში, სარეკლამო კომპანია „ქედი-ტვ“-ის ოფისში, ძლივს შევხვდი. ვასიკო „ქედი-ტვ“-ში ხმის რეჟისორია, მაგრამ თუ სარეკლამო კლიპში მონაწილეობასაც სთავაზობენ, უარს არც ამაზე ამბობს. პროფესიით მსახიობი და ტელერეჟისორი მუხლჩაუხრელად შრომობს. იქნებ ამიტომაც, ინტერვიუს ჩაწერის პროცესში ორი საქმის ერთად კეთება მოუხდა — კითხვებზეც მპასუხობდა და ამავე დროს კომპიუტერზე „ქედი-ტვ“-ისგან მინდობილ სამუშაოს ასრულებდა. ამიტომაც მისი თავაზიანი და ღიმილიანი ბოდიშების გამო არც გავნაწყენებულვარ. ისე „ქედი-ტვ“-ში ვასიკოზე ამბობენ — თავად მოარული კურიოზია, მასზე რაიმე განსაკუთრებულს, თანაც ასე ნაუცბადევად, ვერც გავიხსენებთო. თუმცა იმასაც კმაყოფილებით აღნიშნავენ, — რაგინდ ცუდ გუნებაზე იყოს ვასიკო, ვერაფერს შეამჩნევთ, ცდილობს ყველას გაუღიმოს და ასიამოვნოს, ამიტომ ხშირად ვეკითხებით — ნუთუ არასოდეს არაფერზე ბრაზდებიო.***

**— ყველას თავისი პრობლემა ეყოფა. ჩემი გასაჭირი რაღად უნდა ვაგრძნობინოო — ასე პასუხობს ამ შეკითხვას ვასიკო. რაც შეეხება კურიოზებს, მის ცხოვრებაში ისინი მრავლადაა, მაგრამ თავად „მოარულ კურიოზს“ მათი გახსენება, ცოტა არ იყოს, უჭირს.**

— ერთხელ, პირველი მაესტროს ეთერში მუსიკალური კლიპი გადიოდა. ამ დროს მე გადაცემის ტექნიკურ უზრუნველმყოფს მახოს ვეხუმრებოდი — რას ვიფიქრებდი, თუ ეკრანზე გამოვჩნდებოდი — ორივე ხელზე სამი თითის კომბინაციითა და შეძახილით „აი, შენ მახო, აი, შენ მახო!“ სტუდიაში შევვარდი და... ტელემაყურებელმა იმ დღეს ალბათ შოკი მიიღო.

**— მგონი შენი „მაესტროში“ მისვლაც კურიოზული იყო.**

— „სველი ხაზის“ წამყვანი სჭირდებოდათ. მაესტროს სტილისტის მარინა ხორავას დას, ირას უთქვამს ეკა აკობიასთვის (რომელიც მერე ჩემი მეუღლე გახდა) — კარგ ბიჭს ვიცნობ და მოგიყვანთო, მიმიყვანა, მაგრამ წამყვანად დამიწუნეს. თუმცა არაფერი დამკლებია, ეკა სამუდამოდ ჩემი გახდა. ასე შევიძინე მეუღლე „მაესტროს“ და „სველი ხაზის“ წყალობით.

**— რა იყო ეს — ერთი ნახვით შეყვარება თუ დაწუნებული ბიჭის შურისძიება?**

— ერთი ნახვით შეყვარება. მწამს და მჯერა ასეთი რამ. პირად ცხოვრებაზე მეტი არ მკითხო, მაინც არ გიპასუხებ.

**— მერე იქნებ ცოლის ფაქტორმა იმოქმედა და იმიტომ მიგიღეს „მაესტროში“?**

— რაღა მიღება მჭირდებოდა — ეკას გამო მაინც სულ იქ არ ვიყავი? „სველი ხაზი“, „პრეს-პრესი“ და „უცნობი“ მისი გადაცემებია, თანაც იკა „მაესტროს“ სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარეცაა.

**— ოჯახში, ქართული ტრადიციისამებრ, ალბათ შენ უფროსობ. სამსახურში როგორღაა საქმე? ასეთ „ჩინოსან“ ცოლთან უფროსობა ადვილი არ იქნება, ვინ მიდის დათმობაზე?**

— სულ ვამბობ, ოჯახის წევრები ერთ სამსახურში რომ მუშაობენ, ცუდია-მეთქი. არის საკითხები, რომლებიც კინკლაობას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ მე მოხევე ვარ და ეკა — მეგრელი, მაინც მე ვუთმობ ხოლმე ჩემი დევიზის თანახმად „მოთმინებითა შენითა...“

**— პოეზიის ორი წუთისთვის ვინ დაინახა შენი „ა ტალანტი“?**

— გადაცემა ეკამ გააკეთა, მაგრამ ჩემი „ა ტალანტი“ ალბათ ყველამ დაინახა. ისეთი ლექსები მოდის, რომ ხშირად მეცინება და ვხალისობ. ამირან კუპატაძის ლექსი „დედინაცვალზე“ მომწონს განსაკუთრებით (ვასიკომ ლექსის ტექსტი არაფრით არ გაგვიმხილა).

**— შენზე ამბობენ, ანეკდოტებს თხზავსო.**

— არა, არ ვთხზავ, კარგად ვყვები. გინდა მოგიყვე? კაცი შევიდა საკონდიტროში და გამყიდველს უთხრა — პუ მომეციო. გაკვირვებულმა გამყიდველმა ჰკითხა — პუ რა არისო? კაცი აიმრიზა და მიახალა — აბა, შუ რაღა არისო?

**— კოტე ჩიტუნავას როლზე როგორ დაგამტკიცეს?**

— ო, თამარ ბართაიამ სცენარი დაწერა სპექტაკლისთვის „შეხვედრის ადგილი“, რომელიც აუდიენციის ეგიდით დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. ამ სპექტაკლში ვმონაწილეობდი. მერე სერიალში „ძილის წინ“ დასჭირდათ მსახიობი ახალი პერსონაჟისთვის და იქაც დამიძახეს. ერთ-ორ სერიაში ჩიტუნავას საქმე ცუდად წავიდა, ლაშა ბუღაძეს სცენარის დაწერისას დაავიწყდა, რა კაცი იყო კოტე ჩიტუნავა და რატომღაც გაასომხა. მე და ბატონმა ოთარ შამათავამ კი გადავწყვიტეთ, ერთდროულად სომეხ-მეგრელის როლი მეთამაშა. გამოვიდა რამე? ჰა, ეკაჯან?

**— გამოვიდა, გამოვიდა. შენს შეთხზულ ლექსებზე რას იტყვი?**

— რას ამბობ, რა ლექსები, რის ლექსები! წავედით, წავედით, მეჩქარება, დამთავრდა ინტერვიუ.

***ეკა ლომიძე***

## სახე უცხოეთიდან

# ენრიკე საიდუმლოს ამხელს — და ამ სიცრუის მსოფლიოს სჯერა

## მამაჩემი ამქვეყნად ყველას მირჩევნია. მიყვარს, როგორც არავინ

მამის თვალები აქვს, მაგრამ არა მამასავით დამპყრობლის ჟინით ანთებული. ენრიკე იგლესიასს მშვიდი მზერა და ასეთივე მშვიდი, სიყვარულით გამთბარი ხმა აქვს.

ენრიკე, შეიძლება ითქვას, ბედის ნებიერია. ეს მაშინაც გამოჩნდა, როცა პუბლიკის წინაშე ახალი სიმღერით „ნევო“ წარდგა და ლამის იყო, დარბაზი დაინგრა. არადა, ისეთივე აპოლიტიკურია, როგორიც დღემდე ოქროს და პლატინის ფირფიტებზე ჩაწერილი მისი სხვა სიმღერები. ენრიკე აქაც სიყვარულს უმღერის.

„ადამიანი შეიძლება გაგიჟდე“, — ამბობს ენრიკე იგლესიასი, — ყველა ტაქსიში, ყველა რადიოში ჩემი სიმღერა ისმის. ძალიან მიხარია, თუკი ჩემი სიმღერებით ადამიანებს რაიმეთი ვეხმარები, შრომას ვუმსუბუქებ ან სევდას ვუქარვებ“.

26 წლის ახალგაზრდას სამი ტვირთი ჰკიდია: იგი ყოველთვის მამის, საქვეყნოდ ცნობილი ხულიო იგლესიასის შვილად დარჩება. ენრიკე სიყვარულზე მღერის ისე, რომ შეყვარებული არასოდეს ყოფილა და მესამე, მაიამიში მცხოვრებმა ესპანელმა კარიერა მექსიკაში დაიწყო და ლათინელი მუსიკოსის კლიშე დღემდე ვერ მოიშორა.

ახლა იგი ამ კლიშეს მოსაშორებლად იღვწის. მის ახალ ფირფიტაში ადრინდელებთან შედარებით ნაკლებად ისმის ლათინური ჰანგები. „ლათინელი ვარ და ამით ვამაყობ, მაგრამ ახლახან პოპ-ალბომი ჩავწერე“.

„ესე იგი, ლათინელი ხართ?“ — დიახ. „შეყვარებული?“ ამ კითხვაზე იგლესიასი სტანდარტულ პასუხს იძლევა: „ჩემი ცხოვრების ქალს ველოდები“. ალბათ, ასეცაა — ერთი რეპორტიორი, რომელიც ენრიკეს „მეტად მორცხვს და წესიერს“ უწოდებს, ამბობს — მომღერალმა საიდუმლოდ გამანდო, ქალწული ვარო. ამ სიცრუის მთელ ქვეყანას დღემდე სჯერა და მამის ანტიპოდად თვლიან. მამის, რომელსაც ალბათ, ათასზე მეტი ქალის გული და სხეული დაუპყრია.

„იგი ჩემი გმირია, კერპი“, — ამბობს ენრიკე მამაზე. მირანდა კი, ხულიოს ახლანდელი ცხოვრების თანამგზავრი, მამა-შვილის დამოკიდებულებას „რთულს“ უწოდებს. ამას ენრიკე მოთმინებიდან გამოჰყავს: „მირანდა შტერია. დედაჩემის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ მიყვარს, მაგრამ მამაჩემი ამქვეყნად ყველას მირჩევნია. მიყვარს, როგორც არავინ“.

ენრიკე ესტრადაზე მამის დალოცვის გარეშე აღმოჩნდა. თავდაპირველად რომ გაუმხილა, სიმღერას ვაპირებო, ხულიომ „ხომ არ გაგიჟდი, ამას ვერასოდეს შეძლებ“, — უთხრა შვილს. არადა, ენრიკემ ფსევდონიმით დაიწყო ჩაწერა, რიკი მარტინიზე მეტი ფირფიტა გაყიდა და „გრემიც“ მიიღო.

და კიდევ... წელს თინეიჯერების კერპს მსოფლიო ეკრანზე იხილავენ ანტონიო ბანდერასსა და ჯონი დეპთან ერთად... და, რაღა თქმა უნდა, დადებითი გმირის როლში.

***შტერნი №47***



CMYK

## ორშაბათი 21 იანვარი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი პროფილაქტიკა 09.40-დან 17.10-მდე 17.10 რამპა 17.15 50-50 18.00 ვესტერნი 18.20 სერიალი "ჟოლოს მსხვერპლი" 19.10 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 21.00 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" 20.00, 22.50 მოამბე 21.00 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" 21.50 მოსკოვი-თბილისი 22.15 11 სექტემბრის შემდეგ 23.35 სერიალი "ჟილის ფონ" 00.00 ქართ. მხ.ფ. "ჭირთ სის ჟღუჟ" 01.30 ვიდეოპატრული

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა 20.00 სერიალი "გოგონები ქალაქი" 21.00 სიტყვაკაზმული 21.30 შემოქმედებითი პროგრამა 22.10 ვიდეოპატრული 22.20 მხ.ფ. "უკეთესი შეუძლებელია"

07.00 მუსიკა 07.30 რობინ ჰუდი 08.00 კურიერი. დარდუბალა 08.55 სერიალი "გვადალუპე" 09.50 კულტის წყალქვეშა ოდისეა 10.40 ლეიტენანტ მარშის კოსმოსური მაშველები 11.10 სერიალი "ბაბილონის გოდოლი" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ.ფილმი 17.05 დოკ.ფილმი 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.20 ლეიტენანტ მარშის კოსმოსური მაშველები 18.45 სერიალი "მეზობელი გოგონები" 19.15 მოგზაურობის ასი წელი 19.50 სერიალი "ბაბილონის გოდოლი" 22.00 "ვის უნდა იყო ათასი" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფ. "იაოვო ფორესტერი". მთ. როლში შონ კონერი 02.00 კლასიკა

იბერია მოგზაურობის არხის

## სიმშვიდე და მხოლოდ სიმშვიდე!

თურმე, მეტისმეტად ფიცხ ადამიანებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების 2-3-ჯერ მეტი შანსი აქვს, ვიდრე მშვიდებს — დაადგინეს ბოსტონის უნივერსიტეტის მედიკოსებმა. თუმცა, ჯერ კიდევ დაბეჯითებით არ შეიძლება იმის თქმა, თუ როგორ მოქმედებს ორგანიზმზე სიფიცხის „მიკრობი“, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სტრესის დროს სისხლში დიდი რაოდენობით გადაისროლება ჰორმონები, იზრდება გულის კუნთების მოთხოვნები ჟანგბადის მიმართ და მაღლდება სისხლის სხეულაკების სიმკვრივე, რის შედეგადაც წარმოიქმნება თრომბი. ასე რომ, დაიხსომეთ, თავშეკავება და სიმშვიდე დაგიცავთ გულის დაავადებებისა და ინფარქტისაგან.

***ონა №9***



## ვაქცინა კარიესის წინააღმდეგ

ძალიან მალე კბილის ტკივილი და კარიესი წარსულს ჩაბარდება. დიდი და ხანგრძლივი შრომის შემდეგ ბოსტონის ფარმაცევტული ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს კბილის მინანქრის ჟანგვის საწინააღმდეგო ვაქცინა — რძის მჟავას ბაქტერიები. გეგმავენ, ვაქცინაცია ჩაუტარონ 1,5 წლიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს იმუნიზაციის საუკეთესო დროა — ის კბილს დაიცავს რამდენიმე ათეული წელი!

ეს ვაქცინაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება 5-7 წლის შემდეგ, როდესაც პრეპარატი გაივლის სრულ კლინიკურ შემოწმებას. ბუნებრივია, დანტისტებიც არ ჩქარობენ სიახლის დანერგვას, მათი გაგება შეიძლება: ახალმა ვაქცინამ შეიძლება პაციენტები ანუ სამუშაო დააკარგვინოთ.

***კომსომოლსკაია პრავდა №237***

## იოდი — ყველაფრის წამალი

ადამიანის ნორმალური ბიოველისა და ორგანიზმის თავდაცვის უნარის შენარჩუნებისთვის მეტად მნიშვნელოვანია იოდი. ეს აქტიური ფსიქობიოენერგეტიკული ელემენტი მთავარ როლს თამაშობს ადამიანის იმუნიტეტისა და თავდაცვის უნივერსალურ მექანიზმში ბუნებრივი და სოციალური ფაქტორების (რადიაციისა და სხვადასხვა შხამის, ფსიქოფიზიკური და სხეულის ტრავმების, პროგრამირების, ზომბირებისა და კოდირების) წინააღმდეგ ბრძოლის დროს.



ფარისებრი ჯირკვლის ე.წ. ჯანმრთელობის ჰორმონი ტიროქსინი 65% იოდისაგან შედგება. ის აძლიერებს ბიოველისა და ქსოვილების წინააღმდეგობას, უჯრედებისა და ქსოვილების უნარს, განთავისუფლდეს მავნე ნივთიერებებისაგან, არეგულირებს სუნთქვის ინტენსივობასა და ფსიქოენერგეტიკას. ფარისებრი ჯირკვლის მეშვეობით 17 წუთის განმავლობაში ძარღვებში მიმოიქცევა ადამიანის ორგანიზმში არსებული მთელი სისხლი. ამავე პერიოდში იოდი, რომელსაც გამოიმუშავებს ფარისებრი ჯირკვალი, სპობს ორგანიზმში მოხვედრილ დასუსტებულ მიკრობებს, ხოლო ძლიერებს ასუსტებს.

ყოველი მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი შეიცავს 20-25 გ იოდს, მისი უმეტესი ნაწილი ფარისებრ ჯირკვალშია თავმოყრილი. ეს ჯირკვალი სისხლიდან იღებს იოდის ყველა ორგანულ ნაერთს და წარმოქმნის მათგან სხვადასხვა ჰორმონს, რომელიც განსაზღვრავს და აწესრიგებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას, მის ბიოველსა და ჯანმრთელობას, ანუ სოციალურ, სულიერ და ფიზიკურ კათილდღეობას.

ასაკის მომატებასთან ერთად, როდესაც იზრდება სხვადასხვა დაავადებათა რისკი, შესაბამისად წონაში უნდა მოიმატოს ფარისებრმა ჯირკვალმა, რომელიც გამოიმუშავებს იმუნიტეტისა და ჯანმრთელობისთვის, გონებისა და სულის სიმხნევისთვის, სხეულის სილამაზისა და გაახალგაზრდავებისთვის აუცილებელ ჰორმონს. მეცნიერთა დაკვირვებითა და ცდებით ირკვევა, რომ ფარისებრი ჯირკვალი არ იზრდება ფსიქო-ფიზიკური და ბიოენერგეტიკული მოთხოვნების შესაბამისად მაშინ, როცა მას აკლია იოდი. გარდა ამისა, ამ მაგიური ელემენტით კატასტროფულად ღარიბია ჩვენი საკვებიც.

იმისთვის, რომ შეივსოს იოდის ნაკლებობა ორგანიზმში, გირჩევთ:

**1.** მიიღოთ იოდით მდიდარი საკვები: ზღვის და ოკეანის პროდუქტები (თევზი, კიბორჩხალა, წყალმცენარეები, ზღვის კომბოსტო და ა.შ.), ბოლოკი, სტაფილო, პომიდორი, ისპანახი, მუხუდო, სოკო, ნიორი, ჩაი, იოდიზირებული მარილი.

**2.** იოდს შეიცავს (გარკვეული რაოდენობით) შვრია, ხორბალი, კარტოფილი, კომბოსტო, შაქრის ჭარხალი, ხურმა, კაკალი (მცირე რაოდენობით), რძე, ხორცი, კვერცხი (თუ შინაური ცხოველები და ფრინველები იოდით მდიდარ საკვებს იღებენ).

**3.** მიიღეთ იოდის პრეპარატები (თევზის ქონი და იოდის ხსნარი). ყველაზე გავრცელებულია იოდის ხსნარი — „ლიუგოლი“, რომლის 1-2 წვეთი უნდა მიიღოთ ჭამის დროს დღეღამეში ერთხელ (ყოველი კვირის ოთხშაბათს და შაბათს).

**4.** თუ ორგანიზმი გაჯერდა იოდით, ამას მიხვდებით ცხვირში ზედმეტი ლორწოს გაჩენით, მაშინ აუცილებლად უნდა შეწყვიტოთ იოდის მიღება.

მაგრამ როდის გჭირდებათ ეს მაგიური ელემენტი? თუ გრძნობთ, რომ ღამის დასვენება არ აღგიდგენთ ბიოველს, ფსიქოფიზიკურ ძალასა და ბიოენერგიას — გაიხსენეთ იოდი, რომელიც დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ ოპტიმალური სულიერი მდგომარეობა, კარგი გუნება-განწყობილება, ნებისყოფა, გონება, მხნეობა და ჯანმრთელობა.

***ტაინაია ვლასტ №1***

## ტესტი
## თავს როგორ გრძნობთ?

**1. ამჩნევთ თუ არა, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში თანდათან უფრო მეტად გიჭირთ დაძინება და უმეტესად, დილით დამტვრეული იღვიძებთ?**

**2. გაწუხებთ თუ არა უმადობა ბოლო ხანებში?**

**3. საერთოდ ადვილად აღგზნებადი ადამიანი ხართ?**

**4. დადექით სასწორზე. თქვენ, 5 კგ-ით მეტი წონა გაქვთ?**

**5. გაწუხებთ უკვე ქოშინი კიბეზე ასვლისას?**

**6. ხშირად გაქვთ გულისფრიალი (აჩქარებული გულის ცემა)?**

**7. ჩვეულებრივ წელიწადში ორჯერ მეტჯერ ცივდებით და ხდებით ავად?**

**8. ბოლო ხანებში პრობლემები გექმნებათ თუ არა, კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებით?**

**9. ხშირად გიუარესდებათ გუნება-განწყობილება?**

**10. უქმეს ატარებთ დივანზე, და აქტიური დასვენების არავითარი სურვილი და არც ძალა გაქვთ?**



*თუ თქვენს პასუხებში სჭარბობს „არა“ უეჭველია, თქვენ ზოგჯერ გეზარებათ ადრე ადგეთ დილით და წახვიდეთ სამსახურში და კუჭის მოქმედებაც არცთუ ისე მოწესრიგებული გაქვთ. თუმცა, ცუდად არ გრძნობთ თავს და ახლო მომავალში არანაირი სერიოზული დაავადება არ გემუქრებათ.*

*თუ თქვენს პასუხებში მეტია „დიახ“, ნათელია, რომ თქვენს ორგანიზმში რაღაც არ არის წესრიგში. გირჩევთ, ჩაიტაროთ სრული გამოკვლევა. თუმცა, წინასწარ საპანიკო არაფერი გაქვთ. შეიძლება ეს მხოლოდ და მხოლოდ შემოდგომა-ზამთრის დეპრესიაა, რომლის წამალიც იუმორია, მეგობრებთან ურთიერთობა და რომანტიკული თავგადასავალი.*

***კომსომოლსკაია პრავდა №4***



## დალიეთ ნაქას რძე

„იმგვარად გვიყვარს ერთმანეთი, როგორც ჩემს აქლემებს“, — ასეთი მოულოდნელი შედარება პოეტურად განწყობილ შეყვარებულ მომთაბარეს თუ მოუვა აზრად. არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში აქლემები განსაკუთრებულად უყვართ.

არაბული ლექსიკონი აქლემის აღსანიშნავ ათეულობით სიტყვას შეიცავს. „ბაირი“ — აღნიშნავს საზოგადოდ აქლემს. „ჯამალი“, რომელიც ევროპულ ენებში „ქემელის“ ფორმით გადავიდა, მამალ აქლემს აღნიშნავს. დედალს — „ნაქას“ ეძახიან. ეს პოეტების საყვარელი სიტყვაა, — სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სიყვარულის, სიკეთის სიმბოლო.

გარდა სამკურნალო მატყლის ხალიჩებისა და კარვებისა, ტყავისა და ხორცისა, რომელიც საერთოდ არ შეიცავს ქოლესტერინს და ცხიმს, ნაქა რძესაც იძლევა. უდაბნოში ხანგრძლივი მოგზაურობისას, იგი მომთაბარეებს წყურვილს უკლავს. ბედუინებს განსაკუთრებით დედალი — ჯამა აქლემი უყვართ, რადგან მამლები ჯიუტები და შურისმაძიებლები არიან. როცა ბედუინი სჯის, მამალი აქლემი მათრახს თვალს არ აშორებს, თითქოს თითოეული დეტალის დამახსოვრება სურს, რათა მერე სამაგიერო გადაუხადოს. ნაქა ძალზე კეთილი და მოსიყვარულეა. პატრონის უსაზღვროდ ერთგულია. გაყიდული აქლემი ხშირად გამოქცევია ახალ პატრონს და ძველს დაბრუნებია.

აქლემის რძეზე ლეგენდები დადის — არაბი უხუცესები მას უმადლიან დღეგრძელობას. უკანასკნელ ხანს ყოფილი მომთაბარეების ცხოვრების წესი კარდინალურად შეიცვალა — ქალაქებსა და სოფლებში დამკვიდრდნენ. აქლემებში სარძევე ჯიშებს კი არა, სადოღეებს მიანიჭეს უპირატესობა, რადგან ეს უკანასკნელნი ძალზე ძვირად ფასობენ. შედეგად, საამიროების რაციონიდან გაქრა ტრადიციული ბედუინური სასმელი, რომელიც ფინიკთან ერთად ყოველდღიური მენიუს შემადგენელი ნაწილი იყო. მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც მუდამ შესანიშნავი ტანადობით გამოირჩეოდა, გასუქდა. საზოგადოებაში ადრე მათთვის უჩვეულო დაავადებები გაჩნდა.

სხვათა შორის, ყველა ორგანიზმი როდი იტანს აქლემის რძეს — ლაქტაციის პერიოდში მისი ცხიმიანობა 4%-ს აღემატება. დიდი სიცხეების, სასმელი წყლის უქონლობის დროს აქლემის რძეში მატულობს წყლის შემცველობა, ცხიმიანობა კი კლებულობს. შემადგენლობით ძალიან ჰგავს ქალის რძეს — მასში შედის კალციუმი, სპილენძი, რკინა, მაგნიუმი, სოდა, თუთია, ფოსფორი და C და D ვიტამინების დიდი რაოდენობა. უდაბნოს ხომალდების (ასე უწოდებენ აქლემებს) რძეს ანტიბაქტერიული თვისებებიც აქვს და მაცივარი არ სჭირდება, რადგან სითბო მასზე ზემოქმედებას ვერ ახდენს. არაბები ამბობენ, რომ აქლემის რძე ადამიანს ათბობს ზამთრობით და აგრილებს ზაფხულობით. იგი ახალგაზრდობის მარადიული ელექსირია, კურნავს ასთმას, ტუბერკულოზს, ღვიძლის ანთებას, დიაბეტსა და ფსორიაზს და ა.შ. ბოლო დროს საამიროების მაღაზიაში გამოჩნდა აქლემის პასტერიზებული რძე. უკვე აკეთებენ ყველსა და ხაჭოსაც. ასე რომ, ყოფილი მომთაბარეები თავიანთ ძველ ტრადიციებს დაუბრუნდებიან — ტრადიცია კი ახალ საწარმოო საფუძველზე აღორძინდება.

***ეხო პლანეტი №40***

## ჭარხალი — მკურნალი



ჭარხალი მდიდარია აქტიური ნივთიერებებით, მასში ბევრია ორგანული მჟავები და უჯრედები, ამიტომაც ყაბზობის დროს მისგან დამზადებული საჭმელი თავისუფლად ცვლის კუჭში გამხსნელებს. ის შეიცავს მიკროელემენტებს — კალციუმს, კალიუმს და მაგნიუმს, რომელიც ასე საჭიროა ყველა ორგანოსა და უჯრედის ნორმალური მუშაობისათვის.

ჭარხალი უხვად შეიცავს რკინასა და კობალტს, რაც ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნას. განსაკუთრებით სასარგებლოა ქალებისთვის კრიტიკულ დღეებში. გაცივების შემთხვევაში ნივრით შეზავებული ჭარხალი უებარი სამკურნალო საშუალებაა.

***ოტდოხნი! №2***

## ულტრაბგერა — სისხლდენის წინააღმდეგ

ულტრაბგერითი ტექნოლოგიის საფუძველზე ამერიკელ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა შექმნა შინაგანი სისხლდენის შესაჩერებელი ხელსაწყო, რომელიც ბევრ პაციენტს შეუმსუბუქებს ტანჯვას — საჭირო აღარ იქნება ქირურგიული ჩარევა. სრულიად საკმარისია აღმოაჩინონ სისხლდენის ადგილი, რომ ჰიფუ (ასე ეძახიან ულტრაბგერით ხელსაწყოს) სწრაფად გააცხელებს საჭირო ადგილას ქსოვილს (წამში 70°C-მდე) და „შეაწებებს“ მას. აქ სკალპელი აღარ არის საჭირო, რადგან ულტრაბგერა გადის ქსოვილში და სითბოს ფოკუსირებას ახდენს სხეულის შიგნით, საჭირო წერტილში.

***ლიზა №52***

## შეკითხვა ექიმს



**— ვარ სპორტსმენი. ამას წინათ გავცივდი, რის შემდეგაც დამისვეს მიოკარდიტის დიაგნოზი და ამიკრძალეს ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვა. ნუთუ ვეღარასოდეს შევძლებ დავუბრუნდე სპორტს?**

***გ.მ. თბილისი***

— მიოკარდიტი გულის კუნთის ანთებითი დაავადებაა, რომლის დროსაც საჭიროა წოლითი რეჟიმი და ფიზიკური დატვირთვის დროებითი აკრძალვა. მძიმე მიოკარდიტი იწვევს გულის ღრუების გაფართოებას, კუმშვადი ფუნქციის დაქვეითებას და გულის უკმარისობის განვითარებას. საბედნიეროდ, ასეთი ფორმის მიოკარდიტის შემთხვევები იშვიათია. ავადმყოფთა უმრავლესობას აქვს დაავადების ზერელედ გამოხატული ნიშნები. ვირუსულ რესპირატორული ინფექციის გადატანის შემდეგ მათ აღენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური დარღვევები, გადაძაბვა და არასპეციფიკური ცვლილებები ელექტროკარდიოგრამაზე. ასეთი ცვლილებები შექცევადი ხასიათისაა, მაგრამ პაციენტმა მინიმუმ ერთი თვით მაინც უნდა გადადოს ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვა.

**— რა შეიძლება იწვევდეს არტერიული წნევის მკვეთრ დაქვეითებას და რამდენად საშიშია ეს მდგომარეობა?**

***ნელი ფაილოძე, ქუთაისი***

— არტერიული წნევის დაქვეითება შეიძლება გამოიწვიოს სრულიად უმნიშვნელო მიზეზმაც, რომელიც სამედიცინო ჩარევას არ საჭიროებს და — სიცოცხლისათვის საშიშმა სიტუაციებმაც. წნევის დაწევის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) პრეპარატების მიღება. გარდა ამისა, წნევის დაქვეითება წარმოადგენს ისეთი საშიში მდგომარეობის სიმპტომს, როგორიცაა მიოკარდიუმის ინფარქტი და ფარული (შინაგანი) სისხლდენა. თუ ეჭვი გაქვთ აღნიშნულ მდგომარეობებზე, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს. ახალგაზრდებში წნევის დაწევა ხშირად განპირობებულია ხოლმე სისხლძარღვთა ტონუსის ნერვული რეგულაციის დარღვევით.

**— თუ ექიმმა დანიშნულება მომცა, მაგრამ უკეთესობას ვერ ვგრძნობ, უმჯობესია, მოვძებნო სხვა მკურნალი თუ ისევ მას მივაკითხო? მაინტერესებს, რაც უფრო ძვირი ჯდება მკურნალობა, მით უკეთესია იგი, თუ მთლად ასეც არ არის?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

— ვერც ერთი ექიმი ვერ მოგცემთ ამა თუ იმ სენისაგან განსაზღვრულ დროში განკურნების გარანტიას. შედეგი ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. სპეციალისტმა შეიძლება დაგინიშნოთ სწორი მკურნალობა, მაგრამ თქვენ აღმოგაჩნდეთ ინდივიდუალური დაქვეითებული მგრძნობელობა რაიმე პრეპერატის მიმართ და ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ ჩატარებული თერაპია, შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს. უმჯობესია, მიაკითხოთ იმავე ექიმს, რომელმაც მკურნალობა დაგინიშნათ და უკვე კარგად იცნობს თქვენს მდგომარეობას, აცნობოთ მკურნალობის შედეგები და შეასრულოთ ახალი მითითებები.

რაც შეეხება მკურნალობის ღირებულებას, სამედიცინო მომსახურების ფასი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: რამდენად ცნობილია ექიმი, რამდენი დრო და ენერგია დახარჯა მან პაციენტზე, რა პროცედურები და გამოკვლევები ჩატარდა მკურნალობის პროცესში და ა.შ.

***თამარ მამაცაშვილი***

## გახდომა გსურთ?

ძალიან მარტივი დიეტის დროსაც კი ჩვენი ორგანიზმი სტრესს განიცდის და საჭიროებს დამატებით საშუალებებს, რათა ორგანიზმიდან გამოიდევნოს წიდები, რაშიც დაგეხმარებათ ბალახეულის ჩაი და ნაყენი. სიმინდის ფოჩის ნაყენი გამოდევნის ორგანიზმიდან ზედმეტ სითხეს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, აწესრიგებს ღვიძლის მუშაობას და აქვეითებს მადას.

ნახშირწყლებისა და ცხიმის ცვლას აწესრიგებს თაფლგარეული დიდგულას ნაყენი. ცნობილია, რომ ვიტამინებით მდიდარი ასკილის ნაყოფისა და ღვიის წიწვების ჩაი აძლიერებს იმუნურ სისტემასა და ხელს უშლის ნივთიერებათა ცვლის რღვევას.

***ოტდოხნი №2***

**მწვანე აფთიაქი**

## ანისული



ანისულის სასიამოვნო სურნელი ძალიან ბევრისთვის ნაცნობია ნიშადურ-ანისულის წვეთებით. ამ სპეციფიკური არომატის წყაროა ანისულის ეთეროვანი ზეთი, რომლითაც მდიდარია ამ მცენარის თესლი. სწორედ მან განსაზღვრა მცენარის სამკურნალო „ბედი“.

ჯერ კიდევ ძველ რომსა და ეგვიპტეში იცნობდნენ ანისულის სამკურნალო თვისებებს. პითაგორაც არაერთხელ მოიხსენიებდა თავის ნაშრომში მას, როგორც ამოსახველებელ საშუალებას. ამ მცენარეს დღესაც არ დაუკარგავს ეს ღირსება. ნიშადურ-ანისულის წვეთები გამოიყენება ზედა სასუნთქი გზების ანთებისას, განსაკუთრებით კი, ბრონქიტის დროს. ანისული შედის სხვადასხვა ელექსირსა და რთულ ამოსახველებლებში. მის ნაყენს იყენებენ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მოსაწესრიგებლად.

გთავაზობთ რეცეპტს: 1 ჩ/კ ანისულის ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ და სვით 1/4 ჩ/ჭ ჭამამდე 30 წუთით ადრე. ოფლის მოსადენი ჩაის მოსამზადებლად კი, საჭიროა აიღოთ თანაბარი რაოდენობის ტირიფის ქერქი, ვირისტერფას ფოთოლი, ცაცხვის ყვავილი, ჟოლოსა და ანისულის ნაყოფი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 5 წუთი ადუღეთ, გაწურეთ და სვით თბილი ძილის წინ.

ანისულის ფოთოლი და ყვავილი ძალიან გემრიელია და შეიძლება დაუმატოთ სხვადასხვა სალათას, წვნიანსა და ფუნთუშეულს.

***ლიზა №3***

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**



**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

**კომპლექტი 95ლ**

**ავტომატური საჩხვლეტი**

**50 ც. ნემსით 14ლ**

**შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4**

☎ 35-44-05; 899-19-60-55

**ჰომეოპათიური მკურნალობა**

**ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი**

**თორნიკე ალაშვილი**

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)

ალ. ჭავჭავაძეს ქ.№2

№13 პოლიკლინიკა

სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65

**“მიკროგენი“ - ფრენკელის დიაგნოსტიკა**

**ისრაელი-საქართველოს კლინიკა**

**გილოცავთ შობა-ახალ წელს და გთავაზობთ საახალწლო ფასდაკლებას:**

მკვდარი ზღვის მინერალებსა და მარილებზე დამზადებული Dead Sea Premier Cosmetics-ის კანის მოვლის საშუალებები - **33%**

სახისა და სხეულის მოვლის სხვადასხვა პროცედურები - **10%**

**მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა**

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

**მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

SGS - **მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი**

SGS - **თანამედროვე ტექნიკური ბაზა**

SGS - **მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები**

SGS - **განკურნების მაქსიმალური გარანტია**

SGS - **აბსოლუტური ანონიმურობა**

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე**

## რა სჭირდება 3 თვიდან ბავშვს?



სამი თვის ასაკში ბავშვი უკვე საკმაოდ კარგად გამოხატავს ემოციებს, ეღიმება, ინტენსიურად ათვალიერებს საწოლის ზემოთ ჩამოკიდებულ სათამაშოებს, კარგად უჭირავს თავი ვერტიკალურ პოზიციაში.

რას უნდა მიექცეს ყურადღება მე-3 თვეზე? პირველ რიგში, რაქიტის პროფილაქტიკას. ცნობილია, რომ მისი პირველი ნიშნები სწორედ ამ პერიოდში იჩენს თავს. რაქიტის განვითარებისათვის ბიძგს იძლევა D ვიტამინის დეფიციტი. ეს ვიტამინი ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც ორგანიზმი გარედან იღებს და ამავე დროს, თვითონაც გამოიმუშავებს. თუმცაღა სიცოცხლის პირველ წელს მისი გამომუშავების უნარი დაქვეითებულია, ამავე დროს კი მასზე მოთხოვნა ძალიან მაღალია. D ვიტამინი უშუალოდ მონაწილეობს ძვლოვანი ქსოვილის ფორმირებაში. როდესაც ორგანიზმში მისი დეფიციტია, ცუდად აითვისება ფოსფორი და კალციუმი და ეს იწვევს არა მხოლოდ ძვლების ზრდისა და ფორმირების დარღვევას, არამედ აისახება სხვადასხვა შინაგანი ორგანოს ფუნქციონირებაზეც, პირველ რიგში კი, ნერვულ სისტემაზე.

დაუკვირდით, ხომ არ კრთება ხშირად ბავშვი ძილში, ან ძლიერი დაკაკუნების დროს, ხომ არ ოფლიანობს, ხომ არ აქვს ნოტიო თმა ძილის შემდეგ, ხომ არ აღინიშნება კვების დროს ოფლის წვრილი წვეთები ნესტოებზე?

თუკი მაშინვე არ იქნა მიღებული ადეკვატური ზომები, ბავშვი ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაჯდება, დადგება და დაიწყებს სიარულს. შეიძლება გაუმრუდდეს ფეხები, დაერღვას თავის ნორმალური პროპორცია, არასწორად ჩამოუყალიბდეს გულმკერდი.

რაქიტიან პატარებს ერღვევათ კუჭ-ნაწლავის მოქმედება, უჩნდებათ სასუნთქი სისტემის დაავადებები, მიდრეკილება აქვთ ფილტვების ანთებისკენ.

როგორ ავაცილოთ პატარას რაქიტი? ეცადეთ, შეინარჩუნოთ ძუძუთი კვება. თუმცა, დედის რძეში D ვიტამინი მცირე რაოდენობით არის, მაგრამ ის შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომელთაც უნარი აქვთ ასე თუ ისე აანაზღაურონ ეს უკმარისობა. ამიტომაც ბავშვები, რომლებიც ძუძუთი იკვებებიან, ნაკლებად ავადდებიან რაქიტით. D ვიტამინი ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით წარმოიქმნება. ამიტომაც, უფრო მეტად ასეირნეთ ბავშვი გარეთ. აუცილებლად გაუკეთეთ მასაჟი — ის ხელს უწყობს კუნთების გამაგრებას, ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას.

მაგრამ ამასთან ერთად რჩება აუცილებლობა ვიტამინის გარედან შეყვანისა. დაამატეთ ბავშვის რაციონს კვერცხის გული, ის მდიდარია D ვიტამინით, ფოსფორით და კალციუმით. მაგრად მოხარშული კვერცხის გული ქალის რძეში გაქენით. პირველ დღეებში ბავშვს გულის 1/8 უნდა მისცეთ, შემდეგ — ცოტათი მეტი და თუკი არანაირი გვერდითი მოვლენები და პრობლემები არ აღინიშნა, დღეში მიეცით 1/4.

რაქიტის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის ჩვეულებრივ ინიშნება D ვიტამინი. მისი მიღება მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით არის მიზანშეწონილი.

თუკი რაქიტიანი ბავშვისთვის პედიატრი გირჩევთ ულტრაიისფერ სხივებს, მაშინ მისი მიღების პერიოდში D ვიტამინი არ ინიშნება.

ბავშვის ზრდასთან ერთად დედის რძე ველარ უზრუნველყოფს ორგანიზმის მოთხოვნილებას — არა მხოლოდ D ვიტამინზე, არამედ საერთოდ ვიტამინებზე.

პატარას უნდა მივცეთ მრავალფეროვანი ხილის წვენი და ფაფა.

ბავშვებისთვის, რომელთაც შეკრულობა აწუხებთ, სასარგებლოა შავი ქლიავის, გარგარის ჩირის, ბანანის პიურე (3 ჩ/კ-მდე),.

დაიწყეთ მცირე რაოდენობით. ბავშვს უკვე შეუძლია 30 გ წვენის მიღება (2 ს/კ), განსაკუთრებით ეს ეხება ატმის, მანდარინის, მარწყვის წვენებს: — ბევრ ბავშვში ისინი სერიოზულ რეაქციებს იწვევს.

სტაფილოს წვენი სასარგებლოა, მაგრამ მისი ჭარბად მიღებისას ბავშვის კანი ყვითელ ელფერს იძენს, ზოგჯერ იწყება ნაწლავური დისკომფორტი, მუცლის შებერვა. დაიმახსოვრეთ: არაფერში არ შეიძლება ნორმაზე გადაჭარბება. ეცადეთ, არ მისცეთ ყურძნის წვენი: ის იწვევს ნაწლავებში აირების წარმოქმნას.

მუცლის შებერილობის დროს, ბავშვს სიცოცხლის პირველ თვეებში, თუნდაც სწორი კვების დროს ხშირად უგროვდება გაზები, განსაკუთრებით ნერვულ, აგზნებულ ბავშვებს. საკვების მიცემათა შორის პერიოდში ბავშვი მუცელზე დააწვინეთ — ეს სასარგებლოა მდგომარეობის შესამსუბუქებლად და ფიზიკური განვითარებისთვისაც.

შეგიძლიათ მუცლის მსუბუქი მასაჟის გაკეთებაც — საათის ისრის მიმართულებით, რაც შეესატყვისება მსხვილი ნაწლავის მდებარეობას. შეიძლება თბილი (და არა ცხელი) სათბურას დადებაც. სცადეთ კიდევ ერთი ხერხი: მოამზადეთ გვირილის ნაყენი (1 ჩ/კ გამხმარი გვირილა 1 ჭიქა მდუღარე წყალზე) და მიეცით დღის განმავლობაში 2-3 ჩ/კ. კარგია აქტივიზებული ნახშირი. დაფხვენით 1 ან 1/2 აბი, აურიეთ წყალში ან რძეში და მიეცით კოვზით.

მუცლის შებერილობა შეიძლება განუვითარდეს იმ ბავშვს, რომელიც ხარბად და სწრაფად მიირთმევს, რადგანაც ამ დროს ჰაერსაც ყლაპავს. ასეთი ბავშვი რამდენიმე წუთით ხელში ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა დაიკავოთ. ეს პოზა, სხვათა შორის, გულის რევას უშლის ხელს.

წვენების შესახებ: თავდაპირველად პატარას უნდა გაასინჯოთ ვაშლის წვენი, შემდეგ ალუბლის ან შავი მოცხარისა. მიცემა დაიწყეთ წვეთობით და თანდათან მოუმატეთ. 2 თვიდან შეიძლება ბროწეულის, სტაფილოს, ჭარხლის, ჭერმის, გარგარის ან ქლიავის დანიშვნაც. 3 თვიდან ჟოლოს, ხენდროს, ციტრუსებისა და პამიდვრის წვენის მიღება. თუ წვენი მჟავეა, გააზავეთ გამოხდილ წყალში და დაუმატეთ შაქრის ვაჟინი. გაითვალისწინეთ, რომ ყვითელი ხილის, ბოსტნეულისა და ხენდროს წვენებმა შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს (კანზე გამონაყარი განავითაროს), ხოლო ბროწეულის, ალუბლისა და შავი მოცხარის წვენები მთრიმლავი ნივთიერებების სიჭარბის გამო ხელს უწყობს შეკრულობას.

4 თვისთვის რეკომენდებულია ხაჭო, რომელიც შეიცავს სრულფასოვან ცილებს, შეუცვლელ ამინომჟავას, კალციუმის და ფოსფორის მარილებს. თავდაპირველად ბავშვს 5-10 გ ხაჭო გაასინჯეთ, შემდეგ კი — 20 გ-მდე დღეში.

თანამედროვე შეხედულებით დედის ძუძუზე მყოფ ბავშვებს დამატებით სითხეს არ აძლევენ, მაგრამ თუ საკმაო რაოდენობით რძის მიღების მიუხედავად (განსაკუთრებით ზაფხულში) ბავშვი მაინც ჭირვეულობს და მოუსვენარია, შესთავაზეთ მას სუფთა, გადადუღებული წყალი და ბაცი, ოდნავ დამტკბარი ჩაი.

***მაია მუხიგული***

## იცით...

**ცოტა გძინავს — მალე დაბერდები.** ძილის უკმარისობა ადამიანის ორგანიზმის სწრაფი დაბერების მთავარი მიზეზიაო, — ამტკიცებენ ინგლისელი ექიმები. ზედიზედ ორი დღე-ღამის უძილობა მკვეთრად ამცირებს იმუნური სისტემის წინააღმდეგობას. ასე რომ, რაც შეიძლება მეტი იძინეთ.

**სტაფილოს წვენი ნაბახუსევს შველის.** შვედი ექიმები გვირჩევენ: ღვინის დალევამდე მივიღოთ სტაფილოს წვენი, რომელიც შესანიშნავად იცავს კუჭს ალკოჰოლისგან და დილით არც თავი გვეტკინება.

**გრეიპფრუტი მავნეა გულისთვის.** ამერიკელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ გრეიპფრუტი მავნეა ჰიპერტონიითა და გულით დაავადებულთათვის, რადგან ის მდიდარია კალციუმით, რომელიც ხელს უშლის ფერმენტაციას, რაც მოქმედებს წამლის ათვისებაზე. ასე რომ, სისხლში დაგროვილ წამლებს შეუძლია ორგანიზმის მოწამვლა გამოიწვიოს.



**MEDI მედი**

**უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით**

ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება

**კონტურული მაკიაჟი**

თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე

ალ. ყაზბეგის გამზ. №1 25-02-02 93-89-75

# ელვარებს ზოლიანი ვარსკვლავი

ერთადერთმა ზესახელმწიფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების შესაძლებლობა მიიღო... მისი მიზანია ამერიკის დაცვა ყოველგვარი საფრთხისაგან და მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო დომინირების დიდი ხნით უზრუნველყოფა. მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს ისღა დარჩენიათ, გულხელდაკრეფილებმა ადევნონ თვალი მოქმედებებს, რომლებსაც გეგმავს და ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატები.

ახალი ამერიკული პოლიტიკის თავიდათავი ანტიტერორისტული კამპანიაა, რომლის პოლიგონი ავღანეთი გახდა. აშშ მუშტრის თვალით უყურებს სომალის, იემენს, ფილიპინებს და სუდანსაც. ამ ქვეყნების მმართველი რეჟიმები ვერ აკონტროლებენ საკუთარ ტერიტორიებს, რაც ქმნის საშიშროებას, რომ აქ კვლავ ძლიერი იქნება „ალ-ქაიდას“ და მის მოკავშირე ისლამისტ ექსტრემისტთა ორგანიზაციების გავლენა. დიდი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს აშშ-თან ფილიპინების მსგავსად მოუწევთ თანამშრომლობა — მანილა თანახმაა, ამერიკასთან ერთად შეებრძოლოს ბოევიკებს. ცხადია, მას სხვებიც მიბაძავენ, შტატები კი დააფასებს ამ ლოიალობას და მის მოქმედებას ამ ქვეყნებში უფრო პოლიტიკური ხასიათი ექნება, ვიდრე სამხედრო. მათგან განსხვავებით, გრძელდება მოლაპარაკებები ერაყისა და ირანის ლიდერებთან. ერაყი იმედოვნებს, რომ მის თავზე აღმართულ მახვილს ვაშინგტონს ბოლო წუთს მაინც დააშვებინებენ, რადგან აშშ-ის უახლოესი მოკავშირეები, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებას არ ემხრობა. თუმცა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების იდეით ანთებული ვაშინგტონი ასე ადვილად არ დაეხსნება სადამ ჰუსეინს. არც ერაყს სურს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ერთი ნავით ცურვა. ამერიკას ირანის მიმართაც საკმაოდ ბევრი პრეტენზია აქვს. მისი ვარაუდით, თეირანი არა მარტო გამალებით ქმნის ბირთვულ იარაღს, არამედ მხარს უჭერს ტერორისტულ ორგანიზაციებსაც. შეერთებულმა შტატებმა ისიც იცის, რომ 2002 წელს მას ხელი ვერ მიუწვდება თეირანზე, მერე კი, ვინ იცის, რა მოხდება, ეგებ „ირანის პრობლემა“ თავისთავად მოიხსნას.

## კრემლი ერთსულოვნად იწონებს

ვაშინგტონსა და მოსკოვს, შეიძლება ითქვას, „თაფლობის თვე“ აქვთ. ვაშინგტონი ალბათ გააგრძელებს მოსკოვისთვის დახმარებას იმ საქმეში, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს; მით უმეტეს, რომ პუტინმა მიახვედრა აშშ — არ შევეწინააღმდეგები შენს გადაწყვეტილებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეროვნული სისტემის გაშლის თაობაზეო. კრემლი არც ამერიკის ბაზების შექმნას ეურჩება პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ, ცენტრალურ აზიაში ვაშინგტონმა ეს ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციების აუცილებლობით ახსნა, მაგრამ ცხადია, რომ ამერიკელები უზბეკეთსა და ყირგიზეთს არც წელს დატოვებენ და არც შემდგომ.

## ბალკანეთზე თითქოს სიმშვიდეა

ბალკანეთში შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განაპირობებს მსოფლიოში ძალთა თანაფარდობას. მაკედონიაში გაგრძელდება სახელმწიფო გარდაქმნა, მთავარ მიმართულებად ალბანელთა უფლებების გაფართოება რჩება. წლევანდელი წელი გადამწყვეტი იქნება იუგოსლავიის რესპუბლიკისთვისაც, რადგან იგი შეწყვეტს არსებობას, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, რომლითაც დღეს არსებობს. გაზაფხულზე ჩერნოგორიაში ჩატარდება რეფერენდუმი, რომელზეც მოსახლეობის დაახლოებით 55% დამოუკიდებლობას დაუჭერს მხარს. სერბეთ-ჩერნოგორიის დავის გადაწყვეტის შემდეგ გაირკვევა კოსოვოს მომავალიც. იგი ალბათ დამოუკიდებელი ვერ გახდება, მაგრამ შეიძლება იქცეს ბალკანეთის დსთ-ის რესპუბლიკად.

## ნატო ფართოვდება და ფართოვდება

ნოემბერში, პრაღაში, ნატოს სესიაზე, ალიანსის წევრებად მიიღებენ სლოვენიას, სლოვაკეთს, ლიტვას, ალბათ, ლატვიასა და ესტონეთს. ამით ჩრდილოეთ ატლანტური ალიანსი გადალახავს თავისებურ რუბიკონს — ყოფილი საბჭოეთის საზღვრებს. მოსკოვი ამის გამო ხმაურს არ ატეხს და მშვიდად შეხვდება ნატოში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შესვლას. თუმცა „19+1“-დან „ოცეულზე“ გადასვლა გაჭიანურდება.

## პალესტინა: მოლაპარაკებები გრძელდება



არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი კვლავაც ერთ-ერთ ცხელ წერტილად რჩება. წლეულსაც ვაშინგტონი შეეცდება უპრეცედენტო ზეწოლა მოახდინოს პალესტინელებზე და არაფატს კატეგორიულად მოსთხოვს ტერორისტების დასჯას... კონფლიქტის ზონაში — შესაძლოა დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებაც.

## პეკინი და ტოკიო მსოფლიოს ფეხდაფეხ მიჰყვებიან

ერთპოლუსიანი მსოფლიოს შექმნის გზაზე ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა აშშ-ს შესაძლოა გაუწიოს ჩინეთმა, დიდი ეკონომიკური აღმავლობის გზაზე შემდგარმა სახელმწიფომ, რომელიც ბოლო დრომდე ეწინააღმდეგებოდა იდეას, ეცხოვრა სხვების მიერ დაგეგმილ სამყაროში. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩინეთი — თაობათა ცვლის ზღურბლზე დგას. 2002 წლის მესამე კვარტალში გაიმართება ჩინეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობა, რომელზეც შეცვლიან პარტიის გენერალურ მდივანს ძიან ძემინს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. ალბათ, გენერალური მდივნის პოსტს ჰუ ძინტაი დაიჭერს. ხელმძღვანელთა ახალი თაობა არ მოინდომებს ამერიკასთან ჭიდილს. ისინი ხვდებიან, რომ პეკინს ვაშინგტონთან მეგობრობა უფრო აძლევს ხელს, ვიდრე მტრობა.

აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე იაპონია კარგა ხანს იყო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი იმის გამო, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ წონას. აშშ-ის მიერ დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაცია მას თავის გამოჩენის დიდ შანსს აძლევს. იაპონია მონაწილეობას მიიღებს სამშვიდობო ოპერაციაში.

## ინდოეთ-პაკისტანი ჯერჯერობით არ იომებენ

მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში რჩება სამხრეთ აზიის ორ წამყვან სახელმწიფოს — ინდოეთ-პაკისტანს შორის გამწვავებული მდგომარეობა.

2002 წელს მსოფლიო შეეგება კითხვით — დაიწყება თუ არა ახალი, რიგით მეოთხე ომი ინდოეთსა და პაკისტანს შორის? დელის მიერ ისლამაბადისთვის წაყენებული ულტიმატუმის შეუსრულებლობის მიუხედავად, საბედნიეროდ, ბრძოლა არ დაიწყო. ცხადია, ეს ვაშინგტონის ინიციატივით მოხდა, რომელსაც არანაირად არ აძლევს ხელს ეს ომი.

*ვლასტი №2*

## კვირის ფრაზა

**დღეს თათბირზე გვესტუმრა ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ მოლოტ... ფუი, ეშმაკს, ლებედევი.**

*გენადი სელეზნიოვი*

# მოლდაველები რუსული ენის წინააღმდეგნი არიან

მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში დიდი მსვლელობა გაიმართა მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ — სკოლებში შემოეღოთ რუსულის აუცილებელი სწავლება. მომიტინგეები, საპარლამენტო ოპოზიციის ხელმძღვანელობით, კიშინიოვის ქუჩებში მოლდავეთისა და ევროკავშირის დროშებით ხელდამშვენებულები მიდიოდნენ. მსვლელობა ხალხმრავალი მიტინგით დამთავრდა. ამ აქციის წინ რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მოლდავეთის სკოლებში რუსული ენის სწავლების შემოღება ქვეყნის კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. ამის მიუხედავად, მოლდავეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, რუსულის შესწავლა მეორე კლასიდან დაიწყება. მოლდაველებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ კომუნისტთა ლიდერი, ახლანდელი პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი ამომრჩევლებს დაჰპირდა, — როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, ამ გადაწყვეტილებას მაშინვე გავაუქმებო.

*იტოგი №2*






# დალაი-ლამამ ულტიმატუმი წამოაყენა

1959 წლიდან ინდოეთში მცხოვრებმა ტიბეტის სულიერმა ლიდერმა დალაი-ლამა XV-მ პეკინს განუცხადა, — ჩემი რეინკარნაცია სხვა რომელიმე თავისუფალ ქვეყანაში მოხდება, რომელიც შესაძლოა კეთილად არ იყოს განწყობილი ჩინეთის მიმართო. ტიბეტურიდან პოლიტიკურ ენაზე გადაყვანილი ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ შემდეგი დალაი-ლამას არჩევაზე ჩინეთი ვერანაირ გავლენას ვეღარ იქონიებს. ეს კი ჩინეთისთვის რელიგიური ომის გამოცხადების ტოლფასია.

66 წლის დალაი-ლამა ნობელის მშვიდობის პრემიითაა დაჯილდოებული, მისი წიგნები რეგულარულად ხვდება ბესტსელერთა ნუსხაში. მის ცხოვრებაზე გადაღებულია ფილმები, ბევრი კინოვარსკვლავი დალაი-ლამას თავის მასწავლებლად მიიჩნევს.

ჩინეთის ხელისუფლების პროტესტის მიუხედავად, ცნობილი პოლიტიკოსები მასთან შეხვედრას ცდილობენ. ტიბეტის დამოუკიდებლობის, თუნდაც ჩინეთის ფარგლებში ავტონომიის მისაღებად, დალაი-ლამა მხოლოდ მშვიდობიან გზებს იყენებს. სულიერმა მამამ არაერთხელ მიანიშნა ჩინეთს, რომ სულ უფრო უძნელდება თავისი მიმდევრების შეკავება, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დალაი-ლამამ მშვიდობიანი ხერხებით წინ ვერ წაიწია ტიბეტის დამოუკიდებლობის გზაზე.

*შტერნი*

# ოთხწლიანი სიყვარული დასრულდა

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის 33 წლის ვაჟმა, პრინცმა ფილიპემ ოფიციალურად განაცხადა, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ურთიერთობას წყვეტს ნორვეგიელ მოდელთან ევა სანუმთან, რომელთანაც ოთხწლიანი სიყვარული აკავშირებდა.

ესპანეთში ამ ხნის მანძილზე ბევრს ლაპარაკობდნენ, შეირთავდა თუ არა ტახტის მემკვიდრე ცოლად არადიდგვაროვან მარტოხელა დედას, რომელიც კატალოგებში ქალის თეთრეულს უწევდა რეკლამას.

როცა დეკემბრის დამლევს ესპანელი და უცხოელი ჟურნალისტების წინაშე გამოსული მეფე ხუან კარლოსი ქვეყნის მომავალზე საუბრობდა, მას შეუერთდა პრინცი ფილიპე, რომელმაც სახალხოდ პირველად წარმოთქვა ნორვეგიელი მოდელის სახელი და შეკრებილთ განუცხადა, — ნიშნობა აღარ შედგება, წერტილი დავუსვით ჩვენს ურთიერთობას, ამიერიდან მე და ევას ჩვენ-ჩვენი ცხოვრების გზა გვაქვსო. ესპანელებმა შვებით ამოისუნთქეს.

*პარი მატჩი*

# მუგაბემ ყადამდე გაიმარჯვა

საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ზიმბაბვეში მარტში უნდა ჩატარდეს, წმინდა წყლის ფორმალობაა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ქვეყნის ხელმძღვანელობამ იმგვარი პირობები შექმნა, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა, გაემარჯვათ სხვა კანდიდატებს, დღევანდელი პრეზიდენტის რობერტ მუგაბეს გარდა.

დაიწყეს მასმედიით: ქვეყანაში შემოიღეს ახალი კანონი, რომლის თანახმად, ქვეყნის ყველა გაზეთი, ტელევიზია, რადიო — ვალდებულია, ყოველწლიურად აიღოს ლიცენზია. გადაფორმება უკვე დაიწყო და ცხადი გახდა, რომ



დამოუკიდებელი ჟურნალებისა და გაზეთების უმეტესობა ლიცენზიას ვერ ეღირსება.

მიიღეს აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კანონი, რომლის მიხედვითაც, შეიძლება ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი ვადით დაპატიმრება. რობერტ მუგაბეს ბრძანებით, მომავალი არჩევნები აუცილებლად ორ დღეს უნდა გაგრძელდეს. ეს ხელისუფლებას იმის საშუალებას მისცემს, რომ თუ პრესის ლიცენზირების კანონმა საჭირო შედეგი ვერ გამოიღო, პირველი დღის შედეგები სასურველი სახით წარმოაჩინოს. სხვათა შორის, ზიმბაბვეს შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობამ მოსახლეობა ოფიციალურად გააფრთხილა, რომ არჩევნებს უკანონოდ ჩათვლის, თუ ახლანდელი პრეზიდენტი წააგებს.

*იზვესტია №8*



# პერონისა და ევიტას დაბრუნება

არგენტინის კრიზისის დაწყებიდან რიგით მეხუთე პრეზიდენტის ედუარდო დუალდესა და მისი მეუღლის ჰილდას ხელისუფლების სათავეში მოსვლის გამო არგენტინელები ალაპარაკდნენ, — ისტორია მეორდება, პერონი და ევიტა დაბრუნდნენო. პრეზიდენტის სავარძლის დაკავებისთანავე დუალდემ ეკონომიკის აღსადგენად 2 წლით საგანგებო უფლებამოსილების მინიჭება მოითხოვა. ჯერჯერობით ედუარდო დუალდე ქვეყანაში სიტუაციას აკონტროლებს, ხოლო თუ წესრიგის აღდგენას ვერ შეძლებს, არგენტინელები ძველი ლათინურამერიკული ტრადიციის თანახმად, მორიგ სამოქალაქო პრეზიდენტს სამხედროს ამჯობინებენ.

დუალდე პოლიტიკაში თავის ნათლიად გენერალ ხუან პერონს მიიჩნევს და მასავით კონსულტანტად საკუთარი ცოლი ჰყავს. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, დუალდე თმასაც კი პრეზიდენტ პერონივით ივარცხნის, მისი ცოლი ჰილდა ყველაფერში არგენტინელთა სათაყვანებელ ევიტას ბაძავსო.

დუალდე, როგორც პერონის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი, ეჭვით ეკიდება „ღია ეკონომიკას“ და უპირატესობას ადგილობრივ მეწარმეებს და სახელმწიფო სექტორს ანიჭებს. კრიზისის მიზეზად პრეზიდენტი ბოლო 10 წლის ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას მიიჩნევს. ახალი პრეზიდენტის უპირველესი მიზანია „ეროვნული ერთიანობის მთავრობის“ შექმნა და ეკონომიკის ახალ რელსებზე გადაყვანა.

*კომერსანტი 4*

# ახალი სახელები „მტერთა სიაში“

ტერორიზმთან ბრძოლის დაწყების დღიდან ჯორჯ ბუშს პირზე აკერია, — მსოფლიოს ყველა ქვეყანა ჩვენთან არის, ან ჩვენი წინააღმდეგიაო. „მტერთა პირობით ნუსხას“ ყოველთვე ახალ-ახალი „კანდიდატი“ ემატება. ასეთი ბოლო შენამატია ბელორუსია. მსოფლიო სიმშვიდისათვის ირანთან ერთად ბელორუსიაც დიდ საფრთხეს წარმოადგენსო, — ამბობენ, ხოლო პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს მთავრობას ადანაშაულებენ იმაში, რომ მინსკი ერაყელი სამხედროების წვრთნის ადგილად აქცია. ირანს აბრალებენ რადიკალური ისლამური დაჯგუფება „ჰესბოლაჰის“ მხარდაჭერას.

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, მართალია, ლუკაშენკოსა და ხათემის მთავრობებს ბინ ლადენთან და „ალ-ქაიდასთან“ არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ რადიკალურ დაჯგუფებათა მხარდაჭერითა და ამერიკის მოძულე ქვეყნების დახმარებით — ეს ორი ლიდერი თავიანთ ქვეყნებს — ბელორუსიას და ირანს აშშ-ის მტერთა სიაში აქცევს, რაც ნამდვილად არ მოუტანს მათ სიკეთეს.

*ნიუზუიქი*

## მოკლედ

**კონგოს** სამხრეთით ამოიფრქვა ვულკანი ნირაგინგო, დაიღუპა 45 ადამიანი. ვულკანური ლავა ქალაქ გომის გავლით კივუს ტბისკენ დაიძრა, 48 კილომეტრიან გზაზე გადაიწვა 14 დასახლებული პუნქტი. უსახლკაროდ დარჩა 40 ათასი ადამიანი. ასობით ათასი ადამიანი მეზობელ რუანდაში გაიქცა.

**კუბაში** 104 წლის ასაკში გარდაიცვალა მებადური გრეგორიო ფუენტუსი, რომელიც ცნობილი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის სახელგანთქმული მოთხრობის „მოხუცი და ზღვის“ მთავარი გმირის პროტოტიპი იყო.

**ბელფასტის** ჩრდილოეთით, რელიგიურ ნიადაგზე კათოლიკეებისა და პროტესტანტების შეტაკების შედეგად დაიღუპა 20 წლის კათოლიკე. ბელფასტის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დაკავებულია კათოლიკე-ფოსტალიონის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი ადამიანი.

**ბრიტანეთის** ტახტის მემკვიდრემ თავისი უმცროსი ვაჟი ჰარი ნარკოლოგიურ ცენტრში გაგზავნა იმ შედეგების გასაცნობად, რაც მოსდევს ნარკოტიკების მოხმარებას. ჩარლზმა ამ ნაბიჯის გადადგმა საჭიროდ ჩათვალა მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ჰარი მარიხუანას ეწეოდა.

## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია



***ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.***

***მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.***

***ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...***

## ხაში – დილის სიამოვნება

არ ვიცი, რომელი კუთხიდან ვარ. ვიცი, რომ ჩემი ყველა წინაპარი თბილისელია, ვიცი რომ ჩემი ენა არის ქართული, ჩემი სამშობლო საქართველოა, ჩემი სარწმუნოება მართლმადიდებლობა. ხოლო ბევრი რამ, რაც მოთხრობილია ჩემს პატარა ჩანაწერებში, უმეტესად ჩემი წინაპრების მიერ არის გადმოცემული. მათ შორის, ძალიან საინტერესო ამბებიც...

ახლა ჩემი წინაპრების მონაყოლიდან ერთ საყვარელ, დინჯ, შრომისმოყვარე კუთხის შვილებს გავიხსენებ — ალბათ, ყველანი კარგად მიხვდით, რომ რაჭველებზეა ლაპარაკი. მარტო მათი ხვანჭკარა, ლორი და ლობიანები რად ღირს (ისე, ეს ბოლო სიტყვები ლუარსაბ თათქარიძეს და მის მეუღლეს რომ წაეკითხათ, ჭამაზე ჩხუბს თავს დაანებებდნენ, დამეთანხმებოდნენ და რაჭველების ქებაში მხარს ამიბამდნენ)!

თქვენ ალბათ არ იცით, რომ რაჭველების გამოგონებაა ხაშიც (ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ჩემი წინაპრები). მათი ჩამოსვლა თბილისში XX საუკუნის შუახანებიდან დაიწყო. იმ დროს თურმე თბილისელები ხაშს არ ჭამდნენ და სწორედ რაჭველებმა ასწავლეს ჩემს მამა-პაპას ამ უგემრიელესი კერძის მომზადება. ამ კერძმა დღევანდელ პირობებში ბევრ ხელმოცარულს უშველა. მასთან დაკავშირებით შეიძლება ერთი საინტერესო საქმეც მოიფიქრო: დეზერტირების ბაზარზე ხაშის გაუწმენდავი მასალა 50 თეთრიდან ერთ ლარამდე ღირს, გაწმენდილი კი 2 ლარი. რომ ჩავუფიქრდი, ამ საქმიდან მშვენიერი ბიზნესის მოწყობა შეიძლება: ჩემი მონაცემით, ოთხკაციან ოჯახს თავისუფლად შეუძლია გაასუფთაოს 20-25 კგ გასაწმენდი ხაში. თუკი ასე გასუფთავებულ მასალას გასაყიდად სხვას ჩააბარებენ, 10-15 ლარი მაინც დარჩებათ, თუ თვითონ გაყიდიან 20-25 ლარს მოიგებენ. სხვათა შორის, ერთმა ქალმა მითხრა, რომ ამ საქმით თავს ირჩენს მისი ოჯახი...

მოდი ახლა და, პატივით ნუ მოიხსენიებ დალოცვილ რაჭველებს...

***ნიკო გორგი***

**ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ, ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**

## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...



### ლონდონის სავიზიტო ბარათი

***— რატომ ეწოდა ლონდონის სახელგანთქმულ საათს ბიგ ბენი?***

***ა. სანდაძე, კასპი***

— ბიგ ბენი მსოფლიოში ერთ-ერთი ზუსტი საათია. რატომ ჰქვია საათს ბიგ ბენი? როცა საათის ახალი გიგანტური ზარი ჩამოასხეს, ინგლისელი ლორდები დიდხანს ბჭობდნენ პარლამენტში, რა ეწოდებინათ საათისთვის. ბოლო სიტყვა სერ ბენჯამინ ჰოლმა თქვა. სერ ბენი თურმე დაახლოებით 100 კგ-ს მაინც იწონიდა. მისი სიტყვა იმდენად ემოციური ყოფილა, ერთ-ერთი პარლამენტარი წამომხტარა და უყვირია: ამდენ ლაპარაკს გვირჩევნია, კოშკს დიდი ბენი — ბიგ ბენი დავარქვათო. ასეც მოხდა.

ინგლისელები კი არიან სახელგანთქმული საათის — ბიგ ბენის ავტორები, მაგრამ საათი დიდი გერმანელი კომპოზიტორის ჰენდელის მელოდიას უკრავს. თუმცა ჰენდელიც იმდენ ხანს ცხოვრობდა ინგლისში, თამამად შეიძლება ბრიტანელად ჩაითვალოს. ბიგ ბენი ლონდონის სავიზიტო ბარათია, ინგლისური პუნქტუალობისა და ჯენტლმენობის გამოხატულება. იგი ისეთივე განუყოფელია ლონდონისგან, როგორიც სამეფო ოჯახი ბრიტანეთისგან. სხვათა შორის, ისლამ ტერორისტებს ევროპულ სიმბოლოთა ასაფეთქებელ ნუსხაში ბიგ ბენიც ჰქონდათ შეტანილი.

***ლ. შერვაშიძე***

### გასაჩივრება ხდება საკასაციო წესით

**— როგორი წესით ხდება საოლქო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში?**

***სტუდენტი***

— საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში ხდება საკასაციო წესით. იხილეთ: საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლი (საკასაციო საჩივრების შეტანა).

### მრავალბინიან სახლში დამხმარე ნაგებობა-დანადგარები საერთო საკუთრებაა

**— პრივატიზებული საცხოვრებელი სახლის გათბობის სისტემის შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა-დანადგარები არის თუ არა მის ბინადართა საკუთრება?**

***გიორგი დუნდუა, აბაშა***

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მრავალბინიან სახლებში „მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა“ — ეს ზოგადი ნორმაა, ხოლო ყოველი კონკრეტული მოთხოვნის გასარკვევად შეგიძლიათ მიმართოთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

***იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი***

### პედაგოგთა სეკვესტრირებული ხელფასი წელს დაიფარება

**— როდის აგვინაზღაურებენ სოფლის პედაგოგებს 2000 წლის ხუთი თვის (აგვისტო-დეკემბრის) ხელფასს?**

***კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი***

— თანხის სრული დაფარვა გათვალისწინებული იყო 2001 წლისთვის, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, მოჰყვა სეკვესტრში. ნაწილი თანხისა დაიფარა შარშან, ხოლო ნაწილის ანაზღაურება 2002 წლისთვის არის გათვალისწინებული.

***ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ერთეულების სამმართველო***

## პრეზიდენტის ექსპერიმენტები

### კლანებს კიდევ გაძლიერება უნდათ?!

„მომეცით უფლება ერთი-ორი წლით ექსპერიმენტი ჩავატარო“ — განაცხადა გასულ კვირას ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

„ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ და არ გვაქვს ექსპერიმენტების ჩატარების უფლება. ისინი დაე, მდიდრებმა ატარონ. ჩვენ უნდა ვიაროთ უკვე აპრობირებული გზით“ — ეს უკვე ყველასათვის კარგად ნაცნობი ლეშეკ ბალცეროვიჩის სიტყვებია, იმ ადამიანის, რომელმაც პოლონეთის ეკონომიკა ფეხზე დააყენა და ქვეყანა, ფაქტობრივად, გაპარტახებისაგან იხსნა.

და მაინც, რა ექსპერიმენტს გულისხმობდა ედუარდ შევარდნაძე?

როგორც ირკვევა, პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ „გაიხსენა“ „საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ კანონი, რითაც თავის დროზე საგადასახადო დავალიანებების სამი წლით გადავადების უფლება მიეცა დაახლოებით ას საწარმოს, მათ შორის: „ბაგრატიონი 1882“, „ფოთის წისქვილქარხანა“, „აზოტი“, „რუსთავცემენტი“, „კასპიცემენტი“, „მუკუზანი“, „ამალთეა“, „თბილღუდი“ და კიდევ ბევრი სხვა. ამჯერად ედუარდ შევარდნაძე უკვე ვადაგადაცილებულ(!) საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის ინიციატივით გამოდის. წარმოდგენილ კანონპროექტში ხაზგასმულია, რომ პრეზიდენტი ამგვარ ღონისძიებას განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავს. ეს განსაკუთრებული შემთხვევა კი კანონპროექტში ასეა განმარტებული: „თუ საწარმოში სახელმწიფო ფლობს აქციათა საკონტროლო პაკეტს (ან წილის 50%-ზე მეტს), არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დანიშნულებისა, გააჩნია საექსპორტო პოტენციალი და მზადდება საპრივატიზაციოდ მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად. ასევე, თუ საწარმოს ან ორგანიზაციის ვადაგადაცილებული საგადასახადო ან სასესხო დავალიანება წარმოეშვა იმ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებაზე მიუღებელი ანაზღაურების გამო, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსებულიყო“.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსის რომან გოცირიძის აზრით, აღნიშნული განმარტება ძალზე ვრცელია და ზოგადი. „ამასთან, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მით უმეტეს, რომ ამჟამად არსებული კანონისაგან განსხვავებით, წარმოდგენილ კანონპროექტში გათვალისწინებულია გადავადების უფლების გავრცელება ე.წ. სასესხო დავალიანებებზეც“.

1997 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი მიიღეს, ბოლო 4 წლის განმავლობაში მასში ცვლილებების შესატანად მიღებულ იქნა 33 კანონი. აქედან 16 უკავშირდება საგადასახადო შეღავათებს. ამის შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა გადასახადების სხვადასხვა სახეობის მიხედვით ითვალისწინებს 150-მდე განთავისუფლებას და შეღავათს.

იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც შეღავათებით მოსახლეობის დაუცველი ფენები კი არ სარგებლობენ, არამედ ხელისუფლებასთან დაახლოებული მაღალშემოსავლიანი პირები და მეწარმეები. ამის ნათელი მაგალითია ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოები.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნაში, რომელიც პრეზიდენტის სწორედ ერთ-ერთ მოსალოდნელ ექსპერიმენტს შეეხება, ვკითხულობთ: „აუცილებელია, რომ პრეზიდენტს ჩამოერთვას საწარმოთათვის საგადასახადო დავალიანებათა გადავადების უფლება (სხვათა შორის, გადავადების ვადა 15 წლით არის განსაზღვრული. — ლ.წ.). უკიდურეს შემთხვევაში, იგი შეიძლება გამოვიდეს ამ პროცესის მხოლოდ ინიციატორად“.

ქვეყნის პრეზიდენტი ექსპერიმენტს თავად საგადასახადო სამსახურშიც გეგმავს, რაც ამ უწყების ორმაგ დაქვემდებარებაში გადასვლას გულისხმობს.

„ეს არის, ფაქტობრივად, ადგილობრივი ჩინოვნიკების გამდიდრების და ადმინისტრაციულ-ფინანსური გავლენის ბერკეტების მოპოვების მცდელობა. მას, ვინც ამ ექსპერიმენტს მხარს უჭერს, უნდა, რომ თავის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები აკონტროლოს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. რეგიონალური კლანების გაძლიერებისთვის ხელის შეწყობა“ — აცხადებს რომან გოცირიძე.

ეკონომისტ-ექსპერტთა გარკვეული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ექსპერიმენტი სხვა არაფერია, თუ არა შემოსავლების სამინისტროსთვის ფუნქციების ჩამორთმევის მცდელობა.

დღეს უკვე ბევრი ღიად აცხადებს, რომ შემოსავლების სამინისტრომ, როგორც ასეთმა, არ გაამართლა. ესეც, სხვათა შორის, ექსპერიმენტი იყო.

***ლელა წითლანაძე***

### რატომ ჩნდება ტყუპი

**— ვარ ფეხმძიმედ. ექიმებმა მითხრეს, ტყუპი გეყოლებაო. მაინტერესებს, როგორ ჩნდება ტყუპი?**

***მ. ბრეგაძე***

— არსებობს ტყუპის 2 ტიპი: ერთკვერცხისეული და სხვადასხვაკვერცხისეული. ერთკვერცხისეული ტყუპი ვითარდება ერთი ზიგოტისაგან (უჯრედი, რომელიც წარმოიქმნება განაყოფიერების შედეგად, ამიტომ ერთკვერცხისეულებს მონოზიგოტურსაც უწოდებენ), რომელიც ორსულობის ადრეულ სტადიაზე იყოფა 2 ან მეტ იზოლირებულ ნაწილად: ამათგან თითოეული დამოუკიდებელ ორგანიზმად ვითარდება. ასეთი ტყუპი ძალიან ჰგავს ერთმანეთს — აქვთ ერთნაირი გენოტიპი, ერთი სქესი, სისხლის ერთი და იგივე ჯგუფი. სხვადასხვაკვერცხისეული ტყუპი შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე სხვადასხვა სქესისა და არც მსგავსებაა დიდი მათ შორის.

ახლა მსოფლიოში 100 მლნ-ზე მეტი ტყუპი ცხოვრობს, მსოფლიოში თითოეულ 100 ახალშობილზე — 1-2 ტყუპი მოდის.

***ექიმი-გინეკოლოგი ე. ჩანტლაძე***

### გაყინული პენსიები... არ გაიცემა!

**— გაიცემა თუ არა გასული წლების მიუღებელი, ანუ გაყინული პენსიები განსაკუთრებულ შემთხვევაში — მატერიალურად გაჭირვებულ პირებზე ან ავადმყოფებზე, რომელთაც გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროებათ?**

***ნინა ხელაძე, ვანი***

— ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსური კრიზისის გამო ვერ ხერხდება გასული წლების გაუცემელი საპენსიო დავალიანების დაფარვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს კანონიერი საფუძველი იმისთვის, რომ დაიშვას გამონაკლისი ერთეულ პენსიონერებზე მძიმე ოჯახური მდგომარეობის ან ავადმყოფობის გამო გასული პერიოდის მიუღებელი საპენსიო თანხის გაცემისათვის.

***ირინე ღლონტი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი***

### ჯარისკაცს სწავლაც შეუძლია...

**— ვინაიდან დამოუკიდებელ უნივერსიტეტში 2001 წლის მარტში სწავლება (ლექციები) ფაქტობრივად დამიმთავრდა, დავწერე განცხადება, რომ უნივერსიტეტი დამთავრებული მქონდა და მოხალისედ წავედი ჯარში. ივლისში ვისარგებლე შვებულებით, ჩავაბარე გამოცდები და მომენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. ჩავიდინე თუ არა რაიმე გაუთვალისწინებელი დანაშაული და რამდენი თვე მიწევს სავალდებულო სამსახური?**

***დათო, თბილისი***

— თქვენს შემთხვევაში, არანაირი დანაშაული არ ჩაგიდენიათ. ამდენად, კანონის მიხედვით გეკუთვნით წელიწად-ნახევარი სავალდებულო სამსახური, იმ დროიდან, რაც ჯარში გაგიწვიეს.

***ისანი-სამგორის რაიონის კომისარიატი***


**საუკეთესო ასლგადამღები აპარატები**
**გარანტიით, ფასდაკლებით**
შესაძლებელია:
**განვადება ლიზინგი (იჯარა)**

**საუკეთესო ქსეროასლები შავ-თეთრი**
**2 თეთრიდან 5 თეთრამდე**
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
**ფერადი — 1 ლარი**
**ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან**

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

**ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები**
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 19 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,1799 |
| გერმანული მარკა | | 0,9817 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,1284 |
| ევრო | | 1,9201 |
| რუსული რუბლი | | 0,0712 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0160 |



## თარაზულად:


7. ვრცელი მიდამოს ხედი


8. საყრდენი


10. დაბლი სასაუზმეში


11. ქირით მცხოვრები


12. ქალაქის აეროპორტი


15. მოედანი


16. რადიოტალღების მეშვეობით ინფორმაციის შორი მანძილიდან მიღების საშუალება


18. ეგვიპტის დედაქალაქი


19. კარის საკიდი


20. ამერიკელი მწყემსი

24. პატარა ჩიტი, ჩიტუნია


25. კაქტუსი, რომლისგანაც „ტეკილას“ ამზადებენ


26. კატრინ დენევისა და მარჩელო მასტროიანის ქალიშვილი


29. სოკო


31. ცალთვალა გიგანტი ბერძნულ მითოლოგიაში


32. „სახლი“


33. ჩანასახი


34. იზოლდას შეყვარებული

## შვეულად:


1. ტროას მეფის ქალიშვილი, რომლის წინასწარმეტყველება არავის სჯეროდა

2. შტრიხების ერთობლიობა
4 820005 191369 >


3. ბრაზილიელი კლასიკოსი მწერალი


4. გასული საუკუნის ულამაზესი ქალი


5. ფრანგული ავტომობილი


6. 1966 — „ანდრეი რუბლიოვი“, 1972 — „სოლარისი“, 1975 — „სარკე“, 1979 — ?


9. ატმოსფეროს მდგომარეობა გარკვეულ დროსა და სივრცეში


13. ხუროთმოძღვრული ძეგლი


14. სატირული ხასიათის მიბაძვა


16. კუბური წარმოშობის სამეჯლისო ცეკვა


17. მწერი


21. ჭადრაკის დაფაზე ფიგურების განლაგების გრაფიკული გამოსახულება


22.


23. ნახატის ადგილმდებარეობა (ქალაქი)


27. ცოდნის წყარო


28. მოღვაწეობის ჟანრი


30. მნათი გარსი


32. რომის გადამრჩენი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №2 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სასტვენი; 6. სამკაული; 9. ატლანტი; 10. აბვერი; 11. ეფუზია; 15. ბულგაკოვი; 17. ორგია; 18. კოპრა; 19. ხარფუხი; 20. ვიტრაჟი; 24. რაგბი; 25. სტილი; 26. მინიატურა; 29. ღამურა; 32. გაზეთი; 33. კაიზერი; 34. იორდანსი; 35. სმოკინგი.

**შვეულად:** 1. მტვერი; 2. ანეტო; 3. რაუტი; 4. კანაფი; 5. სომბრერო; 7. ინდიკარი; 8. ვარიანი; 12. ბურგუნდია; 13. ავანტიურა; 14. ციგაობა; 16. გორჟეტი; 21. ტაილანდი; 22. ტრაპეზი; 23. პლინტუსი; 27. ბრანდო; 28. „კარტიე“; 30. „დაისი“; 31. „პრიმა“.

# დემეტრაძემ რუსეთში განხეთქილება შეიტანა

*შარშან ამ დროს ესპანეთის „რეალ სოსიედადმა“ ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე კიევის „დინამოდან“ $4,9 მილიონად დიდი ზარ-ზეიმით შეიძინა. ბასკურმა კლუბმა დემეტრაძეს კონტრაქტი 2004 წლის 30 ივნისამდე გაუფორმა.*

*რა თქმა უნდა, ესპანეთის პრიმერა დივიზიონისთვის 4,9 მილიონი დოლარი გასაკვირი არ არის, მაგრამ მოკრძალებული ბასკური კლუბისთვის ეს სატრანსფერო თანხა რეკორდული აღმოჩნდა (მანამდე რუსი ხოხლოვი 4,25 მილიონად შეიძინეს).*

*ეს ფაქტიც ადასტურებს, როგორი იმედით ელოდნენ ბასკები ქართველის გამოჩენას. გიორგის დარკო კოვაჩევიჩის შემცვლელს უწოდებდნენ, პირველივე ვარჯიშის შემდეგ „სოსიედადის“ ფანებს იმედი კიდევ უფრო განუმტკიცდათ — მშვენივრად ახსოვდათ, კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში ტანმორჩილმა დემეტრაძემ როგორ აწვალა მადრიდის „რეალის“ მცველები.*

*იმ დროს დემეტრაძეს მწვრთნელიც ენდობოდა და თვითონაც იმედიანად იყო განწყობილი. აი, რას ამბობდა იგი:*

— მგონი, სწორად მოვიქეცი, „რეალ სოსიედადთან“ კონტრაქტი რომ გავაფორმე. ბასკების მიწვევამ სულზე მომისწრო და იმედია, აქ ჩემს თავს გამოვავლენ. თანაც ვიცი, რომ ტოშაკი ძალიან მენდობა. თუმცა, უკრაინასაც გულისტკივილით ვტოვებ.

„სოსიედადში“ მეტად თბილად მიმიღეს. თავი თბილისში მგონია, ხალხი ისე დამხვდა. მგონი, ბასკები მართლაც ჩვენი ნათესავები არიან. აქ ერთი მოედნის მუშაა, კაკო ჰქვია, ოფისის თანამშრომელს კი — ლადო“.

*სამწუხაროდ, გიორგის ესპანეთში გადასვლისას აღძრული იმედები მისმა ულიმღამო თამაშმა და მწვრთნელმა — უელსელმა ჯონ ტოშაკმა დაასამარა.*

*თავდაპირველად ტოშაკი დემეტრაძესაც იმედის თვალით უყურებდა, მაგრამ მერე რატომღაც აითვალწუნა და თურქულ „ბეშიქთაშში“ გადასვლას აიძულებდა. მოვუსმინოთ თვითონ გიორგის:*

— ეს კაცი მცირე ხნის წინ „ბეშიქთაშში“ მუშაობდა და კლუბის ხელმძღვანელობასთან ძალიან კარგი ურთიერთობაც ჩამოუყალიბდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემი თურქეთში გაშვებით „სოსიედადი“ დიდ ფულს „მოჭრიდა“.

**— „ბეშიქთაში“ თურქეთის ჩემპიონატს ლიდერობს, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის მშვენიერი შანსიც აქვს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფინანსურადაც წელში გამართული კლუბია. რატომ არ გინდა იქ თამაში?**

— ჯერ ერთი, ტრანსფერიდან ტოშაკი იხეირებდა, მე ნასუფრალსღა გადმომიგდებდა. სურვილი არ მაქვს, ჩემი გამამწარებელი ვახეირო. მეორე ფაქტორი ის არის, რომ ფეხბურთელები თურქული კლუბების ზღაპრულ შეთავაზებებს მაინც ეჭვის თვალით ვუყურებთ.

**— რა არის ამის მიზეზი?**

— თურქები ცნობილი „გადამგდებები“ არიან. ოქროს მთებს შეგპირდებიან და მერე ნახევარზეც მადლობა უნდა უთხრა. არ გახსოვთ, ჯამარაულს „ტრაბზონში“ სამი თვე ხელფასს რომ არ უხდიდნენ? ასეთი მაგალითი ბევრია და ამიტომაც არ დავთანხმდი ტოშაკს. ვუთხარი, რომ საშუალება მოეცა ახალი კლუბი ჩემი მენეჯერის დახმარებით მომეძებნა.



*გიორგის მენეჯერი ბელგიაში მცხოვრები რუსი ებრაელი დიმიტრი სელიუკია. იგი ცნობილი რუსი ფეხბურთელების ხოხლოვისა და ფილიმონოვის მენეჯერიც გახლავთ, მათთან ერთად კი ქართველებს — შეყილაძესა და წერეთელსაც ეხმარება. მოგეხსენებათ, ნებისმიერი მენეჯერი კლიენტის სერიოზულ კლუბში მოწყობით იქმნის იმიჯს. მაგრამ ზოგჯერ მთავარი მაინც ფულის შოვნაა. ამიტომ სელიუკი თურმე, დემეტრაძის თბილისის „დინამოში“ გადაყვანის წინააღმდეგიც არ ყოფილა. მიზეზი იქნებ ძლიერ გაგიკვირდეთ, მაგრამ „დინამოს“ ახალი მეპატრონე მზად იყო ნებისმიერ კონკურენტზე მეტი საარენდო თანხა გადაეხადა ბასკებისთვის.*

*„დინამოს“ წინადადება გიორგიმ ტაქტიანად უარყო. ეს ბუნებრივიცაა, ჩვენ უფრო ის გაგვაკვირვებდა, ფულს რომ დახარბებოდა და საქართველოს პირველობაზე თამაშით კლასის დაქვეითებაზე არ ენაღვლა:*

— ფული კარგია, მაგრამ „სამგურალთან“ და „გურიასთან“ თამაშით ერთი წლის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში თავის დამკვიდრებას რომ ვერ მოვახერხებდი, ეს უეჭველია. ამიტომაც ვამჯობინე სხვა წინადადების განხილვა.

*წინადადებები კი ჰქონდა საქართველოს ნაკრების წევრს, მაგრამ ყველაზე სასურველი — ინგლისიდან — ელემენტარული არითმეტიკით გამოირიცხა:*

— აბა როგორ არაფერი ვთქვა იმ ხალხზე, ვინც თვალს ხუჭავდა ჩემს არსებობაზე და ნაკრებში არ მათამაშებდა. არ მინდა წარსულის გახსენება, მაგრამ დაცინვა იყო, როდესაც კარგ ფორმაში მყოფს არ მათამაშებდნენ, მერე კი ერთი თვის უვარჯიშებელი, ტრავმირებული კაცი ნაკრების შეკრებაზე გამომიძახეს. არადა, უთამაშებლობის გამო ინგლისურ კლუბში ველარ გადავედი. ჩემმა მენეჯერმა დაითვალა — ბრიტანეთში სათამაშოდ აუცილებელ სანაკრებო შეხვედრების რაოდენობას ვერ ვაგროვებ. არადა, ინგლისური კლუბი ჩემში ყველაზე მეტ თანხას იხდიდა და პირადად მეც ყველაზე კარგ კონტრაქტს მთავაზობდა.

*ბევრი ფიქრის შემდეგ გიორგიმ ფრანგული და ბელგიური ვარიანტებიც უარყო („ნანტი“, „ბასტია“, „ანდერლეხტი“, „ბრიუგე“) და რუსეთში დაბრუნება გადაწყვიტა. რუსეთში მას ჩემპიონთა ლიგის ორი პოტენციური ბინადარი — მოსკოვის „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“ იწვევდა. „სპარტაკის“ ვარიანტი მალევე გამოირიცხა, რადგან ამ კლუბის ხელმძღვანელობას არენდით ფეხბურთელის აყვანა არ სურს. თანაც, „სპარტაკი“ „აიაქსივით“ ძუნწია სატრანსფერო პოლიტიკაში.*

*„ლოკომოტივი“ კი სერიოზული თავდამსხმელების დეფიციტს განიცდის. მართალია, სიომინმა მცირე ხნის წინ, „ანჟის“ ფორვარდი სირხაევი დაიმატა და პრობლემა ნაწილობრივ მოაგვარა, მაგრამ ამბიციური კლუბი უფრო სერიოზულ ფორვარდს საჭიროებს და ეს რკინიგზელთა მთავარ მწვრთნელსაც კარგად ესმის. ამასთანავე, რუსული მედიის ინფორმაციით, „ლოკომოტივი“ დღეისათვის ყველაზე მდიდარი და ხელგაშლილი რუსული კლუბია. ერთი სიტყვით, მიდგა, მოდგა გიორგის მენეჯერი და დემეტრაძე რუსეთში დააბრუნა.*

*ინფორმაცია ესპანური გაზეთის, „მარკას“ ინტერნეტ-საიტზეც დადასტურდა: „ოთხშაბათს ესპანეთში დემეტრაძის თაობაზე მოსალაპარაკებლად საგანგებოდ აპირებდა გამომგზავრებას „ბეშიქთაშის“ პრეზიდენტი და ქართველი ფორვარდისთვის კონტრაქტიც ჰქონდა მომზადებული, მაგრამ „რეალ სოსიედადის“ თავდამსხმელმა თურქეთში წასვლას რუსეთში თამაში ამჯობინა — იქ ჩემთვის უკეთესი გარემო დამხვდებაო“.*

*არადა, მცირე ხნის წინ რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს გიორგიმ მოსკოვის ცსკა-ს მიწვევა კატეგორიულად უარყო — აქაოდა, მსოფლიოში საუკეთესო ლიგის შემდეგ რუსეთის პირველ დივიზიონში თამაშს რეგრესის სუნი უდისო. ჩვენთან საუბრისას გიორგიმ ეს ხმები უარყო:*

— ასეთი რამ არასდროს მითქვამს, მაგრამ უკვე შევეჩვიე, რომ ჩემი სახელით ათასგვარ ტყუილს აქვეყნებენ და ამაზე რეაქციაც აღარ მაქვს. ასე რომ ვფიქრობდე, „ლოკომოტივში“ რატომ გადავიდოდი, პირიქით, რუსეთი ძალიან მომწონს.

*სხვათა შორის, დემეტრაძის რუსეთში დაბრუნების ფაქტს ცნობილ ინტერნეტ-სააგენტო „სპორტრუ“-ში დიდი გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ზოგიერთი, გიორგის არარსებული ფრაზის გამო „ტრეპაჩს“ უწოდებს, ზოგის აზრით, ქართველი მიხვდა, რომ „მისთვის რუსეთი იგივეა, რაც ჟარდელისთვის პორტუგალია“. აზრთა სიმრავლის მიუხედავადაც ცხადია, რომ დემეტრაძე რუსეთში კარგად ახსოვთ და პატივისცემითაც არიან განმსჭვალულნი. მთავარია, გიორგიმ ჯანამიაზე უკეთ თუ არა, მისნაირად მაინც უნდა ითამაშოს და ამით გამოასწოროს ქართველობის შელახული იმიჯი რუსეთში.*

***ლაშა დუმბაძე***

# ლიბიის ლიდერმა „იუვენტუსის“ აქციები შეიძინა



ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ კვლავ გადაწყვიტა, სპორტულ ბიზნესში ეცადა ძალები. კადაფიმ მილანის ბირჟაზე 23 მილიონ ევროდ შეიძინა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო კლუბის, ტურინის „იუვენტუსის“ აქციების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. „იუვეს“ მთავარი აქციონერი კონცერნ „ფიატის“ მეპატრონე ჯანი ანიელია, რომელიც კლუბის აქციათა სრული პაკეტის 63%-ს ფლობს. რაც შეეხება ლიბიელ დიქტატორს, მას პირველად არ უსინჯავს ბედი სპორტულ ბიზნესში — 1976 წელს კადაფიმ „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთი უმძლავრესი იმპერიის — „ფერარის“ აქციათა 9.09% შეიძინა, ცოტა მოგვიანებით კი ლიბიელთათვის სპორტის ისეთ ეგზოტიკურ სახეობაში სცადა დაებანდებინა ფული, როგორიც შაიბიანი ჰოკეია, თუმცა არაფერი გამოუვიდა: 80-იან წლებში კადაფიმ მაშინდელი გფრ-ის ჰოკეის კლუბის — „იზერლონის“ ყიდვა სცადა და კლუბის მაისურებზე მისი იდეოლოგიის მთავარი ნაშრომის — „მწვანე წიგნის“ რეკლამირება გადაწყვიტა, რაც შორს დაიჭირა გფრ-ის მაშინდელმა მთავრობამ.

იტალიაში ამბობენ, რომ „იუვენტუსის“ აქციათა ნაწილი დიქტატორმა არა თავისთვის, არამედ საკუთარი ვაჟისთვის — 28 წლის საადი კადაფისათვის იყიდა. საადისათვის ფეხბურთი „უცხო ხილი“ არ გახლავთ, იგი ლიბიის ეროვნულ ნაკრებშიც კი თამაშობდა, ახლა კი კლუბ „ალ იტიხადს“ თავკაცობს. იგი კურირებდა ქვეყნის ნაკრების მზადებას მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისათვის და კონსულტაციებს თავად დიეგო მარადონასაგან იღებდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა — ლიბია კორეა-იაპონიის საგზურის გარეშე დარჩა. ამჟამად უმცროსი კადაფი და იტალიიდან მოწვეული მწვრთნელი ფრანკო სკოგლიო 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაზე ზრუნავენ. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სავარაუდოა, რომ დიქტატორს სპორტულზე მეტად კომერციული ინტერესები ამოძრავებდეს. გასული წლის დეკემბერში „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა გრანდიოზული პროექტი, რომლის თანახმადაც „იუვენტუსი“ მრავალპროფილიან გასართობ კონცერნად უნდა იქცეს. საფეხბურთო სუპერკლუბი კონცერნის ფუძემდებელი იქნება. მომავლის „იუვენტუსი“ გააერთიანებს სასტუმროებს, კინოთეატრებს, რესტორნებს და ა.შ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა, „იუვეს“ აქციების ფასი ასტრონომიულად გაიზრდება — ალბათ მიხვდით, რა მიზნებს ისახავს ლიბიის ლიდერი „იუვეს“ აქციათა შეძენით.

# თბილისის „დინამოს“ ხორვატი მწვრთნელი ჩაიბარებს

თბილისის „დინამოში“ გივი ნოდიას ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ამიერიდან გუნდს ხორვატი სპეციალისტი ივა სუსაკი გაწვრთნის. გასული წლის ბოლომდე სუსაკი სლოვენიის ცნობილ კლუბს „მარიბორს“ წვრთნიდა, საიდანაც არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს. „მარიბორამდე“ იგი ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა. განსაკუთრებულ წარმატებას სუსაკმა ვერც იქ მიაღწია. გავრცელებული ცნობები, თითქოსდა სუსაკი ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში მიროსლავ ბლაჟევიჩის თანაშემწედ მუშაობდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. ხორვატ მწვრთნელს კუნძულ კვიპროსზე უნახავს ჩვენი „დინამო“ მოსკოველ თანაკლუბელებთან საკონტროლო შეხვედრისას. მიუხედავად იმისა, რომ რუსებს უძლიერესი შემადგენლობა გამოუყვანიათ, მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის გაწვრთნას ხორვატი სპეციალისტი იტალიის საკურორტო ქალაქ ნორჩას შეკრებაზე შეუდგება. ამბობენ, „დინამოში“ სინჯებს 7(!) ბრაზილიელი ფეხბურთელი გაივლისო...

# ასე ფიქრობენ გერმანელები



ოლივერ ბირჰოფი

ორი მეტად საინტერესო გამოკითხვა ჩატარდა გერმანიაში. ბუნდესლიგის 18 კლუბის მწვრთნელი გამოიკითხა და რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათგან მხოლოდ ოთხი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ჩემპიონის ტიტულს მიუნხენის „ბაიერნი“ შეინარჩუნებს. ოთხ-ოთხი ხმა მიიღეს ლევერკუზენის „ბაიერმა“ და დორტმუნდის „ბორუსიამ“, ხუთი კლუბის თავკაცმა პროგნოზებისგან თავი შეიკავა, „კიოლნის“ მწვრთნელმა დასმულ შეკითხვას მეტად ორიგინალური პასუხი გასცა — ჩემპიონი ის გახდება, ვინც 34 ტურის შემდეგ (ე.ი. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ) ცხრილის სათავეში იქნებაო — დაგვეთანხმებით, დიდი ვერაფერი ხუმრობაა.

ათასმა გერმანელმა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში. მათ ის ფეხბურთელები უნდა დაესახელებინათ, ვისთანაც ერთი ღამის გატარებას ისურვებდნენ. პირველ ადგილზე ბუნდესნაკრების კაპიტანი ოლივერ ბირჰოფი გავიდა, მას ოდნავ ჩამორჩნენ ჯოვანი ელბერი და მეჰმეტ შოლი, V-V ადგილები კი სებასტიან დაისლერს და ლარს რიკენს ერგოთ.

# რობერტო კარლოსი — მადრიდიდან მილანისაკენ?

მეტად საინტერესო რამ განაცხადა მადრიდის „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების მცველმა რობერტო კარლოსმა. „რეალის“ ფანების გასაოგნებლად მან ჟურნალისტებს არ დაუმალა, რომ სულაც არ არის გამორიცხული, მილანის „ინტერში“ გადაბარგდეს, სადაც იგი „რეალში“ გადასვლამდე გამოდიოდა. „მეტად მწყდება გული, რომ „ინტერის“ შემადგენლობაში არანაირი ჯილდო არ მომიგია. კარგია, რომ მილანელ ფანებს ვახსოვარ და პატივს მცემენ, ისე არც „სკუდეტოს“ მოგებაზე ვიტყოდი უარს“, — განაცხადა ბრაზილიელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ინტერში“ მისი თანამემამულე რონალდო გამოდის და კარგი იქნებოდა მასთან ერთად კლუბში თამაში. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ რობერტო კარლოსს „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტი 2005 წელს უმთავრდება და თუ „ინტერი“ მის შეძენას მოინდომებს, გვარიანი თანხის გადახდა მოუწევს.

# ფიფას ახალი რეიტინგი

**ფიფამ ეროვნული ნაკრებების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე კვლავ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრებია, რომელსაც მცირე სხვაობით ჩამორჩებიან არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები. პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი — 812 ქულა | 6. | იტალია — 734 |
| 2. | არგენტინა — 801 | 7. | ესპანეთი — 730 |
| 3. | ბრაზილია — 793 | 8. | ჰოლანდია — 722 |
| 4. | პორტუგალია — 741 | 9. | მექსიკა — 714 |
| 5. | კოლუმბია — 739 | 10. | ინგლისი — 712 |

**აღსანიშნავია, რომ პირველი ათეულის ერთადერთი წევრი — ჰოლანდიის ნაკრებია დარჩენილი კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, იგი 552 სარეიტინგო ქულით 58-ე ადგილზეა. ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას ჩამოვრჩებით, რომლებიც შესაბამისად 21-ე და 32-ე ადგილებზე იმყოფებიან.**

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ეa4-a6!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს **ხუთ** სვლაში.




CMYK

# გთავაზობთ 2002 წლის გზავნილების ადრესატთა სიას

*სიის დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №2*

**ქ**

ქარჩავა დიმა. სენაკი, რუსთაველის 84.
ქანდაურიშვილი ვახტანგ გელას ძე.
ქრისტინაშვილი არჩილ ზურაბის ძე.
ქოჩიაშვილი მანანა პავლეს ას. ქ. ქუთაისი.
ქევხიშვილი თიკა. თბილისი, თემქა, მ/რ. 33-ე კორპ. სად. სართ
ქვლივიძე ნინო მიხეილის ას. ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. 10. 2-02-77
ქურხულიშვილი ირმა. დედოფლისწყარო. რუსთაველის 57. კორპ. 42, ბ. 18.
ქურდაძე გიორგი ნოდარის ძე.
ქურხული თემური. სამგორის რ-ნის გამგებელს (კვირის პალიტრას) დასაბეჭდად გაზეთში.
ქარქაშაძე ლამარა (ვაშაკიძე ლანო). სამტრედია. სოფ. იანეთი, V უბანი (2 წერილი)
ქსოვრელიშვილი გიორგი, ქ. თელავი, ღვთისმშობლის 15
ქაფიაშვილი ნათია

**ღ**

ღლონტი მაყვალა (ბებია).
ღვინიაშვილი ზაზა ქ. კასპი, სტალინის ქ. №62

**ყ**

ყიფიანი ლევანი. ამბროლაური, ხვანჭკარის 12.
ყურშიტაშვილები ნინო და მიშიკო ქ. ახმეტა. ვაჟა-ფშაველას 1.
ყურაშვილი ვენერა. წყალტუბო, სანატორიუმი, სამგურალი.
ყანდიაშვილი კოკა. ბათუმი.
ყურაშვილი გვანცა. თამარ მეფის 2/51.
ყურაშვილი ინდიკო. წყალტუბო. სანატორიუმი „სამგურალი“.
ყარაულაშვილი შორენა, სიდამონიძის ქ. №31
ყიასაშვილი მერი
ყაზარაშვილი ფატი
ყარმაზანაშვილი ნელი
ყაველაშვილი სოფიკო ვასილის ას.
ყანჩაშვილი თამაზი. ლაგოდეხი, შიო მღვიმელის 52.

**შ**

შევარდნაძე ედუარდი. (პრეზიდენტი) (26 წერილი)
შაფათავა სოფიკო. ალმაშენებლის 120. სართ.
შუბითიძე რატი. 1989 წ. ნაძალადევის რ-ნი, სააკაძის 87.
შავიშვილი თინა ასლანის ას. ბათუმი, ნინოშვილის 51. ბ. 34.
შანიძე სანდრო რევაზის ძე
შაიშმელაშვილის ლადო.
შუბითიძე ლერი მილერის ძე.
შენგელაია ელდარი.
შალვაშვილი ქეთინო. ქ. თელავი. კირიონის ქ. 12.
შარვაძე ნატო კარლოს ას.
შენგელია აკაკი აკაკის ძე. სამტრედია. რუსთაველის 110.
შენგელია ზაზა. ტელევიზიის არხი.
შალამბერიძე იონა. ქუთაისი, ნარსიას ქ. №21
შერვაშიძე შავლეგი დურმიშხანის ძე
შარვაშიძე ირინა. თბილისი. ალ. ყაზბეგის 4ა. ბ. 5.
შევარდნაძე მანანა. საქართველოს ტელევიზია.
შეყილაძე თამუნა. თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის 6, სად. V სართ.
შალუტაშვილი გიორგი, ქარელი, სოფ. ბრეთი
შევარდნაძე მზია ლუკას ას. ოზურგეთი, ბათუმის ქ. №36
შალიკიანი ზვიადი, თავისუფლების მე-7 შესახვევი №3
შენგელია გიორგი რომანის ძე
შევარდნაძე პაატაა
შვანგირაძე ნინო
შაყულაშვილი ნატო მიხეილის ას. თბილისი, კოსტავას შეს. №27
შაშიაშვილი მიხო. აწყურის ქ. 8.
შაშიაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე, 1980წ. ქ. თელავი, სოფ. რუისპირი, რუსთაველის ქ. №13

**ჩ**

ჩარგაზია სოფიკო. კახათის საშ. სკოლა.
ჩინჩალაძე თათია. დიდი დიღომი, პეტრიწის 8.
ჩაგუნავა ინგა. თბილისი. სანზონა. 25-ე კორპ. ბ. 25.
ჩანქსელიანი დათო. თავდადებულის 6.
ჩოხელი ნიკო ოთარის ძე.
ჩანტლაძე ჯემალი ტარასის ძე.
ჩარგეიშვილი ნანა კორნელის ას. ხონის რ-ნი, კონტუნი.
ჩარკვიანი ლატავრა ბალდასარის ას.
ჩემია ქეთევანი. ივანე ჯავახიშვილის 84
ჩაჩავა სოსო და ილიკო, დუდაური ვაკო, კობაიძე ნიკუშა.
ჩხეტია ქეთი. თბილისი, წერეთლის 139, ბ.42
ჩიქოვანი მაია
ჩხიკვაძე ზაზა და გოგა. (2 წერილი)
ჩიქოვანები თამთა და დავითი
ჩხაიძე თამაზი, ლანჩხუთი, სოფ. მაჩხვარეთი
ჩხაიძე თამაზი, ლანჩხუთის რ-ნი სოფ. მაჩხვარეთი.
ჩოლოგაური თინათინ ნიკოს ას
ჩაბრავა ნინო, ქ. თბილისი, დაბ. 1983 წ-ის27/
ჩადუნელი მამუკა ნუგზარის ძე, ბორჯომი, მესხეთის შეს. №31
ჩაჩავა ზურაბ გიორგის ძე, რუსთავი, კოსტავას გამზ. 4/ა, ბ.8
გიორგი ჩადუნელს, ოჯახის უფროს შვილს
ჩადუნელი გვანცა გოჩას ას

**ც**

ცინცაძეები. დიღმის მასივი, V კვ. V კორპ. ბ. 18.
ცხვედიანი როსტომი.
ციხისთავი გიორგი ნოდარის ძე. ქ. გურჯაანი, რუსთაველის 71.
ციციშვილი კახა.
ცინცაძე აკაკი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის შ. №2, სად
ცისკარიშვილი ლელა.
ცირეკიძე არჩილი. თბილისი, თემქა. მ/რ. V კვ. №67. ბ. 47.
ცქიტიშვილი ლაშა, თბილისი

**ძ**

ძიძიგური ზვიადი.
ძიძიგური გურამი. ქობულეთის რ-ნი. სოფ. მუხაესტატე.
ძაგოევა მზალო არსენის ას
ძინძიბაძე აკაკი.

**წ**

წიკლაური რატი
წამალაშვილი ნანა ვაჟას ას. თბილისი, გლდანის რ-ნი, თიანეთის გზატკ. 18.
წიკლაური მამუკა. რუსთავი. შარტავას 6-47.
წვერიანაშვილი ეკა.
წოწორია თათია გიას ას. ქ. რუსთავი. 2-9
წიკლაური ნინო.
წიქარიშვილი თეკო.
წიკლაური ხათუნა, შარტავას გამზ. 6-47, რუსთავი,
წიკლაური თამილა ოთარის ას. დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ზემო ქედი.
წიგნაძე მიშიკო თემურის ძე
წურწუმია ლელა

**ჭ**

ჭყონია რუსუდანი, დაბა ადიგენი
ჭიპაშვილი ზურაბი.
ჭანტურია გია.
ჭელიძე გიორგი ზურაბის ძე, თბილისი. გრობოედოვის ქ. 25
ჭანტურია ლადო.
ჭანტურია ავთო. ქ. სამტრედია. ბარათაშვილის ქ.
ჭირაქაძე ნათია გელას ასული,. თბილისი. ყოფილი ხრამჰესის ქ. 20.
ჭულუხიძე ანა გოჩას ას.
ჭანკოტაძე კახა, ბორჯომი, სოფ. ზანავი
ჭელიძე გიორგი. თბილისი. გრიბოედოვის 25
ჭიკაიძე ჯანსული (ჯაბა). თბილისი, გორგასლის 8.
ჭანუყვაძე სოფიო. თბილისი, სამტრედიის 6. ბ 1
ჭედია ნინო გიორგის ას. სოფ. ახალკახათი, რუსთაველის ქ. №68
ჭავჭანიძე ლელა, თბილისი. არგვეთის 10.
ჭანიშვილი ნათია, ქ. ოზურგეთი, სოფ. ბოხვაური.
ჭუმბურიძე თამაზ იუზას ძე
ჭულუხიძე იზოლდა-ნონიაშვილისა. გურამიშვილის 70/34

**ხ**

ხუციშვილი ოთარი. რუსთავი, ყაზბეგის 6
ხაშურის ქალთა კონსულტაცია (2 წერილი)
ხიხაძე მიხეილ თამაზის ძე.
ხიხაძე ალექსი თამაზის ძე.
ხინიკაძე ლიანა.
ხარხელი დოდო. მუხიანი, Vბ მ/რ. კორპ. 32. ბ. 52.
ხიხაძე მიხეილი
ხოკრიშვილი ნიკუშა დავითის ძე
ხუროშვილი მანანა ალექსანდრეს ას.
ხურციძე ირაკლი არჩილის ძე. ვაზისუბანი. კორ. 20ა
ხატოიანი სოსო გიას ძე
ხუნაშვილი მანანა გიორგის ას.
ხარაზიშვილი ხვიჩა.
ხარაბაძე დიტო ჯეირანის ძე. ქუთაისი. ზარდალიშვილის ქ. 11.
ხუციშვილი დიანა.
ხაჩიძე თემური ირაკლის ძე (ბაკუნა).
ხუციშვილი ირინა. თბილისი. ლუქსემბურგის ქ. 5.
ხეთაგური ნოდარ ავქსენტის ძე. ხაშური, სტალინის ქ. 10.
ხუბულავა ინგა.
ხარაძე დარეჯანი, თბილისი
ხაჩიძე კობა კლიმენტის ძე. ხაშური, ცხინვალის ქ. 8
ხუჯაძე დათო. „სახე“. (2 წერილი)
ხარაბაძე ბესიკი.
ხუფენია ნინო. ზუგდიდი. ს. კედიას შეს. №3.
ხომერიკი ზვიად ნუგზარის ძე, ვაჟა-ფშაველას კვ. V კორპ. V სად. ბ. 47
ხვედელიძე ეთერი არჩილის ას.
ხოლეგაშვილი თამუნა. ქ. თელავი, კირიონის ქ. 3.
ხამაშურიძე თეა. თბილისი. თამარაშვილის 10. ბ. 9.
ხურცილავა გიორგი. ფოთი. ნახიმოვის 40/34.
ხოსროშვილი ზვიადი (მაკას), მცხეთა, სოფ. სელექცია
ხომერიკი გივიკო ზაზას ძე.
ხაჟალია ვანო. სამტრედია. პაპავას ქ. 3.
ხუბუა თამაზი თბილისი, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო
ხიზანიშვილი ზურაბ (ფეხბურთელი) ოჯახის მეორე შვილს
ხვედელიძე ანა. ქუთაისი. ასათიანის 22.
ხვედელიძე სოფიო არჩილის ას.

**ჯ**

ჯანაშვილი ეთერი ნიკოლოზის ას. ვალე. თამარ მეფის 60, 13/71.
ჯღუთაშვილი თომა. თელავის რ-ნი, სოფ. თეთრიწყლები. ჯუმბერ ნიკოლოზის ძე
ჯავახიშვილი მიხეილი, ჭავჭავაძის 43. ბ. 42.
ჯიქია ნინო.
ჯაშიაშვილი თამუნა.
ჯანჯღავა მარიამი. აბაშა. სოფ. ონტოფო.
ჯანუყვაძე სოფო. თბილისი. სამტრედიის ქ. 1. სად. სართ.
ჯველაური ბექა. ქ. თელავი. 26 მაისის ჩიხი, ბინა 3.
ჯამასპიშვილი ზირდა. ყვარელის რ-ნი სოფ. ენისელი (მასწავლებელი).
ჯუღელი აჩიკო იოსებიძის ძე. დიდი დიღომი, თბილისი
ჯაში გია. (ბაჩუკა) ბათუმი. შავშეთის ქ. 6. ბ. 11. სად. V სართ.
ჯაფარიძე თათო. თბილისი, დოლიძის ქ. 29. სად. ბ. 120.
ჯანჯულია ნინო, ბაგები. სტუდქალაქი, V კორპ. V სართ. 505.
ჯიბლაძე ირაკლი, ლანჩხუთი, სოფ. ჯაპანა
ჯამბრიშვილი ეკა ოთარის ას. ქ. გორი, სოფ. ატენი
ჯინჯიხაძე ხატია ნიკოლოზის ას, თბილისი, თარხნიშვილის ქ. 21
ჯანგულაშვილი ნათია ხოსროს ას. ყაზბეგის 32
ჯაბურია ნელი, კარლო კემულარია
ჯანიკაშვილი მიხეილ ბადურის ძე.
ჯინჭველიძე სოსო ნუკრის ძე, ქ. ბორჯომი ოჯახის უფროს ვაჟიშვილს — გიორგის
ჯაფარიძე თამუნა, თბილისი, ცოტნე დადიანის 113
ჯიშკარიანი ქეთი, თბილისი, საბურთალოს ქ №30. სად სართ
ჯოჯუა დალი, სენაკი (მცხ. ქ. თბილისში)

## დამატებითი სია

თბილისი, რუსთაველის ქ.№27
თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №181, და, დედა
ჯუღელს
თბილისი, რუსთაველის ქ. №23
თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. Vკვ. კორპ.12, ბ.42
თბილისი, ბახტრიონის ქ. №89, ბ.87
თბილისი, თემქა, მ/რ, V კვ. V სად. ბ.80
თბილისი, ჭყონდიდელის ქ. ბ.№16, ოთ.55
თბილისი, თემქა, Vმ/რ, კორპ.7 V სად. ბ.127
თბილისი, ც. დადიანის №231
თბილისი, ქეთევან წამებულის 63/ა, ბ.7 ნინოს
თბილისი, 5 დეკემბრის ქ. კვ. კორპ.3, ბ.57
თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. Vკვ. კორპ.12, ბ.42
თბილისი, თემქა, Xკვ. კორპ.28, ბ.3
თბილისი, ნუცუბიძის ქ. №2
თბილისი, დ/დიღომი, V მ/რ, კორპ.7, ბ.21
თბილისი, ყაზბეგის №28, ბ.5 გიორგის
თბილისი, ვარკეთილი-3, მ/რ, კორპ. 2/ბ
ქუთაისი, ა/ქარხანა, ბელინსკის 8/22
ხაშური, გაგარინის ქ. №86, ოთ.№6 ზაზა
ბოლქვაძე ზაური, თბილისი, დ/დიღომი, მ/რ, კორპ.26, სად. V სართ.
ჩიქოვანი (დედას)
დავლაშერიძე, კასპი
ჩაჩავა რუსთავი
ნოდიკო, ქარელი
აბაშა, მალაზია „მზიური“
ქუთაისი, ავტოქარხნის დასახლება, ბუკიას ქ.№34
თბილისი, ბაიაშვილი გოჩა
მანაგაძე გიორგი, წინამძღვრიშვილის ქ. №39
მგელაძეები მანანა და ნუგზარი
საური ნუკრი, გორის რ-ნი, სოფ. ატენი
ჩილინგარიშვილი ანტონა პეტრეს ძე, დაბა ადიგენი, სოფ. არალი

**ადრესატებმა ბარათებს მოაკითხეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციაში ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 18 საათამდე. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა**

# „კრემლის ადვოკატი“ – საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?..

## „გამსახურდიამ ეს ყველაფერი აგენტურის მეშვეობით წინასწარ იცოდა...“

**(დასაწყისი იხ. გვ. 7)**

— ასეთი ჭორები ზვიად გამსახურდიას გარემოცვამ მაშინვე მომიგონა, როგორც კი ედუარდ შევარდნაძეს მოსკოვში პირველად შევხვდი. ეს იყო 1991 წელი. პარიზში, „ჰელსინკი-2“-ის ფორმატში უმაღლესი დონის კონფერენცია იმართებოდა. იქ მოხვედრაზე მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო. ერთი სიტყვით, შანსი მოგვეცა. მაგრამ არ მინდოდა, პარიზში საბჭოთა დელეგაციის წევრის სტატუსით წარვმდგარიყავი. შევედი ედუარდ შევარდნაძესთან და ვუთხარი — ამ სტატუსით ვერ წამოვალ-მეთქი. კარგი, რამეს მოვიფიქრებთო და იგორ ივანოვი გამაცნო, რომელიც მაშინ მასთან მუშაობდა. მოკლედ, იფიქრეს, იფიქრეს და, საკმაოდ საინტერესო სტატუსი მომანიჭეს — პარიზში საბჭოთა საელჩოს საპატიო სტუმარი. ეს იმიტომ დამჭირდა, რომ თბილისში ვითომ ანტიკომუნისტებისა და ეროვნულ მედროშეთაგან რაიმე წინააღმდეგობა არ შემხვედროდა, თუმცა პარიზიდან დავბრუნდი თუ არა, საქართველოში არეულობა დამხვდა. ერთ-ერთმა მაშინდელმა დეპუტატმა, კალაძემ გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი წერილი, თითქოს მე შევარდნაძეს რაღაც ბნელი მიზნებისთვის შევხვდი, თითქოს ჩვენ შორის შედგა გარიგება და ა.შ. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ კალაძის აზრი არ გახლდათ. ასე ფიქრობდა ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც ზვიადთან იყვნენ დაახლოებულნი და რომელთაც ყოველი ბუჩქის ძირას აგენტი და გადატრიალება ელანდებოდათ.

— **თუმცა, როგორც ჩანს, ტყუილად არ ელანდებოდათ, რადგან გადატრიალება მართლაც შედგა.**

— რატომ შედგა გადატრიალება, ეს სხვა საუბრის თემაა, მაგრამ ერთი ეს მითხარით: როგორ შეიძლებოდა მე და შევარდნაძეს ვინმეს გაპრეზიდენტებაზე გვესაუბრა მაშინ, როცა ჯერ თვითონ ზვიად გამსახურდიაც კი არ იყო პრეზიდენტი?!

— **შევარდნაძესთან თქვენი შეხვედრის თაობაზე გამსახურდია საქმის კურსში იყო?**

— თბილისიდანვე ვცდილობდი, რომ მოსკოვში ედუარდ შევარდნაძეს შევხვედროდი. მაშინ ის გახლდათ იმ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, საიდან გამოსვლასაც თავგანწირვით ვლამობდით. ვერ გამიგია, რატომ უნდა ყოფილიყო მასთან შეხვედრა ვინმესთვის გამაღიზიანებელი?! რაც შეეხება ზვიადს, მას მაშინვე დავურეკე მოსკოვიდან და ვუთხარი, შევხვდი-მეთქი.

— **რა გიპასუხათ?**

— არაფერი. სიტუაცია ავუხსენი, ჩემი სტატუსის შესახებაც მოვახსენე...

— **ეი. გამსახურდია ამ ფაქტს არ გაუღიზიანებია?**

— არა, ჩვენ შორის წინააღმდეგობა მოგვიანებით წარმოიშვა. პარიზიდან რომ ჩამოვედი და ეს ჭორები დამხვდა, შევედი ზვიადთან და ვუთხარი — რა არის, რა ხდება-მეთქი. მეორე თუ მესამე დღესვე თავად ზვიადის ხელმოწერით გამოქვეყნდა წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეს გახლდათ ერთი კერძო დეპუტატის მოსაზრება და არა მთლიანად უზენაესი საბჭოსი. სამწუხაროდ, მაშინვე ბევრმა დაიჯერა, თითქოს თედო პაატაშვილს პრეზიდენტობა უნდოდა.

— **როგორც ამბობენ, თქვენ და შევარდნაძე პარიზშიც შეხვდით ერთმანეთს, ოღონდ ამის თაობაზე გამსახურდიასთვის აღარ გიცნობებიათ.**

— არა, პარიზში ველარ შევხვდი, რადგან დელეგაცია საკმაოდ იზოლირებული იყო. თანაც გორბაჩოვი, შევარდნაძე, იაზოვი და სხვები სულ სხვა რანგი გახლდათ. მეორედ შევარდნაძეს მაშინ შევხვდი, როცა თანამდებობიდან გადადგა, მესამედ კი, მაშინ, როცა ზვიად გამსახურდია საქართველოდან უკვე წასული იყო... თუმცა იმ დროს თვითონ შევარდნაძე ისეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იყო, რომ საუბარი იმაზე — მოდი, ჩემო ედუარდ, ჯერ მე გაგაპრეზიდენტებ და მერე შენ გამაპრეზიდენტე-მეთქი, არასერიოზული იქნებოდა.

— **თუმცა, თქვენ შევარდნაძის ჩამოყვანის აქტიური ხელშემწყობი იყავით.**

— ყოველ შემთხვევაში, აეროპორტში ნამდვილად არ დავხვედრივარ... მასთან რაღაც ურთიერთობა მქონდა, რაც საქმიდან გამომდინარე აუცილებელი იყო... ეს ჭორები ლელეს და სხვა ქალების დონეზე ვრცელდებოდა, რომ ჩემსა და ზვიადს შორის ურთიერთობა გაფუჭებულიყო.

— **მიაღწიეს მიზანს?**

— ვერა, ვერ მიაღწიეს. ყველა მოწინააღმდეგეს ზვიადი კრემლის აგენტს ეძახდა. მე კი განსაკუთრებული სტატუსი — კრემლის ადვოკატის წოდება მომანიჭა.

— **ამბობენ, რომ ინფორმაცია თქვენი და შევარდნაძის გარიგებისა და თქვენი შესაძლო გაპრეზიდენტების შესახებ გამსახურდიამ საბჭოთა აგენტურის მეშვეობით შეიტყო.**

— ჭორები, როგორც წესი, აგენტურის მეშვეობით ვრცელდება. მით უმეტეს, თუ ჭორი პოლიტიკურია და სერიოზულ დამანგრეველ მიზნებს ემსახურება. მაშინდელი საბჭოთა აგენტურა, ვისაც ახსოვს, საკმაოდ ძლიერი იყო.

— **ისე, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მართლა ხომ არ სცდით ბედს?**

— რა გითხრათ, ჩემი შესაძლო გაპრეზიდენტების თაობაზე მე პირადად იუმორის დონეზეც კი არ მიფიქრია.

*P.S. საპრეზიდენტო არჩევნებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ასე რომ, ვნახოთ, ვისი პროგნოზები გამართლდება.*

***ხათუნა ყვირალაშვილი***




**ჩვენ ვწერთ**

# ბერმუდის სამკუთხედში სნეული განიკურნა



1977 წელს ექიმად დამნიშნეს საქართველოს სანაოსნოს კუთვნილ გემზე „Командарм Федко“.

სავაჭრო ტანკერი შედიოდა სხვადასხვა ქვეყანაში, გზად გაივლიდა ზღვებსა და ოკეანეებს.

ერთ-ერთი რეისით ტვირთი მიგვქონდა კუბაში. კაპიტანმა აირჩია მოკლე გზა — ბერმუდის სამკუთხედის გავლით (თუმცა სხვა ქვეყნების გემები ამ რაიონს თავს არიდებენ და გარს შემოვლას ამჯობინებენ), ე.ი. პირდაპირი სვლით იზოგება დრო და რაც მთავარია, საწვავი, ეს კი კომუნისტებისათვის, თუნდაც რისკის ფასად, მთავარი გახლდათ.

უეცრად ავად გახდა გემის პარტკომი რაულ გოგეშვილი. უახლოეს ნავსადგურამდე კი 3-4 დღის სავალი გზა იყო. დაყოვნება არ შეიძლებოდა და გადავწყვიტეთ, გემზე გაგვეკეთებია ოპერაცია. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და როდესაც დავხედეთ რუკას, აღმოჩნდა, რომ ბერმუდის სამკუთხედის შუაგულში ვიყავით. ეს მოხდა 23 წლის წინათ, თებერვალში.

ჰავანაში მისვლისას მწვანე შუქი აგვინთეს და რიგგარეშე შეგვიყვანეს პორტში. დაგვხვდნენ სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლები, შემოგვთავაზეს დახმარება, მაგრამ მათი შეწუხება არ დაგვჭირვებია, რადგან პაციენტი თავს უკეთ გრძნობდა. იქვე შეგვატყობინეს, რომ ეს ყოფილა ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ბერმუდის სამკუთხედში ოპერაცია გაკეთდა.

აღნიშნული ფაქტი გააშუქა მრავალმა გაზეთმა, მათ შორის ჩვენმა „კომუნისტმაც“ სათაურით — „ოპერაცია გემზე. შემთხვევა ოკეანეში“.

ავადმყოფი განიკურნა, მას შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ მოგვიხდა პლანეტის ამ ანომალიური ზონის გავლა და ყოველთვის მატულობდა მეზღვაურთა ჩივილები, ორგანიზმში ქრონიკულად მიმდინარე პროცესი მწვავდებოდა, ხოლო გემის სანავიგაციო ხელსაწყოები ცდომილებას განიცდიდნენ და ნაპირზე აუცილებლად უნდა შეგვეკეთებინა.

სამკუთხედის შუაში იგრძნობა წყლის ინტენსიური ბრუნვა (თითქოს დიდ ძაბრში წყალს ასხამენო) და საოცარია ისიც, რომ მთელი ოკეანე მლაშეა, ხოლო აქაური წყალი დასალევადაც კი ვარგისია.

ალბათ ბუნების ჯერ აუხსნელი თავისებურებაა, რომ სხვადასხვა ზღვიდან ერთი სახეობის გველთევზები გასანაყოფიერებლად სწორედ ბერმუდის ცენტრში იყრიან თავს.

***რევაზ ზაქარიაძე, დოცენტი***

# წინასწარმეტყველური ზმანება



შარშან უცნაური სიზმარი ვნახე — ვითომ მე და ჩემი მეგობარი მირიანი ქუთაისში ერთ-ერთ ქუჩაზე ვიდექით ტროლეიბუსის გაჩერებაზე. უცებ ჩამობნელდა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა. იქვე მდგარ ჭადარს შევეფარეთ. კარგა ხანს გასტანა წვიმამ. მირიანმა — გავხედავ, თუ მოდის ტროლეიბუსიო და გზისპირისკენ გაიწია. ამასობაში საიდანღაც გამოტყვრა თეთრი „ლადა“, მირიანს გადაუარა და იქვე ელექტრონის ბოძს შეეჯახა...

შიშმა გამაღვიძა. სიმწრის ოფლი მასხამდა...

დილით, ინსტიტუტში მიმავალმა, დავინახე, ტროლეიბუსის გაჩერებაზე მირიანი იდგა და მიღიმოდა. მეც გვერდით ამოვუდექი. ანაზდად ცამ ღრუბელი შეყარა და დაუშვა წვიმა. მირიანმა ცოტა ხნის შემდეგ ტროტუარის კიდესთან მიირბინა — ტროლეიბუსი ხომ არ ჩანსო. დამცეცხლა — გამახსენდა სიზმარი. უცებ ხელი ვტაცე და განზე იმ დროს გავაგდე, როცა თავაწყვეტილი თეთრი „ლადა“ მოცურდა და ჩვენი ჭადრისკენ გამოექანა. ბეწვზე აგვცდა, სამაგიეროდ, ელექტრობოძს დაეჯახა...

***ალეკო გოლიაძე***
***ქუთაისი***

# ბელეპათი ჰიპნოზის ქვეშ

**ჰიპნოზი ექიმების გასართობი სეანსი როდია. ჰიპნოზის ტექნიკის ათვისება ყველას შეუძლია, მაგრამ საკითხავია — საჭიროა კი ეს? ფსიქიკის შესაძლებლობები უსაზღვროა და ჰიპნოზის კეთება არარავის უკვირს, მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო — ფსიქიკასთან ხუმრობა საშიშია.**

## დოქტორ კრეგის ცდები

ამერიკელი ექიმი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი კრეგი იკვლევდა ჰიპნოზის შესაძლებლობებს. მისი ასისტენტი, სტუდენტი პიტერ გოუსვილდი დათანხმდა დახმარებას და საღამოს ლაბორატორიაში მივიდა. მეცნიერებს აინტერესებდათ, გაიხსენებდა თუ არა დაწვრილებით ბავშვობის თავგადასავლებს პიტერი. გარკვეური მანიპულაციების შემდეგ პიტერმა ჰიპნოზური ძილით დაიძინა. პროფესორი კითხვებს უსვამდა. სტუდენტი ჯერ მკაფიოდ და ხმამაღლა პასუხობდა — დედასთან და ბებიასთან დაკავშირებულ წვრილმანებს იგონებდა. მერე უცებ გაჩუმდა. პროფესორმა რამდენიმე კითხვა დაუსვა — ყმაწვილი კვლავ დუმდა. ექიმს შეეშინდა და სტუდენტის გაღვიძება გადაწყვიტა, მაგრამ უცებ იგი ალაპარაკდა.

— დოქტორო კრეგ, ხუთი წლის წინ თქვენ საკუთარი ცოლი მოკალით. ის მძიმე ავადმყოფი იყო და ხელს გიშლიდათ. თქვენ იმ დღეს სამსახურიდან განზრახ გვიან მიხვედით და დროზე არ მიეცით წამალი. მისი გადარჩენა კი შესაძლებელი იყო... თქვენ ორი ხალი გაქვთ თეძოზე. ვერ იტანთ დედას და ყოველ საღამოს უყურებთ ერთსა და იმავე ფილმს.

აშკარა იყო, რომ პიტერმა წინასწარ არაფერი იცოდა იმის შესახებ, რასაც ლაპარაკობდა.

## პიტერი არ იღვიძებდა

პროფესორი საშინელ დღეში ჩავარდა. მართალია, მონუსხული კაცის ჩვენებებს არც ერთი სასამართლო არ მიიღებდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ დაჰიპნოზებულმა ჭაბუკმა ზეადამიანური ტელეპათიური ნიჭით შეძლო დამჰიპნოზებლის



გონებაში შეღწევა. მაგრამ მთავარი მოულოდნელობა წინ იყო — პროფესორი ბევრს ეცადა, მაგრამ პაციენტი ვერ გააღვიძა. „პათოლოგიური შემთხვევაა, — მხრები აიჩეჩეს ექიმებმა, — ნამდვილად საღათას ძილით ჩაეძინა, წაიყვანეთ პალატაში“.

ეს ამბავი თვალის დახამხამებაში გაიგეს ჟურნალისტებმა და ისე შეუტიეს დოქტორ კრეგს, რომ მან პოლიციას მიმართა დასახმარებლად.

ახლა მისი ცხოვრების ეს შემთხვევა საიდუმლო მასალებში ირიცხება, როგორც „ამოუცნობი შემთხვევა“. სტუდენტს კი უკვე მეორე წელია ლეთარგიული ძილით ძინავს.

***ვოტ ტაკ! №2***

# „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. რებუსი**

ზამთარი უთოვლოდ მოსაწყენია.

**II.** ყინული.

ამერიკელმა პარაფსიქოლოგმა ენ სოლდერმა ძველი კელტების ქურუმების, დრუიდების საიდუმლო რიტუალი გაშიფრა, კერძოდ, ადამიანის წარსულ ცხოვრებაში მოგზაურობის ტექნიკა. ამასთან დაკავშირებით იგი ერთ შემთხვევას გვიამბობს:

„10 წლის უელი სომიკი დაიბადა და გაიზარდა ტუნდრაში, ალასკაზე. მის მშობლიურ სოფელში არც ტელევიზორი ჰქონდა ვინმეს და არც რადიო. მოულოდნელად მან უცხო ენაზე სიმღერა და სოფლის მკვიდრთათვის უცნობი რიტუალების შესრულება დაიწყო. შეშფოთებულმა მშობლებმა სიეტლში წაიყვანეს, ექიმებთან.

უელი კლასიკური მაგალითია წარსულ ცხოვრებაში სპონტანური დაბრუნებისა. იგი დენიმე ხნის შემდეგ მისი სახე წარმოგიდგებათ თვალწინ, ვინც წარსულ ცხოვრებაში იყავით.

ამ ხერხის გამოყენება არ შეიძლება მზარდი მთვარისა და სავსემთვარეობის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წარსული ცხოვრებიდან თქვენი მტრების სულები გამოიწვიოთ. ამ დროს არ უნდა იფიქროთ ყოველდღიურ ყოფაზე. კარგი იქნება თუ ოთახში საკმეველს აკმევთ. ეს ხელს შეუწყობს ცნობიერებისთვის საგანგებო პირობების შექმნას. თუ მეთოდის მოთხოვნებს ზედმიწევნით დაიცავთ, წარსული ცხოვრების სურათებს იხილავთ. პირველი ცდები შეიძლება არ გამოგივიდეთ, მაგრამ უკან ნუ დაიხევთ. ზოგჯერ წარსულში

# წარსულში მოგზაურობა



აფრიკული ტომის ბელადის ვაჟი ყოფილა. წარსულის მოგონება მისი ქვეცნობიერიდან იოლად გადმოდის ცნობიერი გონის სფეროში. სიკვდილის შემდგომ სხვა ფიზიკურ სხეულში სულის აღორძინება, რეინკარნაცია ძველთაგანვე ცნობილი მოვლენაა. ჩემს კოლეგებთან ერთად უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ათასამდე ასეთი შემთხვევა შევისწავლეთ. ყველა, ვისაც კი ვაკვირდებოდით, დაწვრილებით იხსენებდა იმ ადგილებს, სადაც რამდენიმე საუკუნის წინ ცხოვრობდა. რაც შეეხება უელის, ეს უნიკალური შემთხვევაა. იგი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ბრუნდება წარსულ ცხოვრებაში.

დრუიდების ხერხი ასეთია: ბნელ ოთახში სარკის წინ უნდა დადგა ანთებული სანთელი. სანთლის წინ მოხერხებულად მოკალათდე და სარკეში საკუთარ თვალებს მიაჩერდე. რამჩახედვა მხოლოდ რამდენიმეთვიანი ძალისხმევის შედეგია. წარსულის ცოდნა აწმყოსა და მომავალში თქვენი ბედნიერების საწინდარი იქნება.

ამასთან, გახსოვდეთ, მართლმადიდებლური რელიგია ყოველივე ამას კატეგორიულად უარყოფს.

***ტაინაია ვლასტ №19***

# ვახშამი მოჩვენებასთან ერთად



მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქალაქეები მოითხოვენ მიიღონ (ზოგ ქვეყანაში უკვე მიღებულია) კანონი ქვეყნის მეთაურის სამედიცინო შემოწმების შესახებ, რომელიც გამოარკვევდა მის გონებრივ და სულიერ მდგომარეობას. ზიმბაბვეში ასეთი კანონი არ მოქმედებს. მაგრამ ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის საქციელი იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთი კანონი ზიმბაბვეს ჰაერივით სჭირდება. ზიმბაბვეს პრეზიდენტი უკვე დიდი ხანია, რაც დევნის მანიით და პროსტატის კიბოთია დაავადებული. მაგრამ როგორც ჩანს, ამას ახალი ავადმყოფობაც დაემატა... მოკლედ, როგორც იტყვიან, პრეზიდენტმა „გარეკა“.

რობერტ მუგაბემ ახლობლებს არაერთხელ შესჩივლა, რომ მას უკვე ნახევარი წელია მოსვენებას არ აძლევს მისი ყოფილი თანამოაზრისა და მეტოქის, ზიმბაბვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის სარდლის კოსი ტონოგავას სული.

1980 წლის რეფერენდუმის შემდეგ, როცა ზიმბაბვე დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ტონოგავა ქვეყნის პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო, მუგაბე კი პრემიერ-მინისტრი. მაგრამ ტონოგავა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი სიკვდილი ბევრმა დაგეგმილ მკვლელობად ჩათვალა.

ახლა კი ტონოგავას სული ბობოქრობს და მოსვენებას არ აძლევს მუგაბეს — ბრალს სდებს, რატომ უღალატე ჩვენი სანუკვარი რევოლუციის იდეებსო. ყოველ საღამოს, ვახშმობისას, პრეზიდენტის განკარგულებით სუფრაზე იდგმება თეფში ტონოგავასთვის.

პრეზიდენტ მუგაბეს ახალგაზრდა ცოლი გრეისი მიიჩნევს, რომ ქმრის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეირყა შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა მუგაბეს მომხრეებმა მის გასამარჯვებლად ძალა გამოიყენეს.

არჩევნების შემდეგ მუგაბემ რატომღაც გადაწყვიტა, გრეისს შვილებთან ერთად გაქცევა უნდაო და ცოლს შინაპატიმრობა მიუსაჯა.

რობერტ მუგაბეს ჯანმრთელობა უფრო გაუარესდა მზის დაბნელების შემდეგ, რაც აფრიკელთა აზრით, უბედურების მომასწავებელია.

***ექსპრესი №21***

**ტესტი**

# ძუნწი ხარ თუ გულუხვი?

**1. ბედმა გაგიღიმა და სრულიად კანონიერად დიდი ფული იშოვე, სად ჩადებ?**
ა) მუთაქაში, ქვაბში, სამალავში (0)
ბ) სარფიან საქმეში (2)
გ) სადაც შევძლებ (3)
დ) მეგობრებს მივცემ საქმეში ჩასადებად (8)

**2. ხშირად ნანობ დანაკარგზე?**
ა) არასოდეს (10)
ბ) უფრო დაკარგულ დროზე ვნანობ — ქონებას კი კვლავ შეიძენს კაცი (5)
გ) გამუდმებით (0)
დ) ხშირად ძალზე მტკივნეული დანაკარგიც მქონია (3)

**3. უკანასკნელი გროში თუ მიგიცია?**
ა) მხოლოდ გადასახადების სახით (1)
ბ) ხშირად (5)
გ) იდიოტი ვარ, უკანასკნელი თეთრი რომ ვინმეს მივცე? (0)
დ) მე ხომ იმ უკანასკნელის გარდა, არაფერი მაქვს (4)

**4. ასესხებ თუ არა ფულს ადამიანს, ვისაც ჯერ ძველი ვალი არ დაუბრუნებია?**
ა) სხვა სულელი მოძებნოს (0)
ბ) გააჩნია, რა თანხაა და ვის ვაძლევ (3)
გ) იმდენჯერ მიმიცია, რომ დათვლაც მიჭირს (10)
დ) შემიძლია დავუშვა ასეთი ვარიანტი (2)

**5. მათხოვარს თუ აძლევ რამეს?**
ა) ვაძლევ, ოღონდ სუსტებსა და უძლურებს (4)
ბ) მთავარია, ფული მქონდეს და ალბათ მივცემდი (2)
გ) ვინც მთხოვს, ყველას ვაძლევ, თუმცა კი ვიცი, რომ ეს სისულელეა (8)
დ) ღმერთი მისცემს (0)

**6. ძალიან ძვირფასი რამ თუ გიჩუქებია ვინმესთვის?**
ა) კი, მაგრამ 100 დოლარზე მეტი საღირალისა — არა (2)
ბ) ბევრი ფული რომ მქონდეს, აუცილებლად, ახლა კი სიამოვნებით ვჩუქნი იმ საფასურისას, რაც შემიძლია (10)
გ) ახლა არა, მაგრამ ოდესმე ალბათ ვაჩუქებ (1)
დ) მთავარია, ყურადღება და არა საჩუქრის ღირებულება (5)

**7. წარმოიდგინე, რომ ფული საშინლად შეგზიზღდა, როგორ მოიქცევი?**
ა) ვინმეს მივცემ იმ იმედით, ოდესმე თუ დამჭირდა, დამიბრუნებს (3)
ბ) ვერ წარმომიდგენია (1)
გ) ზიზღს დავძლევ, ფული ძალიან მჭირდება (0)
დ) მივცემ იმას, ვისაც ახლა ძალიან სჭირდება (12)

**შეაჯამე ქულები:**

*5 ქულაზე ნაკლები* — ძუნწი ხარ, ტყუილად არავის არაფერს აძლევ.

*5-15 ქულა* — იცი, რომ საჩუქრების გაცემა საჭიროა და თუ არ იძუნწებ, შენვე წაგადგება.

*16-31 ქულა* — გსიამოვნებს საჩუქრების მირთმევა. ეს არც ისე ხშირად ხდება, მაგრამ ოდესმე ჩვევად გადაგექცევა და მიხვდები, რომ ხელგაშლილი ხარ.

*32-55 ქულა* — გულუხვი ხარ, მაგრამ ხანდახან ეჭვი გღრღნის: რატომ გავეცი ამდენი?

*55 ქულაზე მეტი* — უნიკალური ადამიანი ხარ. შენთან ყოფნა სასიამოვნო და სასარგებლოა. რაც გაგაჩნია, ყველაფრის გაცემა შეგიძლია, მაგრამ ხანდახან გასცემ იმასაც, რაც თავადვე გჭირდება.



# დიდებული შფოთისთავი

**ნარკომანი, რომელიც მაგრად დაკაიფებული ცდილობდა, გაერღვია დაცვის კორდონი და რომის პაპთან აუდიენციაზე შესულიყო; ალკოჰოლიკი, რომელიც დააპატიმრეს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რადგან უხამსად ეარშიყებოდა კონდუქტორს; ყოფილი მექალთანე, ინტრიგანი, ჩხუბისთავი... ნუთუ ხანდაზმულ ასაკში ამგვარი პიროვნება შეიძლება ახალგაზრდობისათვის მისაბაძ მაგალითად იქცეს?**

როცა ჰოლივუდში ბოლო ათწლეულის ყველაზე პოპულარული საბავშვო წიგნის — „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა" — ეკრანიზაცია განიზრახეს, საკამათოდ იქცა ჯადოქრობისა და გრძნეულობის სკოლის დირექტორის, კეთილი მაგის, დამბლდორის როლზე ინგლისელი რიჩარდ ჰარისის მოწვევა. დამბლდორი ხომ სიბრძნის, კეთილშობილებისა და სათნოების განსახიერებაა.

მიუხედავად იმისა, რომ „მონსტრმა" რიჩარდ ჰარისმა მნიშვნელოვნად შეიცვალა იმიჯი (ბოლო 10 წლის მანძილზე ის გადაიღეს „შეუნდობელში" — „ოსკარის" 4 პრემია, „გლადიატორში" — „ოსკარის" 5 პრემია, აგრეთვე „ციმბირელ დალაქში", რომელმაც ორი წლის წინ გახსნა კანის ფესტივალი), ბრიტანელთა უმრავლესობისთვის ჰარისის მიწვევა „ჰარი პოტერში" მაინც დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა.

თავად ჰარისი ამბობს, რომ მას ფეხებზე ჰკიდია საზოგადოებრივი აზრი: იგი მხოლოდ იმიტომ დათანხმდა „ჰარი პოტერში" გადაღებას, რომ ეს მისმა 11 წლის შვილიშვილმა მოისურვა. გოგონამ დაურეკა და უთხრა: „ბაბუ, თუ „ჰარი პოტერში" არ ითამაშებ, არასოდეს გაგცემ ხმას". შვილიშვილის სურვილი — კანონია. ჰარისმა ხელი მოაწერა კონტრაქტს არა მხოლოდ პირველ ფილმზე ჰარი პოტერის შესახებ, არამედ მომდევნო სამსაც, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ვერ იტანს წინასწარ მოლაპარაკებას.

დიდი ჩხუბისთავი, რომელმაც 70-ს გადააბიჯა, საკმაოდ უჩვეულო ცხოვრებით ცხოვრობს. ის ძალიან მდიდარია, აქვს სახლი ბაჰამის კუნძულებზე, სადაც თითქმის არასოდეს ჩადის. მეტ დროს ლონდონსა და ნიუ-იორკში ატარებს, სადაც ყველაზე ძვირფასი სასტუმროების ნომერ-ლუქსებში ჩერდება. დღისით, როგორც წესი, გამოძინებას უნდება, საღამოობით ბარში ზის მის დაკეტვამდე ანუ დილამდე. ზოგჯერ ღამის ქალაქში დასეირნობს. როცა ამგვარი ყოფა ბეზრდება, კითხულობს პირველივე სცენარს, რომელიც ხელთ მოხვდება და ამბობს: „აი, ამაში ვითამაშებ".

ერთი წლის წინ სწორედ ამგვარად მოხვდა ფილმში „გასეირნება ლომებთან ერთად". კონტრაქტზე ხელი მოწერილი ჰქონდა, როცა გაიგო, რომ გადაღებები კენიაში მოხდებოდა და პარტნიორებად ველური ცხოველები ეყოლებოდა. ეს რომ შეიტყო, 70 წლის „მონსტრმა" რეჟისორს უთხრა: „იცი, რამდენი სპირტიანი სასმელი მაქვს დალეული, რამდენი ქალი მყოლია, რამდენი ღამე მითენებია? 40 წლისა უნდა მოვმკვდარიყავი, მიუხედავად ამისა, 70 წელს მივაღწიე! განსაკუთრებით საწყენი იქნება, ყოველივე ამის შემდეგ ლომების ლუკმად თუ ვიქცევი!"

რეჟისორმა დუბლიორი აუყვანა, მაგრამ 70 წლის ჰარისმა გადაწყვიტა, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიან, იცხოვროს მხიარულად და რისკიანად, ამიტომ ყველაზე სახიფათო სცენებსაც კი თვითონ ასრულებდა.

„მთავარია — ცხოვრებას, როგორც გართობას, ისე უყურო", — მიაჩნია მას.

დღეს ჰარისი ისე ვეღარ ერთობა, როგორც 60-იან წლებში. მაშინ ეჩვენებოდა, რომ მთელი სამყარო მას ეკუთვნოდა. 60-იანი წლების დასაწყისში იგი სხვა „გაბრაზებული ახალგაზრდა ბრიტანელების" — პიტერ ო' ტულის, რიჩარდ ბარტონის, ტრევორდ ჰოუარდის კომპანიაში — ჰოლივუდში მოხვდა. ამერიკელმა ქალებმა ჭკუა დაკარგეს ამ ბიჭების შეუზღუდავი სექსუალური ენერგიის გამო, ისინი არ ჰგავდნენ იმ გალოკილ ლამაზმანებს, რომლებმაც შეავსეს ამერიკული კინოეკრანები.



„მაინც ვერ გავიგე, რატომ გვიწოდებდნენ „გაბრაზებულებს", — ამბობს დღეს ჰარისი, — ჩვენ უფრო მოგვიხდებოდა „მოკაიფე!"

მომდევნო წლები მისთვის იქცა უწყვეტ ლხინად. აპოგეა მაშინ დადგა, როცა რვა მეზობელმა ერთობლივად უჩივლა პოლიციაში იმის გამო, რომ მისი „ბუნაგიდან" მთელი ღამის მანძილზე არ წყდებოდა წარმოუდგენელი ხმაური. პოლიციელებმა ჰარისს მოსთხოვეს, საღამოს 10-დან დილის 8 საათამდე ვილაში სიწყნარე ყოფილიყო. მსახიობმა ჯარიმა გადაიხადა და იმავე დღეს დაიქირავა კაცი, რომელიც ვალდებული იყო მთელი დღის მანძილზე პლაკატით — „შეიყვარეთ თქვენი მეზობელი ჰარისი" — ევლო ქუჩაზე და თან დოლი ებრახუნებინა. ჰარისმა სამი თვის ფული წინასწარ გადაუხადა დაქირავებულს და თვითონ გადაღებებზე გაემგზავრა.

ამერიკაში ჰარისი ალკოჰოლიკად იქცა. თეთრი ცხელების მორიგი შეტევის შემდეგ ექიმებმა გარემოს შეცვლა ურჩიეს. იგი იტალიაში გაემგზავრა. მიქელანჯელო ანტონიონიმ „წითელ უდაბნოში" მიიწვია. ჰარისი ჩაეჭიდა იდეას — მას იმედი ჰქონდა, რომ სხვა ადამიანად იქცეოდა.

იტალიაში ნარკოტიკებმა გაიტაცა. რომელიღაც მეგობარმა ურჩია, შეეწყვიტა მორიგი სმის სერია LCD-ს მეშვეობით. ჰარისი სიამოვნებით დაეთანხმა მის რჩევას და... იტალიურ ტაბლოიდებს საზეიმო დრო დაუდგა. პაპარაცები ალტაცებაში მოვიდნენ, როცა დაკაიფებული ჰარისი ტრევის მოედანზე შადრევანში გადაეშვა. რომის პაპთან წარუმატებელ ვიზიტზე დასაწყისში გიამბეთ. შემდეგ სარკეში რომ ჩაიხედა, ჩვენს გმირს საკუთარი ფიზიონომია თვალში არ მოუვიდა და საჩხუბრად გაიწია. სანიტრების მთელი არმია გახდა საჭირო, რომ გაეკავებინათ და დამაწყნარებელი ნემსი გაეკეთებინათ. როცა გონს მოეგო და იხილა, რას დაემსგავსა, პირველი, რაც თქვა, იყო: „მორჩა! — მეტად — არასოდეს!"

ეს იყო 1964 წელი... ლოთობას მხოლოდ 18 წლის შემდეგ დაანება თავი, როცა ერთ დღეს ორი უბედურების ამბავი შეიტყო: ერთი — ძმის გარდაცვალება იყო, მეორე კი — ექიმის დიაგნოზი: თუ არ შეწყვეტ სმას, 3 თვეზე მეტს ვერ იცოცხლებო. როგორც ჰარისი ამბობს, 1982 წლის 11 აგვისტოს უკანასკნელად ბოთლი ღვინო დალია — 1957 წლის Ghateau Margot-ი. მას შემდეგ სვამს მხოლოდ გინესის ლუდს.

50 წლის ჰარისმა საბოლოოდ თქვა უარი ცოლქმრულ ცხოვრებაზე. ახალგაზრდობაში ორჯერ იყო დაქორწინებული, ორივე ცოლს მეგობრულად დაშორდა. 3 ვაჟი ჰყავს. ორი მათგანი — ჯერედი და ჯეიმი — მსახიობი გახდა. მესამე, დემიენი — კინორეჟისორი. რიჩარდ ჰარისს რეგულარურად აქვს კონტაქტი შვილებთან, მაგრამ ირწმუნება, რომ ადამიანის ყველაზე ბედნიერი მდგომარეობაა — მარტოობა, გამრავლებული კომფორტზე. რიჩარდ ჰარისი კომფორტს ბავშვობიდანვე მიეჩვია. იგი 1930 წლის 1 ოქტომბერს დაიბადა მდიდარი კომერსანტის ოჯახში. პატარაობიდანვე თავს დასტრიალებდნენ მოსამსახურეები და გუვერნიორები. ჰარისის ოჯახს გააჩნდა საკუთარი სამლოცველო და მთელ ირლანდიაში ერთადერთი ავტომობილი — „კრაისლერის" მარკისა. საშინლად სწავლობდა ბერიეზუიტთა კერძო სკოლაში, სადაც მხოლოდ მამის მდიდრული შემოწირულობების გამო იტანდნენ.



19 წლის იყო, როცა გავარდა მეხი — მამის საწარმო გაკოტრდა, ოჯახი უგროშოდ დარჩა, თანაც რიჩარდი ტუბერკულოზით დაავადდა. ყოველივე ამან აიძულა, შვება წიგნებში ეძებნა. ერთი წლის მანძილზე იმდენად ნაკითხ ადამიანად იქცა, რომ დამოუკიდებლად მოემზადა და ლონდონის მუსიკალური და დრამატული ხელოვნების აკადემიაში მოეწყო.

1949 წელს ჰარისი მშობლიური ლიმერიკიდან ლონდონს გაემგზავრა. მას არ გააჩნდა კავშირები, ნაცნობობა, მშობლების დახმარების იმედი. მხოლოდ 21 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა, პლუს უზარმაზარი პატივმოყვარეობა და საკუთარი განსაკუთრებულობის ფანტასტიკური რწმენა.

მალე დამწყებმა მსახიობმა პირველი, თანაც მთავარი როლი მიიღო სცენაზე. თავიდან სინჯებზე მეორეხარისხოვანი როლი მისცეს. ახალბედა თითქოს თანახმა იყო, მაგრამ როგორც კი რეპეტიციები დაიწყო, ჰარისმა გული გაუწყალა რეჟისორს, ნება მომეცით მთავარი როლი შევასრულო, როცა მთვარი როლის შემსრულებელი აცდენს რეპეტიციასო. რეჟისორი დათანხმდა, პრემიერის მოახლოებისას კი გადაწყვიტა, მართლაც, ეს თავხედი ბიჭი ეთამაშებინა პრემიერაზე. ასე იქცა რიჩარდ ჰარისი ლონდონის სცენის მოდურ ვარსკვლავად. სხვათა შორის, მას შემდეგ ამგვარი ტაქტიკა ხშირად გამოუყენებია. 1967 წელს იგი ცდილობდა, ხელში ჩაეგდო მთავარი როლი ფილმში „კამელოტი" და რეჟისორს დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა — „ჰარისი ყველას სჯობს", „მხოლოდ ჰარისს შეუძლია შეასრულოს მეფე არტურის როლი".

უკვე 90-იან წლებში, როცა უკვე „მონსტრად" იქცა, მან მსგავსი მეთოდით მოიპოვა მთავარი როლი ფილმში „მინდორი".

ცხადია, თავხედობა არა მხოლოდ ეხმარებოდა, ხელსაც უშლიდა მის კარიერას, მაგრამ არაფერს ნანობს. თუმცა გული სწყდება, რომ ვერასოდეს ითამაშა ბერგმანთან. ერთხელ დიდმა შვედმა რეჟისორმა დაურეკა და როლი შესთავაზა, მაგრამ ჰარისს უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი სხვა კონტრაქტზე. და კიდევ... განიცდის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ უთამაშია ჰამლეტი — არც ეკრანზე, არც სცენაზე.

დღეს იგი დროდადრო მეფე ლირის როლზე საუბრობს. მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ მაგის როლს ასრულებს საბავშვო ფილმში და ერთობ კმაყოფილიცაა თავისი ახალი ამპლუით.

**XXL №1**



# ლილიპუტებმა აიწყვიტეს

ამერიკელებმა ვერა და ვერ დაადგინეს როკ-მუსიკის ვარსკვლავებს შორის პირველობის პალმა ვის მიანიჭონ, ვინ არის საუკეთესო? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. სამაგიეროდ, კითხვას, ვინ არიან ყველაზე პატარა ვარსკვლავები, ყველა ამერიკელი მაშინვე პასუხობს The Little Kingz („პატარა მეფეები"). ეს ჯგუფი ნიც კლემენტიმ შექმნა. ორი წლის წინ იგი ინტერნეტით ეძებდა მომცრო ტანის მუსიკოსებს და მას ოთხი ადამიანი გამოეხმაურა, რომელთაგანაც ყველაზე დაბალი 1 მ 19 სმ, ხოლო ყველაზე მაღალი 1 მ 37 სმ იყო. ამ ორ წელიწადში ლილიპუტების ჯგუფმა სახელი მოიხვეჭა და ჰოლივუდშიც მიიწვიეს: ბენ სტილერის ახალ სათავგადასავლო ფილმში პატარა მომღერლებმა ჯუჯათა ტომის უკანასკნელი წარმომადგენლები განასახიერეს. „სცენაზე ჩვენი დანახვისას, თავდაპირველად, მაყურებელი ფიქრობს: ღმერთო ჩემო, ეს ქვეყანა სადამდე დაეშვა, მაგრამ მესამე სიმღერის შემდეგ გოგონები უკვე წელს ზემოთ შიშვლდებიან", — ამბობს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, მომღერალი სცოტ ვორდი.

**შტერნი №52**


ფილთაქვა

გამარჯობათ, ხალხო!

მე ფილთაქვა ვარ, ეს კიდე — ჩემი ჟურნალია, ახალი ჟურნალი!

რა მექნა, უსაქმოდ ვიყავი — ისეთი დრო მოვიდა, რომ ხალხი უშაქრო ჩაიზე და ხმელ პურზე დასვეს და მეც მარტო ახალ წელს თუ გამიჩნდება ხოლმე რამე დასანაყი. ჰოდა,

„ფილთაქვა"



მალე! ძალიან მალე!!!

ახალი, ძალიან „მაგარი", და არა მარტო სასაცილო ჟურნალი „ფილთაქვა"

სიცილი ჯანმრთელობაა!!!

# ბრმა ბაბუას უხამსობამ თვალი აუხილა

„ყოველგვარი ავადმყოფობისგან განგკურნავთ პორნოგრაფია“, — ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული ტეხასის გაზეთები.

თურმე 12 წლის ტომ სომერსვილი პორნოგრაფიულ ფილმს უყურებდა, გვერდით სავარძელზე კი ბრმა ბაბუა მოკალათებულიყო. ბერიკაცს თვალისჩინი 20 წლის წინ მომხდარი კატასტროფის გამო დაკარგული ჰქონდა. შვილიშვილმა ეშმაკობა იხმარა და ტელევიზორს ხმა ჩაუწია, ბაბუა რომ ვერ მიმხვდარიყო, თუ რას უყურებდა. მაგრამ მისდა გასაოცრად, მოულოდნელად მოხუცი ადგილიდან წამოიჭრა და ხელის ზუსტი მოძრაობით ტელევიზორი გამორთო.

ახლა, როცა ბაბუა სომერსვილს ეკითხებიან მისი სასწაულებრივი გამოჯანმრთელების მიზეზს, იგი პასუხობს: ასეთი სისაძაგლე ბრმას კი არა, მკვდარსაც აუხელს თვალსო.

***ოტდოხნი! №1***



## ზოლიანი აგენტი

ბზიკებს მარტო ბზუილი და კბენა კი არა, ნარკოტიკების აღმოჩენაც შეძლებიათ და ძაღლებზე უკეთ. მათ ძაღლებთან შედარებით ყნოსვაც უფრო ფაქიზი ჰქონიათ. მეცნიერები მიხვდნენ, რომ ბზიკები ამ შემთხვევაში თავს ისე ამოძრავებენ, როგორც ჭამის დროს. საგანგებო გადამცემები მაშინვე იჭერენ ამ მოძრაობას და საგანგაშო სიგნალს იძლევიან.

მართალია, ბზიკები მხოლოდ ორ თვეს ცოცხლობენ, მაგრამ მათი გაწვრთნა ერთ საათში შეიძლება და უკვე გვყავს ნარკოტიკებთან მებრძოლი აგენტი. მეცნიერები გვირჩევენ, გავწვრთნათ ბზიკები ნარკოკურიერების დასაკბენად.

***მირ ნოვოსტეი №1***

## მულტიპლიკაციურ ფილმებს — „ოსკარი“



სრული გამარჯვებით დასრულდა ფინალური ბრძოლა იმისათვის, რომ ანიმაციურ ფილმებსაც მიენიჭოს კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო „ოსკარი“. კინოაკადემიის წევრებმა 20 წლის მანძილზე პირველად შემოიღეს პლანეტის ყველაზე პრესტიჟული კინოპრემიის ახალი ნომინაცია „საუკეთესო ანიმაციური ფილმი“. ამიერიდან ანიმაციურ ნამუშევრებს მარტო საუთარი ნომინაცია კი არ ექნება, პარალელურად, სხვა კატეგორიებშიც შეეძლებათ ნომინირება. რა თქმა უნდა, არსებობს ზოგიერთი აუცილებელი პირობა. მულტფილმებს „ოსკარი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუ შეგროვდება 8 სრულფასოვანი პრეტენდენტი. წელს მათი რიცხვი 9-ს უტოლდება. „საუკეთესო ფილმის“ კატეგორიაში ნომინირებულ ერთადერთ მულტიპლიკაციურ შედევრად დღემდე რჩება „მზეთუნახავი და ურჩხული“, რომელიც „ოსკარზე“ „კრავთა დუმილთან“ ერთად წარადგინეს...

თუ პროგნოზს დავუჯერებთ, უნდა გაიმარჯვოს მულტიპლიკაციურმა ფილმმა „შრეკი“. თუმცა, სიურპრიზებისაგან არავინ არის დაზღვეული, ამ კატეგორიაში ხომ ყველაფერი პირველად ხდება. 100 კაციან ჟიურის, ტომ ჰენქსის მეთაურობით, გამარჯვებულის შერჩევა ევალება.

მულტფილმების პირველი „ოსკარის“ მფლობელი 24 მარტს გაირკვევა...

***მკ ბულვარი №52***

# ჩიტის მოტანილი ამბები

**ფეხმძიმე პატარძლებს ჯვარს არ წერენ.** სიცილიელმა მღვდელმა, ვინმე დონ რაფაელმა უარი უთხრა ჯვრისწერაზე წყვილს, როცა შეამჩნია, რომ პატარძალი ფაშფაშა კაბით ფეხმძიმობის დამალვას ლამობდა. „მე არ მაქვს უფლება, წმინდა კავშირით დავაკავშირო უწმინდური წყვილი“, — განაცხადა მღვდელმა. მასზე მკაცრი აღმოჩნდა ილეანელი მღვდელი დონ ედუარდო. მან უარი უთხრა წყვილს ჯვრისწერაზე მხოლოდ იმიტომ, რომ პატარძალი სიგარეტს ეწეოდა და მინი-კაბა ეცვა.

**დღესასწაულების წინ „ცისფერებს“ ციხეში ამწყვდევენ.** მუსლიმანური დღესასწაულის ურაზა-ბაირამის წინ პოლიციელებმა რეიდი ჩაატარეს და „ცისფერებს“ დაერივნენ (ისლამი მამათმავლობას კრძალავს). პოლიციამ მხოლოდ 59 „ცისფერის“ დაჭერა მოახერხა. საბრალოები ჯერ საჯაროდ გაროზგეს, მერე კი მკაცრი რეჟიმის ციხეში უკრეს თავი.

**პოლიციელს უფლება არა აქვს, ზეიმი აღნიშნოს.** ტაილანდის პოლიციის შეფმა ადგილობრივ წესრიგის დამცველებს აუკრძალა შობის, ტაიტური ახალი წლისა და დაბადების დღის აღნიშვნა. თან დაემუქრა, თუ არ შეასრულებთ ბრძანებას, სამსახურს დაკარგავთო. გენერალს გულწრფელად სჯერა, რომ ამით შეძლებს გარყვნილების აღმოფხვრას პოლიციელთა რიგებში. თავის მხრივ, წესრიგის დამცველებს ყოველივე ეს მათი უფლებების დარღვევად მიაჩნიათ და გაეროში ჩივილს აპირებენ.

**შავი ყავა სპილოებს მეხსიერებას უქვეითებს.** ყავის გაყიდვის გასააქტიურებლად ერთ-ერთმა ყავის მწარმოებელმა ფირმამ პროდუქციის სარეკლამოდ სპილოები მოიშველია. მოსეირე საზოგადოების თვალწინ, ეს კეთილი გიგანტები ხორთუმს ახალმოხარშული ყავით სავსე კასრებში ჩაუშვებდნენ და სიამოვნებით გააქანებდნენ სითხეს პირისკენ.

ცხოველთა დამცველები საპროტესტო



აქციებით იმუქრებიან, რადგან თვლიან, რომ ცხოველები ყავით ჯანმრთელობას, უფრო სწორად, მეხსიერებას იზიანებენ.

**საოცარი ბამბუკი.** სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ბამბუკი არა მარტო კვებავს ადამიანებს, არამედ აცმევს კიდეც. ბამბუკის ზოგიერთი სახეობა 100 წელზე მეტხანს ცოცხლობს, ამასთან, არასოდეს ყვავის და თუკი აყვავდა, ეს უბედურებას მოასწავებს, რადგან ყვავილობის შემდეგ ბამბუკის კორომი ქრება...

## მამაცი მონაზვნები



უკანასკნელ პერიოდში კოლუმბიაში გახშირდა თავდასხმა დედათა მონასტრებზე, სადაც განგსტერები სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას არ ელიან, მაგრამ წესებიდან, რა თქმა უნდა, გამონაკლისიც არსებობს. ორი ბანდიტი ღამით შეიჭრა „ელ ტოპოს“ მონასტერში და მონაზვნებს მოსთხოვეს ძვირფასი ხატები, ფული და საიუველირო ნაკეთობანი. მონაზვნებმა მტკიცე უარით უპასუხეს. მონასტრის წინამძღვარმა, ორმოცდაათი წლის ადელია ზიმნესმა მოულოდნელად ჯიბიდან ამოიღო 38 კალიბრიანი „სმიტ-ვენსონის“ პისტოლეტი და გაისროლა. ერთი მძარცველი მოკლა, მეორე კი, ხელში დაიჭრა და გაიქცა.

მოგვიანებით, წინამძღვარმა ჟურნალისტებს უამბო, რომ თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე დაესიზმრა ზუსტად ის სცენა, რაც სინამდვილეში მოხდა. წინაძღვარმა სთხოვა ნაცნობ პოლიციელს, პისტოლეტი მჭირდება მონასტრის სარდაფებში გამრავლებული ვირთხების დასაფრთხობადო.

— ღმერთმა იცის, რომ ადამიანის მოკვლა უმძიმესი ცოდვაა, მაგრამ ვიმედოვნებ, უფალი მომიტევებს, — განუცხადა ადელიამ ჟურნალისტებს, — მძარცველებმა კი გაიგონ, რომ მე უფრო დიდ პისტოლეტს შევიძენ და ვესვრი იმ არაკაცებს, რომლებიც ბედავენ ღვთის სავანის ხელყოფას.

***ინტერპოლ-ექსპრესი №21***

## ბრიყვი მძარცველი



ნიუ-იორკელ ჯეკ შრაინერს უსაქმობისაგან რა გაეკეთებინა აღარ იცოდა და ქალაქის ერთ-ერთ ბანკში შევიდა. ერთხანს რიგს ადევნებდა თვალყურს, მერე, როგორც თვითონ ამბობს, ხუმრობა გადაწყვიტა. ჯეკი ბანკის მუშაკთან მივიდა და წერილი გადასცა, სადაც ეწერა, თუ სალაროს მთელ ფულს არ მომცემთ, ბანკს ავაფეთქებო. ბანკის ხუმარა უსაქმური მოულოდნელობისაგან გაშტერდა, როცა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილეს და 7.791 დოლარი მისცეს. დაბნეულმა შრაინერმა მაშინვე მოუსვა ბანკიდან.

ერთი კვირა სინდისის ქენჯნისგან იტანჯებოდა, ისიც იფიქრა, ფულს პოლიციას ჩავაბარებ, ვეტყვი, ქუჩაში ვიპოვეო. მერე გადაიფიქრა და ვაიმძარცველმა გადაწყვიტა, იმავე ბანკში ამ ფულით ანგარიში გაეხსნა. ბანკის მუშაკებმა მაშინვე იცნეს მძარცველი და შეშინებულებმა გადაწყვიტეს, ის ფული ალბათ არ ეყოო, მაგრამ როდესაც კაცმა მოკრძალებულად ითხოვა ფულის მის ანგარიშზე დადება, მიხვდნენ, რომ იდიოტთან ჰქონდათ საქმე და მაშინვე პოლიცია გამოიძახეს.

***ვოტ ტაკ! №2***

## ოცდამეცხრე ქორწინება

ცნობილია, რომ მამაკაცების უმრავლესობას ძალიან უყვარს დაქორწინება. ცოტანი არ არიან ისეთი ქალებიც, რომლებსაც გათხოვების გაგონებაზე ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლით. არიან ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ გათხოვებითა და ცოლის მოყვანით არიან დაკავებულნი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ამ ძნელ საქმეში რეკორდსმენები გახდნენ ახლახან დაქორწინებული 88 წლის გლენ ვულფი და 55 წლის ლინდა ესექსი. მამაკაცისთვის ეს 29-ე ქორწინებაა, ქალისთვის — 23-ე. წყვილმა ერთმანეთი იმ თოქ-შოუზე გაიცნო, რომელიც ქორწინების პრობლემებს ეძღვნებოდა.

ბედნიერმა წყვილმა განაცხადა, — ეს ჩვენი



უკანასკნელი ქორწინება იქნებაო. გლენს, ეტყობა, მეტი შანსი აქვს პირობის შესასრულებლად, ვიდრე მის „ახალგაზრდა“ მეორე ნახევარს.

***სობესედნიკი №40***

## ამბავი „ყვითელი ბიჭისა“ და ყვითელი პრესა

პირველი კომიქსი ამერიკელმა მხატვარმა რიჩარდ ფელტონ აუიტქოთმა დახატა და გამოაქვეყნა გაზეთ „ნიუ-ორკ უორლდში“. კომიქსს „ჰოგანის ჩიხი“ ერქვა. მხატვარმა პატარა, სიმპათიურ ბიჭუნას, რომლის მოგზაურობაც იყო ასახული ნახატზე, ფქვილის ტომარა ჩააცვა და ყვითლად შეღება. კომიქსი მალე ძალიან პოპულარული გახდა. გარდა იმისა, რომ ეს იყო გაზეთში გამოქვეყნებული პირველი ფერადი ნახატი, მის პოპულარობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ კომიქსი უხვად იყო შემკული უცენზურო გამონათქვამებით.

„ყვითელმა ბიჭმა“ გზა გაუხსნა ე.წ. ყვითელ პრესას.

***ექსპრეს-გაზეტა***

## ჟურნალ „კარუსელის“ საჩუქრად კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ნაწყვეტს ამოიკითხავთ.

| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | შ | ე | ნ | ი | მ | ე | გ | ზ | უ | რ | ი | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ე | ე | ი | ე | ა | ნ | ო | ნ | | | | | ე | | | ო | უ | ხ | ე | ი | | ო | ე | თ | ბ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**კ.** ავსტრალიის დედაქალაქი; **ვ.** რუსი ფერმწერი; **ი.** დაცინვითი შინაარსის ლექსი; **რ.** უცხოური საინფორმაციო სააგენტო; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ს.** ავი სული, ეშმაკი; **პ.** რისამე შესავალი, დასაწყისი; **ა.** ხის სარწევი საწოლი ჩვილი ბავშვისთვის; **ლ.** ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც თავისი მოთმინებით გაითქვა სახელი; **ტ.** საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი; **რ.** რაჭული გაზეთი; **ა.** მღვდელთმთავარი; **შ.** თვითმფრინავის ბორბლები თავისი საამორტიზაციო დანადგარითურთ; **ე.** განთიადის ქალღმერთი ძველბერძნულ მითოლოგიაში; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **ი.** ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; **მ.** სარგებლით ფულის გამსესხებელი; **ე.** საზოგადოებაში თავის დაჭერის წესები; **გ.** გველის შხამი; **ზ.** ლათინური ანბანის ბოლო ასო; **უ.** ადამიანი, რომელიც შეისწავლის ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს; **რ.** ძველი ეგვიპტის ფარაონთა სახელი; **ი.** სოფელი კასპის რაიონში, რომლის გავლისასაც მძღოლები ტრასაზე ხურდა ფულს ყრიან; **ა.** ქართული სადაზღვევო ფირმა.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**ი.** ირბისი; **კ.** კრეტა; **ი.** იავა; **თ.** თარაზო; **ხ.** ხეივანი; **ე.** ექსტაზი; **თ.** თრაკია; **მ.** მანდილი; **ხ.** ხიდი; **ო.** ოლოლო; **ლ.** ლამბადა; **ო.** ოსანა; **დ.** დიკი; **ჩ.** ჩია; **ვ.** ვიცინი; **ე.** ექსტრა; **ნ.** ნაწნავი; **ი.** ილაჯი; **გ.** გლაზგო; **ა.** არხარი; **ზ.** ზიდანი; **ე.** ესენცია; **თ.** თენგიზი; **ი.** იასონი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ბევრისა ნდომა კაცს წაახდენს.**

CMYK

## №2 (276) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 591 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 254-მა ქალმა და 332-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა არის დღევანდელი ქართველი ქალების საუბრის ყველაზე საყვარელი თემა?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ქალები დღეს ყველაზე ბევრს საკუთარი ოჯახის შესახებ საუბრობენ. მკითხველთა 68-მა შეაფასა „ოჯახი“ მაქსიმალური — 9 ქულით. მხოლოდ 2-მა რესპონდენტმა დაუწერა მას მინიმალური ქულა. 8,26 საშუალო ქულით „ოჯახი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე სამსახურია, საშუალო ქულაა 6,24.

როგორც ჩანს, თანამედროვე ქართველი ქალები ასევე სიამოვნებით საუბრობენ კოსმეტიკისა და პარფიუმერიის სიახლეებსა და მამაკაცებზეც. მიუხედავად იმისა, რომ „ელიტარების ცხოვრების წვრილმანები“ საერთო ქულების მიხედვით მეხუთე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობით (9,4) მეორეზეა და წინ უსწრებს სამსახურს (3,4), „კოსმეტიკისა და პარფიუმერიის სიახლეებსა“ (6,3) და „მამაკაცებს“ (4,3).

რელიგია, ჰოროსკოპები და ხელოვნება — ეს ის თემებია, რაზეც საუბარი მაინცდამაინც არ უყვართ მანდილოსნებს.

აღმოჩნდა, რომ ამ თემაზე ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ ქალები ოჯახისა და სამსახურის შემდეგ ყველაზე მეტს მათზე ლაპარაკობენ და შემდეგ კოსმეტიკისა და პარფიუმერიის სიახლეებზე.

რაც შეეხება თავად ქალებს, ისინი აცხადებენ, რომ მათთვის საყვარელი სასაუბრო თემები ამ თანამიმდევრობით ნაწილდება: 1. ოჯახი; 2. სამსახური; 3. კოსმეტიკისა და პარფიუმერიის სიახლეები; 4. მამაკაცები; სულ ბოლო ადგილზე ჰოროსკოპებია.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი რეიტინგის მუდმივი მონაწილე და არაერთგზის გამარჯვებული **რეზო სვანიძეა,** იგი 64 წლისაა და ცხოვრობს თბილისში. ბატონმა რეზომ, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ხელოვნებას“ ერთის ნაცვლად ორი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „ჰოროსკოპებს“ პირიქით — ორის ნაცვლად — ერთი (მეცხრე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 23 იანვარს, 17 საათზე.

## №3 (277) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№3 (277) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 23 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 24 იანვრის 13 საათამდე.**

© თბილისი

### თემა №3 (277) — წარმატება

**ვის უწინასწარმეტყველებთ წარმატებულ მოღვაწეობას დღევანდელ პოსტზე** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№3(277) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პერსონა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვალერი ხაბურძანია | |
| 2 | კობა ნარჩემაშვილი | |
| 3 | როლანდ გილიგაშვილი | |
| 4 | ავთანდილ ჯორბენაძე | |
| 5 | ზურაბ ნოღაიდელი | |
| 6 | ლევან ძნელაძე | |
| 7 | ალეკო კარტოზია | |
| 8 | ნინო ჩხობაძე | |
| 9 | ნუგზარ გაბრიჩიძე | |

### *მკითხველის რეიტინგი*

**თქვენი აზრით, ვის უნდა ეშინოდეს დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონის ყველაზე მეტად?**
**(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი პიროვნება)**

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**ჩვენი დღევანდელი ყოფა შეაფასეთ თქვენეული სხარტი გამონათქვამით (ანდაზით, აფორიზმით და სხვა)**

| | |
|---|---|
| 1. უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენ | 6,6% |
| 2. ყოფნა? არყოფნა? — საკითხავი აი ეს არის | 5,9% |
| 3. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო | 5,2% |
| 4. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის | 4,3% |
| 5. რაც გინახავს, ველარ ნახავ | 2,0% |
| 6. ააფრინე ალალით, რაც არ არი, არ არით | 1,8% |
| 7. ვაის გავეყარე, უის შევეყარე | 1,6% |
| 8. ვაი ჩვენს პატრონს | 1,4% |
| 9-11. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენ | 1,1% |
| 9-11. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო | 1,1% |
| 9-11. არა შეჯდა მწყერი ხესა | 1,1% |

ეს ყველა ცნობილი ანდაზა-გამონათქვამია. კიდევ უამრავი აფორიზმი მიუსადაგა მკითხველმა ჩვენს დროს.

ზოგმა აღნიშნა, რომ დღევანდელ დღეს შეფასება არა აქვს. ერთმა მკითხველმა ტიციან ტაბიძის ცნობილი ლექსით გამოხატა საკუთარი განწყობა — ,,გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები“...

ზოგიც იმედის თვალით შესცქერის მომავალს და აცხადებს: ,,მიყვარს წარსული, აწმყოს ვემდური, და მომავალსა იმედით ველი“.

***ორიგინალური პასუხები:***

,,ჯერ ტკბილი ჭამეს, კვლავ — მწარე, აღარა დარჩა საჭმელი“, ,,მოთმინებითა შენითა მოიპოვე 14 ლარი“, ,,სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს“, ,,ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი — უკან“, ,,ედოკალიფსი“, ,,ერთი თხილის გულისათვის ცხრა ქართველმა ძმამ ერთმანეთს თავ-პირი დაამტვრია“, ,,ჩვენ ვარსებობთ, ისინი ცხოვრობენ“, ,,მომაშორეთ ეს აკიმი“, ,,აშშ-ს ფული დაღუპავს, საქართველოს — უფულობა“, ,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, ,,ღარიბსართმევ, მდიდარს აძლევ, ღმერთი როგორ შეგარჩენსა“, ,,ვერ ვიხსენებ ტრაგედიას უფრო დიდი გენოციდით — საკუთარ ხალხს რომ მოუწყვეს აზროვნების დეფიციტი“, ,,შრომას ფასი დაეკარგა, ლექსს აღარ წერს მგოსანი, წითელ წიგნში შესატანი გახდა პატიოსანი“ და მრავალი სხვა.

*მკითხველის რეიტინგში 441-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



**გიორგი ბარამიძე, გოგი თოფაძე**



**თემურ წიკლაური**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 112 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

წერილი 2100 წელს...

ჩვენო შვილიშვილებო და შვილთაშვილებო!

აი, ასეთი დემოკრატიული არჩევნები გვქონდა მაშინ, მაგრამ პრეზიდენტად 30 წელი სულ ერთი და იგივე კაცი გვყავდა.

***ა.ე., რუისელი***

კაცობას გიქებ,
მომავლით ხარობ,
არწივი ხარ და
შაშვივით გალობ.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

როცა არწივი ვიყავი,
მთა-ტყენი ხელში მეკავა.
ის დრო წავიდა, გაფრინდა,
ყვავებსლა დარჩათ ქვეყანა...

***მიშიკო გელაშვილი, დაბა სურამი***

**რედაქტორი** — თქვენც უგზავნით ვინმეს წერილს ბატონო თემურ?

**თ.წ.** — არა, ქალბატონო ლალი, მომავალი არჩევნებისთვის რეპეტიციას გავდივარ.

***დურმიშხან ყიფიანი, თბილისი***

**თ.წ.** — (გაიხსნას 2025 წ.) „შვილო, გიტოვებ მამაჩემის 25 წლის წინ დანატოვარ „ბაბორიან“ პალტოს. შეიძლება, ახალი ვერც შენ იყიდო“.

***ბუხო, თბილისი***

თემურ წიკლაური და ქართველი ერი წერილს სწერენ საქართველოს პრეზიდენტს, 50 წლის შემდეგ. წერილი ასე იწყება:

„ბატონო ედუარდ!..“

***გ. ცანავა, მარტვილი***

— მე რა მიშავს, მოსაწვევი მივიღე უცხო პლანეტიდან! თქვენ რა გეშველებათ ქართველო ხალხო!

***ლეილა სუმბათაშვილი, თბილისი***

**თ.წ.** — რაჭველებო! ამ წერილში გწერთ, წერეთელმა რაც დაგიბარათ, რომ ვერ იხსენებთ სიმღერის დროს.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**თ.წ.** — ძლივს არ დადგა ჩემი რიგი? — სულ პოლიტიკოსებს რომ „ამღერებთ“ ამ თქვენს ფოტოპალიტრაში.

***ნინო ჯანგირაშვილი, თბილისი***

უმღერის ღორმუცელა ჩინოვნიკებს:

— ცნობის ფურცელი,
ცნობის ფურცელი,
დიდი მაყუთის დასტა,
ვიღაცას ფული მოუპარია,
თავის ოჯახში შეუტანია,
გამომძღარა და გასკდა,
გასკდა, გასკდა,
გამომძღარა და გასკდა.!..

***ვანო ქვრივიშვილი, თბილისი***

## ფოტო განწყობისთვის



— თქვენ გამოიცანით თქვენი წერილები ? მე უკვე ვხსნი კიდეც...




## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).
**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე –* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტასა და დედოფლისწყაროში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *ბოლნისში* ***თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.*** *ჟინვალსა და დუშეთში* ***– თვის III კვირის ოთშაბათს.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## 3 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ___

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№3 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 24 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

**„ალიგატორ სერვის“**

ყველა ტიპის სიგნალიზაციის დამონტაჟება, შეკეთება, მინის ელექტროამწევებისა და აუდიოსისტემების მონტაჟი.



**გარანტიით**

**20% ფასდაკლება**

მის: ვაჟა-ფშაველას №37

☎899 50-31-52

**ფირმა „ბერმუხა“**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

### გამოუყვეს ტყის ბინადრებს ტრანში



ლომმა მოიწვია კრება — რაში დავხარჯოთ ფული... წამოდგა დათვი — გავიყვანოთ ტყეში ავტოსტრადა და ყველა მანქანას ფული გამოვართვათო... წამოდგა კურდღელი — რა ჩემ ფეხებად გინდათ ავტოსტრადა... გაივლიან მანქანები და ჩვენ, კურდღლებს გაგვჭყლეტენ... წამოდგა მელა — მოდი, დისნეი ლენდი მოვაწყოთ, ბავშვები მოვლენ, უფროსები მოჰყვებიან, იყიდიან რამეებს... ისევ წამოდგა კურდღელი — რა ჩემ ფეხებად გინდათ დისნეი ლენდი... მოვლენ უფროსები და დაგვიშენენ კურდღლებს ლუდის და კოკა-კოლის ცარიელ ბოთლებს...

— კარგი ბატონო, მაშინ შენ თქვი, რა ვქნათ — თქვა ლომმა...

— ავდგეთ, გავბეროთ ერთი დიდი საჰაერო ბუშტი ჰელიუმით და ავუშვათ ცაში...

— რატომ? — იკითხა ყველამ.

— აბა, რა ჩემ ფეხებად გვინდა ეს ბუშტი?!.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“©**

**გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი